

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Ivane Javakhishvili Institute of Histori and Ethnology

ISSN 1512-3154

# Studies in Modern and Contemporary History

## 1(9)

„UNIVERSAL“

Tbilisi 2011

1.3.270

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის  
ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

# ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

## 1(9)

ივ.ჯავახიშვილის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტის  
ბ ი ბ ლ ი თ ე კ ა

5451-11-45  
286


გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2011

უკ (UDC) 94(100) „15/18“ + 94(100) „1918/...“  
ა-984

სარედაქციო კოლეგია:

**გია გელაშვილი**  
**შოთა ვადაჭკორია**  
**ვასილ კაჭარავა**  
**ვაჟა კიკნაძე**  
**ლუიჯი მაგაროტო**  
(ვენეციის უნივერსიტეტი)  
**ვოიცეხ მატერსკი**  
(პოლონეთის მეცნიერებათა  
აკადემია)  
**გელა საითიძე**  
(რედაქტორის მოადგილე)  
**† მალხაზ სიორიძე**  
**ავთანდილ სონღულაშვილი**  
(რედაქტორი)  
**ხათუნა ქოქრაშვილი**  
(პასუხისმგებელი მდივანი)  
**დოდო ჭუმბურიძე**  
(რედაქტორის მოადგილე)  
**ნიკო ჯავახიშვილი**



EDITORIAL BOARD:

**Gia Gelashvili**  
**Shota Vadachkoria**  
**Vasil Kacharava**  
**Vazha Kiknadze**  
**Luiji Magaroto**  
(Venice University)  
**Wojciech Materski**  
(Academy  
of sciences of Poland)  
**Gela Saitidze**  
(Deputy editor)  
**† Malkhaz Sioridze**  
**Avtandil Songulashvili**  
(Editor)  
**Khatuna Kokrashvili**  
(Executive secretary)  
**Dodo Chumburidze**  
(Deputy editor)  
**Niko Javakhishvili**

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზა. 19. ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

**შ ი ნ ა ა რ ს ი**  
**Contents**

**ს ა ქ ა ნ თ ე ე ლ ო ს ი ს ტ ო ზ ი ა**  
**The History of the Georgian**

**ოთარ გოგოლიშვილი, გურამ ხაჯიშვილი**..... 11  
ქარლო ჩხეიძე ბათუმში (1885-1906 წწ.)  
**Otar Gogolishvili, Guram Khajishvili**  
Karlo Chkheidze in Batumi (1895-1906 years)

**შოთა ვადაჭკორია** ..... 19  
შიდა ქართლის მთის ოსების 1920 წლის აჯანყება და ქართული  
პოლიტიკური აზრი  
**Shota Vadachkoria**  
Rebellion of the Osetians Living in the Mountains of Shida Kartli in 1920 and the  
Georgian Political Thought

**ს ა ქ ა ნ თ ე ე ლ ო დ ა მ ს ო ფ ლ ი ო**  
**Georgia and the World**

**ნიკო ჯავახიშვილი** ..... 53  
ქართველი გენერლები ბალტიისპირეთში (XVIII საუკუნის მიწურუ-  
ლიდან – XX საუკუნის ოციან წლებამდე)  
**Niko Javakhishvili**  
Georgian generals in the Baltics (from the end of XVIII century – until 1920s)

**ჯული ბანკანაშვილი** ..... 64  
ალექსანდრე ნიკურაძე – ევროპულ-ქართული ურთიერთობებისა  
და პარალელების შესახებ  
**Juli Bankanashvili**  
Aleksandre Nikuradze- European-Georgian relations and parallels

**ე მ ი გ რ ა ტ ი ო ს ი ს ტ ო ზ ი ი დ ა ნ**  
**From the History of the Emigration**

**ლელა სარალიძე**..... 71  
ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის მოღვაწეობის ისტორიიდან  
(XX საუკუნის 20-30-იანი წლები)  
**Lela Saralidze**  
From The History of the Anti-Soviet Emigration Activity (The 20-30es  
of the 20<sup>th</sup> century)

**ნინო უჩავა** ..... 96  
ქართველი ემიგრანტები ამერიკის შეერთებულ შტატებში  
**Nino Uchava**  
Georgian Emigrants in the United States of America

კ ა ე კ ა ს ი ის ის ტ ო რ ი ა

The History of the Caucasus

*გელა საითიძე, გოჩა საითიძე* ..... 104  
 „კავკასიის პირველი ყოველმხრივი მაცნეობი-მკვლევარი“  
 (გუსტავ რადეს დაბადების 180 წლისთავის გამო)  
*Gela Saitidze, Gocha Saitidze*  
 The First All-round Scientific Researcher of Caucasus  
 (For the 180<sup>th</sup> anniversary of Gustav Radde)

*მზია ტყავაშვილი* ..... 123  
 ეროვნებათაშორისი ურთიერთობები და მიგრაციული პროცესები  
 ჩრდილო კავკასიაში 1917 წელს (ქართული პრესის მიხედვით)  
*Mzia Tkavashvili*  
 Interethnic Relations and Migration Processes in the North Caucasus in 1917  
 (According to the Materials of the Press)

მ ს ო ფ ლ ი თ ის ტ ო რ ი ა

The History of the World

*ზურაბ კვეციანიძე* ..... 135  
 იყო თუ არა გარდაუვალი განხეთქილება მოკავშირეებს შორის  
 მეორე მსოფლიო ომის შემდეგ  
*Zurab Kvetenadze*  
 Was it inevitable split between the allies after the Second World War

*მარიკა მამფორია* ..... 143  
 ბასკური სეპარატიზმის პრობლემა XXI საუკუნეში  
*Marika Mamphoria*  
 Basque Separatist Problem in XXI century

პ ო ლ ი ტ ი კ ა

The Policy

*ავთანდილ სონღულაშვილი* ..... 152  
 პოლიტიკური ლიდერის იმიჯი  
*Avtandil Songulashvili*  
 Political lider's imige

*გელა ცაავა* ..... 168  
 კონფლიქტი აფხაზეთში და საქართველო-რუსეთის  
 ურთიერთობების ასპექტები  
*Gela Tsaava*  
 Conflict in Abkhazia and Georgian-Russian political relations aspects

*თამარ დარჩია* ..... 178  
 რონალდ რეიგანის პოლიტიკური პორტრეტი  
*Tamar Darchia*  
 Political Portrait of Ronald Reagan

*თორნიკე შურულაია* ..... 188  
 ქალის დიპლომატია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო  
 პოლიტიკის არსენალში  
*Tornike Shurgulaia*  
 Froce diplomacy in American foreign policy Arsenal

ს ა მ ხ ე ღ რ თ ის ტ ო რ ი ა დ ა ნ

Millitary History

*დოდო ჭუმბურიძე* ..... 195  
 რუსული არმიის განერალის ივანე ანდრონიკაშვილი (1798-1868)  
*Dodo Chumburidze*  
 Ivane Andronikasvshvili – General of the Russian Army (1798-1868)

ე ნ ა ნ ა თ ლ ე ბ ა დ ა კ უ ლ ტ უ რ ა

Education and Culture

*ელიშერ გვენეტაძე, ანზორ სიჭინავა* ..... 212  
 დღევანდელი მანის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-  
 მონასტრების და სამრევლო სკოლების ისტორიიდან  
 (XX ს-ის 20-იან წლებში)  
*Edisher Gvenetadze, Anzor Sichinava*  
 From the History of Churches and Monasteries and parish Schools Available in  
 Today's Wani District (until 20<sup>th</sup> of XX Century)

*ცაცა ჩხარტიშვილი* ..... 221  
 აფხაზეთის განათლების ზოგიერთი საკითხი 1900-1913 წლებში  
 (პრესის მასალების მიხედვით)  
*Tsatsa Chkhartishvili*  
 Some Problems of Education in Abkhazian in 1900-1913 (review of press)

*თამარ თამარაშვილი* ..... 229  
 განათლების ისტორიიდან თელავში – XX საუკუნის 20-იან წლებში  
 (ვაჟთა გიმნაზია და სომხური შერეული გიმნაზია)  
*Tamar Tamarashvili*  
 From history of education in Telavi in 20's years of XX centuries  
 (gumnastum for boys and Armenian intermixed gumnasium)

**ეკა ბუხრაშვილი**..... 241  
 გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ თბილისის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტის დაარსების შესახებ

**Eka Bukhrashvili**  
 Newspaper “Independent Georgia” about founding Tbilisi State University

**მაკა შავგულიძე**..... 251  
 კახეთის რეგიონის მუზეუმების პრობლემები და მათი  
 განვითარების პერსპექტივები

**Maka Shavgulidze**  
 Problems and Development Prospects of Museums in Kakheti Region

**რელიგია. ეკლესიის ისტორია**  
**Religion. The History of the Church**

**ირინა არაბიძე**..... 268  
 „განათლების მოძრაობა“ რუსეთის ეკლესიაში XX საუკუნის  
 20-იან წლებში (ბროშურის „Что такое обновленчество“ მიხედვით)

**Irina Arabidze**  
 Renovationism Movement in the Church of Russia in the 20es of the 20th  
 century (according to the booklet „What is Renovationism“)

**ისტორიოგრაფია**  
**Historiography**

**მერაბ კალანდაძე**..... 282  
 საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის  
 ისტორიოგრაფიის შესწავლა

**Merab Kalandadze**  
 Study of the Historiography of modern History of East Europe

**წყაროთმცოდნეობა**  
**Source-Studies**

**გია გელაშვილი**..... 295  
 იოჰან კოლის ცნობები ოსების შესახებ

**Gia Gelashvili**  
 J. G. Kohl about Ossen

**გია გელაშვილი**..... 316  
 ვარლამ ჩერაქიშვილის რაფაელინა წერილი ოლივერ  
 უორდროპისადმი

**Gia Gelashvili**  
 Some letters from the Oliver Wardrop Collection

**გოჩა საითიძე, შორენა მურუსიძე**..... 337  
 ახალი დოკუმენტები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის  
 ისტორიიდან (XX საუკუნის 50-იანი წლები)

**Gocha Saitidze, Shorena murusidze**  
 The New Documents from the History of the Georgian Political Emigration  
 (The 50's of the 20<sup>th</sup> century)

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**  
**Criticism and Bibliography**

**დოდო ჭუმბურიძე**..... 348  
 ქართულ-ბალტიური ათასწლოვანი ურთიერთობის მათინა

**Dodo Chumburidze**  
 The History of thousand years old Georgian-Baltic Relations

**ბადრი ცხადაძე**..... 353  
 უცხოელი ავტორები სომხურ-თურქული გენოციდის შესახებ

**Badri Tskhadadze**  
 So-called Armenian-Turkish Genocide

**თვალსაზრისი**  
**View Point**

**იგორ კვესელავა**..... 363  
 სახელმწიფო გადატრიალების პერიპეტია ალმოსავლეთ  
 საქართველოში (XIX საუკუნის დასაწყისი)

**Igor Kveselava**  
 Coup d'etat peripetias In east Georgia (Start of XIX-th century)

**გამოსათხოვარი**  
**In the Memory of Our Colleague**

მაღზაზ სიორიძე (1957-2011)..... 377  
 Malkhaz Sioridze (1957-2011)

### კრებული გამოდის წელიწადში ორჯერ

კრებულის სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე და შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

### რედაქციის მისამართი:

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი,  
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება

თბილისი, პეტრე მელიქიშვილის ქ. № 10, III სართული  
ტელეფონი: 93 41 37

## საქართველოს ისტორია

### ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის  
დეპარტამენტის პროფესორი

### გურამ ხაჯიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიუ-  
რი დოქტორი

### კარლო ჩხეიძე ბათუმში (1885-1906 წწ.)

XIX საუკუნის 90-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე საქართველოში გამოდის ახალი თაობა: ნოე ჟორდანიას, სილიბისტრო ჯიბლაძე, კარლო ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი, ვლადიმერ დარჩიაშვილი, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, რაჟდენ კალაძე და სხვა. მათ სახელებთანაა დაკავშირებული „მესამე დასის“ ჩამოყალიბება, მისი პროგრამის დამუშავება. [7, 155]

ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის „მესამე დასის“ ჩამოყალიბების ინიციატორი კარლო ჩხეიძე თავისი პოლიტიკური კარიერის დასაწყისში ბათუმში მოღვაწეობდა.

პოლიტიკური საქმიანობის ასპარეზად კარლო ჩხეიძეს ბათუმი შემთხვევით არ აურჩევია. იმ დროისათვის საქართველოში არსებობდა დასავლური ორიენტაციის ქართული სოციალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა, „მესამე დასი“ და რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეური გავლენის ქვეშ მყოფი ჯგუფები და წრეები. ისინი ერთმანეთს იმთავითვე უპირისპირდებოდნენ, რადგანაც რუსული სოციალ-დემოკრატიისათვის ქართული დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის არსებობა მიუღებელი იყო. ამიერკავკასიის უმსხვილეს სამრეწველო ცენტრებში მუშათა მოძრაობის მათ მხარეზე გადაყვანისათვის სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის ეს ორი მიმართულება ერთმანეთს ეცილებოდა. [15, 210]

თბილისისა და ბაქოს შემდეგ ამიერკავკასიაში პოლიტიკური საქმიანობისთვის ბათუმი საუკეთესო ადგილი იყო. [15, 211].

ბათუმის მოსახლეობა XIX საუკუნის ბოლოსათვის შეადგენდა 30 ათას კაცს, რომელთა შორის დაახლოებით 8 ათასი მუშა იყო. მუშათა სოციალური ფენა კი სოციალ-დემოკრატების „ყურადღების“ უმთავრესი ობიექტი გახლდათ. [12, 108]

These activities of Soviet Russia from the juridical point of view was a violation of the 4<sup>th</sup> paragraph of the Russian-Georgian treaty and the adequate reaction towards this violation served to defend the interests of the state on the international arena. 3. Uprising of the Osetians compactly living in the mountains of Shida Kartli in 1920 was evaluated by Georgian political thought as a stab in the back. Fairly for the Georgian society the Osetians compactly living in the mountain range of Shida Kartli were twofaced Janus, the incurable evil and a suppurative pimple on the body of Georgia. The only way to be cured from this disease for political elite was to punish guilty Osetians. The bitter experience of the past and the interests of the country was incited Georgian government to carry on line based and firm policy.

## საქართველო და მსოფლიო

### ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

### ქართველი გენერლები ბალტიისპირეთში (XVIII საუკუნის მიწურულიდან - XX საუკუნის ოცინა წლებამდე)

რუსეთის საიმპერიო არმიის იმ ქართველი (ან ქართული წარმომავლობის) გენერლებისა და ოფიცრების ერთი ნაწილის შესახებ, რომლებიც ბალტიისპირეთში სხვადასხვა დროს იბრძოდნენ ან მსახურობდნენ, უკვე ვისაუბრეთ ჩვენს სტატიებში: "ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიიდან" [8, 11-25] და "ქართველთა კვალი ბალტიისპირეთში (XVII საუკუნის მიწურულიდან - XIX საუკუნის შუა ხანებამდე)" [9, 238-252].

წინამდებარე ნარკვევში შესწავლილი გვაქვს საქმიანობა რუსეთის საიმპერიო არმიის იმ დანარჩენი ქართველი (ან ქართული წარმომავლობის) გენერლებისა და მაღალი რანგის ოფიცრებისა (მათ გენერლის წოდება მოგვიანებით მიიღეს), რომლებიც ბალტიისპირეთში XVIII საუკუნის მიწურულიდან - XX საუკუნის ოცინა წლებამდე მსახურობდნენ.

1794 წელს რუსეთის საიმპერიო არმიამ ალექსანდრე სუვოროვის ხელმძღვანელობით პოლონეთში ილაშქრა. მისი არმიის შემადგენლობაში იბრძოდა გენერალ-მაიორი (1804 წლიდან - ინფანტერიის გენერალი) **პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი (1754-1806)**, რომლის პაპა - თავადი პაატა ზაქარაძე ძე ციციშვილი ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის ამალას გაჰყვა რუსეთში და იქ დამკვიდრდა.

გენერალმა პ. ციციანოვმა თავი ისახელა აღნიშნული სამხედრო კამპანიისას მომხდარ არაერთ ბრძოლაში, განსაკუთრებით კი ვიდნოს (ამჟამად - ვილნიუსი) ალებისას, რისთვისაც იგი უხვად დააჯილდოვეს. კერძოდ, მას უბოძეს: წმ. გიორგის III ხარისხის ორდენი, ოქროს ხმალი აღმასებითა და წარწერით "მამაცობისათვის" და მინ-

სკის გუბერნიაში მდებარე მამული – 1. 500 ყმა-გლეხით [4, 15-16].

1794 წლის 15 სექტემბრით დათარიღებულ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ პ. ციციანოვი ჯილდოვდება წმ. გიორგის ორდენით: “Во уважение на усердную службу и отличное мужество, оказанное при овладении укреплениями и самим городом Вильной, где начальствуя войсками, разбил неприятеля и участвовал в одержанной ту побеле” [11, 258].

ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი, მწერალი შალვა ამირეჯიბი (1886-1943) პ. ციციშვილის შესახებ წერდა: “პოლონეთთან ომების დროს ციციშვილი უკვე გენერალი იყო და ვილნოს რეტრანსემენტების ალესისათვის წმ. გიორგის ორდენით იქნა დაჯილდოებული. ეკატერინე დიდი – “თავის გენერალს” ეძახდა, ახალგაზრდა მხედარს ისეთი სახელი ჰქონდა, რომ ვარშავასთან დგომის დროს შესანიშნავი სუფოროვი ჯარებისადმი საგანგებო ბრძანებას სცემდა: “იბრძოლეთ ისე, როგორც მამაცი თავადი ციციშვილი”.

ეს ბრწყინვალე კარიერა პავლეს ტახტზე ასვლამ შეაჩერა... სამხედრო კარიერას ციციშვილი მხოლოდ პავლე I-ის სიკვდილის შემდეგ დაუბრუნდა, როდესაც ტახტზედ ალექსანდრე I ავიდა...

ციციშვილს რუსები თავისად თვლიდნენ... მან შესანიშნავი რუსული ეპოქა განვლო. ციციშვილი ჯერ ეკატერინე დიდის გენერალი იყო, შემდეგ ალექსანდრე I-ისა. ბებია და შვილიშვილი ერთმანეთს ვერაფერს დააყვედრებდნენ: პირველი – ქმრის მკვლელი იყო, მეორე – მამისა. მაგრამ ქმრის წახრჩობა და მამის მოკვლა ნების ნაპირებზე ისეთ საქმედ იყო მიჩნეული, რის გამო არც ცოლებს ეყინებოდათ სისხლი, არც შვილებს. ციციშვილი ამ ზნეობრივ გარემოში გამოიზარდა და ამ მხრივ, მართლაც რუსი იყო. მაგრამ ის იყო რუსი, როგორი რუსებიც იყვნენ ბაგრატიონი და ბარკლაი დე ტოლი, ჩარტორისკი და ბენიგსენი და საზოგადოდ მთელი ის ნაირი ხალხი უცხო მოდგმისა, რომელიც სახლში ბედნახდენილი, რუსეთში მიდიოდა, რომ კარიერა თავისი მახვილის ბოლოდან ამოეგო. ამ გადამთიელი ხალხისათვის რუსული ზნეობრივი გარემო პირდაპირ ალების ღამე იყო და ნაპოლეონიც ისე არ ახსენებდა მათ, თუ არა “რენეგატობით” [1].

1800 წლის აპრილში, რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა, იტალიასა და შვეიცარიაში მოწყობილ სამხედრო ექსპედიციებში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის, ლეგენდარულ მხედართმთავარს, გენერალ პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონს (1766-1812) ჯილდოდ უბოძა მდიდარი სოფელი, რომელიც ლიტვის გუბერნიაში მდებარეობდა.

საგულისხმოა, რომ ბოროდინოს ბრძოლაში (1812 წ.) სასიკვდი-

ლოდ დაქრილმა ინფანტერიის გენერალმა პ. ბაგრატიონმა, გარდაცვალების წინ თავის ლიტველ ყმებს თავისუფლება უბოძა [12, 61-72; 3, 51-57; 9, 245-246].

1863-1864 წლებში ვილნოს სამხედრო გუბერნატორი იყო წარმომბით ქართველი თავადი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ვლადიმერის ძე იაშვილი (1815-1864) [11, 303]. მისი მამა – გენერალ-მაიორი ვლადიმერ მიხეილის ძე იაშვილი (1764-1815) 1801 წლის 11 მარტს კავალიერად მონაწილეობდა რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის მკვლელობაში [15, 281-283].

1863-1864 წლებში ვილნოს მაზრის უფროსად მსახურობდა დაახლოებულესი თავადი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მხვრეტინსკი (1830-1894). მოგვიანებით, კერძოდ, 1881 წელს მას მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება [13, 93].

1868-1870 წლებში ბალტიისპირეთში მსახურობდა ცნობილი მეცნიერი, გენერალ-ლეიტენანტი პეტრე რომანის (რევზის) ძე ბაგრატიონი (1818-1876). იგი იყო პირდაპირი შტამომავალი ქართლის მეფის იესესი, რომელიც 1714-1716 და 1724-1727 წლებში მეფობდა და იმპერატორულად ძმისწული ზემოხსენებული პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონისა [13, 50-52].

პ. ბაგრატიონი დაახლოებული იყო რუსეთის საიმპერატორო კართან. კერძოდ იგი სხვადასხვა დროს იყო: იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სიძის, პერცოვ მაქსიმილიან ლეიტენბერგის ადიუტანტი (1845-1852), იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი (1852 წლიდან), საიმპერატორო სასახლის კომენდანტი და დაცვის უფროსი (1854 წლიდან), იმპერატორის პირადი ამალის უფროსი (1857 წლიდან).

1862-1868 წლებში პ. ბაგრატიონი მსახურობდა ტვერის გუბერნატორად, ხოლო 1868-1870 წლებში – ვილნოს, გროდნოს, კოვნოსა და მინსკის გენერალ-გუბერნატორ პოტაპოვის თანამემწედ სამოქალაქო ნაწილში და ვიტებსკისა და მოგილევის გუბერნიების უფროსად.

1870 წლის 22 სექტემბერს პ. ბაგრატიონი დაინიშნა ლიფლანდიის, ესტლანდიისა და კურლანდიის (ანუ ოსტზეის მხარის) გენერალ-გუბერნატორად და გადავიდა რიგაში, სადაც გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა.

სახელმწიფო და სამხედრო სამსახურის პარალელურად, პ. ბაგრატიონი ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. მან ფიზიკასა და ქიმიას უდიდესი მნიშვნელობის გამოკვლევები შექმნა, რითაც მოიპოვა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების აღიარება და იმპერატორულად – მსოფლიოს ცალკეულ სახელმწიფოთა მრავალი საპატიო ჯილდო [5].

პ. ბაგრატიონი დაჯილდოებული იყო რუსეთის იმპერიის შემდეგი ჯილდოებით: წმ. ანას I ხარისხის (გვირგვინით), წმ. სტანისლავის I, II და III ხარისხის, წმ. ვლადიმირის I, II და III ხარისხის ორდენებით, ასევე შემდეგი ევროპული ჯილდოებით: შვედეთის წმ. ოლაფის ორდენის კავალრის ჯვრით (1849); პორტუგალიის ქრისტეს ორდენის კომანდორის ჯვრით (1850); ნეაპოლიტანიის წმ. ფრანცისკის ორდენით (1852); ბავარიის წმ. მიხეილის ორდენის კომანდორის ჯვრით (1852); ჰესენის წმ. ფილიპე სულგრძელის ორდენით (1852) და ბადენის ცერინგენის ლომის (1852) ორდენით [11, 60].

ბალტიისპირეთში გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე მოღვაწეობა პ. ბაგრატიონს ამ მხარისათვის ფრიად რთულ პერიოდში მოუწია. იმხანად რუსეთის ცარიზმი ენერგიულად იბრძოდა ბალტიისპირეთში არსებული გერმანული გავლენის აღმოსაფხვრელად. საიმპერიო ხელისუფლება ატარებდა რეფორმებს, რომლებიც მიმართული იყო ამ რეგიონში რუსული გავლენის დასამკვიდრებლად. 1867 წლიდან ბალტიისპირეთში არსებულ ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში საქმე უნდა ეწარმოებინათ რუსულ ენაზე, ნაცვლად მანამდე არსებული გერმანულისა.

პ. ბაგრატიონი, როგორც რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, ბუნებრივია, ახორციელებდა იმ პოლიტიკას, რომელსაც საიმპერიო ხელისუფლება კარნახობდა, მაგრამ იმავდროულად, ის საკმაოდ ფრთხილად და გონივრულად მოქმედებდა [8, 13-15].

აკადემიკოსი იანის სტრადინში შენიშნავდა: "П. Р. Багратион, как генерал-губернатор, осуществлял намеченные правительством нововведения, несмотря на противодействие местных немецких кругов. Будучи приверженцем русификации Прибалтики, но в то же время достаточно осторожным и гибким политиком, он прежде всего стремился умерить накал страстей, достигший своего апогея к моменту вступления его на должность. С этой целью он пошел на известные уступки остзейским кругам, чтобы затем еще более настойчиво проводить намеченную программу" [19, 246].

რიგის პოლიტექნიკუმის წესდების მიხედვით, მის მზრუნველად (კურატორად) ითვლებოდა ბალტიისპირეთის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე მყოფი პირი. აქვე დავსძენთ, 1862 წელს დაარსებული ეს სასწავლებელი იყო რუსეთის იმპერიის უძველესი პოლიტექნიკური უმაღლესი სკოლა, რომელმაც მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-ტექნიკური კადრების მომზადებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა. ამ სასწავლებელმა ასევე მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საინჟინრო-ტექნიკურ, ქიმიურ და მათემატიკურ მეცნიერებათა

სფეროს ცალკეულ მიმართულებათა განვითარებას [18, 197-211].

პ. ბაგრატიონმა უდიდესი ამაგი დასდო რიგის პოლიტექნიკუმს, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებოდა. მისი თანადგომის წყალობით, ამ სასწავლებლის მნიშვნელობა თანდათან იზრდებოდა [5, 16].

1870 წლიდან პოლიტექნიკუმში გადავიდა ახლადგებულ შენობაში, რომელსაც 1875-1877 წლებში II კორპუსიც დაემატა. ამ კორპუსში განთავსდა მოსამზადებელი სკოლა, სოფლის მეურნეობის განყოფილება და "საცდელი სადგური".

ამ სასწავლებელს, რომელიც მანამდე, როგორც კერძო დაწესებულება, ბალტიისპირეთის ქალაქების, არისტოკრატებისა და ვაჭარ-მრეწველთა დოტაციაზე არსებობდა, პ. ბაგრატიონის ინიციატივით, 1875 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაენიშნა ყოველწლიური ფულადი დახმარება – 10.000 რუბლის ოდენობით, რითაც მისი ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი იფარებოდა.

ადრე აღნიშნული სასწავლებლის კურსდამთავრებულთ სამსახურში იღებდნენ კერძო მენარმეები, ხოლო სახელმწიფო სამსახურში (მაგალითად, ხიდების, რკინიგზისა და სხვა სახის მშენებლობაზე) ისინი დიპლომირებულ ინჟინრებად არ ითვლებოდნენ.

პ. ბაგრატიონის პირადი განკარგულებით, რიგის პოლიტექნიკუმის საინჟინრო, მანქანათმშენებლობისა და საარქიტექტორო განყოფილებათა კურსდამთავრებულთა სტატუსი 1875 წლიდან გაუთასაბრდა სანკტ-პეტერბურგის სარკინიგზო ინსტიტუტის სამოქალაქო ინჟინერთა სტატუსს. ამიერიდან, მათ გზა ხსნილი ჰქონდათ და შეეძლოთ დაეკავებინათ შესაბამისი თანამდებობები სახელმწიფო სამსახურში ბალტიისპირეთის გუბერნიის მთელ ტერიტორიაზე.

გენერალ-გუბერნატორმა დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა პოლიტექნიკუმის აღჭურვაში სათანადო მოწყობილობებით, კოლექციებითა და წიგნებით. იგი ყოველწლიურად ჩუქნიდა სასწავლებელს მათემატიკური, ტექნიკური და ხელოვნებათმცოდნეობითი შინაარსის წიგნებს, იშვიათ მინერალებს, სამეცნიერო მოწყობილობას.

პ. ბაგრატიონი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა საინჟინრო და მანქანათმშენებლობის სპეციალობებისადმი, რომლებსაც ბალტიისპირეთის ეკონომიკური წინსვლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს დამსახურებანი ადგილობრივმა კაპიტალისტებმა სათანადოდ დააფასეს.

განათლების განვითარებაზე მზრუნველი გუბერნატორის სახელის უკვდავსაყოფად, რიგელმა ბანკირმა გეიმანმა 1873 წელს გაიღო 4.000 რუბლი, რითაც რიგის პოლიტექნიკუმის წარჩინებული სტუ-



დენტებისათვის – “მზრუნველის სტიპენდია” დაწესდა. მრავალი ათწლეულის განმავლობაში ეს სტიპენდია ძირითადად მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტებზე გაიცემოდა.

პ. ბაგრატიონი მეგობრობდა რიგის პოლიტექნიკუმის პირველ დირექტორთან, ფიზიკის პროფესორ ერნესტ ნაუკთან (1819-1875), რომელიც აღნიშნულ სასწავლებელს მართლაც სანიმუშო ხელმძღვანელობას უწევდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ნაუკი მოულოდნელად გარდაიცვალა ბაგრატიონთან ჭადრაკის თამაშისას.

გენერალ-გუბერნატორის მონდომებით, ე. ნაუკის ოჯახს მალაღობა სახელმწიფო პენსია დაენიშნა.

აკად. ი. სტრადინის შეფასებით: “Действия П. Р. Багратиона на посту попечителя Рижского политехникума следует рассматривать как первые шаги к превращению училища в государственный Рижский политехнический институт со всеми официальными правами преподавателей и выпускников. Эта деятельность П. Р. Багратиона заслуживает определенной положительной оценки, хотя как генерал-губернатор он был проводником политики самодержавия в Прибалтике. Характерно, что заслуги П. Р. Багратиона как попечителя Рижского политехникума признаются даже прибалтийско-немецкой историографией, которая в общем-то оценивает его довольно сдержанно” [18, 247-249].

ბალტიისპირეთში მოღვაწეობის პერიოდში პ. ბაგრატიონმა იმდენად დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ ამ მხარის შინაგან საქმეებში თვით რუსეთის იმპერატორიც კი აღარ ერეოდა [4, 169].

1876 წლის 17 იანვარს, სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებით სანკტ-პეტერბურგში მყოფი პ. ბაგრატიონი ასთმის შეტევით გარდაიცვალა. დაკრძალულია წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრაში, ვოსკრესენსკის ნოვოდევიჩის მონასტერში. მისი დაკრძალვის დღეს რიგის პოლიტექნიკუმში გლოვა გამოცხადდა.

იმავე წლის 25 იანვარს, ანუ პ. ბაგრატიონის გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ, მის მიერ დაკავებული თანამდებობა გაუქმდა.

ამით ბალტიისპირეთის მმართველობის ცენტრმა რიგიდან – სანკტ-პეტერბურგში გადაინაცვლა, რაც ამ მხარის რუსეთთან შერწყმის მორიგ ეტაპს წარმოადგენდა. სწორედ იმხანად გამოიყვანა რუს იმპერიალისტთა მანამდე შენიღბული ზრახვები.

თუ ბალტიისპირეთის ადაპტაციას და ინტეგრაციას რუსეთის იმპერიის დანარჩენ ნაწილებთან პ. ბაგრატიონი თანდათანობით, საკმაოდ ფრთხილი ღონისძიებებით ცდილობდა [13, 52], მისი გარდაცვალების შემდეგ, ამ პროცესმა უფრო შესამჩნევი ხასიათი მიიღო.

რუსეთის იმპერიის იმდროინდელ პრესაში განსვენებული გენერალ-გუბერნატორის შესახებ მრავალი სტატია გამოქვეყნდა. მათ შორის იყო როგორც რუსულ, ასევე, გერმანულ, ლათვიურ და ესტონურ ენაზე გამოშვებული გაზეთები.

რიგში გამოშვებული გაზეთი “Рижский вестник” წერდა: “Факт упразднения генерал-губернаторства давно уже можно было предвидеть. Известно, что князь Багратион нередко говорил – «я последний на этом посту». Упразднение Новороссийского генерал-губернаторства, упразднение наместничества Царства Польского, отделение Могилевской и Витебской губерний от Виленского генерал-губернаторства – все это были ясные моменты зрело обдуманной внутренней политики, стремившейся сглаживать дробность государственного строя, отменять исключения, подводя их под общие правила, ослаблять изолированность, распространять силу законов общих...”

Теперь начинается новый период для русской прибалтийской окраины: период общения и нормального слияния с интересами русскими” [17].

სანკტ-პეტერბურგში გამოშვებულ გაზეთში “Иллюстрированная газета” აღნიშნული იყო: “თავად პ. ბაგრატიონის ექვსწლიანმა მმართველობამ ბალტიისპირეთის ისტორიაში მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი პერიოდი შექმნა. სამოციანი წლების მიწურულს ბალტიისპირეთის გუბერნიებში გაბატონებული კლასები არ იყვნენ რეფორმის მომხრენი არც სახელმწიფოებრივი და არც ადგილობრივი მოსახლეობის თვალსაზრისით. იმხანად გაჩაღებული უაღრესად გამაღიზიანებელი საგაზეთო პოლემიკა, რომელსაც მხარს უჭერდნენ გერმანოფილები, მიმართული იყო რუსეთის სანააღმდეგოდ. ამიტომაც, თავად ბაგრატიონის მიერ დაკავებული თანამდებობა აღსავსე იყო მრავალი წინააღმდეგობით.

ბალტიისპირეთის მმართველს, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვებოდა შემრიგებლის როლის შესრულება, გერმანული გავლენის შესუსტება, ნაციონალისტურ ვნებათა ჩაცხრობა და დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტა. ყოველივე ამას უპირველესად გარკვეული დრო ესაჭიროებოდა.

თავად ბაგრატიონის ექვსწლიანი გონივრული და განონასწორებული მოღვაწეობა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. იმ პერიოდში ნაციონალისტური ვნებანი მიყუჩდა და დიდი ყურადღება დაეთმო როგორც მხარის ადგილობრივ ცხოვრებას, ასევე, საერთოდ, სახელმწიფოებრივი საკითხების გადაჭრას. ამგვარად, თავად ბაგრატიონის გენერალ-გუბერნატორობის პერიოდში მომზადდა ნიადაგი როგორც

სასამართლო, ასევე სამოქალაქო რეფორმების განსახორციელებლად: რეველისა და მიტავის გუბერნიებში რუსული ენის სწავლების ნებაყოფლობითი შემოღება, გერმანული გავლენის შესუსტება და სხვ., რაც ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ შესრულდა. ბოლოს ბაგრატიონის მოღვაწეობა იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ მისი მეოხებით ბალტიისპირელმა ხალხებმა გერმანიასთან მეგობრობაზე ხელი აიღო და პირი იბრუნა რუსეთთან სამეგობროდ. ყოველივე ეს მოხდა თავად პ. ბაგრატიონის მშვიდი, შემრიგებლური მოქმედების სისტემისა და პოლიტიკის წყასლობით, რასაც განსვენებული ფრიად წარმატებით ახორციელებდა” [16].

ბალტიისპირეთში გამომავალ პრესაში პ. ბაგრატიონის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებში ჩამოთვლილი იყო მისი დამსახურებანი.

ლატვიურ გაზეთში “Baltijas Zemkopis” გამოთქმული იყო რწმენა, რომ გენერალ-გუბერნატორის გარდაცვალების მიუხედავად, მის მიერ დაწყებული რეფორმები გაგრძელდებოდა [20].

ესტონურ გაზეთში “Perno Postimees”, რომელსაც ცნობილი ესტონელი საზოგადო მოღვაწე ი. ვ. იანსენი გამოსცემდა, გამოქვეყნდა პ. ბაგრატიონის ნეკროლოგი მისი ვრცელი ბიოგრაფიითურთ. გაზეთში აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, პ. ბაგრატიონი თავის სამსახურებრივ მოვალეობებს პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით ეკიდებოდა და პირნათლად ასრულებდა [21].

პ. ბაგრატიონის გარდაცვალება აუნაზღაურებელ დანაკლისად იქცა რიგის პოლიტექნიკუმისათვის, რომელმაც ფრიად გავლენიანი მფარველი დაკარგა. ახალ მზრუნველად დანიშნულ ლიფლანდიის გუბერნატორს არ გააჩნდა თავისი წინამორბედის მსგავსი გავლენა საიმპერიო ხელისუფლებაში, რამაც აღნიშნული სასწავლებლისათვის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შეაფერხა. ამის გამო, სასწავლებლის გარდაქმნა სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტად მხოლოდ ოცი წლის შემდეგ – 1896 წელს მოხერხდა [10, 17].

ბალტიისპირეთში მსახურობდა ინფანტერიის გენერალი (1905 წლიდან), აზნაური გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი (1840-1921), რომელიც 1887-1891 წლებში სათავეში ედგა ლიტვის 51-ე ქვეით პოლკს [6, 15]. შემდეგ იგი მსახურობდა: ვარშავის ციხე-სიმაგრის შტაბის უფროსად (1891-1899), ვარშავის გამაგრებული რაიონის შტაბის უფროსად (1902-1905), ხაბაროვსკის გენერალ-გუბერნატორად და ვლადივოსტოკის სამხედრო კომენდანტად (1905-1906) [11, 141].

ვიტებსკის გუბერნიის ქ. დვინსკში (1917 წლიდან – დაუგავპილსი) დისლოცირებულ ლიფლანდიის 97-ე ქვეით პოლკს მეთაურობდა გენერალ-ლეიტენანტი (1917 წლიდან), აზნაური დავით კონსტან-

ტინეს ძე გუნცაძე (1861-1922). 1915-1917 წლებში იგი სათავეში ედგა 53-ე ქვეით დივიზიას. სხვა ორდენებთან ერთად, იგი დაჯილდოებული იყო ასევე წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენითა და საპატიო ხმლით [11, 110].

მსოფლიო ომის პერიოდში, დასავლეთის ფრონტზე ცხენოსან ბრიგადას მეთაურობდა გენერალ-მაიორი, თავადი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე მიქელაძე (1863-1919), რომელიც ერთხანს ქ. ვილნოს კომენდანტი იყო [3, 75; 11, 193].

1917 წლის იანვრიდან ლიტვის II მსროლელი ბრიგადის შტაბის უფროსად მსახურობდა პოლკოვნიკი ალექსანდრე ყარამანის ძე ზაქარიაძე (1884-1957), რომელიც შემდეგ ლიტვის ზენიგალსკის V რაზმის დროებითი ხელმძღვანელი იყო. სექტემბერში, რიგის ოლქის როდენ-პოის (ამჟამად – როპეჟე) რაიონში მიმდინარე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის ის დაჯილდოვდა წმ. გიორგის IV ხარისხის დაფნით შემკული ორდენით.

ა. ზაქარიაძე იგონებდა: “ვიყავი ჩრდილოეთ ფრონტზე ქ. რიგის მიდამოებში, ლატვიელთა II დივიზიის შტაბის უფროსად. უკვე მივიღე ბრძანება, შევდგომოდი ლატვიური კორპუსის შტაბის ორგანიზაციას, როდესაც 27 ოქტომბერს მივიღე წინადადება გადავსულიყავი ქართულ კორპუსში. მე, რასაკვირველია, მაშინვე დავთანხმდი” [7, 197].

იმავე წლის 23 ნოემბერს იგი სამშობლოში დაბრუნდა. მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ (გენერლის ნოყებით) [11, 135].

ამრიგად, XVIII საუკუნის მიწურულიდან – XX საუკუნის ოციან წლებამდე, ბალტიისპირეთში მსახურობდნენ რუსეთის საიმპერიო არმიის ქართველი გენერლები ანდა მაღალი რანგის ოფიცრები (რომლებმაც გენერლის ნოდება მოგვიანებით მიიღეს): 1794 წელს – პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი/ციციშვილი (1754-1806); 1863-1864 წლებში – ვლადიმერ ვლადიმერის ძე იაშვილი (1815-1864) და ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი (1830-1894); 1868-1876 წლებში – პეტრე რომანის (რევაზის) ძე ბაგრატიონი (1818-1876); 1887-1891 წლებში – გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი (1840-1921); მსოფლიო ომის წლებში – დავით კონსტანტინეს ძე გუნცაძე (1861-1922), ალექსანდრე კონსტანტინეს ძე მიქელაძე (1863-1919) და ალექსანდრე ყარამანის ძე ზაქარიაძე (1884-1957). ლიტვის გუბერნიის მამული ჰქონდა ინფანტერიის გენერალს პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონს (1766-1812).

#### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ამირეჯიბი შალვა, ადამიანები და საქმენი, ჟურნალი "კავკასიონი", პარიზი, 1930, № 4.
2. გონიკიშვილი მიხეილ, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986.
3. დოლიძე ლევან, გენერლები საქართველოდან (საქართველოს გენერალიტეტის სამსაუკუნოვანი მატრიანე), თბ., 2003.
4. მეგრელიძე შამშუ, ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979.
5. პარკაძე ვახტანგ, პეტრე ბაგრატიონი (დაბადების 150 წლისთავის გამო), თბილისი, 1970.
6. სურმანიძე რამაზ, გენერალ-ლეიტენანტი თერგდალეულთა თაობიდან (ახალი ცნობები გიორგი ყაზბეგის ბიოგრაფიიდან), ბათუმი, 2006.
7. შარაძე გურამ, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. IV, თბ., 2003.
8. ჯავახიშვილი ნიკო, ქართულ-ლატვიური ურთიერთობის ისტორიიდან, "ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", ტ. V, თბ., 2009.
9. ჯავახიშვილი ნიკო, ქართველთა კვალი ბალტიისპირეთში (XVII საუკუნის მიწურულიდან – XIX საუკუნის შუა ხანებამდე), "ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", ტ. VII, თბ., 2010.
10. Ванаг Г., Столетний путь химического факультета Рижского политехнического института (1864-1964). В сборнике: "Из истории естествознания и техники Прибалтики", т. II (VIII), Рига, 1970.
11. Гогитидзе М., Военная элита Кавказа, т. I, генералы и адмиралы из Грузии, Тб., 2007.
12. Грибанов В., Багратион в Петербурге, Ленинград, 1979.
13. Дворянские роды Российской империи. т. III, Князья, под редакцией С. Думина, Москва, 1996.
14. Джавахишвили Н., Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.), Тб., 2003.
15. Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, т. IV, Князья Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю. Чиковани, Москва, 1998.
16. "Иллюстрированная газета", Санкт-Петербург, 8. II. 1876.
17. "Рижский вестник", Рига, 1876, № 27.
18. Страдинь Я., Связи рижских ученых с научными центрами России в

- конце XIX – начале XX в. В сборнике: "Из истории техники Латвийской ССР", т. 5, Рига, 1964.
19. Страдинь Я., П. Р. Багратион в Прибалтике. В сборнике: "Из истории естествознания и техники Прибалтики", т. II (VIII), Рига, 1970.
20. "Baltijas Zemkopis", 1876, № 4.
21. "Perno Postimees", 1876, № 6-7.

*Niko Javakhishvili*

*Doctor of historical sciences, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Chief scientist-researcher of the Modern and Contemporary History Department of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*

#### Georgian generals in the Baltics (from the end of XVIII century – until 1920s)

#### Summary

The paper verifies, that from the end of XVIII century until 1920s, a number of Russian Imperial Army generals and high-ranking officers (who adopted General's rank later) of Georgian origin, served in Baltics: in 1794 – duke **Pavel Tsitsianov/Tsitsishvili** (1754-1806); in 1863-1864 – duke **Vladimir Iashvili** (1815-1864) and prince **Nikolai Bagration-Imeretinski** (1830-1894); in 1868-1876 – prince **Peter Bagrationi** (1818-1876); in 1887-1891 – **George Kazbegi** (1840-1921); During the World War I – **David Giuntsadze** (1861-1922), duke **Alexander Mikeladze** (1863-1919) and **Alexander Zakariadze** (1884-1957). Infantry General, prince **Peter Bagrationi** (1766-1812) owned an estate in Lithuania.

**Gela Saitidze**

*Professor, fuhrender wissenschaftlicher  
Arbeiter des Iwane Dshawachischwili  
Instituts fuer Geschichte und Ethnologie*

**Gotscha Saitidze**

*Professor, Leiter des Archivwesens des  
Nationalen Handschriftenzentrums.*

**„Der erste vielseitige Forscher Kaukasiens“  
(zum 180-sten Geburtstag Gustav Raddes)**

**Resueme**

Der hervorragende deutsche Kaukasiologe, Reisende, Naturwissenschaftler, Geograph, Ethnograph, Leiter der oeffentlichen Bibliothek von Tbilisi, einer der Begruender des Museumswesens in Georgien und Kaukasien, der Begruender des „Kaukasischen Museums“ (jetzt des Staatliche S. Dshanaschia-Museum Georgiens) - Gustav Radde war eng mit Georgien verbunden, in dessen Hauptstadt er 40 Jahre verbracht hat.

1859 wurde G. Radde Staatsangehoeriger des russischen Reiches. Sein ganzes Leben erforschte er eifrig die Lebensweise der Voelker Sibiriens und Kaukasiens, darunter auch Georgiens, ihre Sitten und Braeuche, Traditionen und Kultur, Geographie und Oekonomie, Geschichte und Archaeologie, Flora und Fauna.

„Wegen seines weichen und guetigen Charakters“ kam G. Radde leicht in Kontakt zu alien, von Vertretern der kaiserlichen Familie bis zu den einfachen Angestellten des „Kaukasischen Museums“ sowie der oeffentlichen Bibliothek von Tbilisi. Seine wissenschaftlichen Forschungen sind bis heute sehr aktuell fuer Fachleute verschiedener Wissensgebiete.

Die vielseitige und fruchtbare Taetigkeit G. Raddes wurde von vielen Gelehrten erforscht, wie z. B. von I. Dshawachischwili, G. Gechtmann, T. Keppen, G. Dshordania, G. Tschchaidse, N. Kantaria, N. Komarova, S. Babunaschwili, M. Dgwilawa, A. Sitschinawa und vielen anderen.

Ungeachtet seiner glaenzenden dienstlicher und wissenschaftlicher Karriere blieb Gustav Radde bis zum Ende seines Lebens ein bescheidener Mensch. Auf Anrede: „Ihre Hoheit“ antwortete er: „Ich heisse Gustav Radde und bin Sohn eines Schullehrers“.

G. Radde starb in Tbilisi und wurde laut seinem Vermaechtnis auf dem kaiserlichen Gut von Likani in Bordshomi bestattet.

**მზია ტყავაშვილი**

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი*

**ეროვნებათაშორისი ურთიერთობები და  
მიგრაციული პროცესები ჩრდილო კავკასიაში  
1917 წელს**

**(ქართული პრესის მიხედვით)**

კავკასიაში საბრძოლო ოპერაციები 1864 წლის მაისში დამთავრდა. რუსეთის ხელისუფლება დაპყრობილი მხარის ათვისებას და თავისი პოზიციების გამყარებას ჩრდილო კავკასიაში იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან მოსახლეობის გადმოსახლებით და ამ გზით ადგილობრივების სწრაფი ასიმილაციით შეეცადა.

XIX საუკუნის მთელ მანძილზე რუსეთის ხელისუფლების მიერ დაარსებულმა ციხე-სიმაგრეებმა ომის დამთავრების შემდეგ სამხედრო დანიშნულება დაკარგეს და მიგრანტთა ძლიერი ნაკადის გამო ამ მხარის ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრებად იქცნენ, სადაც სხვა ეროვნების ხალხთან ერთად ქართველებიც დასახლდნენ. საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის მიერ მშობლიური კერის დატოვება სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული. აქედან ერთ-ერთი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებმა განაპირობა – ფეოდალიზმი ადგილს უთმობდა კაპიტალიზმს, რომლის წახალისება კავკასიაში ხელოვნურად ხდებოდა. ეს გულისხმობდა დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიკის იმპერიის მეურნეობის ნედლეულის დანამატად და მსოფლიო ბაზრის შესაბამისად დაქარბულ გარდაქმნას. ქვეყნის ბაზისში მომხდარმა ცვლილებებმა და XIX ს-ის 60-იან წლებში გატარებულმა რეფორმებმა სოციალურ კლასებს შიგნით დიფერენციაცია კიდევ უფრო გააღრმავა. ეს პროცესი მეტად მტკივნეულად წარიმართა კავკასიაში, და საერთოდ, დაპყრობილ ქვეყნებში, სადაც ელვისებური სისწრაფით იზრდებოდა უპოვართა რაოდენობა.

ადგილობრივი მოსახლეობის გალატაკებას ხელს უწყობდა რუსეთის ხელისუფლების მიერ კავკასიაში წარმოებული დისკრიმინაცი-

ული მიგრაციული, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მოსულებს ადგილობრივებთან შედარებით მნიშვნელოვან პრივილეგიებს ანიჭებდა, რაც გულისხმობდა უპირატესობას დასაქმებაში, შეღავათებს გადასახადებში, საუკეთესო და ვრცელი მიწის სავარგულების საკუთრებაში გადაცემას და ა. შ. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ ხდებოდა. ადგილობრივების მიმართ ასეთი დამოკიდებულებით რუსეთის ხელისუფლება 1860-1917 წლებში იმპერიისთვის ყველაზე მთავარი, მტკივნეული და ურთულესი - ეროვნული საკითხის თავისი ინტერესების სასარგებლოდ გადანყვევტას ცდილობდა. ამ პერიოდშიც მიგრაცია, დისკრიმინაციულ ეროვნულ პოლიტიკასთან ერთად, დაპყრობილი ქვეყნების კოლონიზაციის და ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების ასიმილაციის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად რჩებოდა.

XX საუკუნის 10-იან წლებში ქართული დიასპორები არსებობდა ჩრდილო კავკასიის თითქმის ყველა დიდ და მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტში: დერბენტში, მოზდოკში, ყიზლარში, ვლადიკავკაზში, ალაგირში, ნალჩიკში და ა. შ. აღნიშნული პერიოდისთვის ზოგიერთი ქართული ოჯახი ჩრდილო კავკასიაში ცხოვრების უკვე რამდენიმე თაობას ითვლიდა. საქართველოდან ჩრდილოეთის მიმართულებით მიგრაციები კვლავ გრძელდებოდა.

უცხო გარემოში მოხვედრილი მიგრანტები ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებასაც ცდილობდნენ - არ წყვეტდნენ კავშირს სამშობლოსთან და იქ დარჩენილ ახლობლებთან, მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში ჩატარებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ კულტურულ ღონისძიებებში (ძეგლების გახსნა, საქველმოქმედო კონცერტების ჩატარება, საზოგადო მოღვაწეებისთვის იუბილეებისა და პანაშვიდების გადახდა), აარსებდნენ ბიბლიოთეკებს, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მშობლიურ ენაზე გამოცემულ წიგნებს და პრესას, ცდილობდნენ ადგილობრივი ხელისუფლებისგან მიეღოთ ნებართვა და ფინანსური დახმარება სკოლის თუ არა რამდენიმე კლასის გახსნაზე მაინც, სადაც სწავლა-განათლების მიღება ქართულ ენაზე იქნებოდა შესაძლებელი; აგროვებდნენ შენირულობებს საკუთარი ეკლესიის ასამენებლად, ან ორგანიზებას უწევდნენ რომელიმე მართლმადიდებლურ ტაძარში კვირის გარკვეულ დღეებში ღვთისმსახურების მშობლიურ ენაზე ჩატარებას და ა. შ. [2, 62-63, 69, 70, 71].

ცარიზმი ხალხთა საპყრობილე, რუსიფიკაცია კი იმპერიის ეროვნული პოლიტიკის მთავარი ქვაკუთხედი იყო. ქართველების, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ეთნიკური ჯგუფის, ეროვნული ინ-

ტერესები წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსეთის იმპერიულ ამბიციასთან და სამომავლო გეგმებთან. დაპყრობილ პოლიტიკურ ერთეულებშიც კი მოსახლეობა არნახულ ეროვნულ დისკრიმინაციას განიცდიდა, მითუმეტეს სავალალო ვითარებაში იყვნენ ჩრდილო კავკასიაში კონსტაბლბეით მიმოფანტული პატარა სათვისტომოები, რომლებიც დიდი ძალისხმევით ფასად აღწევდნენ მცირეოდენ დათმობებს ეროვნულ საკითხში. ცხადი იყო, რომ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ასეთი დამოკიდებულება ჩრდილო კავკასიაში გადასახლებულ ქართველებს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სანაცვლოდ ეროვნული სახის დაკარგვას უქადდა.

პირველი მსოფლიო ომის დროს (1914-1918წწ.) ვითარება ქვეყანაში უკიდურესობამდე დაიძაბა. ჩრდილო კავკასიის მართვა-გამგეობაში რეფორმების აუცილებლობაზე მთავრობის წრეებში ბევრს საუბრობდნენ. ხელისუფლება კავკასიის სამეფისნაცვლოს გაუქმებას და საგენერალ-საგუბერნატოროს შექმნას გეგმავდა [4, 3].

ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიაში, სადაც სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის განსაკუთრებული სიჭრელე შეიმჩნეოდა, აუცილებლობად იქცა ეროვნული პრობლემების გადაჭრა. თუმცა დაქსაქსული, შეუთანხმებელი და არაორგანიზებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიზანმიმართული რუსული პოლიტიკისთვის წინააღმდეგობის განწევას და მისგან რაიმე სერიოზული სახის დათმობების მიღწევას ვერ ახერხებდა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას რუსეთში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები სიხარულით შეხვდნენ. ახალი მთავრობისგან ისინი მოელოდნენ თავიანთი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის გადადგმულ ქმედით ნაბიჯებს. პოპულარული გახდა პოლიტიკური ერთეულების ავტონომიზაციის იდეა.

საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრები ქართველების უმეტესობა ფიქრობდა, რომ ახალი ხელისუფლება რუსეთის შემადგენლობაში მყოფი პოლიტიკური ერთეულების ავტონომიზაციას აღიარებდა და სხვადასხვა ეროვნებების უფლებების გაუმჯობესებაზე იზრუნებდა, ეს კი თავისი ქვეყნიდან მოწყვეტილ ხალხს გაუადვილებდა ეროვნული სახის შენარჩუნებას. ისინი შემდგომ მოთხოვნებს აყენებდნენ: „მომავალი თავისუფალი რუსეთი მოეწყოს დემოკრატიულ პრინციპებზე და ყველა ჩაგრულ, კულტურულ ერებს, რომლებსაც თავისი ტერიტორია არა აქვთ, მიეცეთ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, ხოლო იმ ერებს, რომლებმაც შენარჩუნეს თავისი ტერიტორია, მიეცეთ ტერიტორიულ-ნაციონალური ავტონომია, მამასადაძე, საქართველოსაც“ [5, 2].

დონის-როსტოვ-ნახჩევანის ქართველობამ კი საერთო კრებაზე შემდეგი რეზოლუცია მიიღო, რომელიც დროებით მთავრობას გაეგზავნა:

„დონის როსტოვ-ნახჩევანის ქართული საზოგადოებრიობა ალტაცებით ეგებება რუსეთის რევოლუციას და მის გმირებს.

ნებაყოფლობით რუსეთთან შეერთებული ქართველი ერი თუ ასრვიდმეტი წლის განმავლობაში თავგამოდებით იბრძოდა რუსეთის დიდების შესაქმნელად და მედგარ მონაწილეობას იღებდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში აბსოლუტურ მთავრობის დასამხობად, დღეს გაასკაცებულის ენერგიით იბრძოლებს რევოლუციის საბოლოოდ გამარჯვებისთვის იმ ღრმა რწმენით, რომ მომავალი თავისუფალი რუსეთი მოეწყოს დემოკრატიულ პრინციპებზე და ყველა ჩაგრულ კულტურულ ერებს, რომლებსაც თავისი ტერიტორია არა აქვთ, მიეცეთ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია, ხოლო იმ ერებს, რომლებმაც შეინარჩუნეს თავისი ტერიტორია, მიეცეთ ტერიტორიულ-ნაციონალური ავტონომია“ [5, 2].

ქართველების მსგავსად, ეროვნული საკითხის დაუყოვნებლივ გადანყვეტას ითხოვდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების უმეტესობა.

„უფრო გონიერი და გამოცდილი პოლიტიკოსების აზრით კი, ძველი რეჟიმის გაუქმება და ახლის დანესება რუსეთში ჯერ კიდევ არ ნყვეტდა ეროვნულ საკითხს, ეს ოდნავაც არ ნიშნავდა ბრძოლის შესუსტებას ან შეჩერებას“ [35, 1]. გაზეთი „სახალხო ფურცელი“ წერდა: „ახალი მთავრობა დაუყოვნებლად უნდა შეუდგეს ეროვნული საკითხის გადანყვეტას. რუსეთი აქამდე თითქმის რუსის ხალხის სახელმწიფო იყო. ნამდვილად კი იგი უნდა იყოს რუსეთში მოსახლე ერთა სახელმწიფო. სრული ეროვნული თავისუფლება უნდა მიენიჭოს ყველა ერს. მხოლოდ ამ გზით შეიქმნება ძლიერი რუსეთი, მხოლოდ ასე უზრუნველყოფს ახალი წესწყობილება თავის სიმკვიდრეს, სიმტკიცეს და სიმპატიას ყველა ერში“ [6, 1].

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ქართული მოსახლეობის უმეტესობა ჩვეული რიტმით აგრძელებდა ცხოვრებას. ისინი არ ფიქრობდნენ საქართველოში დაბრუნებას, რადგანაც იმედოვნებდნენ, რომ ახალი მთავრობა მათ მოთხოვნებს სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებდა და სამშობლოს საზღვრებს გარეთაც შეძლებდნენ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ქართველთა ნაწილს, რომელიც რუსეთს ტოვებდა, სურდა, რომ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება დამოუკიდებელი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის აღორძინე-

ბისთვის მოეხმარა. მათ შესახებ გაზეთი „საქართველო“ წერდა: „ბურჟუაზიული გადატრიალებიდან ორი თვის შემდეგ რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალი ქართველი, აღფრთოვანებული საქართველოს ავტონომიზაციის იდეით, ტოვებს საპასუხისმგებლო პოსტებს და სამშობლოში ბრუნდება“ [7, 2; 8, 3; 9, 3]. ამ პერიოდში კავკასიაში მიგრაციას ნებაყოფლობითი ხასიათი ჰქონდა.

ჩრდილო კავკასიაში მიგრაციის დაბალ დონეს მშვიდი ვითარებაც განაპირობებდა. 1917 წლის თებერვლის გადატრიალების შემდეგ ჩრდილოკავკასიელებმა პოლიტიკური სიმნიფე გამოიჩინეს და შეკავშირება გადანყვიტეს. 1917 წ. მარტში მათ შექმნეს მმართველობის ახალი ცენტრალური ორგანო, რომელსაც კავკასის საერთო აღმასრულებელი კომიტეტი ეწოდა. მასში გაერთიანდნენ: დაღესტნელები, ოსები, ჩეჩნები, ყაბარდოელები, ინგუშები და სხვა კავკასიელები. მთიელები ცდილობდნენ ეთსულოვნებისა და თანხმობისთვის მიეღწიათ და საერთო ძალით ებრძოლათ საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად.

1917 წლის მარტშივე შეიქმნა კავკასიის კომისარიატი, რომელიც დაფუძნებული იყო კავკასიაში მცხოვრები ერების თანასწორობასა და პოლიტიკური ცხოვრების მოწყობის დემოკრატიულ პრინციპებზე — „ეროვნულ და სოციალურ-პოლიტიკურ თავისუფლებასა, ე. ი. ავტონომიასა და ფედერაციაზე“ [10, 1].

ჩრდილო კავკასიაში ვითარებას ამძიმებდა აქ მცხოვრები კაზაკების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელთა მოქმედებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიაში ვითარების სტაბილიზაციისთვის. კაზაკები ყოველთვის რუსეთის იმპერატორის ერთგულებით გამოირჩეოდნენ. მათი და კავკასიის დანარჩენი მცხოვრებლების მოთხოვნები ხშირად წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიმჩნეოდა ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ კაზაკებს შორის დიფერენციაციის გაღრმავება [3, 75], ამიტომ დონის კაზაკების ერთმა ნაწილმა თანასწორობისა და ერთიანობის ლოზუნგებს დაუჭირა მხარი. ისინი, სამხედრო ბეგარის იმ ფორმის წინააღმდეგ გამოვიდნენ, რომლის მოხდაც საუკუნეების განმავლობაში მძიმე ტვირთად აწვა კაზაკობას. მათ დონის როსტოვში მოიწვიეს ყრილობა და შემდეგი რეზოლუცია გამოიტანეს: „რუსეთი უნდა იყოს მთლიანი, განუყოფელი, რესპუბლიკანური დემოკრატიული სახელმწიფო, ყველაფერი ფართო თვითმმართველობის უფლებით უნდა აღიჭურვოს. საყოველთაო სამხედრო ბეგარა შეიცვალოს. ყაზახ-რუსებიც ისე უნდა იხდიდნენ ამ ბეგარას, როგორც ყველა სხვა ერები. დიდი მემამულეების მინა-წყალი ხალხს გადაეცეს და ა. შ.“ [11, 2].

1917 წლის აპრილის შუა რიცხვებიდან სიტუაცია ჩრდილო კავკასიაში თანდათან დაიძაბა, რის გამოც აპრილის ბოლოდან იმპერიის სხვადასხვა საგანმანათლებლო ცენტრებში დახურეს უნივერსიტეტები. ქართველი სტუდენტები იძულებულნი გახდნენ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ [12, 3, 4].

1917 წ. 1 მაისს კავკავში მთიელთა ყველა ერის წარმომადგენელთა ყრილობა გაიხსნა, რომელზეც გაიმართა მსჯელობა რევოლუციის შედეგად წარმოშობილ საკითხებზე და ახალ ვითარებაში მთიელთა საშინაო საქმეების მოსაგვარებლად გასატარებელ ღონისძიებებზე. გაზეთი „საქართველო“ 1917 წ. 5 მაისს წერდა: „კავკასიის მთიელთა ასეთი ეროვნული თანხმობა და ერთობა მისაბაძი მაგალითია რუსეთის სხვა ერებისთვის. თუ რუსეთის ძველი მთავრობისთვის ჩვენი მთიელი მეზობლები სრულიად უკულტურო და ველურ ხალხად იყო მიჩნეული, რევოლუციის პირველმა დღეებმა საკმაოდ გამოაშკარავა, რომ ეს ერები რუსეთის ზოგიერთ ერებზე უკეთ არიან მომზადებულნი თავისუფლებისთვის და მოქალაქეობრივი ცხოვრების დასამყარებლად“ [13, 3].

მთიელთა ასეთი შეკავშირება დროული იყო, თუმცა მაინც ვერ მოხერხდა ჩრდილო კავკასიაში ვითარების სტაბილიზაცია. თავიდან ვერ იქნა აცილებული ეთნიკური კონფლიქტებიც.

მაისის შუა რიცხვებში ქალაქებში: კავკავში, გროზნოში გამოკრული იყო განცხადებები, რომლებითაც მოსახლეობას მთიელთა მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ აფრთხილებდნენ [14, 3]; გამოჩნდა პირველი მსხვერპლიც. სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა ხოცვა-ჟლეტისა და რბევის შესაჩერებლად ქმნიდა აღმასრულებელ კომიტეტებს. მაგალითად, ჩეჩნებმა თავიანთი თანამემამულეების ყაჩაღობის აღსაკვეთად შექმნეს სპეციალური რაზმები [14, 3]. ქალაქკავკავის აღმასრულებელი კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ქალაქის მცხოვრებლები თავდაცვისთვის მოემზადებინა [14, 3].

1917 წლის ზაფხულში ვითარება კიდევ უფრო გართულდა. მდგომარეობას ძაბავდნენ ჯარისკაცებიც, რომლებიც ომის გამო დასასვენებლად ჩრდილო კავკასიის დასახლებულ პუნქტებში იყვნენ დროებით დისლოცირებულნი. 6, 7, 10 ივლისს ქ. კავკავში ხოცვა-ჟლეტა დატრიალდა. ქალაქებში წესრიგის დასაცავად დაინიშნენ „სამხედრო როტები“, თუმცა ვითარება არ გამოსწორდა. ადგილი შექონდა შეიარაღებულ დაპირისპირებას ოს „პატრულსა“ და 24-ე პოლკის ჯარისკაცებს შორის. გაზეთი „სახალხო საქმე“ 13 აგვისტოს გამოშვებაში აქ დატრიალებული მოვლენების შესახებ შემდეგს სწერდა: „სცემეს მუშების დეპუტატებს (ორს) და სალდათების დეპუტატს

(ერთს), რომლებიც მოუწოდებდნენ ბრბოს წესიერებისკენ. მოცივიდა ოსების პოლკის ერთი როტა, მაგრამ მათმა საქციელმა და გალახულების რეაქციამ გააკვირვა საზოგადოება. გალახულები ამშვიდებდნენ მოსულ ამხანაგებს... ყველა მოთავე ამ მხეცური მოქმედებისა დაჭერილი იქნა. ყველა ამ საქმის მომქმედი ისევ ის ცნობილი 24-ე პოლკია, რომელმაც თავი ისახელა 6-7 ივლისს, უდანაშაულოთა სისხლის ღვრით. შედგა შეერთებული კრება ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატებისა და გადაწყვიტეს, დაუყოვნებლივ გაგზავნილ იქნეს ეს პოლკი პოზიციაზე, რაც უკვე სისრულეში მოიყვანეს. უკვე ერთი კმელონი გაიგზავნა“ [15, 4].

1917 წლის ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში იმპერიის ტერიტორია ეკონომიკურმა და პარტიულმა ანარქიამ მოიცვა. გახშირდა დაპირისპირებები ძველ და ახალი ხელისუფლების მომხრეებსა და სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის. დაპირისპირების დროს ძნელი გასარკვევი იყო ვინ რევოლუციონერი იყო და ვინ კონტრრევოლუციონერი.

1917 წ. 6 სექტემბერს გაზეთ „სახალხო საქმე“-ში კორესპონდენტი წერდა: „ხმები, ვითომც კავკასიის და ოსების დივიზიები ძველი მთავრობის მომხრენი იყვნენ ტყუილია. ისინი მხოლოდ სასტიკად ემორჩილებიან დისციპლინას და ამით აიხსნება მათი მორჩილება კორნილოვისადმი“ [16, 2].

„სახალხო საქმის“ ამავე ნომერში კორესპონდენტი წერდა: „დონის კაზაკობა აცხადებს, რომ ის უპარტიო არის და ამიტომ გადაჭრით უარყოფს, ვითომ ის კონტრ-რევოლუციურ მოქმედებას აპირებს“. „კაზაკობის მთავრობა მოუწოდებს ყველას მშვიდობიანობისა და დროებითის მთავრობის მხარის დასაჭერად“ [16, 2].

2 სექტემბერს მოსკოვის ოლქის ჯარის სარდალმა პოლკ. რიაბკოვმა მიმართა დონის და ასტრახანის ყაზახთა ნაწილებს: „1 სექტემბერს კორნილოვი და მისი უახლოესი თანამშრომელი დაიჭირეს და მათ გაასამართლებენ სარევოლუციო სამსჯავროთი. მთელი მოქმედი ჯარი და ყველა ყაზახები ფრონტზე მთავრობის მხარესაა. როდესაც ფრონტზე ბრძოლაა, თქვენ იქიდან აქეთ გგზავნიან საღალატოდ. ნუ დაუჭერთ მხარს მოღალატეებს. სიმართლისა, თავისუფლებისა და რუსეთის საკეთილდღეოდ მოგიწოდებთ დაუყოვნებლივ დაატუსალოთ კალედინი და დაითხოვოთ ყველა ნაწილები, რომელნიც მოხვეულია მთავრობის ნებადაურთველად. ვინც ამას არ აასრულებს, მათ მოვექცევით, როგორც მოღალატეებს, როგორც სამშობლოსა და ხალხის თავისუფლების მტრებს“ [16, 2].

ამ მოწოდებამ სიტუაციას ველარ უშველა.

1917 წ. სექტემბრისთვის ეკონომიკურმა კრიზისმა უმაღლეს

ნერტილს მიაღწია. „დღეს თუ ხვალ მოსალოდნელია დიდი კატასტროფა ეკონომიკურ ნიადაგზე. აბობოქრებული ტალღები ანენილ ცხოვრებისა მოედო მთელ რუსეთის ერებს და დიდ საშინელებას უქადის. ჰაერში დაქრის სიკვდილის, უბედურების ლანდები და შორს არ არის ის შავი დღეები, როდესაც ისინი ხორცს შეისხავენ“ [17, 3].

ვითარება უკიდურესად დაიძაბა ოქტომბერში. დონის როსტოვში მიმდინარე მოვლენების შესახებ კორესპონდენტი შემდეგს იტყობინებოდა – „ბნელი ელემენტები აღელვებენ ჯარისკაცებსა და მცხოვრებლებს კავკასიელთა დივიზიის წინააღმდეგ. რამდენიმე სადგურზე შეტაკებაც მოხდა. 26 სექტემბერს მინერალური წყლის სადგურზე მთელი ბრძოლა მოხდა და ორივე მხრით არიან დაჭრილნი და მოკლულნი“ [18, 2].

განსაკუთრებით გააქტიურდნენ ქისტები. ისინი თავს ესხმოდნენ თუშებს და სხვა ქართველ მთიელებს.

ამ დროს უკვე არსებობდა მთიელთა შეერთებული კავშირი და კავკასიის საგანგებო კომიტეტი. მათ ქისტების პრობლემის მოგვარება დაევალებათ [19, 2-3; 20, 3]. კავკასიის საგანგებო კომიტეტში ხეცსურებმაც გაგზავნეს დელეგაცია და შესჩივლეს ქისტების თარეშის ამბავი.

რუსეთში გამეფებული ანარქიის გამო შეწყდა სწავლა უნივერსიტეტებში. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სასწავლებლად თუ სკოლაზონურ სამუშაოზე წასული მოსახლეობა. ისინი იძულებულნი გახდნენ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

1917 წლის 25 „ოქტომბრის გადატრიალებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ჩრდილო კავკასიაში. თავდაპირველად ჩრდილოკავკასიელთა ლიდერები შეეცადნენ რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას. 3 დეკემბერს კავკასიის მთიელთა დროებითი მთავრობამ, თერგის ოლქის კაზაკურ ხელისუფლებასა და თერგისა და დაღესტნის ოლქების ქალაქთა კავშირთან ერთად ხელისუფლების ახალი დროებითი ორგანო შექმნა“ [1, 10].

როგორც ჩრდილო კავკასიის დროებითი მთავრობის ერთ-ერთი ლიდერი, ვისენ გირეი ჯაბაგი (ჯაბაგიევი) მიუთითებდა, ზემოხსენებული ხელშეკრულების მთავარ მიზანს წარმოადგენდა საფუძველი შეემზადებინა ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის. ამავე დროს არ დაეშვა შეტაკება კავკასიის მკვიდრ ხალხებსა და ჩამოსახლებულ რუსულ მოსახლეობას შორის [1, 11].

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ძველ და ახალ რეჟიმებს შორის წინააღმდეგობა უკიდურესობამდე გამწვავდა. რუსეთის იმპერიაში სამოქალაქო ომი დაიწყო. დენიკინისა და კოლჩაკის

ხელმძღვანელობით მეფისა და ახალი ხელისუფლების მომხრეთა ბრძოლის ერთ-ერთი ეპიცენტრი ჩრდილო კავკასია გახდა. შეიარაღებული დაპირისპირება აისახა ამ რეგიონში არსებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. სწორედ ამ დროს იჩინა თავი აქ არსებულმა ეთნიკურმა, პარტიულმა, რელიგიურმა სიჭრელემ; სოციალურმა და პოლიტიკურმა პრობლემებმა. გაჩაღდა ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი შეიარაღებული კონფლიქტები, რომელთა აღკვეთას ადგილობრივი ხელისუფლება, თუ მთიელთა რესპუბლიკა ვეღარ ახერხებდა. მრავალ ქალაქში ხოცვა-ჟლეტამ და ძარცვა-რბევამ ყოველდღიური ხასიათი მიიღო.

ამ პერიოდში ეთნოსებს შორის ურთიერთობის მოგვარება კავკასიაში უპირველეს პრობლემად იქცა. კავკასიის პოლიტიკოსთა ნაწილი გამოსავალს გაერთიანებაში ხედავდა, თუმცა ზოგიერთს კავკასიის ხალხის სხვადასხვა საგარეო ორიენტაცია, პოლიტიკური, რელიგიური თუ პარტიული განსხვავებულობა აშინებდა.

შექმნილი უმართავი და არაპროგნოზირებადი ვითარების გამო გააქტიურდა მიგრაციები. ვინაიდან ამ პერიოდში საქართველოში შედარებით სიმშვიდე იყო, იგი მიგრაციული პროცესების ეპიცენტრში მოექცა. აქ გამუდმებით ხდებოდა ჩრდილო კავკასიიდან სომხების, აზერბეიჯანელების, ქართველების, ასევე, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერებისა თუ შეიარაღებული რაზმების გადმოსვლა-დაბინავება.

ლტოლვილთა პირველი ნაკადი საქართველოში 1917 წლის ოქტომბრის ბოლოს ჩამოვიდა.

საქართველომ მიგრანტთათვის სატრანზიტო გზის ფუნქცია შეასრულა, იგი იქცა ერთგვარ შუალედურ რგოლად, რომელიც დროებით თავშესაფარს აძლევდა ჩრდილო კავკასიიდან ლტოლვილ მოსახლეობას.

მიგრანტთა ყველაზე დიდი ტალღა თბილისზე მოდიოდა, თუმცა საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტებსაც მრავალი გადმოსახლებული აფარებდა თავს.

ქ. თბილისმა აღძრა შუამდგომლობა, რომ გამოქცეულები ქალაქისთვის გაემორებინათ და რუსეთის შიდა გუბერნიებში დაებინაყვნინათ, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქმნა, ვინაიდან ამ მხარეში რუსეთიდან გამოქცეული ლტოლვილების დაბინავება იყო განზრახული [22, 2].

საქართველოში ლტოლვილთა ყველაზე დიდი ნაკადი საქართველოს სამხედრო გზით შემოდიოდა. გადატვირთული იყო შავი ზღვის პორტებიც.



ქართველი კორესპონდენტი წერდა შექმნილი ვითარების შესახებ: „დღეს აუარებელი ხალხი მოაწყდა ამიერკავკასიას და ესენი ადგილობრივების სარჩენი გახდნენ. ამას ერთი დიდი გასაჭირიც დაემატა. როგორც გაირკვა, კავკასიის ფრონტის ჯარის დიდი ნაწილი მოხსნილი იქნება ფრონტიდან და ზამთარში დასასვენებლად კავკასიაში დაბინავდება. დაახლოებით 200-300 ათასი ჯარისკაცის გამოკვება ხალხს დაანება. ამას ემატება მათი ბარგის გადაზიდვა, ბინები მათთვის. . .“

მთიელთაგან, როგორც გავიგეთ, უკვე მოსულია დელეგაცია ამიერკავკასიის კომიტეტში და უთხოვიათ, რომ ჯარები ჩვენთან არ გამოგზავნოთ.

ყაზახების მაზრიდანაც შეშინებული მაჰმადიანი მოსახლეობა სთხოვენ ამავე კომიტეტს ააცდინოს მათ ეს ამბავი – ჯარისკაცთა დაბინავება ჩვენთან შეუძლებელიაო, რადგან სურსათისა და ბინის უქონლობის გარდა შარიათის მიხედვით შეუძლებელია უცხო მამაკაცთა ყოფნა ქალებთან და სხვ. ასეთივე მდგომარეობაა ყველა კუთხეში. დანიშნულია ამიერკავკასიის კომიტეტთან საგანგებო ყრილობა. იმედია, როგორმე ააცდენენ მხარეს ამ განსაცდელს“ [22, 2].

დიდი მცდელობის მიუხედავად ჩრდ. კავკასიაში ანარქია თავიდან ვერ იქნა აცილებული. 1917 წ. ნოემბრის ბოლოს შეტაკება მოხდა ჯარისკაცებსა და ჩეჩნებს შორის. სადგურ ხანკალთან ჩაჩნებმა ამოხოცეს 25 კაცისგან შემდგარი მოდარაჯე რაზმი. შეტაკებები მოხდა ჩეჩნეთის სხვა რაიონებშიც. კავკასიის ლაშქრის სარდალი კრუჟევალსკი ამიერკავკასიის მთავრობას წერდა: „არეულობა სერიოზულ ხასიათს იღებს და მალე ჩეჩნების აჯანყებად გადაიქცევა. მატარებლის დამსხვრევა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გუდერმესისა და გროზნოს შორის მიმოსვლა შეწყდა. ანარქია ძლიერდება“ [21, 2].

1917 წლის 21 დეკემბერს ჩრდილოკავკასიელთა მთავრობამ, ისარგებლა რა რუსეთში შექმნილი მდგომარეობით, რუსეთისაგან ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კავშირის დამოუკიდებლობა გამოაცხადა [1, 11].

„ჩრდილოკავკასიელთა მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ადგილობრივ რუსულ-კაზაკურ მოსახლეობაში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რაც მყისვე სისხლიან დაპირისპირებაში გადაიზარდა. დაიწყო სამოქალაქო, ფაქტობრივად კი, მორიგი რუსულ-კავკასიური ომი, რომელშიც როგორც „ნიეთელ“, ისე „თეთრ“ რუსეთს კავკასიის ხალხთა ახალი დაპყრობა ჰქონდა დასახული მიზნად“ [1, 11].

#### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. მ. ბახტაძე, გ. მამულია, მასალები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან (1917-1921 წლები), თბილისი, 2005.
2. მ. ტყავაშვილი, ქართველები დაღესტანში, თბილისი, 2000.
3. მ. ტყავაშვილი, კაზაკთა ყოფა-ცხოვრება ჩრდილო კავკასიაში და მათი გადასახლების სისტემა, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2, თბილისი, 2007.
4. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, № 775, 1917 წლის 20 იანვარი.
5. გაზეთი „საქართველო“, №79, 1917 წლის 11 აპრილი.
6. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, №811, 1917 წლის 5 მარტი.
7. გაზეთი „საქართველო“, №76, 1917 წლის 8 აპრილი.
8. გაზეთი „საქართველო“, №80, 1917 წლის 15 აპრილი.
9. გაზეთი „საქართველო“, №83, 1917 წლის 18 აპრილი.
10. გაზეთი „სახალხო ფურცელი“ №825, 1917 წლის 22 მარტი.
11. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, № 844, 1917 წლის 18 აპრილი.
12. გაზეთი „საქართველო“, №87, 1917 წლის 23 აპრილი.
13. გაზეთი „საქართველო“, №95, 1917 წლის 1 მაისი.
14. გაზეთი „საქართველო“, № 105, 1917 წლის 18 მაისი.
15. გაზეთი „სახალხო საქმე“ №25, 1917 წლის 13 აგვისტო.
16. გაზეთი „სახალხო საქმე“, №45, 1917 წლის 6 სექტემბერი.
17. გაზეთი „სახალხო საქმე“, №47, 1917 წლის 8 სექტემბერი.
18. გაზეთი „სახალხო საქმე“, №64, 1917 წლის 1 ოქტომბერი.
19. გაზეთი „სახალხო საქმე“, №64, 1917 წლის 1 ოქტომბერი.
20. გაზეთი „სახალხო საქმე“, №72, 1917 წლის 12 ოქტომბერი.
21. გაზეთი „სახალხო საქმე“, №114, 1917 წლის 29 ნოემბერი.
22. გაზეთი „სახალხო საქმე“, №84, 1917 წლის 24 ოქტომბერი.

Mzia Tkavashvili

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Research-scientist of the Department of Modern and Contemporary History

**Interethnic Relations and Migration Processes in the North Caucasus in 1917**  
(According to the Materials of the Press)

**Summary**

Bourgeois-democratic revolution which took place in February 1917 in Russia gave hopes to peoples of different ethnic origin inhabited the North Caucasus that a new government would pay attention to their ethnic interests. Ignorance of this issue by the provisional government extremely strained the situation. The mountain dwellers showed political maturity and founded united administering bodies, which were aimed to joining of the North Caucasians and fighting for national interests through joint forces. These measures could not help the situation. Here one could see arising of contradiction between different ethnic groups residing there which resulted to armed conflicts. The situation was aggravated by religious difference and partyness of the population.

After October revolution of 1917 the anarchy set in the country. Civil war which broke out in Russia directly affected the North Caucasus. Robberies, devastations and murdering became everyday facts. From the end of October 1917 migrations began from the North Caucasus to Transcaucasia. Main flow of migrants was coming to Georgia and distributed to Armenia and Azerbaijan from here.

On 21 December 1917 the North-Caucasians Government, using the situation which set in Russia, declared independence of the North Caucasian peoples from Russia. This was followed by one more Russian-Caucasian contradiction. Both the „whites“ and the „reds“ Russia have intentions of new conquer of the Caucasian peoples.

**მ ს ო ფ ლ ი ო ე ს ტ ო რ ი ა**

**ზურაბ კვეციანიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

**იყო თუ არა გარდაუვალი განსხვავებული  
მოკავშირეებს შორის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ**

კაცობრიობის ისტორიაში მეორე მსოფლიო ომი ყველაზე დიდი იყო. ვფიქრობთ ასეთი მასშტაბის ომი აღარ განმეორდება. ბირთვული იარაღის არსებობა ამას გამორიცხავს, რადგან დაპირისპირებულ მხარეებს ურთიერთგანადგურების შესაძლებლობებში თანაფარდობა ექნებათ. მეორე მსოფლიო ომმა შეინარა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე, განადგურდა და დაინგრა ასეულ ათასობით სახლი და შესობა-ნაგებობა, მოიშალა კომუნიკაციები, დაეცა მეურნეობა და ა.შ. მოუხედავად ასეთი მძიმე შედეგებისა, ცივილიზებული სამყაროს მოსამოვარი მაინც დიდი იყო. დამარცხდა და განადგურდა კაცობრიობის უბოროტესი მტერი – ფაშიზმი.

მსოფლიომ მწარე გამოცდილება მიიღო ფაშიზმის სახით, თუმცა მას წინ ახალი გამოცდა ელოდა. საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეები იყვნენ. მათ ერთად დაამარცხეს ფაშიზმი და ამაში უდიდესი ძალისხმევაც ჩადეს. მოკავშირეობისაკენ გზა იოლი არ ყოფილა. წინააღმდეგობა ამ სახელმწიფოებს შორის ომამდეც არსებობდა, კარგა ხნის მანძილზე დასავლეთს სსრკ იურიდიულად არ უცვნიდა, რადგან ფიქრობდნენ, რომ ბოლშევიზმი სიცოცხლისუნარიანი არ იქნებოდა, მაგრამ შემდეგ დარწმუნდნენ, რომ საქმე სხვაგვარად იყო და არჩევანის გაკეთება ფაშიზმსა და ბოლშევიზმს შორის მოუხდათ. უპირატესობა საბჭოთა კავშირს მიენიჭა, რადგან ფაშიზმი მსოფლიოს სრული განადგურებით ემუქრებოდა, თანაც მსოფლიო ომის განხილვაში ფაშისტურ გერმანიას აშკარად წამყვანი ადგილი ეკავა.

მდგომარეობა, რომელშიც კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოჩნდა მკვეთრად განსხვავდებოდა ომამდელი პერიოდისაგან. საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით ეს იყო ზღვარი ორ ეპოქას შორის. დასრულდა ევროპის ჰეგემონია და დაიწყო ზესახელმწიფოების (აშშ, სსრკ) ლიდერობა. ძალამ ევროპიდან მის ფარგლებს გარეთ გადაინაცვლა. ამგვარი ტენდენცია ჯერ კიდევ პირველი

**ავთანდილ სონლულაშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე

**პოლიტიკური ლიდერის იმიჯი**

ხალხს კერპი სჭირდება. ამიტომაც არის, რომ მრავალმა ისტორიულმა პიროვნებამ ერის ლიდერის იმიჯი შეინარჩუნა. ამიტომ ის ისევ ლოცულობს ფარნავაზის, მირიანის, დავითის, თამარის, გიორგის და ა.შ. სახელებზე. ასევე, ლალატი, ძმათამკვლელობა, შინაქაოსი, სხვისთვის ომები ქართული ყოფის მუდმივი პარადიგმაა. „ნაგებული დიდი ომები“, დანგრეული ქალაქები და ციხეები, ივარქმნილი სახელმწიფო სწორედ სევდის საზრდოს იძლევა, რომელიც შეცნობის შემდეგ თავად იქცევა ენერჯიად [1, 245].

უსასრულო მოლოდინის შემდეგ, შეიძლება მრავალი შეცდომის დაემართოს არა მხოლოდ პიროვნებებს, არამედ ხალხსაც. ხალხს შეიძლება ისე აერიოს თავგზა და ის მოეჩვენოს, რაც არ არსებობს. გმირად და წინამძღოლად ის იწამოს, ვინც საამისოდ არ გამოდგება. იმას ენდოს, ვინც მოატყუებს და უფსკრულში გადაჩეხავს. როცა არსებობს სურვილი, ნატვრა, მოლოდინი გმირისა და წმინდანისა, ნამდვილი კი არ ჩანს, მის ადგილს ცრუმირი და ცრუწმინდანი იკავებს. თან სრულიად დასაშვებია, რომ ეს ცრუმირი და ცრუწმინდანი სულაც არ იყოს თალღითი, ცრუპენტელა, ყალბაბანდი, შეგნებულად ავისმოქმედი, არამედ იყოს უბრალო, გონებასუსტი, მალემრწმენი კაცი. ის პიროვნება იყოს, ვინც გონების სიდუხჭირის გამო იოლად იჯერებს, რომ მასაც შეუძლია დიდი მისიის შესრულება. ასეთ ადამიანებს, ნებისთ თუ უნებლიედ, დიდი უბედურება მოაქვთ [2, 221].

ლიდერის ინსტიტუტი უძველეს დროში წარმოიქმნა და იმ მრავალსახოვანი მოვლენაა. „ლიდერის“ ცნებას სხვადასხვა კონტექსტში იყენებენ: ცხოველთა სამყაროში გაბატონებული არსებობის დაწყებული საზოგადოებრივი ცხოვრების მმართველით დამთავრებული. ჯოგის წინამძღოლი წარმოადგენს ფიზიკურად უფრო ძლიერ ინდივიდს, რომლის ქცევაც მაგალითია სხვა ინდივიდებისათვის ფიზი-

კური გადარჩენისათვის ბრძოლის პროცესში. საზოგადოებრივი ლიდერობა კი სოციალური ფუნქციაა, რომელსაც განაპირობებს ადამიანის უნარი – დასახოს ზოგადმნიშვნელოვანი მიზნები და მათი მიღწევის გზები. ამასთან, ლიდერობის განხორციელების ფორმები და საშუალებები დამოკიდებულია საზოგადოების პოლიტიკური კულტურის დონეზე.

პლატონის აზრით პოლიტიკის უშუალო შემოქმედი არის პოლიტიკური ელიტა და პოლიტიკური ლიდერი, რომელთა გარეშე შეუძლებელია პოლიტიკის არსებობა. პოლიტიკის შემოქმედებად პლატონს ისინი იმიტომ მიაჩნია, რომ მმართველები ფლობენ სოციალურ ცოდნას (რაც აუცილებელია საზოგადოების სამართაობად) და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. როდესაც პოლიტიკური ლიდერი არაკომპეტენტურია (არ იცის, როგორ მართოს სახელმწიფო) ან პირადი ეგოისტური ინტერესებით მოქმედებს, მაშინ პოლიტიკა კარგავს თავის გამაერთიანებელ როლს და შეთანხმების შესაძლებლობებს (იგულისხმება, რომ პოლიტიკა არის საზოგადოებაში არსებული საწინააღმდეგო ინტერესების შეთანხმების საშუალება) [3, 10]. როგორც პრაქტიკული ცხოვრება გვიჩვენებს, თვით ყველაზე პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანები პოლიტიკაში მოხვედრის შემდეგ რატომღაც კარგავენ თავის საუკეთესო თვისებებს. აღნიშნული ფერიცვალების ახსნა ორი მიზეზით შეიძლება: პირველ რიგში, ადამიანის უსაზღვრო მოთხოვნილებები და სურვილები აწყდება მათი დაკმაყოფილების საშუალებათა შეზღუდულობას, რაც ბადებს ამ მოთხოვნილებების სხვა ადამიანთა ხარჯზე განხორციელების სურვილს. სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას იძლევა პოლიტიკა. ხელისუფლების გამოყენებით შეიძლება ყველა ცოტუნების დაკმაყოფილება: სიმდიდრის, მბრძანებლობის სურვილის, სხვა ადამიანებზე ბატონობის და ა.შ. ერთ-ერთი გამოთქმის მიხედვით, „ძალა უფლება მისი ბოროტად გამოყენების გარეშე თავის მომხიბვლელობას კარგავს“ [3, 15].

ლიდერის როლს ისტორიაში განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ფრიდრიხ ნიცშე, რომელიც აღნიშნავდა: „კაცობრიობის მიზანი მის უმძლავრეს წარმომადგენლობაშია. – კაცობრიობამ შეუსვენებლად უნდა იმუშაოს, რათა დაბადოს დიდებული ადამიანები – მხოლოდ ამაში მდგომარეობს მისი ამოცანა“. ტერმინს „პოლიტიკური ლიდერი“ ერთი განსაზღვრული მნიშვნელობა არ გააჩნია. მას აიგივებენ ცნებებთან „მმართველი“, „ბელადი“, „ხელმძღვანელი“, „მეთაური“ და ა.შ. მაგრამ ცხადია, რომ ყოველი მმართველი ლიდერი არ არის. პოლიტიკური ლიდერი ის გახდება, ვისაც შეუძლია გაუძღვეს და გაიყოლიოს

მასები, მოახდინოს მათი მობილიზაცია, მუდმივად მართოს იგი

რა თქმა უნდა, ოპოზიციური პარტიის ლიდერის როლი და შესაძლებლობები, რომელიც ჯგუფურ ინტერესებს გამოხატავს, გასსხვადება საერთო ეროვნული ლიდერის დანიშნულებისაგან, რომელიც მონოდებულია ერის საერთო ინტერესების გამოხატვისა და გაერთიანებისკენ [3, 61]. ფასეულობები, რომლითაც პოლიტიკური ლიდერის იმიჯი იქმნება „ავსებს და აკეთელშობილებს“ ობიექტს. თუმატა შეიძლება მას სინამდვილეში გამოთქმული თვისებები არც გააჩნდეს, მაგრამ ამ ფასეულობებს საკმაო მნიშვნელობა აქვთ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც იმიჯს აღიქვამენ. ამიტომაც ამბობენ, რომ შექმნილი იმიჯი, როგორც წესი, სიმბოლოა და რეალობისგან მაისც განსხვავდება.

სიტყვა „იმიჯი“, ლინგვისტიკის აზრით, დაკავშირებულია „ხატთან“ (სურათი, რომელიც გადმოგვცემს იდეას), ასევე „ინდექსთან“ (ის, რაც გონებას გარკვეული მიმართულებით წარმართავს) და „სიმბოლოებთან“ (განყენებული ცნებები, რომლებიც გონებას შექმნილ სიტუაციაში პოტენციური მხარის შესაძლებლობების განჭვრეტაში ეხმარებიან).

ჰომეროსის, სოფოკლეს და ევრიპიდეს ნაწარმოებები საუკუნეთა განმავლობაში ხალხს უნერგავდა იმ აზრს, რომ მათი გმირების წარუმატებლობანი მათი ხასიათის ნაკლიდან მომდინარეობდა და ყველასათვის აშკარა ხდებოდა, როცა სხვადასხვა გარემოებების შედეგად მათზე ხდებოდა აქცენტირება. ასე მაგალითად, ოიდიპოსი ბრწყინვალე რეპუტაციით სარგებლობდა მანამ, სანამ ყველამ არ შეიტყო მისი საშინელი წარსული, რომელიც მამის მკვლელობასა და დედაზე დაქორწინებასთან იყო დაკავშირებული. საბოლოოდ ამას დადებითი იმიჯის მსხვერველ მოჰყვა [4, 6-7].

იმიჯის ფასი კარგად იცოდნენ ძველი დროიდან. სწორედ უზადო იმიჯის წყალობით შექმნეს მსოფლიო რელიგიები ბუდამ, მუჰამედმა და ა.შ. ცნობილია ცეზარის და ნაპოლეონის იმიჯები, რომლის შექმნაში ისინი თავად მონაწილეობდნენ. ამ იარაღს კარგად იყენებდნენ ჩინგის ხანი და თემურ ლენგი, შაჰ-აბას პირველი. ჩინგიზ ხანს და მონღოლებს ჰქონდათ უძლეველი და სისხლისმომყვარული, დაუნდობელი მეომრების იმიჯი. ეს ხშირად ეხმარებოდა მათ ქვეყნებისა და ქალაქების უბრძოლველად აღებაში.

საერთოდ, შუა საუკუნეებში ხალხის უმრავლესობა ვერ ხედავდა თავის მეფეებს და მათზე მსჯელობდა მათ მიერ ჩამოყალიბებული იმიჯის მიხედვით. მაგალითად, პეტრე პირველს რუსეთში მკაცრი

მაგრამ სამართლიანი მმართველის იმიჯი ჰქონდა. თუმცა ადამიანთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცოდა, რომ იგი თავად ჭრიდა თავებს აჯანყებულ „სტრელცებს“ (მეთოფეებს) და ბოიარებსაც აიძულებდა იგივე გაეკეთებინათ. მანვე სასტიკი წამებით მოაკვლევინა ციხეში საკუთარი შვილი, შეთქმულებაში მონაწილე ალექსი. ხალხმა არ იცოდა, რომ ღალატობდა როგორც საყვარელი ანა მონსი, ასევე საკუთარი ცოლი, მომავალი იმპერატრიცა – ეკატერინე პირველი (ანა მონსის ძმასთან, რომელიც პეტრემ ჩამოახრჩო და სხვა) [4, 10].

პრაქტიკაში ასევე გვხვდება პოლიტიკური ლიდერის ქარიზმატული იმიჯი. („ქარიზმა“ ბერძნულია და „ღვთის წყალობას“ ნიშნავს). ქარიზმა – ესაა ღმერთის, ბუნების თუ ბედის მიერ ინდივიდისათვის ბოძებული არაჩვეულებრივი თვისება, რომლითაც ის გამოირჩევა დანარჩენებისაგან. მოსახლეობა აბსოლუტური ნდობით ექცევა ლიდერს, რომელიც ასრულებს არაორდინალურ, მისთვის განკუთვნილ ისტორიულ მისიას და ისიც ითხოვს ქვეშევრდომთა მორჩილებას. ხელისუფლების ეს ტიპი წარმოიშობა ისტორიული კატაკლიზმების შედეგად დამკვიდრებულ არასტაბილურ საზოგადოებაში, როცა უიმედო მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს უჩნდებათ რწმენა, რომ ქვეყნისა და ხალხის გადარჩენა მხოლოდ ერთს, ღვთის მიერ რჩეულ პირს შეუძლია [5, 13].

1799 წელს ნაპოლეონის ლაშქრობების დროს სირიიდან ეგვიპტეში დაბრუნებისას ჯარისკაცებს შორის შავი ჭირი უფრო და უფრო მატულობდა. ჭირიანებს იქვე ტოვებდნენ, მაგრამ დაჭრილები და სხვა სენით დაავადებულები თან მიჰყავდათ. ბონაპარტმა ბრძანა ყველა ჩამოქეცილებულიყო, ხოლო ცხენები, ყველა ოთხთვალა და ეკიპაჟი ავადმყოფებისა და დაჭრილებისათვის დაეთმოთ. როდესაც ამ განკარგულების შემდეგ საჯინიბოს მთავარმა გამგემ, რომელიც დარწმუნებული იყო იმაში, რომ მთავარსარდლისათვის გამონაკლისი უნდა დაეშვა, ჰკითხა, რომელი ცხენი დაეტოვებინა მისთვის, ბონაპარტი საშინლად გააფთრდა, წკეპლა გადაუჭირა სახეზე და შეჰყვირა: „ყველანი ფეხით უნდა წავიდეს! მე პირველი წავალ! განა ბრძანება არ იცით? გაეთრიეთ აქედან!“ ამგვარი საქციელისათვის ჯარისკაცებს ნაპოლეონი უფრო მეტად უყვარდათ და სიბერის დროს უფრო ხშირად იგონებდნენ, ვიდრე ყველა მისი გამარჯვებისა და დაპყრობისათვის. ეს მან ძლიერ კარგად იცოდა და ასეთ შემთხვევაში არასოდეს არ მერყეობდა. მის მეთვალყურეთაგან არავის არ შეეძლო შემდგომ გადაწყვიტა, რა წარმოადგენდა აქ უშუალო მოძრაობას და რა იყო წინასწარ მოფიქრებული და გათამაშებული. შესაძლებელი იყო ერთსა იმავე დროს ყოფილიყო ერთიცა და მეორეც, როგორც ეს სჩვევიათ დიდ აქტიორებს.

ნაპოლეონი აქტიურობაშიც დიდი აღმოჩნდა, თუმცა მისი მოღვაწეობის განთიადისას, ტულონსა, იტალიასა და ეგვიპტეში მისი ეს თვისება თვალსაჩინო გახდა ჯერ მხოლოდ მეტად ახლობელთაგან. მის ახლობელთა შორის კი მაშინ შორსმჭვრეტელები ძლიერ ნაკლებად მოიპოვებოდნენ [6, 62].

ათეისტურ, ლმერთსმოკლებულ საზოგადოებაში უფლის შენაცვლება ზეკაცით ანუ ბელადით ყველაზე მახლობელი ლენინისა და სტალინისათვის აღმოჩნდა. იესო ქრისტეს ცხოვრების გარეგნული მოდელის განმეორებას შეეცადა საბჭოთა იმპერატორი და კომუნისტური პარტიის ისტორია სახარებათა თარგზე მოჭრა. მთავარი გმირი ზეკაცის თვისებებით აღჭურვა, ისევე, რაც ადოლფ ჰიტლერისათვის იყო ყველაზე მახლობელი გარსი პოლიტიკური მოღვაწეობის გზაზე.

მეორე მსოფლიო ომი გერმანიის ტრიუმფით რომ დასრულებულიყო, ისევე გავრცელდებოდა ნიცშეანელობა, როგორც საბჭოეთის გამარჯვებამ მარქსიზმი განამტკიცა ახალ რელიგიურ მიმდინარეობად [7, 87-88]. ჰიტლერი თავიდან პარტიის სახელწოდებად თვლიდა „სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას“. საკუთარ თავს მიიჩნევდა „მარქსიზმის იდეების გამტარებლად“. ამავე დროს აცხადებდა, რომ თავისი ორგანიზაცია მოაწყო კომუნისტური წესის მიხედვით [8, 41].

მეტად მნიშვნელოვანია ჰიტლერის სიტყვები გერმან რაუშის გისადმი: „მე დავალბებული ვარ ჩემი განათლებისა და იდეებისადმი მასონებისაგან, რაც არ შეიძლებოდა ოდესმე მიმელო სხვა წყაროებით“. ფაშიზმი და კომუნიზმი, რომ მედლის ორი მხარეა ნათლად ჩანს ადამ ვეისხაუპტის გამონათქვამიდან: „მე ძალიან ბევრი ვისწავლე მარქსიზმისაგან... ნაციონალ-სოციალიზმის მთელი საფუძველი მასზეა დაყრდნობილი“ [8, 424].

გარეგნულად ადოლფი შეუხედავი იყო. საშუალო ტანის. თავის თითქოსდა მთელ ტანს ფარავდა. მაღალ შუბლს ჩამოშვებული თმით უფარავდა. ყველაზე დასამახსოვრებელი მის სახეზე იყო შეკრეჭილი უღვაშები. ის არასდროს არ უნახავთ მოდაზე ჩაცმული. პქონის არაფანმრთელი კბილები. ცხოვრების ბოლო პერიოდში ახლომხედველობის გამო, იძულებული იყო სათვალე ეხმარა (თუმცა საზოგადოების წინაშე არასდროს გამოუყენებია). მისი მსუბუქად გადმოკარკლებული თავლები და ხამხამის გარეშე მზერა ძლიერ შთაბეჭდილებას ატოვებდა [9, 28].

ჰიტლერის იმიჯს დიდხანს და გამიზნულად ქმნიდა მისი მთავარი იდეოლოგი ჰებელსი. ეს იყო იმიჯის ნაკრები. ჰებელსი ჰიტლერს სტუდენტებსა და ინტელექტუალებს წარმოუდგენდა მხატვრობისა და არქიტექტორის მანტიით, რომელმაც 1914 წელს, პირველი

მსოფლიო ომის დროს სწავლა მიატოვა სამშობლოს სამსახურის გულისთვის. სენტიმენტალურ ადამიანებს იგი ჰიტლერს წარუდგენდა როგორც ბავშვების მოყვარულ „ძიას“, მუშებთან ის მუშად გამოჰქავდა, ვეტერანებთან კი-როგორც პირველი მსოფლიო ომის დროინდელი უცნობი ჯარისკაცი. იგი ამასთან ამზეურებდა ჰიტლერის პირადი ცხოვრების ცალკეულ დეტალებს-მაგალითად, ურთიერთობას ევა ბრაუნთან, რომელსაც ჰიტლერი ყვავილების თაიგულს და კანფიტებს უგზავნიდა [4, 12].

ჰიტლერისადმი ფანატიკური დამოკიდებულების მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ. აი, ზოგიერთი მათგანი: ერთი ახალგაზრდა კაცი მეგობარს საჩუქარს უძღვნის, მეგობარს კი თავის მხრივ სამაგიერო საჩუქარი აქვს მომზადებული. ორივე ერთდროულად ხსნის პაკეტს და გოცბებულნი ხედავენ: ერთმანეთისათვის ფიურერის პორტრეტები მიუძღვნიან. კიდევ ერთი სიურპრიზი ისაა, რომ სურათებზე ორივეს წაუნერია: „ფიურერისადმი ერთგულების ნიშნად“. სხვა ამბავსაც ჰყვებიან: ერთ მოხუც მანდილოსანს საგანგებოდ გამოუკითხავს, რა ჯიშის ვარდი ჰყვავის აპრილში. იმ ჯიშის ვარდი თავის ბაღში დაურგავს და ყოველი წლის 20 აპრილს, ფიურერის დაბადების დღეს, მოწინებით თავდახრილი მლოცველივით იდგა მის წინაშე [7, 60-61].

იტალიაში ბენიტო მუსოლინიმ მოახერხა ის, რომ ყურადღება მიიპყრო როგორც პოლიტიკურმა ლიდერმა და ბელადმა - დ უ ჩ ე მ. ფაშიზმის წარმატებები მითების შექმნასთან იყო დაკავშირებული, რომლებიც მუსოლინის ოფიციალურ იმიჯთან ასოცირდებოდა. მუსოლინის, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს ასე ახასიათებდნენ: იტალიის გადამრჩენი, ლმერთის წარგზავნილი და მისი მფარველობის ქვეშ მყოფი, გულანთებული პატრიოტი, ერის სახე, იულიუს კეისრისა და ავგუსტუსის მემკვიდრე, ომის გმირი, რომელსაც 40 ჭრილობის მიუხედავად ოპერაციის დროს გამაყურებელი არ დასჭირდა, დიდებულში 20 საათი მუშაობს, ნამდვილი ფაშისტი და ა. შ. [10, 159].

თანამედროვეები მას „მოქმედების მსახიობს“ უწოდებდნენ, რომელიც უდიდესი პატივმოყვარეობით, დიდი ნებისყოფით გამოირჩეოდა. თავის იმიჯს თვითონ ქმნიდა (იმ დროს იმიჯმეიკერები არ არსებობდნენ).

იმიჯის განსხვავებული სკოლა მოქმედებდა საბჭოთა ლიდერებთან მიმართებაში. მხატვრულ ფილმებში ხშირად უჩვენებდნენ, როგორ სვამდა ბელადი უშაქრო ჩაის და ერთ ნაჭერ შავ პურს აყოლებდა. საარქივო დოკუმენტური წყაროები კი ადასტურებენ,

რომ ლენინი მდიდრულად ნადიმობდა. მისი მმართველობის მთელი წლების განმავლობაში კრემლის ნომენკლატურას აწვდიდნენ უამრავ შავ და წითელ ხიზილალას, ძვირფას თევზეულს და სხვა ნუგბარს, დაბა ზუბალოვოში კი ილიჩის განკარგულებით ააშენეს მდიდრული პერსონალური აგარაკები. და ესეც ქვეყანაში საშინელი შიმშილობის დროს ხდებოდა.

ოქტომბრის გადატრიალებამდე ის ბევრს სვამდა. ემიგრაციის წლებში სუფრაზე ლუდი მუდამ ჰქონდა. 1921 წლის შემდეგ სმას თავი მიანება ავადმყოფობის გამო. ამის მერე ალკოჰოლს აღარ მიჰკარებია [11, 96].

ექიმ როზანოვის ცნობით, 1923 წლის 11 მარტს ლენინმა ყმული დაიწყო. უჩვეულოდ თბილი, მთავარიანი ღამე იყო იმ ახალ გაზაფხულზე გორკაში და ლენინი ყმუოდა გაბმულად, თითქმის გათენაბამდე. მაგრამ მას და სხვა ლიდერებსაც ჰყავდათ ფანატიკური თაყვანისმცემლები.

გარდაცვლილი ლენინის გლოვის თვითმხილველი, ცნობილი ბოლშევიკის და ელენა ისტმენი შემდეგნაირად მოგვითხრობს: „დედები ბავშვებს მალლა სწევდნენ რომ მისთვის შეეხედათ, ქალები კვილით „ამხანაგო ლენინ“ ისტერიკაში ჩავარდნილნი იატაკზე ეცემოდნენ, აქვე იყო ფიზიკურად ძლიერი სამი მამაკაცი თეთრ ხალათებში გამოწყობილი, რომელთაც გაჰყავდათ გულშემოყრილები. საერთოდ, ქალები ისე გულამოსკვნილი ტიროდნენ, რომ ძარღვებიდან სისხლი სდიოდათ“ [12, 255].

სტალინისადმი შიში და მოკრძალება, გაღმერთება და მოწინებებიამდე მიდიოდა, რომ 1941 წელს ერთი მოქალაქე, რომელიც აუდიენციაზე იყო სტალინთან, საუბრის შემდეგ უმაღლესი მთავარსარდალი ხელის ჩამორთმევით გამოემშვიდობა. მოქალაქემ ხელი, რომელიც სტალინმა ჩამოართვა, სახლში მისვლისთანავე მძინარე შვილს თავზე დაადო, რათა სტალინური სიტბო გადასვლოდა სხეულში [11, 232]. მართლაც საზოგადოების დიდ ნაწილში სტალინისადმი თაყვანისცემა საოცარ ფსიქოზამდე იყო მისული. მცირეწლოვანი ბავშვებიც კი ამ იდეით იყვნენ შეპყრობილი. აი, ერთი მეტად დამახასიათებელი ლექსი აღნიშნული პერიოდისათვის:

Опять я склонился к зеленой сосне,  
Вдруг серые волки подкрались ко мне:  
Раскрыли клыкастые пасть \_  
Вот-вот растерзают на части!  
Не мог шелохнуться от ужаса я...  
Мамочка, мама, голубка моя

Но Сталин узнал, что в лесу я стою,  
Разведаль, услышал про гибель мою  
И танк высылает за мною,  
и мчусь я дорогой лесною.  
Мамочка, мама, голубка моя!  
Настежь открылись ворота кремля  
Кто-то выходит из этих ворот,  
Кто-то меня осторожно берет,  
И поднимает как папа, меня.  
И обнимает как папа, меня.  
И сразу мне весело стало.  
... А кто это был?  
Угадала? [14, 9].

გადმოცემით, სკოლიდან მოსულმა მცირეწლოვანმა გოგონამ მამას განუცხადა: „შენ ჩემი მამა აღარა ხარ“. „ეს რას ნიშნავს – , რომ მე არა ვარ მამაშენი!“ – შეჰყვირა განრისხებულმა. „შენ ჩემი მამა აღარა ხარ–გაუმეორა გოგონამ. – ჩემი მამა სტალინია. რაც მე გამაჩნია ყველაფერი მისგანაა“ [15, 100-101].

ამერიკელმა სლავისტმა და ფსიქონალიზის ცნობილმა სპეციალისტმა დ. რანკურ-ლაფერიერმა შეისწავლა სტალინის ფსიქიკა და სიგნად გამოაქვეყნა. სტალინის შესახებ მასალების შეფროვების დროს მეცნიერი გარკვეულ დაძაბულობას განიცდიდა და ძილშიც კი იხვეწებდა. „ზოგიერთი სიზმრების დროს სტალინთან დაკავშირებით – აღნიშნავს მკვლევარი – ელდის მომგვრელ შიშს განვიცდიდი ამ ადამიანის წინაშე, ეს იყო ნამდვილი საშინელება. როდესაც გამეღვიძდა ერთ-ერთი ასეთი სიზმრის შემდეგ, – არ მახსოვს, რა სიტუაციაში ვნახე იგი, – კიდევ არ ვიყავი განთავისუფლებული საოცარი შიშისაგან. იძულებული გავხდი მეტეჯა საკუთარი თავისთვის, რომ სტალინი აღარ არის ცოცხალი, რომ მას არ შეუძლია რაიმე დამიშაოს“ [15, 57].

სტალინის შემდგომ ლიდერთა იმიჯი ტრადიციული მარშით გრძელდებოდა. კუნცევოს აგარაკზე, სადაც უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა სტალინი, ღამეული დროსტარებისას ბელადი ხრუშჩოვს გოპაკის ცეკვით აბუქნავებდა. ისიც, დარდიმანდულად, „უკრაინკაში“ გამოწყობილი თავს ისე აჩვენებდა, რომ მას, რაღა თქმა უნდა, არ უნდა ჰქონოდა ოდესმე ხელისუფლებაზე რაიმე პრეტენზიები და სხვისი ნების საიმედო შემსრულებლობა ხელნიფებოდა მხოლოდ [10, 287].

ხრუშჩოვი, როგორც თვითდაჯერებული ადამიანი, თვლიდა, რომ მან ყველაფერი იცოდა [17, 96]. ერთ-ერთ მიტინგზე მან თქვა: „მარქსის იდეა – ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ თუკი ლორის ქონს წაუსვამთ, კიდევ უფრო კარგი იქნება“. ბუნებრივია, ნორმალურ ადამიანს თავში არაფრით მოუვა აზრად, რომ მარქსის იდეებს შეიძლებოდა ლორის ქონის წასმა [18, 13-14].

ჟურნალ „შტერნის“ შეფასებით ხრუშჩოვი იყო „თანამედროვეობის ყველაზე ენაწყლიანი მოღვაწე, რომელიც ისე წავიდა სცენიდან, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს“ [19, 152].

ბრეჟნევის დროის „მთავარი იდეოლოგი“ სუსლოვი, უცნაურობასთან ერთად, ყოველთვის სასაცილოდ გამოიყურებოდა. მზიას ამინდშიც კი კალოშებით დადიოდა. მრავალი წლის განმავლობაში ეცვა ერთი და იგივე გრძელი, ძველმოდური პალტო...“ [20, 484].

ედვარდ გერეკი მემუარებში აღნიშნავს, რომ მას ბრეჟნევი, რაღაც საშინელ ადამიანად ეჩვენებოდა. „საოცრად მრცხვენოდა, როდესაც ბრეჟნევი „ინტერნაციონალის“ სიმღერის დროს იწყებდა დირიჟორობას“ [21, 127].

აი, კიდევ ერთი მაგალითი ბრეჟნევის იმიჯთან დაკავშირებით 1982 წელს... სამსახურიდან ძალით მირეკილი ხალხის წინაშე ძლიერ გააფორთხეს მოფანჯალებული ლიდერი, რომელმაც თავის მისალმებაში წარმოთქვა სიტყვა, მოგვიანებით პოპულარულ ხუმრობად ქცეული აზერბაიჯანში. „გამარჯობათ, ძვირფასო ავღანელო მენავთობეებო!“

– ჩვენ ბაქოში ვართ, ბაქოში! – პირდაპირ ყურში ჩასძახოდა ერთი თანამემწეთაგანი...

როგორც ცნობილია, საბჭოთა ლიდერები სიკვდილამდე რჩებოდნენ თავიანთ პოსტებზე. აზრი, რომ ლიდერი აუცილებელი ავადმყოფობის მიუხედავად პერიოდულად გამოჩნდეს მასების წინაშე, შეეხო არა მხოლოდ ბრეჟნევს, არამედ პარტიისა და სახელმწიფოს სხვა მრავალ ხელმძღვანელს. ეს მოვლენა გახდა თითქმის ოფიციალური და საჩვენებელთან ერთად სადისტური ხასიათი მიიღო. სადისტური ამ უბედურებთან დაკავშირებით, რათა პოლიტიკური ამბიციებიდან გამომდინარე შეენერჩუნებინათ ხელისუფლება და გადაეღობათ თავისი უბედურება და ავადმყოფობა. ხალხის თვალში ისინი უნდა ყოფილიყვნენ ჯანმრთელები, შრომისუნარიანები.

თათბირებისა და შეხვედრების სატელევიზიო ჩვენების დროს რეჟისორმა და ოპერატორმა ზუსტად იცოდნენ რაკურსი და ნერტილი, საიდანაც უნდა წარემართად გადაღება. კრემლში სკკპ ცკს პლენუმებისათვის გათვალისწინებულ ახალ შენობაში დაიდგა სპეციალური

ალური გამოსასვლელი ტრიბუნაზე ხელმძღვანელთა გამოსასვლელად, იქნებოდა ასევე სპეციალური ტრაპები თვითმფრინავში ასასვლელად და სხვა.

1985 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ, რათა ხალხისათვის ეჩვენებინათ და პოლიტიკური ლიდერის იმიჯი არ დაეცემულიყო ჩერნენკო, ექიმების წინააღმდეგობის მიუხედავად, პოლიტბიუროს წევრის გრიშინის თანდასწრებით მომაკვდავი „გენსეკა“ სანოლიდან აიყვანეს და ტელეკამერის წინ დასვეს [21, 134].

ე. წ. „საბჭოთა ადამიანებს“ არ მოსწონდათ რაისა გორბაჩოვას (ტიტარენკო) მკვეთრი და მაღალი ხმა, რომლის მეშვეობითაც ქმარს ხშირად აწყვეტინებდა სიტყვას (შეიძლებოდა ასეთი რამ დაგვეშვა?), არც მისი გამგზავრება დასავლეთში „საყიდლებზე“. საერთო აზრი: ქალები არ უნდა ერეოდნენ წმინდა მამაკაცურ საქმეებში! – პროფესიონალი მემბოხის, ბორის ელცინის გამონათქვამი:

– რაისა ცხვირს ყოფს პოლიტიკაში, რომელსაც მისი ქმარი ატარებს, ურეკავს კაბინეტში, აძლევს რჩევებს და მოუწოდებს სიმტიცისაკენ. აი, როგორ არის მოწყობილი მათი ცხოვრება!

აღფრთოვანებული ქვეყანა აპლოდისმენტებით აჯილდოებდა თავის რჩეულს და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ გაივლიდა ათიოდე წელი... და კრემლში გორბაჩოვის ადგილს დაიკავებდა ელცინი, რომლის დროსაც არა მარტო ცოლი, არამედ ქალიშვილიც დაიწყებდნენ სახელმწიფო მართვაში მონაწილეობის მიღებას, მინისტრებისა და ელჩების დანიშვნას [22, 319].

ელცინის იმიჯთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი იკმარებდა: 1991 წლის 18 აგვისტოს, პუტჩის წინა დღეს „დიდი ბორისი“ ყაზახეთში ნაზარბაევთან იყო სტუმრად. უმაღლესი დონის შეხვედრა მოუწყვეს. მთის მდინარეში ბანაობის და ადგილობრივი სამხარეო მუზეუმის იურტაში მამაპაპური სმის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტის პატივსაცემად გაიმართა კონცერტი. მშვენიერი ყაზახი გოგონები მღეროდნენ და დომრაზე უკრავდნენ, ნურსულთან ნაზარბაევმა სიმღერა და ცეკვა დაიწყო. ყოველივე ამას იგი პროფესიული ოსტატობით ასრულებდა. ანსამბლს ბორის ელცინიც შეუერთდა. მან გადანკიბა აკომპანიმენტი გაეკეთებინა კოვზებით. პრეზიდენტის გვერდით აღმოჩნდა სამეურნეო სამმართველოს უფროსი ზაგაინოვი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა დაახლოებოდა ელცინს და ტელეკამერის წინ ამ შესაძლებლობას ხელიდან როგორ გაუშვებდა, – აქაოდა, გენახეთ, რა ახლობლებიცა ვართო.

მუზეუმში დასაჯდომი ადგილები ამფითეატრით იყო განლაგებული – ნელნელა მალღებოდა. შეფი, ნაზარბაევთან ერთად, ხალი-

ჩებდაფენილ შემალღებაზე მოეწყო, სამეურნეო სამსახურის უფროსი კი ქვედა საფეხურზე მოკალათდა. როდესაც ბორის ნიკოლაევიჩმა კოვზებით დაკვრა დაიწყო, ჯერ საკუთარ ფეხებზე ახმინებდა მათ და მოულოდნელად საკუთარი ფეხიდან ხელქვეითის ქალარა თავზე გადაინაცვლა. ეს გასართობი ისე მოეწონა, რომ მისდგა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, უბრაახუნებდა... ის სანყალი წყენის გამჟღავნებასაც ვერ ბედავდა და სიმწრით ილიმებოდა – ვითომდა, სულაც არ მწყინს პრეზიდენტის ხუმრობაო. მათი შემხედვარე აუდიტორია სიცილით იგუდებოდა და მხარდაჭერით გულმოცემული ბორის ნიკოლაევიჩიც უფრო და უფრო გულმოდგინედ და რიტმულად ურტყამდა თავში კოვზს საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდნილ იური გეორგიევიჩს.

ეს შემოქმედებითი მიგნება კარგად დაამახსოვრდა პრეზიდენტს და შემდეგშიც მიმართავდა: დაკვრისას ხშირად იყენებდა მეზობლების თავებს. როცა ელცინს კოვზებით დაკვრის სურვილი მოუვლიდა წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ზაგაინოვს მაინც ბედმა გაუღიმა – ყაზახეთში ხის კოვზი საქებარი არ გახლდათ, თორემ თუ ახლომახლო ხისა არ იყო, ლითონისას სტაცებდა ხელს.

ერთხელ ყირგიზეთის პრეზიდენტს აკაევესაც არ გაუმართლა, მითუმეტეს, რომ კოვზი ამ შემთხვევაში რკინისა იყო... ამიტომაც, როგორც კი რომელიმე ღონისძიებაზე ელცინი კოვზებით დაკვრას დააპირებდა, მისი თანმხლები პირები მოშორებით გადასხდებოდნენ ხოლმე, ან მოწვევის სურვილს მოიმიზეზებდნენ და გარეთ გადაიოდნენ [13, 57].

დღეს საერთაშორისო არენაზე ბევრს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ რუსეთის თანამედროვე პოლიტიკა შეიძლება სერიოზულ პრობლემად იქცეს მსოფლიოს საზოგადოებისათვის. ამგვარი აზრი განსაკუთრებით გაძლიერდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როცა ცივილიზებულმა სამყარომ დაინახა, თუ რაოდენ სახიფათო შეიძლება იყოს რუსეთი და, შედეგად, ერთხმად დაგმო მისი აგრესია საქართველოს მიმართ. ფსიქოლოგებსა და ფსიქონალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ რუსეთის ბოლო ორი პრეზიდენტის ამბიციებს სწორედ მათი ფსიქოლოგიური თავისებურებების მნიშვნელოვანი დეტალები განსაზღვრავს, რასაც ისინი ყურადღებით აკვირდებიან და სწავლობენ.

რუსეთის პრეზიდენტების პოლიტიკურ იმიჯზე და ფსიქოლოგიური პორტრეტის „დახატვაზე“ მუშაობს თსუ-ის პროფესორი, ფსიქოლოგი შალვა აბზიანიძე, რომელსაც ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრებები გააჩნია.

– პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში არსებობს მრავალი განსხვავებული მიდგომა მაღალი რანგის პოლიტიკური მოღვაწეების და, პირველ რიგში, პრეზიდენტების პიროვნული თავისებურებების შესასწავლად. განსხვავებულ ფსიქოლოგიურ თეორიებზე დაყრდნობით იქმნება მათი „პოლიტიკური პორტრეტები“ და „პიროვნული პროფილები“... რა თქმა უნდა, გამონაკლისს არც რუსეთის პრეზიდენტები – ვლადიმერ პუტინი და დიმიტრი მედვედევი წარმოადგენენ და ეს განპირობებულია არა მხოლოდ მათი პოლიტიკური ამბიციებითა და ქმედებებით, არამედ მათ შორის არსებული, ჯერაც აუხსნელი ურთიერთობებითაც.

რუსეთის პრეზიდენტების – ვლადიმერ პუტინისა და დიმიტრი მედვედევის შეფასებისას ფსიქონალიტიკური მიდგომები უფრო გამოგვადგება, ვინაიდან ისინი, თავიანთი მოქმედებებით, პიროვნების ისეთ თავისებურებებს უსვამენ ხაზს, რაც ფსიქონალიზის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. მაგალითად, სიმაღლე, რაც, თავისთავად, ძალაუფლების სიმბოლოა. მაღალი ადამიანი უფრო ძალაუფლების მქონედ „განიცდება“, ვიდრე დაბალი, რადგან იგი უფრო იქცევა ყურადღებას, მას უფრო უსმენენ და ა.შ. როგორც ეტყობა, რუსეთის ორივე პრეზიდენტს აწუხებს სიმაღლის პრობლემა, რის დასამალადაც ისინი სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ. იცვამენ მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს (რომლის ქუსლიც გარედან ნორმალური ჩანს, მაგრამ მაღალი ქუსლი ფეხსაცმლის შიგნით არის დამალული), საჯარო გამოსვლისას იყენებენ დახურულ ტრიბუნებს, ითხოვენ სპეციალურად განვრთნილი პირადი ფოტოგრაფებისა და ოპერატორების მომსახურებას (რომლებიც მათ ისეთ რაკურსში აფიქსირებენ, რომ მოსაუბრეზე დაბალი არ აღმოჩნდნენ). აი, ერთი მაგალითი: მედვედევი ფოტორეპორტიორებმა, ბარაკ ობამასთან შეხვედრის დროს, განსაკუთრებული რაკურსით დააფიქსირეს. არნოლდ შვარცნეგერთან მისი შეხვედრის ამსახველი ფოტოები კი საერთოდ კურიოზული იყო, ვინაიდან მედვედევი მათზე გვარიანად მაღალი ჩანდა, რამაც ჟურნალისტურ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია [24, 11].

ლიდერობის პრობლემაზე არსებულ თეორიათა შორის თანამედროვე პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „სიტუაციონიზმის“ თეორიას. ამ თეორიის მიმდევრები ლიდერობას განიხილავენ, როგორც სიტუაციის ფუნქციას. ადამიანი, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ლიდერია, ფსიქოლოგთა მტკიცებით, ახდენს საკუთარი როლის „ინტერიორიზებას“, ეჩვევა ამ როლის შესრულებას და მასში ხდება იმ ნიშნის განვითარება – განმტკიცება, რომელიც აუცილებელია ამ როლის შესასრულებლად, მაგ-



რამ ლიდერის ქცევა, რომელიც ერთ სიტუაციას შეეფერება, შეიძლება სრულიად გამოუსადეგარი იყოს სხვა სიტუაციაში. პიროვნება, რომელიც ლიდერობას შეძლებს საპროტესტო აქციების მოწყობაში, არსებული წყობის ნგრევაში, ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, შეიძლება უძლეური და უნაყოფო აღმოჩნდეს ახლის შენებაში [25, 10-11].

იცვლება პოლიტიკური თაობა, იცვლებიან კერპები და სიმბოლოებიც. პოლიტიკური ფიგურები საზოგადოების გონებაში მკვიდრდებიან გარკვეული საშუალებებით. მაგალითად, ამერიკული მედიის საქმიანობის შედეგს თუ გავაანალიზებთ, დავრწმუნდებით: მძლავრი პოლიტიკური ფიგურის შექმნისათვის რეალობა მეორეხარისხოვანია, ხოლო იმიჯი – უმთავრესი. ამერიკულ მედიასა და პოლიტიკოსებს, როგორც ჩანს, საყვარელი დევიზი საერთო აქვთ: გამარჯვება ნებისმიერი ხერხით, ნებისმიერ ფასად [26, 277].

აშშ-ის პოლიტიკურ სიმბოლოთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პოლიეუდის ვარსკვლავივით კაშკაშა სიმბოლოა ქვეყნის პრეზიდენტი. წარმოუდგენელია ისაუბრო ამერიკაზე და გამოტოვო ქვეყნის პირველი პირი. იგი საოცარი ორიგინალობით საკუთარ თავში აერთიანებს, ერთმანეთს უკავშირებს თითქმის შეუთავსებელ ორ თვისებას – პოლიტიკურ სიღარბაისლესა და პოპულარულ კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული, მაგრამ პოლიტიკოსების ბედი ამ მოვლენასთან აბსოლუტურად ადაპტირებულია.

პრეზიდენტის იმიჯის ფორმირებაში პირად იმიჯმეიკერებზე არანაკლებ მონაწილეობას ლებულობს ამერიკული მედია. თუ პირველი, ძირითადად, ქვეყნის პირველი პირის ხატის შექმნაზე კონცენტრირებული, მედიას ამ კუთხით ნაკლები პასუხისმგებლობა და, ზოგადად, არჩევანის უსაზღვრო თავისუფლების პრივილეგია საშუალებას აძლევს ერთა გაშალოს პოლიტიკური ფანტაზიისა და რეალობის ფარგლებში [26, 278-279].

ამავე დროს პრეზიდენტის კრიტიკა ამერიკის ძველი ჩვეულებაა. საერთოდ, სახელმწიფოში პრეზიდენტი ყველაზე მსხვილი ობიექტია კრიტიკისათვის და მისი კულტის არსებობას ყოველთვის ანტიკულტი უპირისპირდება.

– გახსოვდეს, მთელი ეს ხროვა მხოლოდ იმას ელოდება, როდის გამგლიჯოს ნაფლეთებად, – აფრთხილებდა თავის ქალიშვილს ვუდრო ვილსონი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირველი ვადით იმყოფებოდა პრეზიდენტის პოსტზე და საქმეებიც თითქოსდა კარგად ჰქონდა აწყობილი.

ენდრიუ ჯექსონს ცოლქმრული ერთგულების დამრღვევად სა-

ხავდნენ, ლინკოლნს – მაიმუნად, ჰარი ტრუმენს – გალანტიერის უილბლო გამყიდველად, ტომას ჯეფერსონს „გიჟ ტომს“ ეძახდნენ. გაკილვას თვით ვაშინგტონიც ვერ გადაურჩა [27, 68-69].

1796 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში აშშ მეორე პრეზიდენტად არჩეულ იქნა ჯონ ადამსი, რომელმაც სამი ხმით მოუგო თომას ჯეფერსონს. პრეზიდენტი მაშინვე გახდა ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის პრესის თავდასხმის ობიექტი. ამ გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე ამერიკის სახელმწიფოს მეთაურის შესახებ წერდნენ: „შემთხვევითი პრეზიდენტი“, „ბებერი, ბრმა, ქაჩალი, უკბილო ადამსი“ [28, 21].

გარშემომყოფებისადმი ყურადღება და სიყვარული იყო თეოდორ რუზველტის საოცარი იმიჯისა და პოპულარობის საიდუმლო. ის ყველას უყვარდა, როგორც თანატოლთ, ისე მსახურთ. მისმა კამერდინერმა შავკანიანმა ჯეიმს ამოსმა დაწერა წიგნი, რომელსაც „თეოდორ რუზველტი-თავისი მსახურის გმირი“ უწოდა [29, 47-48].

აშშ პრეზიდენტის კალვინ კულიჯის იმიჯი განსხვავებით სხვა მრავალი ლიდერისაგან სიტყვაძუნობით გამოირჩეოდა. რადგან პრესას დიდი მჭევრმეტყველებით არ ახარებდა, მას „ჩუმი კალი“ შეარქვეს. კულიჯის სიტყვით „მე ჯერ არ გამიგია პრეზიდენტი, რომელსაც არაფრის თქმისაგან რაიმე პრობლემა შექმნოდა“.

ერთ-ერთ ნვეულებაზე მის გვერდით მჯდომმა ქალბატონმა უთხრა, რომ თავის მეგობრებთან ნიძლავი დადო, რომ კალვინს ამ ნვეულებაზე ორ სიტყვაზე მეტს დააცდევინებდა. კულიჯმა მას მოკლედ მოუჭრა... „თქვენ ნააგეთ“ [30, 50].

საინტერესოა, რომ მჭევრმეტყველებითა და მსახიობური მანერებით გამორჩეულ რეიგანს კულიჯის სურათი ჰქონდა კაბინეტში...

რეიგანის, როგორც პოლიტიკური ლიდერის იმიჯი, დღიდან მისი ხელისუფლების სათავეში ჩადგომისა, იზრდებოდა იმიტომ კი არა, რომ მან, როგორც ყოფილმა მსახიობმა, ყველას გაუსწრო სატელევიზიო პოლიტიკის ხელოვნებაში, არამედ იმიტომაც, რომ მისი გულკეთილობა, სითბო, მეგობრული განწყობილება და ადამიანურობა გულგრილად არავის არ ტოვებდა. ზოგჯერ რეიგანს ბოლო 50 წლის მანძილზე ფრანკლინ რუზველტის შემდეგ, ყველაზე პოპულარულ და დიდ პრეზიდენტს უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ რეიგანისა და რუზველტის პოლიტიკას შორის დიდი განსხვავებაა, მათ ორივემ შეცვალეს ისტორიის მსვლელობა და ამით ააღორძინეს ამერიკელთა რწმენა საკუთარი ძალებისადმი [31, 135].

პრეზიდენტობის დროს რეიგანს შეეძლო რომელიმე თათბირზე ყოფნის დროს ჩაეძინა, როდესაც თვლიდა, რომ იქ მისთვის საჭირო

ინფორმაციას მაინც ვერ მიიღებდა. ამ ფაქტის გამო „საბჭოთა პრესაში“ რეიგანზე მრავალი დამცინავი სტრიქონები ქვეყნდებოდა. დღეს კი ითვლება, რომ ის იყო ერთ-ერთი უდიდესი პრეზიდენტი [32, 23]. რეიგანის კარიერის ადრეული ეტაპი ოცნებების ფაბრიკად ნოდებულ ჰოლივუდს, შემდეგ კი პიარ ტექნოლოგიის მექანს-ამერიკულ ელექტრონულ მედიას უკავშირდება. ამიტომაც არ არის გასაკვირი მისი საოცარი უნარი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და შთაბეჭდავი იმიჯის შექმნისა [33, 27].

როგორც იმდროინდელი მასმედია გვამცნობდა, რეიგანი დღეში მხოლოდ ოთხ საათს იყო დაკავებული სახელმწიფო ადმინისტრაციული საქმიანობით და დროის დიდ ნაწილს ჯანმრთელობაზე ზრუნვას ახმარდა. მეორე ვადით პრეზიდენტად არჩევის დროს ამომრჩევლებზე დადებითად იმოქმედა სწორედ იმ მესიჯმა, რომ სისტემატურ ვარჯიშის წყალობით, არცთუ ახალგაზრდა, საბჭოური პარამეტრებით კი პოლიტიკოსს ნევრთა საშუალო ასაკის მქონე რეიგანის ფილტვები 2 სანტიმეტრით გაიზარდა მოცულობაში ანუ პრეზიდენტობის კანდიდატი საკმაოდ ახალგაზრდულად გრძნობდა თავს, ისე კი იმხანად რეიგანი 73 წლის გახლდათ.

პრეზიდენტი ფიზიკური ფორმის დემონსტრირებას მუდამ ახდენდა ტელეკამერების წინ. ერთი საყურადღებო დეტალი: საერთაშორისო ვიზიტების დროს, როდესაც ამერიკის პრეზიდენტის გაცილებების ცერემონიალს აჩვენებდნენ, ერთი ფაქტი იყო ყოველთვის თვალში საცემი – რეიგანი ტრავს მუდამ ახალგაზრდული მხნეობით, მოხდენილად და საკმაოდ სწრაფად აიბრუნდა ხოლმე, მერე, კადრს მიღმა, ჩვენ უკვე არ ვიცით მას სუნთქვა და პულსი როგორ მდგომარეობაში ჰქონდა [33, 29-30].

კიდევ ერთი ფაქტი: 1982 წლის 17 ივნისს გაეროს გენერალური ასამბლეის მეორე სპეციალურ სესიაზე, სიტყვით გამოსულმა რეიგანმა საოცარი შთაბეჭდილება დატოვა დამსწრე საზოგადოებაზე კერძოდ, სიტყვის წარმოთქმის მანერამ მოკირება გამოიწვია. რეიგანი ტრიბუნაზე აუღელვებლად იდგა. მართალია მისმა თანამემშენებმა კათედრაზე დადეს საქალაქე მოხსენების ტექსტთან ერთად, მაგრამ ტრიბუნაზე გამოსულ პრეზიდენტს ერთხელაც არ ჩაუხედავს ტექსტში. მოხსენების დროს (30 წუთი) მხოლოდ აუდიტორიას უყურებდა. განსაკუთრებით გააოცა მსმენელები მოხსენებლის მიერ მრავალი პოლიტიკური მოღვაწის ზეპირად ციტირებამ ისე, რომ ტექსტში არ ჩაუხედავს. მასსოვრობის ასეთი დონე ახალგაზრდა მხანებშიც კი იშვიათობას წარმოადგენს. რეიგანი ამ დროს სამოცდაათ წელს გადაცილებული იყო. პრეზიდენტის წასვლის შემდეგ, რო-

დესაც დარბაზი ნელ-ნელა იცლებოდა დიპლომატების ჯგუფმა ტრიბუნასთან მოულოდნელი რამ შეამჩნიეს: ტრიბუნის ორივე მხარეს აუდიტორიისაგან დაფარულად იდო ორი პატარა ტელევიზორი ეკრანებით ზევითა მხარეს – მარჯვნივ და მარცხნივ დამაგრებული იყო სარკეების შეუმჩნეველი სისტემა. გაირკვა, რომ რეიგანი ამ სისტემის დახმარებით (ტელევიზორი – სარკე) კითხულობდა თავის მოხსენებებს [34, 198]. როგორც ვხედავთ, პოლიტიკის შემუშავება, მისი განხორციელება და ადამიანთა მიმხრობა რთული საქმეა და იგი ყველას არ ძალუძს. ასეთები მხოლოდ ერთეულები არიან. სწორედ ამიტომ არის, რომ ყველა პრეზიდენტი, მონარქი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, პარტიის თავმჯდომარე ვერ გახდება პოლიტიკური ლიდერი.

და... საერთოდ, ადამიანები მხოლოდ გარეგნულად, სხვათა დასანახად და თვალბეჭდში ნაცრის შესაყრელად აღიარებენ და ეთაყვანებიან თავის რჩეულს, გულში კი მის მიმართ ფარულ გაბოროტებას, ჩუმ ღვარძლსა და შურს ატარებენ. არავის არ სურს გულით ინამოს რჩეულის უპირატესობა, მისი დამსახურებული თუ დაუმსახურებელი ამაღლება.

#### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ს. სიგუა, ალტემული ქვეყნის ძიება, თბილისი, 1984.
2. ა. ბაქრაძე, კინო-თეატრი, თბილისი, 1989.
3. გ. მკურნალიძე, მ. ხამბაძე, პოლიტოლოგია, თბილისი, 2000.
4. ვ. შუბითიძე, ა. ბუცხრიკიძე, იმიჯოლოგია, თბილისი-ქუთაისი, 2009.
5. ვ. შუბითიძე, ვ. ფერაძე, პოლიტოლოგია, თბილისი, 2008-2009.
6. ე. ტარლე, ნაპოლეონი, თბილისი, 1996.
7. გ. რობაქიძე, ჰიტლერი, თბილისი, 2010.
8. Дуглас Рид, Спор о сионе, пер. с английского, Москва, 1993.
9. Ян Кершоу, Гитлер, пер. с английского, Ростов-на дону, 1997.
10. ე. მეძმარიაშვილი, ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების XX საუკუნის ისტორია, თბილისი, 2008.
11. საისტორიო ვერტიკალები, 2003, №4.
12. Роберт Такер, Сталин, путь к власти 1879-1939, пер. с англ., Москва, 1990.
13. Историки спорят, Москва, 1989.
14. Возвращенные имена, в 2-х книгах, книга 1, Москва, 1989.
15. Д. Ранкур-Лаферриер, Психика Сталина, пер. с англ. Москва, 1996.

16. Ф. Бурлацкий, Новое Мишление, Москва, 1989.
17. А. Аджубей, Те десять лет, Москва, 1989.
18. მ. რომი, ოთხი შეხვედრა ნიკიტა ხრუშჩოვთან, ბათუმი, 1991.
19. Рой Медведев, Н.С. Хрушев, Москва, 1990.
20. Н. Зенкович, Покушения и инсценировки от Ленина до Ельцина, Москва, 1998.
21. Е. Чазов, Здоровие и власть, Москва, 1992.
22. Н. Зенкович, Тайны уходящего века, Т. 2, Москва, 1998.
23. ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ელცინი..., თბილისი, 1997.
24. თ. დადიანი, რუსეთის პრეზიდენტების ფსიქოლოგიური პორტრეტი, გავ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 2010, ნოემბერი.
25. ქ. ჯიჯეიშვილი, შტრიხები საქართველოს პრეზიდენტთა პოლიტიკური პორტრეტისათვის, თბილისი, 2009.
26. მ. ნადარეიშვილი, ამერიკული მედიის როლი პოლიტიკოსთა იმიჯის ფორმირებაში, კრებული „ამერიკის შესწავლის საკითხები“, II, თბილისი, 2003.
27. უ. მანჩესტერი, პრეზიდენტ კენედის მკვლელობა, თბილისი, 1974.
28. Э. А. Иванян, от Джорджа Вашингтона до Джорджа Буша, Москва, 1991.
29. დეილ კარნეგი, როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ ვიყო მოქმედოთ ადამიანზე, თბილისი 1992.
30. ვ. კაჭარავა, კალენ კულიჯის პორტრეტი რეიგანის კაბინეტში, კრ. „რონალდ რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა“, თბილისი, 2005.
31. ნ. ნანიტაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია XX საუკუნე, თბილისი, 2002.
32. Аргументы и факты, 2010, № 46.
33. ნ. ბარდაველიძე, რეიგანი-მითი და რეალობა, კრებულში: „რონალდ რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა“, თბილისი, 2005.
34. В. Л. Израелян, Дипломаты лицом к лицу, Москва, 1990.

**Avtandil Songhulashvili**

*Doctor of Historical sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, The Head of the Department of Modern and Contemporary History of The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*

**Political leader's image**

**Summary**

Political elite and political leaders create policy, without this main components it's impossible even imagine development of the state policy. Role of the leadership, especially in the history emphasized Friedrich Nietzsche. In practice can be found the examples of the essence of charismatic leader's image. Through the whole human history we can see changing of the political generations, idols and symbols as well. Political figures established in the public minds and memory. For a creation process of powerful political figures reality have secondary value but the image is the main.

Implementation of the politic course and draw in this process main part of society is too difficult work and is not able for main part of political leaders. Sometimes it's impossible to find Persons with such capabilities in the peoples crowd. That is why that every president or the Monarch, the Prime – Minister, Chairman of the Parliament, the party chairman can not become a real political leaders.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. კრაკაუ კ., „ძალის გამოყენების გამართლების სტრატეგია ამერიკის საგარეო პოლიტიკაში“, ამერიკის შესწავლის საკითხები, ნიგნი მე-2, თბილისი, 2003.
2. ჩემპილი ერნსტ-ოტო, მსოფლიო პოლიტიკა გარდატეხის პროცესში, თბილისი, 2003.
3. რცხილაძე გ., აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საფუძვლები ამერიკელი და ევროპელი ავტორების მიხედვით, თბილისი, 2008.
4. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტი, „World Head Lines“, www.mod.gov.ge 14. 09. 2009.
5. შურლულაია თ., „დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს როლი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში“, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, თბილისი, 2008, №14.
6. პაპაშვილი მ., „ჰენრი კისინჯერი. დიპლომატია“, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, თბილისი, 2007, №13.
7. Kennedy P, The Rise and Fall of the Great Powers, 1986.
8. David A. Deese, „The New politics of American foreign policy“, Boston College, ST. Martin's press, NY, 1994.

**Tornike Shurgulaia**

*Doctor of History, Georgian Technical University, faculty of the Business-Engineering*

### Force diplomacy in American foreign policy Arsenal

#### Summary

The relationship between US power and the promotion of Diplomatic interests is the main aspect of the US foreign policy. It is a study of the use of force as a Diplomatic weapon. In this article we shortly explore those military operations that have been designed to influence change in and among foreign countries.

North Atlantic Alliance and Central intelligence Agance are the main components which create the stile of the US modern foreign policy. In the 21st century, success of the USA depends on ability to analise the future of the World policy and on the using of American phenomenon in the right direction. Americans are convinced that the world can not be perfect, but it can become much better than many people think this.

## ს ა მ ხ ე ჯ რ თ ის ტ ო რ ი ი დ ა ნ

### დოდო ჭუმბურიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

### რუსული არმიის გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი (1798-1868)

ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი მე-19 საუკუნის ქართული არისტოკრატის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი იყო რუსული არმიის მამაცი გენერალი, გამორჩეული სამხედრო ნიჭის მქონე სარდალი და საზოგადოებაში პოპულარული ადამიანი, თავისი დროის კოლორიტული პიროვნება.

ივანე ანდრონიკაშვილის დედა – მარიამი იყო ერეკლე მეორის შვილიშვილი და იმერეთის მეფის – სოლომონ მეორის და. მამა – მალხაზ ანდრონიკაშვილი სამეფო კართან დაახლოებული კახელი თავადების შთამომავალი იყო. გადმოცემით, ეს გვარი უძველესია და ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკ I კომნენოსიდან (1183-1185) მოდის. დავით აღმაშენებელმა ასული კათაი მიათხოვა ბიზანტიის იმპერატორის – იოანე კომნენოსის ძმას ისაკ კომნენოსს (1094-1136). ანდრონიკი ამ ქორწინების ნაყოფია. იგი 1120-1185 წლებში ცხოვრობდა. 1143-1180 წლებში ბიზანტიის იმპერატორი მისი ბიძაშვილი – მანუილი იყო. ბავშვობაში ანდრონიკი საქართველოს ესტუმრა, შეიყვარა და დაუახლოვდა გიორგი III-ს. ბიძაშვილ-მამიდაშვილს საუკეთესო ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. საქართველოს მეფისგან ბიზანტიელმა უფლისწულმა „ქალაქები, ციხეები და მიწები“ მიიღო აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში. როდესაც მანუილ კომნენოსი გარდაიცვალა, ანდრონიკი დაბრუნდა ბიზანტიაში და მცირეწლოვანი იმპერატორის – მანუილ II-ის (1180-1183) რეგენტი გახდა, მისი სიკვდილის შემდეგ კი – იმპერატორის ტახტი დაიკავა. ორი წლის შემდეგ ის გადააგდეს ტახტიდან და მოკლეს, მისი შვილები: მანუილი, იოანე, ალექსი და ირინე საქართველოში გამოიქცნენ. ისინი თამარ მეფემ შეიფარა და 1204 წელს ბიზანტიის იმპერიისგან გამოყოფილი და ცალკე იმპერიად გამოცხადებული ტრაპეზუნდის იმპერატორობა ან-

დრონიკის შვილიშვილს—ალექსის მისცა. ეს დინასტია ტრაპეზუნდში 1461 წლამდე მეფობდა. ანდრონიკის დანარჩენი შვილები დარჩნენ საქართველოში და იმ მამულების, ციხეებისა და ქალაქების მართვას შეუდგნენ, რომელიც გიორგი მესამემ აჩუქა მათ მამას. საქართველოში მცხოვრებმა ალექსის შთამომავლებმა შემდეგში, კომნენოსის ნაცვლად, ანდრონიკაშვილის გვარი მიიღეს.

ანდრონიკაშვილები სხვადასხვა დროს იყვნენ დიდი თანამდებობების მფლობელები. XVI საუკუნეში მათ მემკვიდრეობით მიეცათ ქიზიყის მოურავობა. ამ გვარის წარმომადგენლები იყვნენ ბოდბეს, ალავერდის, ნინოწმინდის, ნეკრესის და რუსთავის საეპისკოპოსო კათედრების მფლობელები.

ქართულ საისტორიო წყაროებში პირველად ანდრონიკაშვილების გვარი 1558 წელს გამოჩნდა. როდესაც მეფე ალექსანდრე და მისი ვაჟი გიორგი მოკლეს, მათთან ერთად დაიღუპნენ თავადი აბელ ანდრონიკაშვილი და მისი ძმა, რუსთავის ეპისკოპოსი. ამ გვარის რამდენიმე წარმომადგენელი 1724 წელს რუსეთში გახიზნულ ვახტანგ VI-ს გაჰყვა. ისინი მსახურობდნენ ქართულ ჰუსართა პოლკში. ესენი იყვნენ კაპიტანი, თავადი მერაბ ანდრონიკაშვილი, მისი ვაჟები — ოთია და მამუკა, ძმისშვილები — ერასტი და რომანი. ეს ადამიანები 1741 წელს დაბრუნდნენ სამშობლოში, რუსეთში დარჩა თავადი იგორ ანდრონიკაშვილი, რომელმაც მიიღო 5 კომლი და მამულები მირგოროდში. XVII საუკუნეში მცხოვრები გარსევან და მერაბ ანდრონიკაშვილები არიან ანდრონიკაშვილთა გვარის ორი შტოს ფუძემდებლები. ივანე გარსევან ანდრონიკაშვილის შთამომავალია.

ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1798 წლის 11 ნოემბერს სოფ. ქოდალოში. ივანეს მამას — მალხაზ ანდრონიკაშვილს დიდი საგვარეულო მამულები ჰქონდა კახეთში, ცოლის მხრიდან კი — იმერეთში. მისი მეუღლე იყო მარიამი, ერეკლე მეფის შვილიშვილი, ელენე ბატონიშვილის ასული. ელენეს იმერელ ბატონიშვილთან ჰყავდა მეორე შვილი, ვაჟი დავითი, რომელიც შემდეგში იმერეთის მეფე გახდა სოლომონ მეორეს სახელით. დაქვრივებული ელენე მეფე ერეკლემ მეორედ გაათხოვა ზაქარია ანდრონიკაშვილზე, რომელთანაც მას ერთადერთი ქალიშვილი — ხორეშანი შეეძინა, — დედა გრიგოლ ორბელიანის და ბებია ნიკოლოზ ბარათაშვილისა; ცხოვრების უმეტეს დროს მალხაზ ანდრონიკაშვილი იმერეთში ატარებდა. ჰყავდა ორი შვილი, ქალ-ვაჟი: ივანე და ანა. ივანე დედის ოჯახში, იმერეთში იზრდებოდა.

ბიძისა და იმერეთის უმამაცესი მეფის — სოლომონ II-ის მაგალითი მისთვის, ალბათ, ყველაზე დიდი გავლენილი იყო ქართველობისა, ბრძოლაში თავგანწირულობისა, სამშობლოსთვის თავდადებისა. მაგ-

რამ მისი ცხოვრება იმგვარად წარიმართა, რომ მისგან რუსეთის იმპერიის ერთგული მსახური, ქართული მხედრული ნიჭის რუსეთის ომებში ამაყად მხარჯველი ადამიანი დადგა, თუმცა ეს მისი ცხოვრების ერთი მხარეა, მეორე კი — დიდი პაპის ოცნების აღსრულებისათვის თავგამეტებული სწრაფვა იყო. რუსეთ-ოსმალეთის ომებში საქართველოს დაკარგული ისტორიული მიწების დაბრუნებისათვის ლომივით გადაშვებული სარდალი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა, სამშობლოს გარეშე ცხოვრება შეუძლებლად მიაჩნდა და მისი ყველაზე დიდი კარიერა აქ ეგულებოდა.

1810 წელს იმერეთის სამეფო რუსეთმა გააუქმა და შეიერთა. სოლომონ მეფე 15 მარტს წავიდა სოფელ საზანოში, ცოლის მამულში, და იქ სამი დღე დარჩა. აქედან მოგილევსკის და 500 ერთგული იმერლის თანხლებით გასწია სურამს. სოფელ ბეკამთან მიიღო ცნობა, რომ ტორმასოვი გორში ელოდა [1, 47]. მიტყუებული სოლომონი დაატყვევეს და რუსეთს გაგზავნა მოუნდომეს, მაგრამ ის მოხერხებულად დაუძვრა მტრებს და ახალციხეში გაიქცა, მისი ოჯახი კი რუსეთში ძალით გაასახლეს. გასახლებულთა შორის იყო ივანე ანდრონიკაშვილი, მისი დედა და და. დედოფალი მარიამი, რომელსაც ძალიან უყვარდა მულისშვილი, ბევრს ზრუნავდა მის აღზრდაზე. ივანე და მისი ოჯახი ჯერ ვორონეჟში ცხოვრობდა, შემდეგ კი, 1812 წელს — პეტერბურგში გადავიდა, სადაც დედოფალი მარიამი იმყოფებოდა.

ამ დროის რუსეთის იმპერიაში მამაკაცისთვის ყველაზე საოცნებო, სახელისა და დიდების მომტანი სამხედრო კარიერა იყო და ქართული არისტოკრატის შვილებიც ამ გზას ირჩევდნენ. ივანე ანდრონიკაშვილმაც ეს არჩევანი გააკეთა. კავკასიის საბოლოოდ დაპყრობას რუსეთი ვერც შეძლებდა, რომ ისინი არ ყოფილიყვნენ. მიუვალ მთებში მცხოვრები თავგანწირული მთიელების დამარცხებას რუსები ისევ კავკასიელი მებრძოლებით ახერხებდნენ, რომელთა შორის ქართველი გენერლები განსაკუთრებით ბრწყინავდნენ. პოლკოვნიკ პოტოს მიერ კავკასიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმისათვის შედგენილ ბიოგრაფიულ ნარკვევებში პირველი სწორედ ივანე ანდრონიკაშვილია. რუსი სამხედრო ისტორიკოსი სახოტბო სიტყვებს არ იშურებს მასზე და სამართლიანად თვლის, რომ მას გამორჩეული როლი ჰქონდა შესრულებული XIX საუკუნის I ნახევრის რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-სპარსეთის ომებში, რომ აღარაფერი ვთქვათ ყირიმის ომში მის არნახულ სიმამაცეზე, რითაც მეფისნაცვალ ვორონცოვი იმდენად აღფრთოვანდა, რომ მისთვის მიწერილ წერილს ასე ამთავრებდა: „გთხოვთ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არავის შეუძლია უფრო მეტად უყვარდეთ და პატივს გცემდეთ, ვიდრე მე“...

რუსებს და, მითუმეტეს, ვორონცოვისნაირ იმპერიის ბიუროკრატიულ მსახურებს უნდა ჰყვარებოდათ და პატივი ეცათ ამგვარი ქართველებისათვის, აფასებდნენ კიდევ, ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია – შევავსოთ მათი სახელებითა და საქმეებით ისტორიის ფურცლები, იმ ისტორიის, რომელსაც დამპყრობელი ქვეყანა ძალით წერდა, ეს ადამიანები კი ძალაუნებურად ეხმარებოდნენ საკუთარი ქვეყნისა და მხარის დაპყრობაში; ისლა დაგვრჩენია, შევიბრალოთ ეს უნიჭიერესი ადამიანები, მამულუქებივით ტყვედ ჩავარდნილები და სხვის სამსახურში ჩამდგარნი, იმ უამრავი ქართველი მეომრის მსგავსნი, რომლებიც არაბთა, მონღოლთა, სპარს-ყიზილბაშთა, ოსმალთა და სხვა, საქართველოს დაუძინებელი მტრების არმიებს აძლიერებდნენ. ბევრი მათგანი რწმენით აკეთებდა ამას, და ესეც – საქართველოსა და ქართველი ხალხის ტრაგიკული ისტორიის ნაწილია. ამგვარ ქართველებზე გაბრაზებული ილია ჭავჭავაძე გულმდუღარედ დასტიროდა „ჩინმედლებზე“ გაყიდულ სამშობლოს, თუმცა გამყიდველთა ცნობიერებას ვერაფერს აკლებდა. ივანე ანდრონიკაშვილი ერთი იმ ქართველ სამხედროთაგანი იყო, რომელსაც გულწრფელად სწამდა, რომ თავისი მხედრული მამაცობით სამშობლოს ეხმარებოდა, მისი დიდი პაპის მიზნებს ანხორციელებდა, მამულიშვილურ ვალს იხდიდა. რაც შეეხება საქართველოს, მას იმდენად უყვარდა იგი, რომ უარი თქვა ყველა დიდ კარიერაზე რუსეთში, თავისი ცხოვრების შეგნებული პერიოდი აქ გაატარა და, სხვა საზოგადოებრივ და სამხედრო საქმეებთან ერთად, ეს დრო კახეთში თავისი მამულების მოვლა-პატრონობას მოახმარა.

პეტერბურგში მცხოვრები, 17 წლის თავადი „ანდრონიკოვი“ შევიდა ლეიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკში და იუნკერი გახდა. პოტოს აზრით, ეს პოლკი მთელს იმპერიაში საუკეთესო იყო. აქ მან შვიდი წელი გაატარა, 1822 წელს პოდპორუჩიკის სამხედრო ხარისხი მისცეს, 1824-ში კი გვარდიის შტაბს-როტმისტრის. ამ ჩინით გადავიდა ნიჟე-გოროდის დრაგუნთა პოლკში და მაიორობა მიიღო. ამ დროს გარდაიცვალა ივანეს მამა – მალხაზ ანდრონიკაშვილი, მათი მამულები უპატრონოდ იყო და ვერანდებოდა, რის გამოც ივანეს გული კავკასიისკენ მოუწევდა. პირველი მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში 1826 წელს მიიღო, სპარსეთის კამპანიაში, როდესაც ხელმძღვანელობდა ნიჟეგოროდის დივიზიას. ელიზავეტპოლთან გამარჯვებამ ახალგაზრდა მეომარს ვლადიმირის IV ხარისხის ორდენი მოაპოვებინა. ეს ბრძოლა 1826 წლის 13 სექტემბერს გაიმართა. სპარსელთა მრავალრიცხოვან ჯარს სარდლობდა ტახტის მემკვიდრე – აბას-მირზა. ნიჟეგოროდის პოლკი, რომლის ერთ-ერთ დივიზიას ივა-

ნე ანდრონიკაშვილი მეთაურობდა, მტერს წინა ფლანგებიდან უტევედა, ივანე კი მტრის განლაგებაში შეიჭრა და იმდენად დიდი ზიანი მიაყენა, რომ სპარსელებმა გაქცევით უშველეს თავს. ანდრონიკაშვილი ამ ბრძოლის გმირად იქცა. უშიშარმა კავალერისტმა პასკევიჩის ყურადღებაც მიიქცია. სარდალმა იგი თავის გვერდით დაიყენა და მომდევნო ბრძოლებში აღარც მოუშორებია. ახალ შეტევებში ანდრონიკაშვილმა კვლავ გამოიჩინა მეომრული ნიჭი და თავდადება, ასახელა ქართული სამხედრო ხელოვნება. განსაკუთრებით ეს გამოიყვანდა ჯავან-ბულახთან, ციხე-სიმაგრე აბას-აბადის ალყასა და ალები-სას. ჯავან-ბულახთან ბრძოლისას მან მტერს წაართვა დროშა, რომელსაც სპარსელები გამარჯვების დროშას უწოდებდნენ და კინალამ აბას-მირზა ჩაიგდო ტყვედ. ამ ბრძოლაში ის თავში დაიჭრა. ბრძოლა 1827 წლის 5 ივნისს მოხდა. აბას-მირზა ალყაში მოქცეული სპარსი მეომრების დასახმარებლად 16-ათასიანი ჯარით მივიდა ციხესთან. პასკევიჩმა მონიხალმდევგეს მთელი თავისი კავალერია დაუპირისპირა. მძაფრი ბრძოლა მისი გამარჯვებით დამთავრდა. ანდრონიკაშვილის დივიზია მტერს დაედევნა, დაენია ერთ ნაწილს, რომელსაც ნაჯავ-ხანი სარდლობდა, თავად ივანემ შეიპყრო მეთაური, სამი დღეობაშიც ხმლით გამოასალმა სიცოცხლეს, ხოლო ნაჯავ-ხანი პასკევიჩს მიჰგვარა. ამ გამარჯვებისათვის ივანე ანდრონიკაშვილს წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენი გადაეცა [2, 104]. შემდგომ იგი მონაწილეობდა გენერალ-ლეიტენანტ სუხოტინის ლაშქრობაში, თავი ისახელა ეწმიადინთან და ერევანთან ბრძოლებში 1827 წლის 14 და 24 სექტემბერს, მიიღო პოდპოლკოვნიკის ჩინი, იმავე წლის 19 სექტემბერს მონაწილეობდა თავრიზის იერიშსა და ალებაში. ასე რომ, რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 წლების ომი მისი სამხედრო კარიერის წარმატების ეტაპად იქცა. ომი 1828 წლის 10 თებერვალს დამთავრდა, მაგრამ სულ რამდენიმე კვირაში, ამავე წლის 14 აპრილს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი, სადაც ასევე აქტიურად ჩაება რუსული არმიის ქართველი მებრძოლი – ივანე ანდრონიკაშვილი. ორწლიანი ბრძოლით დაღლილი ჯარი ყარსისკენ დაიძრა და ანდრონიკაშვილის დივიზიაც ავანგარდში მოქმედებდა. 19 ივლისს, ყარსთან გამართულ ბრძოლაში ივანე ანდრონიკაშვილის მეომრები ისე მოულოდნელად ეკვეთნენ მტერს, რომ პირველივე შეტაკებისას უკუაგდეს. ოსმალებს დადევნებული რუსული არმიის მეომრები ციხეში შეიჭრნენ და დაიკავეს. ყარსის ურთულესი ციხის ალების შემდეგ პასკევიჩთან ერთად ივანეც დაიძრა ახალქალაქისაკენ. ოსმალებთან ბრძოლებმა კიდევ მეტი საბრძოლო წარმატებები მოუპოვა ქართველ მეომარს. 24 ივლისს ახალქალაქი ჩაბარდა რუსულ ჯარს. აქ მოპოვებული გამარ-

ჯვეებისათვის ანდრონიკაშვილს წმინდა ანას II ხარისხის აღმასებით მოჭედული ორდენი მისცეს.

ახალქალაქის შემდეგ ანდრონიკაშვილი პასკევიჩთან ერთად ახალციხისაკენ დაიძრა. ნიჟეგოროდის დივიზიამ პასკევიჩის ჯარისკაცებთან ერთად იერიში მიიტანა ქალაქზე და ალყაში მოაქცია იგი. ახალციხის გარნიზონის დასახმარებლად ოსმალთა 30-ათასიანი კორპუსი გამოემართა მაგომედ ფაშასა და მუსტაფა ფაშას მეთაურობით. 5-9 აგვისტოს მიმდინარეობდა ბრძოლები ახალციხესთან. ეს იყო ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც ოსმალთა სრული კრახით დასრულდა. უამრავ ოსმალო ტყვეს შორის აღმოჩნდა მუსტაფა ფაშაც. 15 აგვისტოს ახალციხე დაეცა. 5-9 აგვისტოს ბრძოლების ორგანიზაციისა და გამოჩენილი მამაცობისათვის ანდრონიკაშვილს პოლკოვნიკის ჩინი და წმინდა ვლადიმირის III ხარისხის ორდენი მიენიჭა.

რუსეთ-ოსმალეთის ომმა გაააქტიურა ოსმალური ორიენტაციის ჩრდილოეთ კავკასია და საქართველოს წინააღმდეგ განაწყობა ბუნებრივია, ქართველი მაღალი ჩინის სამხედროების წარმატებული მოქმედება და მათი როლი ოსმალთა დამარცხებაში, ლეკებსა და ჩეჩნებს საბრძოლო შურისძიების გრძნობას აღუძრავდა. გახშირდა მათი თავდასხმები კახეთზე, სადაც რეგულარული არმიისა და მილიციის მცირერიცხოვანი ნაწილები იდგნენ. ეს თავდასხმები არღვევდა ზურგის სიმშვიდეს და ფრონტის ხაზს საშიშროებას უქმნიდა. ამიტომ, მდგომარეობა საგანგაშო იყო და დაისვა მისი სწრაფად მოგვარების საკითხი. საჭირო გახდა აქ გაეგზავნათ როგორც საბრძოლო გამოცდილების მქონე მეომარი, ასევე დიპლომატი და ამ მხარის კარგად მცოდნე პიროვნება, ასეთად ივანე ანდრონიკაშვილი იქნა მიჩნეული. ამ საქმისთვის იგი თავად პასკევიჩმა აირჩია. მან კახეთში სრული სიმშვიდე დაამყარა, შექმნა საგუშაგოები, რაც თავდამსხმელთათვის შემაკავებელი და მათი თარეშის სრული აშლავმეველი აღმოჩნდა.

მინდობილ საქმეში ანდრონიკაშვილმა სულ მალე მიაღწია წარმატებას და მალევე დაუბრუნდა ბრძოლის ველს. პირველივე შეტევებში თავბრუდამხვევ წარმატებას მიაღწია. ეს იყო არზრუმთან. აქ 1829 წლის 19-20 ივლისს მიმდინარეობდა ბრძოლა. პასკევიჩმა დაამარცხა მუშირი გაკი ფაშა და 27 ივლისს არზრუმში დაიკავა. რუსულმა ჯარმა თვით სერასქირი დაატყვევა, მაგრამ მოხდა ისე, რომ რუსებმაც ინვნიეს მარცხი იმით, რომ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაური დაიჭრა და მწყობრი დატოვა. ამ ადგილის დაჭერა მთავარსარდალმა პასკევიჩმა შესთავაზა ივანე ანდრონიკაშვილს, რომელმაც დაუყოვნებლივ დაიკავა პოსტი და დაიწყო მტრის წინააღმდეგ შეტე-

ვები. ახალ ლაშქრობებში ქართველმა სარდალმა კვლავ ისახელა თავი, განსაკუთრებით ბაიბურთთან. ოსმალთა ერთი არმია არ აძლევდა საშუალებას პასკევიჩის რაზმს თავისუფლად ემოძრავა, ყოველნაირად ბოჭავდა მას. ანდრონიკაშვილმა თავისი დრაგუნებით ფარულად შემოუარა მალღობს, მიიტანა სწრაფი იერიში და ისე დააბნია მოწინააღმდეგე, რომ მისი ყველა ქვემეხი ხელთ იგდო. პასკევიჩის ჯარს საშუალება მიეცა – გაეშალა ბრძოლა და ბაიბურთი აელო. ამ მამაცობისათვის ივანე ანდრონიკაშვილს წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენი მიენიჭა. 1829 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დამთავრდა. საქართველომ ამ ომში ძირძველი ქართული მიწები – ახალციხე-ახალქალაქი დაიბრუნა სამხრეთ საქართველოში. ეს დიდი ეროვნული გამარჯვება იყო, თუმცა რუსული იმპერიული პოლიტიკა ამ საქმეშიც საკუთარ ინტერესებს დებდა, რამაც მომავლში ჩრდილი მიაცენა მოპოვებულ გამარჯვებას. ეს ეხებოდა ქართველ მუსლიმანთა მიმართ პასკევიჩისა და რუსული ადმინისტრაციის მტრულ დამოკიდებულებას, რის შედეგადაც ეს ადამიანები საკუთარი სამშობლოდან გაასახლეს და აქ ჩამოასახლეს თურქეთში მცხოვრები სომხები. ახალციხე-ახალქალაქის ქართული სოფლების დიდი ნაწილი დაცარიელდა ქართველებისაგან, მათ ადგილზე ქრისტიანი სომხების დასახლება უფრო უპრიანად ჩაითვალა. ეს იყო ანტიქართული აქცია, რასაც დღეს ამ კუთხეში მიძიმე დემოგრაფიული და პოლიტიკური შედეგები აქვს. სამწუხაროდ, ამ პროცესებში ქართველებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც ვერ იაზრებდნენ, ან წინ ვერ აღუდგნენ პასკევიჩისა და, ზოგადად, რუსეთის იმპერიული წრეების ამ ანტიქართულ პროექტს. რაც შეეხება ივანე ანდრონიკაშვილს, მას არ მიუღია შემოერთებული მხარის დემოგრაფიულ მოწყობაში მონაწილეობა, ის მეომარი იყო და შემართებით იბრძოდა, ამ ბრძოლებში სერიოზული ჭრილობებიც მიიღო და შემდეგში იძულებული გახდა უარი ეთქვა სამხედრო კარიერაში შეთავაზებულ თანამდებობებზე. 1830 წელს, ჭრილობების გართულების გამო, ის გადადგა ნიჟეგოროდის პოლკის მეთაურის პოსტიდან და კარგა ხნით აღარ გაკარებია სამხედრო კარიერას. რამდენიმე წელი იცხოვრა მან თავის დიდ მამულში, დროდადრო მონაწილეობდა სხვადასხვა რაზმების იერიშებში, თუმცა 1837 წლამდე სერიოზულად არ აუღია ხელში საომარი იარაღი. ამ წელს დაიწყო ოსთა ანტირუსული გამოსვლები ჯავის ხეობაში. ანდრონიკაშვილი გაიგზავნა აჯანყების ჩასაქრობად, ის დაუყოვნებლივ გადავიდა თოვლიან უღელტეხილზე, დაიკავა სოფელი ტიბი, დაიმორჩილა ისეთი სოფლები, რომლებიც მანამდე რუსეთის შემადგენლობაშიც არ იყო. არა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ საქართვე-

ლოში მცხოვრებ ოსთა შესახებ არსებულ საარქივო მასალებში ხშირად ფიგურირებს ანდრონიკაშვილის სახელი. განსაკუთრებით ეს ეხება ოსეთის ოკრუგის შექმნასა და თავად მარაბლების მამულში მცხოვრებ ოსთა სახელმწიფო და საბატონო ვალდებულებების განსაზღვრას. ოსებმა, ამ დოკუმენტების მიხედვით, კარგად იცოდნენ, რომ ამ მიწებზე მოსულები იყვნენ და თავად რუსი მოხელეების შედგენილი ეს საბუთები ამტკიცებდნენ საქართველოში მათი „ჩუმად და თვითნებურად“ შემოსვლის ფაქტებს, ანდრონიკაშვილი არ უჭერდა მხარს მათ პროტესტს გადასახადების გადახდასა და მარაბლების წინაშე ვალდებულებების შესრულებაზე. მას საჭიროდ მიაჩნდა მათ გადაეხადათ გადასახადები, თუმცა შესაბამისი გრადაციები უნდა დამტკიცებულიყო ოსთა შორის მათი საცხოვრებელი და ბუნებრივი პირობების მიხედვით. ისინი არაფრით არ უნდა ყოფილიყვნენ პრივილეგირებულნი, თუნდაც იმავე პირობებში მცხოვრებ რაჭის მცხოვრებლებთან შედარებით [3, 60]. ოსთა საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თბილისის გუბერნატორის პოსტზე მისი მუშაობის დროს იყო.

1841 წელს ივანე ანდრონიკაშვილი ჩაება დაღესტნის ომში – შამილის წინააღმდეგ. ის მონაწილეობდა დარგოსთან ბრძოლებში, სადაც ოთხი ცხენი მოუკლეს. ის სათავეში ედგა პარტიზანულ ბრძოლას, რამაც დიდი წარმატება მოუტანა მას. სხვა ქართველ მაღალჩინოსან სამხედროებთან ერთად, მან შეძლო მოეგო იმ ხალხის გული, რომელსაც ასე სძულდა რუსეთის იმპერია, რომლის ერთგული მსახურნი იყვნენ ქართველი მეომრები. ივანე ანდრონიკაშვილმა კავკასიელების დიდი ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. ის შუამდგომლობდა ხალხს რუსულ ხელისუფლებასა და შამილთან, ათავისუფლებდა მძევლებს, ერთ-ერთი ასეთი ოპერაციის დროს შეეჯახა კიდევ შამილსა და მის რაზმს, მაგრამ აქაც გამარჯვებული გამოვიდა. სწორედ 1841 წლის ექსპედიციაში მოპოვებული წარმატებისათვის მიიღო მან გენერალ-მაიორის ჩინი.

1844 წელს კავკასიის მეფისნაცვალს და კორპუსის მეთაური გახდა მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი. მან გენერალ-მაიორი ივანე ანდრონიკაშვილი თბილისის სამხედრო გუბერნატორად და გუბერნიის სამოქალაქო ნაწილის უფროსად დანიშნა. აქაც შეუდარებელი იყო იგი, რადგან კარგად იცნობდა მხარის ყველა პრობლემას, ადამიანების ხასიათსა და განწყობას. მხედართმთავრულ ნიჭთან ერთად, ანდრონიკაშვილს ადმინისტრატორის საუკეთესო ნიჭიც აღმოაჩნდა: შეაკეთა სასოფლო გზები, საზღვრის დასაცავად გაამაგრა ის სოფლები, სადაც მოსახლეობა მეჩხერად ცხოვრობდა. ეს იყო ალაზნის მარ-

ცხენა ნაპირი, სადაც ბევრი ცარიელი ადგილი იყო. გუბერნიაში გატარებული ღონისძიებებისა და შესრულებული სამუშაოსათვის მას გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო ჩინი მისცეს.

ივანე ანდრონიკაშვილი გამორჩეული სამხედრო ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო და გული მაინც მოქმედი საბრძოლო ოპერაციებისკენ მიუწევდა. მალე მიეცა საშუალება – კიდევ ერთხელ დაედასტურებინა მხედრული ნიჭიერება. ყირიმის ომში მისი მეომრული სულისკვეთება და სარდლისათვის ჩვეული თეორიული და სტრატეგიული მომზადება კიდევ ერთხელ გამობრწყინდა.

ომში კავკასიის ფრონტს, კერძოდ კი საქართველოში მიმდინარე საომარ მოქმედებებს, ყირიმის საომარ ოპერაციებზე არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ოსმალეთი მეზობელ ტერიტორიებს ომის დაწყებამდე დაესხა თავს. ეს იყო გურია-სამეგრელოსა და ახალციხეში. სოფელ შეკვეთილში 15-16 ოქტომბრის ღამით ოსმალები მოულოდნელად შემოიჭრნენ, დაამარცხეს ადგილობრივი მცირე გარნიზონი და საგუშაგო ხელთ იგდეს. აქ იბრძოდა მცირერიცხოვანი რუსთა რაზმი და გურიის სახალხო ლაშქარი გიორგი გურიელის მეთაურობით. მათ ბოლომდე გაუწიეს წინააღმდეგობა მტრის 5000-მდე კაცს. წინააღმდეგობა მანამდე არ შეუწყვეტიათ, სანამ ტყვია-წამლის მთელი მარაგი არ ამოეწურათ. ოსმალები სასტიკად გაუსწორდნენ მამაც მეომრებს, მათ თითქმის მთლიანად ამოხოცეს გარნიზონი, არ ინდობდნენ ბავშვებსა და ქალებსაც კი. ბრძოლაში დაიღუპა გიორგი გურიელიც.

გურიის პარალელურად, ოსმალთაგან შეგულიანებული ლეკები თვით შამილის მეთაურობით დაესხნენ თავს კახეთს. ისინი ცდილობდნენ ზაქათალისა და ბელაქნის ციხეების აღებას, მაგრამ სასწრაფოდ უკუაგდეს რუსთა და ქართველთა რაზმებმა გენერალ გრიგოლ ორბელიანის სარდლობით [4, 222-223].

მალე ოსმალები შეიჭრნენ ახალციხეშიც. ალი-ფაშას არტანის კორპუსმა ქალაქს შემოარტყა ალყა, რის შემდეგაც ახალციხე საქართველოსგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. აქ ჩარჩენილი გარნიზონი დაღუპვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ახალციხის აღება მტრებს გზას გაუხსნიდა ბორჯომისა და სურამის გავლით თბილისისაკენ. მტრის ნაწილებს სულ უფრო ემატებოდნენ ახალი დამხმარე ძალები არტანადან, ყარსიდან და აჭარიდან. ახალციხის რაზმის უფროსი გენერალი კოვალენსკი შეშფოთებული ითხოვდა სასწრაფო დახმარებას. ახალციხეში შექმნილმა ვითარებამ შეაშინა კავკასიის რუსული ადმინისტრაცია, მდგომარეობა მოხსენდა მიხეილ ვორონცოვს, რომელმაც ახალციხის გარნიზონის დახსნა გენერალ ივანე ანდრონიკაშვილს დაავალა.



რუს-ქართველთა რაზმით ანდრონიკაშვილი ახალციხეს მიადგა, ოსმალები კარგად იცნობდნენ მას და შეშინდნენ, დაუყოვნებლივ მოხსნეს ქალაქს ალყა და გადაინაცვლეს მდინარე ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე აგებული სიმაგრისაკენ, ეს იყო სოფელ სხვილისთან. შეიკრიბა სამხედრო საბჭო, სადაც ანდრონიკაშვილისაგან ბრძოლის სტატეგიულ და ტაქტიკურ გეგმას ითხოვდნენ. გენერალი მდუმარედ ისმენდა მოთხოვნას, იჯდა და ჩიბუხს აბოლებდა, როდესაც დუმილი დაარღვია, თქვა, რომ ერთი რამ იცოდა კარგად: მას ანდეს ბრძოლის ბედი და უნდა დაემარცხებინა ოსმალები, დანარჩენი წვრილმანი იყო და მას შემდეგში მოიფიქრებდა. მეორე დღეს მან ისე განაწყობა ჯარი და იმდენად სწორი სტატეგია აირჩია, რომ, ჭარბი ძალების მიუხედავად, მტერი უკან გაიქცა, არტაანისკენ დაიხია, თანაც დიდი ალაფი დაუტოვა მოწინააღმდეგეს, თვით ალი ფაშას კანცელარია და პირადი ქონება ჩაუვარდა ხელთ გენერალ ანდრონიკაშვილის მეომრებს, მისი გამარჯვება ისე შთამბეჭდავი შეიქმნა, რომ ვორონცოვი ვერ მალავდა აღტაცებას, მასთან მიწერილ წერილში ამ ბრძოლას უდიდეს შეფასებას აძლევდა და გენერალს გმირად თვლიდა.

ტრიუმფალური იყო გამარჯვებული გენერლის დაბრუნება თბილისში. მას მთელ გზაზე აცილებდნენ და ოვაციით ხვდებოდნენ როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ასევე ჯარის ნაწილებიც. გორში დამხვედრ დელეგაციას მაზრის უფროსი ალექსანდრე ერისთავი მეთაურობდა, რომელიც ახალციხეში მასთან ერთად იბრძოდა. გორის თავადაზნაურთა ლაშქარმა ის თბილისამდე მიაცილა და საპატიო ყარაულის მოვალეობა შეასრულა. გამარჯვებულ გენერალს ხალხი საბურთალოს ველზე შეეგება. აქ მოვიდნენ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები, მუშები. გლეხები, ვაჭრები, ქალაქის ამქრები თავიანთი დროშებითა და დაფა-ზურნებით. ყველა გულთბილად ხვდებოდა გამარჯვებულს. ცერემონია გაემართა ქალაქის ცენტრისაკენ. მეფინაცვლის სასახლიდან გადმომდგარიყო ავადმყოფი მიხეილ ვორონცოვი და გამარჯვებულს ესალმებოდა, გუბერნატორის კანცელარიაში მას შტაბის უფროსი ბარიატინსკი და ოფიცრობა შეხვდა, სალამოს კი, თეატრში, ხალხთან ერთად, მთელი სამხედრო და თავადაზნაურული ელიტა მხურვალე ოვაციებით შეეგება. იგი ვორონცოვის ლოჯიაში იჯდა. ამ ზეიმზე, 1853 წლის 10 დეკემბერს, გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი წმინდა გიორგის მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. მალე ვორონცოვი ავადმყოფობის გამო წავიდა საქართველოდან, მის ადგილზე რეადე დაინიშნა. ოსმალებმა იერიში მიიტანეს დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებზე. ივანე ანდრონიკაშვილი კვლავ მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა, იგი გუ-

რიის რაზმის მეთაურად დანიშნეს. მას ემორჩილებოდა ქუთაისის გუბერნია, სამეგრელო და აფხაზეთი იქ განლაგებული ჯარებით [2, 109].

1854 წლის დასაწყისში რუსეთს საბოლოოდ ჩამოშორდნენ მოკავშირეები - ინგლისი და საგრანგეთი, რის გამოც ის რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ომის შემდგომი მსვლელობა მას კარგს აღარაფერს უქადდა, იძულებული იყო დაეტოვებინა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სიმაგრეები. ამ სანაპიროებისაკენ, რუსული გარნიზონის გამოსაყვანად, გაიგზავნა ესკადრა ვიცე-ადმირალ სერებრიაკოვის მეთაურობით. ეს ოპერაცია წარმატებით ჩატარდა, მალე, რეადეს გადაწყვეტილებით, რუსთა ჯარი გამოყვანილი იქნა აფხაზეთიდანაც. ეს ოპერაცია დავალებული ჰქონდა აფხაზეთის მთავარს, გენერალ-ადიუტანტ მიხეილ შერვაშიძეს. მთავარმა ისარგებლა თავისი კარგი ურთიერთობებით ჩრდილო კავკასიელებთან და რუსული ჯარი სრულიად უდანაკარგოდ გადმოიყვანა აფხაზეთიდან სამეგრელოში [5, 278]. 1854 წელს საბრძოლო მოქმედებები გაიმართა გურიაში, შეტევა განახორციელა ოსმალთა ბათუმის კორპუსმა სელიმ ფაშას სარდლობით, ის ქუთაისის ალებას გეგმავდა. ბათუმის კორპუსმა დაიკავა ოზურგეთი, მისი მოწინავე ნაწილი ხასან ბეგის მეთაურობით დაიძრა კიდეც ქუთაისისკენ, მაგრამ პოლკოვნიკმა ნიკოლოზ ერისთავმა სოფელ ნიგოთთან ოსმალები გაანადგურა. როდესაც ამ გამარჯვების ამბავი გაიგო, ანდრონიკაშვილი ოზურგეთისკენ წავიდა, ოსმალებმაც უკან დაიხიეს და მდინარე ჩოლოქის იქითა, მარცხენა ნაპირზე გავიდნენ, დაიკავეს გამაგრებული პოზიციები, აქ სელიმ ფაშას 30-ათასიანი კორპუსი განლაგდა. მისი მოწინააღმდეგე გურიის რაზმი გაცილებით მცირე რაოდენობისა იყო, დაახლოებით ათიათასამდე. ოზურგეთის ახლოს მდებარე ექადას მთიდან კარგად ჩანდა მოწინააღმდეგის განლაგება, რაც დაწვრილებით შეისწავლა გენერალმა ანდრონიკაშვილმა, დაამუშავა ბრძოლის გენერალური გეგმა და 4 ივლისს ამ გეგმით ჩატარდა დიდი საბრძოლო ოპერაცია ჩოლოქთან. ბრძოლაში პირველი ჩაება გურიის ქვეითი რაზმი თავდგირიძისა და მაჭავარიანის მეთაურობით [6, 202-203]. გურიის რაზმში 1854 წლის მარტისათვის სულ 10 ბატალიონი, ორი ასეული რეგულარული ჯარი და 40 ასეულამდე სახალხო მილიცია ითვლებოდა. მოსალოდნელი იყო შემოტევა სოხუმ-კალედან და ბათუმიდან, ასევე ახალციხიდან ოსმალთა გადმოსვლა. ამის გამო, ივანე ანდრონიკაშვილმა საჭიროდ ჩათვალა მჭიდრო კავშირის დამყარება ახალციხისა და გურიის რაზმებს შორის. მან ბრძანა წესრიგში მოეყვანათ იმერეთ-ახალციხის დამაკავშირებელი გზა. ამ გზის დაცვა ქუთაისის მცხოვრებლებს დაევალიათ.

ზამთრის განმავლობაში, ახალციხესთან განადგურებული რაზმის ნაცვლად, ოსმალებმა 34-ათასიანი კორპუსი შეადგინეს, რომელიც საუკეთესო მებრძოლებისაგან იყო შედგენილი. მას სელიმ ფაშა მეთაურობდა. იგი ბათუმიდან უნდა შემოჭრილიყო გურიაში, ამავე დროს, ყარსში დაბანაკებული ანატოლიის 60-ათასიანი კორპუსი ალექსანდროპოლს ემუქრებოდა, ხოლო ბაიაზეთიდან თურქებმა ძლიერი რაზმი წამოსწიეს წინ, ერევნისაკენ. ამ ჯარებს თავი თბილისში უნდა მოეყარათ, ამიტომ, კავკასიის კორპუსი იძულებული იყო სამი მხრით ებრძოლა.

როდესაც ოსმალები ბათუმიდან ქობულეთში გადმოვიდნენ, ანდრონიკაშვილმა დატოვა ოზურგეთი და ჯარი რიონის ორივე ნაპირზე, აკეთის სიმაღლეებთან დააბანაკა. მთელი გურია სახალხო მილიციაში შედიოდა და იარაღდებოდა. შეკვეთილში დაღუპული გიორგი გურიელის ძმამ – სახალხო მილიციის მეთაურმა მალაქია გურიელმა რაზმელები სოფელ მაკვანეთში დააბანაკა. სელიმ ფაშა ვერ ბედავდა მდინარე ჩოლოქის გადალახვას, მაგრამ როდესაც მოახსენეს, რომ ინგლის-საფრანგეთის ომში ჩაბმის გამო რუსეთი აპირებდა ჯარის გაყვანას დასავლეთ საქართველოდან, გადმოლახა ჩოლოქი და ოზურგეთში შევიდა. ეს სატყუარა იყო და ამის შესახებ ხმა ივანე ანდრონიკაშვილმა განგებ, ოსმალთა დასაბნევადა და ქვეყნის სიღრმეში შემოსატყუებლად დაარხია. ოსმალებს მოჰყვნენ საქონლით დატვირთული ინგლისელი ვაჭრები, მაგრამ გურიის სახალხო მილიციამ დაიწყო ფარული შეტევები, რითაც მტერს დიდი ზიანი მიაყენა. მილიცია სისტემატურად აწვდიდა ცნობებს რეგულარულ ჯარს ოსმალთა ადგილსამყოფელისა და გადაადგილებების შესახებ. ასეთი ცნობა მიანოდა მალაქია გურიელმა სარდლობას მონინაალმდევის განლაგებაზე სოფელ ნიგოთთან. რაზმს სათავეში ედგა ჰასან-ბეი თავდგირიძე. ეს აჭარელი ქართველი მაჰმადიანი ოსმალეთის ერთგულ მსახურად და რუსეთის მხარეზე მებრძოლ თანამემამულეთა წინააღმდეგ შეუბრალებელ მებრძოლად ქცეულიყო. საქართველოს დამპყრობელი ორი იმპერია – ოსმალეთი და რუსეთი საკუთარი დამპყრობლური მიზნებისათვის იბრძოდა, ქართველ ხალხს და ქვეყანას შუაზე ხლეჩდა და თანამომძებებს ერთმანეთს უპირისპირებდა. 27 მაისს სოფელ ნიგოთთან ნიკოლოზ ერისთავმა დაამარცხა ოსმალთა ჯარი და უკან მისდია, რაზმს ჰასან-ბეი ხელიდან დაუსხლტა, თავი შემოუარა და უეცრად დაესხა თავს ერისთავის მებრძოლებს. მიუხედავად მოულოდნელობისა, ერისთავის მებრძოლებმა მამაცურად შეუტყეს მტერს და უკუაქციეს. ჰასან-ბეის გაქცევა სურდა, მაგრამ გურულმა აზნაურმა ერასტი ჭყონიამ მას ხმლის ერთი მოქნევით მო-

აჭრა თავი და ანდრონიკაშვილს მიართვა. ნიგოთთან ოსმალთა დამარცხების შემდეგ, ანდრონიკაშვილი ოზურგეთს უტყვეს, მაგრამ სელიმ ფაშა უკვე აღარ იყო ოზურგეთში, ის ჩოლოქთან იდგა.

ანდრონიკაშვილის განკარგულებაში იყო 11 ბატალიონი ქვეითი რეგულარული ჯარით, დონელი კაზაკების 4 ასეული, გურიის 6 ქვეითი რაზმი, იმერეთის მილიციის 6 ქვეითი და 5 ცხენოსანი ასეული, რომლის ერთ-ერთ ასეულს 75 წლის ქაიხოსრო მიქელაძე სარდლობდა. ეს სახელგანთქმული ადამიანი იყო და მთლიანად მიქელაძეების გვარისაგან ჰქონდა შედგენილი ასეული. ფიციც დასდო ბრძოლის წინ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდა და მტერს დაამარცხებდა.

ანდრონიკაშვილის ცხენოსანი კორპუსი შედგენილი იყო საგანგებოდ განწვთნილი ცხენოსნებისაგან, რომელთა უფროსი – გიორგი ჯანდიერი „დროშა – გიორგის“ სახელით იყო ცნობილი. პირველი ასეული შედგებოდა საქართველოს ოსი მოსახლეობისაგან, რომელსაც გიორგი მაჩაბელი ედგა სათავეში. მათ წითელი ფაფახები ეხურათ. მეორე ასეული – თეთრფაფახებიანი, სიღნაღის მაზრის მცხოვრებნი იყვნენ და მათ ზაქარია ანდრონიკაშვილი სარდლობდა. მესამე ასეული თელავის მაზრის წარმომადგენლები იყვნენ, მათ მოყვითალო-ოქროსფერი ფაფახები ეხურათ და ასეულს ნიკო ჭავჭავაძე („დიდი ნიკო“) ედგა სათავეში. მეოთხე ასეული შედგებოდა თბილისისა და გორის მაზრის მცხოვრებლებისაგან და მეთაურობდა დავით ვახანიშვილი, ეხურათ ცისფერი ქუდები. მეხუთე ასეულში იყვნენ თუშები და ფშავლები, ატარებდნენ შავ ნიშანს, შავ თუშურ ქუდეებს, მათი მეთაური იყო განსაკუთრებული სიმამაცით გამორჩეული ელისაბერიძე. მეექვსე ასეულში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი გვარების წარმომადგენელი თავადაზნაურობა შედიოდა და მას გიორგი ერისთავი სარდლობდა. ლაშქარს თეთრ ცხენზე ამხედრებული გოლიათი – ბოდბისხეველი ნატროშვილი მიუძღვებოდა. მას ხელში შავი დროშა ეჭირა. მნახველები მოხიბლულნი რჩებოდნენ ქართული ცხენოსანი ჯარის წყობითა და გარეგნული იერით.

ანდრონიკაშვილის გურულმა რაზმმა ჩოლოქთან მტრის პირდაპირ დაიკავა პოზიცია. ბრძოლა საარტილერიო ცეცხლის გაბედული იერიშით დაიწყო. ამის შემდეგ უნდა ჩაბმულიყო ბრძოლაში ორი კოლონა გენერლების – მეიდელისა და ბრუნერის მეთაურობით. მეიდელი სწრაფად ჩაება საბრძოლო ბატალიაში, ბრუნერი კი იგვიანებდა, რამაც ბრძოლის ბედი ბუნებურად დაკვიდა. მეიდელის კოლონა მოწყვეტილი აღმოჩნდა თავისიანებისაგან, რამაც ბრძოლის ბედი კრიტიკული გახადა. გათამამებული ოსმალები მთელი ფრონტის ხაზით გადმო-

ვიდნენ შეტევებზე, მაგრამ ანდრონიკაშვილი არ დაიბნა, მან სასწრაფოდ ჩააბა ბრძოლაში ცხენოსანი კავალერია. მასში შედიოდა იმერეთის ცხენოსანი ჯარი, რომელსაც ქაიხოსრო მიქელაძე მეთაურობდა, ასევე, დონის კაზაკთა ასეულები პოლკოვნიკ ხარიტონოვის მეთაურობით. დონის კაზაკები მტრის მონინავე რაზმში შეიჭრნენ, მიქელაძემ კი მარჯვენა ფლანგიდან შემოუარა და ზურგიდან დაესხა მტერს. ქართულმა ლაშქარმა ისეთი თავბრუდამხვევი სისწრაფე გამოავლინა, რომ ველარ მოზომა, მტრის სიღრმეში შესული ასეულის მეთაურები – დავით ვახვახიშვილი და ზაქარია ანდრონიკაშვილი თურქთა მახვილებზე წამოეგენ და ბრძოლის ველზე დარჩნენ. ყირიმის ომში ზუთი ძმა ვახვახიშვილი დაიღუპა, დავითი მეხუთე იყო [6,204]. ამ ბრძოლაში დაიღუპა იმერეთის მილიციის სახელოვანი მეთაური ქაიხოსრო მიქელაძე. ბრძოლის ველზე დარჩა დონის კაზაკთა პოლკის მეთაური – ხარიტონოვიც.

ანდრონიკაშვილმა, კავალერიასთან ერთად, ბრძოლაში ჩართო ჯარის სხვა ნაწილებიც. სისხლისმღვრელ ხელჩართულ ბრძოლაში ქართველმა გენერალმა სრულ გამარჯვებას მიაღწია. ოსმალებს გამოდევნებულ ქართულ ლაშქარს ხელთ ჩაუვარდა სელიმ ფაშას მიტოვებული უამრავი ნადავლი. მისი 35 ათასიანი ჯარი, ე. წ. ბათუმის კორპუსი, ანდრონიკაშვილის 10-ათასიანი ჯართან სამარცხვინოდ დამარცხდა. თავად სელიმ ფაშა რამდენიმე მხლებელთან ერთად ქობულეთში გაიქცა. ჩოლოქთან ბრძოლამ ჩაფუშა ომის მესვეურთა გეგმები – ახალციხიდან დაძრული ოსმალთა ნაწილები სურამის ქედის გადავლის შემდეგ უნდა შეერთებოდა სელიმ ფაშას ბათუმის კორპუსს.

ჩოლოქთან ბრძოლის ეპოპეას მოკლე მოხსენებით ბარათში დიდ შეფასებას აძლევდა გენერალი ანდრონიკაშვილი. ამ მოხსენებას ის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელს – რეადეს წერდა. გენერალი საუბრობდა იმაზე, რომ ქართველი მეომრები რეგულარული არმიის მებრძოლი ღირსეული პატრიოტები იყვნენ, რომ „საქართველოს ყველა კუთხის მოლაშქრენი საშიში იყვნენ მონინალმდევისათვის არა მარტო მაშინ, როდესაც მტერი უკან გარბოდა, არამედ გამარჯვების მოპოვებამდეც. მილიციელების ხმლები სალდათების ხიშტებთან ერთად მუშაობდნენ. მეთაურიდან დაწყებული უკანასკნელ ჯარისკაცამდე დამთავრებული ყველამ პირნათლად მოიხადა თავისი ვალი.“

ნიგოითთან და ჩოლოქთან ბრძოლების შემდეგ, პეტერბურგში გაიგზავნა ამ ბრძოლების ერთ-ერთი გმირი, პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ ერისთავი. მას იმპერატორისთვის უნდა მოეხსენებია გამარჯვე-

ბათა შესახებ. პეტერბურგში ერისთავს პოლკოვნიკობა უბოძეს, ფლიგელ-ადიუტანტად დანიშნეს და წმინდა გიორგის მეოთხე კლასის ორდენით დააჯილდოვეს, გენერალ-ლეიტენანტ ივანე ანდრონიკაშვილს კი ალექსანდრე ნეველის ორდენი მისცეს.

ჩოლოქთან ბრძოლის შემდეგ მიწერა წერილი ანდრონიკაშვილს ყოფილმა მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა. აი, რას წერდა რუსი დიპლომატი და საქართველოში გამორჩეული ავტორიტეტის მქონე მოხელე უკვე დიდი ხნის ნაცნობ და მისთვის პატივსაცემ ქართველ გენერალს: „ძვირფასო თავადო ივანე მალხაზის ძე! ვჩქარობ, რათა გულითადად მოგილოცოთ ახალი ბრწყინვალე წარმატება და სელიმ ფაშას სრული განადგურება... დიდება და პატივი თქვენ და თქვენს თანამებრძოლებს, რომელთა თქვენდამი სიყვარული და ნდობა საფუძვლად უდევს ასეთ დიდ საქმეებს, ვხარობ თქვენი გამარჯვებით და ამჟამად ყველგან სახელგანთქმული საქართველოს სახელით, რომლის დიდებას ასე კარგად უწყობთ ხელს...“

ზეიმითა და დიდი სიყვარულით შეეგებნენ გენერალ ანდრონიკაშვილს ქუთაისში, მას მართავს ბრძოლის ველიდან ჩამოტანილი ნადავლი ქვემეხები, რომლებზედაც სულთან აბდულ მეჯიდის სახელები ეწერა.

ჩოლოქთან ბრძოლისას შეატყობინეს ანდრონიკაშვილს კახეთზე შამილის თავდასხმის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნა არა მარტო კახეთს, არამედ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს. შამილი 12-ათასიანი ლაშქრით შეიჭრა კახეთში, მისმა მეომრებმა გაძარცვეს წინანდალი, დაატყვევეს დავით ჭავჭავაძის ცოლ-შვილი, ბაშკადიკლართან დაღუპული ილია ორბელიანის მეუღლე, ძირითადად ქალები, რომელთა შორის იყო ფრანგი გუვერნანტი ქალი ანა დრანსე, რომელმაც საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ ამ მოვლენის ამსახველი წიგნი დაწერა (წიგნი ნათარგმნია ქართულ ენაზე). ალექსანდროპოლის კორპუსის მისამარებლად და შამილის წინააღმდეგ გენერალი ანდრონიკაშვილი სასწრაფოდ დააბრუნეს თბილისში, მაგრამ მას შამილის შემოტევა უკვე მოგერიებული დახვდა. უფრო სწორად, შამილს შეეშინდა სრული განადგურების და სასწრაფოდ გაეცალა კახეთს.

თბილისი განსაკუთრებული ზეიმით დახვდა ჩოლოქის გმირს. შეხვედრა იმავე საბურთალოს მოედანზე მოეწყო, სადაც ადრე, ახალციხიდან დაბრუნებულ ანდრონიკაშვილს შეეგებნენ. მას მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი – რეადე დახვდა. 8 ივლისს თბილისში ჩამოიტანეს და მეფისნაცვლის სასახლეში გამოფინეს ჩოლოქის ბრძოლის მთელი ნადავლი.

**ყირიმის ომში დამარცხებული რუსეთის იმპერიისთვის კავკასიის**

ფრონტზე გამარჯვება განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო. ყირიმში რუსული არმიისა და ფლოტის სამარცხვინო მარცხი კავკასიის ფრონტზე გამარჯვებამ გაანელა და რუსეთს კავკასიაში ბატონობა შეუნარჩუნა. ამ გამარჯვებასა და იმპერიულ მონაპოვარში კი უდიდესი იყო ქართველ მეომართა წვლილი. ქართველ მეთაურთა შორის ერთ-ერთმა საუკეთესომ, გენერალ-მაიორმა ივანე ანდრონიკაშვილმა დიდი სამხედრო სტრატეგიული ნიჭით ოსმალთა არმიას ყველა ბრძოლაში სრული მარცხი აგემა და რუსულ იარაღს ტრიუმფალური გამარჯვება მოუტანა.

ანდრონიკაშვილის ეს დამსახურება რუსი მოხელეებისთვისაც ცხადი იყო. ამაზე მიხილ ვორონცოვის გენერალ ანდრონიკაშვილისადმი მოწერილი წერილიც კარგად მეტყველებს. ეს წერილი 1856 წლის 29 იანვარს დაიწერა: „ძვირფასო და პატივცემულო თავადო ივანე მალხაზის ძე! მივიღე 15 დეკემბერს თქვენ მიერ გამოგზავნილი თქვენი მეგობრული წერილი, გულითად მადლობას მოგახსენებთ ჩემდამი მეგობრული გრძნობისათვის, რომლითაც აღსავსეა ეს თქვენი ბარათი. ამ ცოტა ხნის წინათ გავიგე თქვენ მიერ სახელოვანი და სასარგებლო სამსახურის დატოვება, მეტად შევწუხდი, მაგრამ თქვენ იმდენად კარგად გიცნობთ, რომ დარწმუნებული ვარ, ამ გადაწყვეტილებას საპატიო მიზეზი ჰქონდა, სამოღვაწეო ასპარეზიდან თქვენი წასვლა დროებითია და რომ საქართველო თქვენ კვლავ გიხილავთ თავის სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში. ღმერთმა ჰქნას, რომ დროებითა სიმშვიდემ ძალა დაგიბრუნოთ, რათა კვლავ გამოსადეგი იყოთ სამშობლოსათვის. მანამდე თქვენ მაინც სარგებლობას მოიტანთ და საქართველოში სამოქალაქო ცხოვრებით და სამშობლოსადმი ერთგულებით სამაგალითო და ყველგან ერთი პირველთაგანი პატივცემული ადამიანი იქნებით. აი ჩემი თქვენდამი ჭეშმარიტი დამოკიდებულება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ აქ გამოხატულია მთელი ჩემი გრძნობა. მე ყოველთვის მახსოვს და არასოდეს დავივინწყებ 1853 წლის ომის დასაწყისში თუ როგორ დასთანხმდით სათავეში ჩადგომოდით ახალციხისკენ სალაშქროდ დაძრულ ჯარებს. მაშინ თურქებზე ბრწყინვალე გამარჯვებით თქვენ გზა გაუხსენით ყველა შემდგომ წარმატებას, რომლებმაც განამტკიცეს ჩვენი მდგომარეობა და გამარჯვებული გამოგვიყვანეთ. მადლობას გიხდით, რომ გახსოვთ ჩემი მეუღლე, იგი გულითად ჯანმრთელობას და ყოველივე კეთილს გისურვებთ. მას, ჩემთან ერთად, ყოველთვის ახსოვს საქართველო და მუდამ მასზე ლაპარაკობს, რომელიც ჩვენ ასე გვიყვარს; შეიძლება ითქვას, რომ ამავე დროს, მხურვალედ გვიყვარს მისი ყველა თავადი, აზნაური და მთელი ხალხი. ჩვენ ყოველთვის ვლოცულობთ თქვენი ღვთაებრივი მხარის კეთილდღეობასა და წარმატებებზე.“

დიახ, ეს მხარე და ეს ხალხი ეხმარებოდა რუსეთს იმპერიული საზღვრების სამხრეთით გადმონევაში, აქაური გენერლები, რომელთაც ასე ფართოდ უხსნიდნენ გულს და შიგ ნადებ სიყვარულს ასე წრფელად უმყლავნებდნენ, აჩოქებდნენ კავკასიას რუსის ფეხებთან, მათი საშუალებით ამარცხებდნენ სპარსეთისა და ოსმალეთის არმიებს, უფრო გვიან კი, ამ ერის შვილებმა რუსეთის იმპერიის საზღვრები კიდევ უფრო გააფართოვეს... ქვეყნიერების ამ კუთხეს რომ განსაკუთრებული მოფრთხილება და მოფერება ჭირდებოდა, ამას ყველაზე კარგად სწორედ ვორონცოვი მიხვდა. ჯერ კიდევ საქართველოში ახლად ჩამოსული ეს მოხელე 1846 წელს წერდა იმპერატორ ნიკოლოზ პირველს: „ყოველი ახალი ცვლილება და ყოველი ახალი საქმე, რომელიც ცვლის საუკუნოვან ადათებს, მეტისმეტად ძნელი გასატარებელია ყველგან, განსაკუთრებით აქაურ მხარეში და ამიტომ მსგავს შემთხვევაში უნდა ვიმოქმედოთ დიდი სიფრთხილით. ძალდატანებითი ზომები არათუ მოიტანენ სიკეთეს, მათ შეიძლება ჰქონდეთ ძალიან ცუდი შედეგები...“ [7, 209]. ამგვარი დიპლომატიც კი გასცდა დიპლომატიურ ეტიკეტს და მოჩვენებით ურთიერთობებს და ქართველი არისტოკრატიისადმი, მთლიანად ჩვენი ხალხისა და კულტურისადმი ნამდვილი სიყვარული და პატივისცემა გამოამჟღავნა. ივანე ანდრონიკაშვილი ჩვენი ხალხის ერთ საუკეთესო წარმომადგენლად მიაჩნდა ამ რუს მოხელეებში გამორჩეულ ადამიანს.

ყირიმის ომის შემდეგ ანდრონიკაშვილი თბილისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობას დაუბრუნდა, თუმცა ამ თანამდებობაზეც არ გაჩერებულა დიდხანს, პირადი თხოვნით განთავისუფლდა თანამდებობიდან და თავის მამულს დაუბრუნდა კახეთში. მან ბევრი რამ გააკეთა მამულში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტექნიკის შეტანის თვალსაზრისით, გაიყვანა 20-კილომეტრიანი სარწყავი არხი მდინარე იორიდან, არხზე მოაწყო ორი ნისქვილი; ევროპიდან გამოიწერა სალენი მანქანა, ახალი, გაუმჯობესებული გუთანის, სხვადასხვა მცენარეების თესლი. გააშენა თუთის ხეები და წარმატებით განავითარა მებაღეობა. მან ბევრი იმუშავა მევენახეობის გაუმჯობესებასა და ღვინის დაყენებაზე, გააუმჯობესა მსხვილფეხა საქონლის ჯიშები, მოაშენა ცხენების საუკეთესო ჯოჯი.

ანდრონიკაშვილის მამული კახეთში ერთ-ერთი მოწინავე და რაციონალურ საწყისებზე აგებული მეურნეობა იყო. გენერალმა იგი ვაჟიშვილ არჩილს გადასცა, თავად კი მამულის მთავარი მეთვალყურის როლი იკისრა. ახარებდა 4 შვილიშვილის მომავალზე ფიქრი, ეამაყებოდა ერთადერთი ვაჟის ნიჭიერებას. 1864 წელს გენერალ ანდრონიკაშვილს სამხედრო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაუხადეს და

კავალერიის გენერლის ჩინიც ებოძა. დამსახურებისათვის იმპერატორმა მამულებიც აჩუქა სტავროპოლის გუბერნიაში. იუბილე, რომელიც თბილისში მოეწყო, გრანდიოზული გამოდგა. წარმოითქვა მრავალი გულთბილი სიტყვა. იუბილარს მისასალმებელი დეპუტები მოუვიდა რუსეთის ქალაქებიდან, განსაკუთრებით ბევრი დეპუტატი ტერბურგიდან იყო. უკვე დაავადმყოფებული გენერალი კახეთის მამულში წავიდა და სარეცელს მიეჯაჭვა. პოტო წერს, რომ ამ იუბილედან და კავალერიის გენერლის ჩინის მიღებიდან, ივანე ანდრონიკაშვილი რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. გარდაცვალების თარიღად იგი 1868 წლის 19 სექტემბერს ასახელებს, მკვლევარი შანშე მეგრელი კი გენერლის მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ნარკვევებში ასახელებს 1868 წლის 19 ოქტომბერს. მეგრელიც ამ დროს მის ასაკს 75 წლით საზღვრავს, რაც ეწინააღმდეგება მის მიერვე დასახელებულ გენერლის დაბადების თარიღს – 1798 წელს. თუ ეს თარიღი სწორია, მაშინ ივანე ანდრონიკაშვილი 70 წლის უნდა გარდაცვლილიყო. პოტოს თქმით, გენერლის გარდაცვალება მისმა პირადმა ტრაგედიაში გამოიწვია, ეს საყვარელი ვაჟის – არჩილის მოულოდნელი გარდაცვალება იყო ყუბანში [8, 166].

ანდრონიკაშვილის ვრცელი და კარგად აწყობილი მამული დიდხნის მანძილზე გადადიოდა ხელიდან ხელში. მისი ერთი ნაწილი რუსი გადმოსახლებულების ხელშიც მოხვდა XX საუკუნის დასაწყისში. საუკუნოვანი პოლიტიკური და სოციალური ბატალიების პირობებში ყველაფერი მატერიალური დაინგრა, სულიერი კი – გადარჩა. ჩვენი ქვეყნის სულიერი მონაპოვარი საუკუნეების მანძილზე მრავალმხრივია, მათ შორის არის ის დიდი სამხედრო ნიჭი და ხელოვნება, რითაც უზარმაზარ რუსეთის იმპერიაში სახელგანთქმული ეს რჩეული გენერალიც ხასიათდებოდა.

#### დამონებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სიმონ ქვარიანი, საქართველოს ისტორია, XVIII–XIX სს., ქუთაისი, 1918.
2. შანშე მეგრელიძე, ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბილისი, 1979.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 240, აღწერა 2, საქმე 31.
4. მამია დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბილისი, 1953.
5. ე. ბურჭულაძე, ყირიმის ომი და საქართველო, თბილისი, 1960.
6. ეთერ ორჯონიკიძე, ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბილისი, 1970.

ქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბილისი, 1970.

7. აბელ კიკვიძე, საქართველოს ისტორია, მე-19 საუკუნე, თბილისი, 1954.

8. В. Потто, Кавказская война в отдельных очерках, эпизодах...и биографиях, т. IV, СПб, 1888.

#### Dodo Chumburidze

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief research-scientist of the Department of Modern and Contemporary History*

#### Ivane Andronikashvili - General of the Russian Army (1798 -1868)

#### Summary

Ivane Andronikashvili was one of the distinguished representatives of the 19<sup>th</sup> century Georgian aristocracy. He was a brave General of the Russian army, an outstanding, gifted commander and a popular person of his times.

Ivane Andronikashvili was a nephew of the king of Imereti, Solomon II. Solomon's wife, Ivane Andronikashvili and his parents together with queen Mariam were exiled in Russia. Queen liked her sister in law's son very much and did a lot for his upbringing. From the beginning Ivane and his family lived in Voronezh and then, in 1812 they moved to Petersburg where queen Mariam was living. He was well educated in war science and participated in many wars of Russians. Mostly he was successful in the Caucasian wars carried on by Russia. For this success he was awarded of the rank of General.

Georgian General, who served in Russian army, was mostly honored after participating in the Crimean War. For the Russian empire, that was defeated in the Crimean War, victory in the Caucasian battle-front was of most significance. The victory in the Caucasus reduced the tension of the Russian army and fleet shameful Crimean defeat and thus preserved the Russian dominance in the Caucasus. The contribution of Georgian warriors in this victory and achievement of the empire was great. One of the outstanding Georgian military leaders, Major General Ivane Andronikashvili with the help of his great talent for strategy utterly defeated Ottomans' army in all battles and gained for Russian arms a triumphant victory.

**ირინა არაბიძე**

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი

**„განახლების მოძრაობა“ რუსეთის ეკლესიაში  
XX საუკუნის 20-იან წლებში  
(ბროშურის „Что такое обновленчество“ მიხედვით)**

„განმაახლებლობა“ ანუ „განახლების მოძრაობა“ («Обновленчество», «Обновленческое движение») რუსეთის ეკლესიაში განსაკუთრებით XX ს. 20-იან წლებში გააქტიურდა, მაშინ, როცა ეკლესიის ორგანიზაციის არსებობას ათეისტი ხელისუფლების მხრიდან სერიოზული საფრთხე შეექმნა. ღვთისმსახურთა ნაწილი პატრიარქ ტიხონის (ბელავინი, 1917-1925) მეთაურობით საერო ხელისუფლებასთან მიმართებაში კომპრომისზე წასვლის წინააღმდეგი აღმოჩნდა, ნაწილმა კი პოლიტიკურ ვითარებასთან შეგუება დაისახა მიზნად. საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ სასულიერო პირთა ეს ჯგუფი „განმაახლებელთა“ სახელით გახდა ცნობილი. მათი იდეების განხორციელება რუსეთის ეკლესიას საერო ხელისუფლების გავლენაში დაბრუნებას უქადდა.

„განმაახლებელთა“ დაპირისპირება ტრადიციულ ეკლესიასთან, რომლის წარმომადგენლებსაც მაშინ „ტიხონოველებს“ ეძახდნენ, დოგმატიკისა და კანონებისადმი დამოკიდებულებაშიც გამოვლინდა.

საეკლესიო კანონების მიხედვით მართლმადიდებელი ეკლესიის საგან რელიგიურ საზოგადოებათა განდგომის სამი ძირითადი სახეა ცნობილი: ერესი, განხეთქილება და კიდევსაკრებლობა (პარასინაგოგა). მათგან ბასილი დიდის განმარტებით, ერესი ეკლესიისაგან გამოყოფის ისეთი სახეა, როცა განსხვავება არსებობს რწმენაში; განხეთქილება ეწოდება ზოგიერთ ეკლესიურ საკითხში შეუთანხმებლობას, როცა შერიგება შესაძლებელია; პარასინაგოგა კი დროებითი, შემთხვევითი თავყრილობაა. განხეთქილებას მისგან დროში ხანა

გრძლივობა და საკუთარი ორგანიზაციის არსებობა განასხვავებს. აღნიშნული ნიშნების მიხედვით „განახლების მოძრაობა“ მართლმადიდებელ ეკლესიასთან განხეთქილებაში იმყოფებოდა [1, 116].

ჩვენს მიზანს ამჯერად არ წარმოადგენს აღნიშნული საკითხის შესახებ ფართო მსჯელობა. განვიხილავთ ბროშურას, რომლის სათაურია «Что такое обновленчество», რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისათვის (ხელაია, 1921-1927) არქიმანდრიტ ლეონიდს (ანტონენკო, რეპრესირებულია 1938 წ., რუსეთის ეკლესიის მიერ შერაცხულია წმიდანად)\* 1925 წლის ივლისში გამოუგზავნია რუსეთიდან და რომელიც მანქანაზე ნაბეჭდი სახით სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივშია დაცული. ავტორი უცნობია, არქიმანდრიტი ლეონიდი კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსისადმი წერილში მის შესახებ არაფერს ამბობს [2, 175-178, 219-225].

ავტორს მიზნად აქვს დასახული, გააცნოს მკითხველს თუ როგორ წარმოიშვა „განმაახლებლობა“, რა განსხვავებაა მის მიმდევრებსა და მართლმადიდებლებს შორის და როგორ განიხილება „განმაახლებელთა“ საქმიანობა საეკლესიო კანონების თვალსაზრისით.

ბროშურის დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ რუსეთის ეკლესიაში „განახლების მოძრაობამ“ განხეთქილება 1922 წელს მოახდინა. აღნიშნულ მოძრაობას საფუძველი ჩაუყარა ოთხმა პიროვნებამ – დეკანოზებმა: ალექსანდრე ვედენსკიმ (შემდგომში „განმაახლებელთა“ მიტროპოლიტი), ევგენი ბელკოვმა, სერგეი კალინოვსკიმ და მედავითონე სტადნიკმა. მათ ისარგებლეს პატრიარქ ტიხონის პატიმრობით, შეცდომაში შეიყვანეს საზოგადოება, თითქოს საჭეთმპყრობელმა უფლებამოსილება მათ გადასცა და მიიტაცეს სასულიერო ხელისუფლება. სინამდვილეში, პირველიერარქის რეზოლუციით, ამ ჯგუფს ნება ეძლეოდა, მიეღო სინოდის საქმეები და პატრიარქის მოადგილისათვის გადაეცა, როცა ის მოსკოვში ჩავიდოდა [2, 219; 3, 91].

რუსულ ისტორიოგრაფიაში „განახლების მოძრაობის“ წარმოშობასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ისტორიკოსთა ნაწილი (დეკანოზი ვლადისლავ ციპინი, დიაკონი გიორგი ორეხანოვი, მიხეილ შკაროვსკი და სხვები) თვლის, რომ „განახლების მოძრაობა“ რუსეთში XIX საუკუნის შუა წლებში მართლმადიდებელი ეკლესიის რეორგანიზებისათვის დაწყებული ფრიად აუცილებელი პროცესის გაგრძელებას, მაგრამ ჭეშმარიტების გზიდან გადახვევას წარმოადგენდა. ზოგი მეცნიერი (სერგეი ტროიციკი, ილია სოლოვიოვი, ალექ-

\* არქიმანდრიტ ლეონიდის გვარი დაადგინა და მის შესახებ ინფორმაცია მოგვანოდა გიორგი მარუნიშვილმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

სანდრე კრავეცკი, დიმიტრი პოსპელოვსკი) უგულუბელყოფს „განმაახლებელთა“ კავშირს ზემოაღნიშნულ პროცესთან.

განსახილველი ბროშურის ავტორი ამ უკანასკნელთა აზრს იზიარებს. ჩვენ კი პირველთა შეხედულებას ვემხრობით [4, 29-33].

ბროშურაში მოკლედია აღწერილი „განმაახლებელთა“ შემდგომი მოქმედებები: მათ სასწრაფოდ ჩამოაყალიბეს უმაღლესი საეკლესიო მმართველობა (ВЦУ) და ჯგუფი „ცოცხალი ეკლესია“. ამ უკანასკნელის გაუქმების შემდეგ ეკლესიაში არსებული განხეთქილება არსებობას „განმაახლებელთა“ სახელით განაგრძობდა. მათ ძალაში დატოვეს ჯგუფ „ცოცხალი ეკლესიის“ პროგრამის დებულებები [2, 119].

დასახელება „ცოცხალი ეკლესია“ შემდგომში „განახლების მოძრაობის“ სინონიმადაც იხმარებოდა.

„განახლების მოძრაობის“ შეცოდებათაგან ბროშურის ავტორს ყველაზე მნიშვნელოვნად ეპისკოპოსთა ცოლოსნობისა და მღვდელთა მეორედ ქორწინების დაშვება მიაჩნია [2, 119].

რაც დადგენილია 7 მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ და დოგმატს არ წარმოადგენს, შეიძლება შეცვალოს მსოფლიო საეკლესიო კრებამ. „განმაახლებლებმა“ კი ეპისკოპოსთა ცოლოსნობა და მღვდელთა მეორედ ან ხელდასხმის შემდეგ ქორწინების შესაძლებლობა თვითნებურად შემოიღეს და ცხოვრებაშიც გაატარეს. 1923 წლის კრებაზე უკვე გამოცხადდნენ ცოლიანი ეპისკოპოსები და ხელდასხმის შემდეგ ჯვარდანიერილი მღვდლები [2, 219].

მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონების (მოციქულთა 34-ე და 39-ე, აგრეთვე ანტიოქიის კრების მე-20) მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენდა „ობნოვლენცთა“ მიერ 1923 და 1925 წლებში ჩატარებული კრებები, რომლებსაც თვითონ საეკლესიო კრებას უწოდებდნენ.

დარღვევათაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ კრებები მოწვეული იყო პირველიერარქის ნებართვის გარეშე.

აღნიშნულ საკითხზე „განმაახლებელთა“ განმარტება ასეთი იყო: თუ კრება უკანონოდ ითვლება უხუცესის (ამ შემთხვევაში პატრიარქის) თანხმობისა და დასწრების გარეშე (მოციქულთა 34-ე კანონი), მისი სასამართლო ვერასდროს შედგება, ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმემ დართოს თავისი გასამართლების ნება.

„ობნოვლენცთა“ განმარტებით, მოციქულთა 34-ე, 39-ე და ანტიოქიის კრების მე-20 კანონები გულისხმობდა საეკლესიო საქმეთა მშვიდობიან დინებას და არა ისეთ შემთხვევებს, როცა საქმე პატრიარქის ან მიტროპოლიტის განსჯას ეხებოდა. ამ კანონთა დარღვევაზე მითითება ყოფილ პატრიარქ ტიხონის გასამართლებასთან დაკავშირებით

პირებით არასწორი იყო [2, 240]. მათივე მითითებით, 1923 წლის კრების და სინოდალური იერარქიის გამოცხადება უკანონოდ მხოლოდ იმიტომ, რომ კრება პატრიარქისა ან მისი მოსაყდრის ნებართვის გარეშე იყო მოწვეული, საეკლესიო კანონების დაცინვას წარმოადგენდა. სინოდალურმა იერარქიამ ეკლესიის მართვის უფლება ადგილობრივი კრებისაგან (იგულისხმება 1923 წ. კრება – ი.ა.) მიიღო. ეს კრება კი, მათი აზრით, სრულიად კანონიერად იყო მოწვეული უმაღლესი საეკლესიო მმართველობის მიერ, რომელიც საეკლესიო მმართველობისაგან პატრიარქ ტიხონის ჩამოშორების შედეგად ჩამოყალიბდა (III მსოფლიო საეკლესიო კრების მე-9 კანონი, ორჯერადი კრების მე-16 კანონი).

ანტიოქიის კრების XX კანონის თანახმად არავის აქვს უფლება თვითნებურად, ეპისკოპოსის გარეშე კრების მოწვევისა. წმ. ეკლესიაში ნებადართულია მხოლოდ ის, რაც კურთხეულია სასულიერო ხელისუფლების მიერ, რომელიც მემკვიდრეობითაა გადმოცემული მოციქულთა დროიდან. ამიტომ, წმ. ეკლესიის კანონების თანახმად, კრებები, რომლებიც „განმაახლებლებმა“ მოიწვიეს, უკანონო იყო. ისეთ კრებებზე დასწრება საეკლესიო კანონებით იკრძალებოდა [2, 262v].

„განმაახლებლები“ ამაცობდნენ იმით, რომ 1923 წლის კრებას, რომელსაც ოპონენტები თვითნებურს უწოდებდნენ, ესწრებოდა 70-ზე მეტი ეპისკოპოსი და 300-ზე მეტი სასულიერო და საერო პირი; კრება აღიარებული იყო მსოფლიო საპატრიარქოს მიერ და მისი დადგენილებანი სხვა კრებას არ გაუსამართლებია [2, 240].

„ობნოვლენცთა“ მიმართ მართლმადიდებელი იერარქების დამოკიდებულების შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ, ახლა კი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ 1923 და 1925 წლების კრებების შემადგენლობის უკანონობაზე.

თვითნებურად ნაკურთხად ითვლება ის იერარქია, რომელიც უკანონო გზით აღმოცენდება. „განმაახლებელთა“ განმარტებით, მათი იერარქები მიტროპოლიტ პეტრესა (პოლიანსკი, პატრიარქის მოსაყდრე) და მის თანამოძმეთა მსგავსად ძველად ნაკურთხი მღვდელმთავრები იყვნენ. ე.ი. არ შეიძლებოდა ლაპარაკი მათ თვითნებურად კურთხევაზე და იმაზე, რომ ისინი მადლმოკლებული იყვნენ [2, 240].

როგორც ბროშურაში «Что такое обновленчество» არის აღნიშნული, 1923 წლის კრებაზე დამსწრე ეპისკოპოსთა ნაწილი საეკლესიო კანონების დარღვევით იყო ნაკურთხი. ციმბირელ ეპისკოპოსთა ჯგუფი ხელდასხმული იყო ცოლთან გაყრის გარეშე და ყოველი მათგანის კურთხევაში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ყოფილ ეპისკო-

პოს ზოსიმეს (სიდოროვსკი), რომელმაც 1920 წელს გაიხადა ანაფორა, უარი თქვა ბერობაზე და იქორწინა. ხოლო შემდეგ „განმაახლებელთა“ მიწვევით თავისი საერო სახელით (ალექსანდრე) დაიკავა ეპისკოპოსის კათედრა.

ციმბირელ ეპისკოპოსთა ხელდასხმის უკანონობას რომ თვითონ „განმაახლებლებიც“ აღიარებდნენ, ამის დასტურს წარმოადგენს 1923 წლის 2 მაისს, კრების დაწყების წინ ეპისკოპოს ანტონინეს (გრანოვსკი, „განმაახლებელთა“ პირველიერარქი) მიერ ცოლოსანი ეპისკოპოსების ხელმეორე ქიროტონია. თუმცა, თვითონ აღნიშნული აქტიც მოციქულთა 58-ე კანონის დარღვევა იყო [2, 220].

კრების მოღვაწეობაში უკანონობას წარმოადგენდა რეალურად უკვე განხორციელებული ეპისკოპოსთა ცოლოსნობისა და მღვდელთა მეორედ ქორწინების დაკანონება [2, 220].

„განმაახლებლები“ თავიანთი კრების გადაწყვეტილებებს ამართლებდნენ იმით, რომ საეკლესიო პრაქტიკაში მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არსებობდნენ ცოლიანი ეპისკოპოსები და მეორედ ჯვარდანიერი მღვდლები [2, 220].

ასეთ შემთხვევებს ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში მართლაც ჰქონდა ადგილი. მოციქულთა ხანაში ეპისკოპოსებს რომ ცოლის ყოლა არ ეკრძალებოდათ, ამის დასტურს წარმოადგენს პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ (1 ტიმ. 3, 2); მაგრამ „განმაახლებლები“ არაფერს ამბობდნენ 691 წ. VI მსოფლიო საეკლესიო (ტრულის) კრების მე-12-ე კანონის შესახებ, რომელმაც ეპისკოპოსთა ცოლოსნობა აკრძალა „არა დასახსნელად და დასარღუეველად სამოციქულოთა სჯულის-დებათა, არამედ ვითარცა მაცხოვარებასა და უმჯობესისა მიმართ წარმატებასა ერისასა“ [5, 377]. დადგენილებანი ცოლოსანი ეპისკოპოსებისა და მღვდელთა მეორედ ქორწინების აკრძალვის შესახებ გაიზიარა VII მსოფლიო საეკლესიო კრებამ. ზემოაღნიშნულ კრებათა შემდეგ აღნიშნული აკრძალვები ყველა ადგილობრივ ეკლესიაში დაკანონდა [2, 220-221].

1923 წლის კრებამ თეთრი ეპისკოპატი შავის თანასწორად აღიარა, თუმცა კრების ორგანიზატორები მიუთითებდნენ, რომ მსგავსი ცვლილებების განხორციელება მსოფლიო საეკლესიო კრების კომპეტენციაში შედიოდა. ისინი ამასთანავე აღნიშნავდნენ, რომ კრებას ამით არ დაურღვევია საეკლესიო კანონთა არსი. „ობნოვლენცები“ განმარტავდნენ: ეპისკოპოსთა ცოლოსნობა აღდგენილია და არა ახლად შემოღებული მოციქულთა ეპისტოლეების (პავლე მოციქულის I ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ 3, 2-4), მოციქულთა მე-5 და 51-ე და კართაგენის კრების მე-3-ე კანონების თანახმად, რომელიც მსოფლიო

კრების მიერ გაუქმებული კი არა, შეჩერებული იყო. რეფორმატორები ასევე აღნიშნავდნენ, რომ ითვალისწინებდნენ აღმოსავლეთის ეკლესიათა პრაქტიკას (სადაც, მათი მტკიცებით, თეთრი ეპისკოპატი XII საუკუნემდე იყო მიღებული) და რუსეთის ეკლესიის თანადროულ მდგომარეობას: მათი აზრით, რუსი სამღვდელთა იშვიათ გამოჩენის გარდა, შავ ეპისკოპატს არ ემხრობოდა [2, 241; 5, 216, 220, 222, 293; 6, 23, 84-85, 117; 4, 41].

მოციქულთა მე-17, მე-18, VI მსოფლიო საეკლესიო კრების მე-3, მე-12, 48-ე, ბასილი დიდის მე-12 კანონები, რომლებიც კრძალავდნენ ეპისკოპოსთა ცოლოსნობას და მღვდელთა მეორედ ქორწინებას, გამოწვეული იყო მაშინ არსებული ვითარებით და შეიძლებოდა შეცვლილიყო თანამედროვე ვითარებიდან გამომდინარე. ამავე კანონებით აკრძალული იყო ხასის ყოლაც. მაგრამ თუ ადამიანის ბუნება ისეთი სუსტია, რომ უქორწინებლობას თითქმის ყოველთვის მოჰყვება უკანონო თანაცხოვრება, საეკლესიო კანონთა თვალსაზრისით, მეორედ კანონიერი ქორწინება უფრო მისაღები უნდა იყოს, ვიდრე უკანონო თანაცხოვრება. ამ შემთხვევაში „განმაახლებლების“ მითითებით, მათ ნაკლები ბოროტება აირჩიეს. ისინი თავის გასამართლებლად იხსენებდნენ, რომ ჯერ კიდევ 1904-1905 წლებში სასულიერო პირთა მეორედ ქორწინების დაშვებას რეკომენდაციას უწევდა მთავრეპისკოპოსი სერგი (სტრაგოროდსკი) [2, 241].

„განმაახლებელთა“ 1923 წლის კრების დადგენილებანი დაადასტურა 1925 წლის კრებამ.

ეპისკოპოსთა ცოლოსნობისა და მღვდელთა ქორწინების აკრძალვის დროებითობა, რის შესახებაც რეფორმატორები საუბრობდნენ, მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონებში აღნიშნული არ არის. თვითონ „განმაახლებლებიც“ კი აღიარებდნენ, რომ 1923 წ. კრების გადაწყვეტილებათა სამართლიანობის დადგენა კრების საქმე იყო და არა ცალკეული ადამიანებისა [2, 241].

ეპისკოპოსთა ცოლოსნობისა და სასულიერო პირთა ქორწინების დაშვებით „განმაახლებლებმა“, როგორც პატრიარქ ტიხონის მოსაყდრე პეტრე აღნიშნავდა, კავშირი განწყვიტეს წმ. საეკლესიო გადმოცემებთან და ამის გამო საეკლესიო კრების სასამართლოზე უნდა წარმდგარიყვნენ [2, 263].

„განახლების მოძრაობის“ მხრიდან უკანონობას წარმოადგენდა, აგრეთვე, პატრიარქ ტიხონის გასამართლება, მისთვის ხარისხის ჩამორთმევა და ბერობის აკრძალვა.

„ობნოვლენცთა“ მითითებით, საეკლესიო კანონებში პატრიარქის განსაკუთრებული უფლებები განსაზღვრული არ არის. მოციქულ-



თა 34-ე კანონით ყველა ეპისკოპოსი უნდა ცნობდეს მღვდელმთავართა შორის პირველს და თავის უფლებებს არ აჭარბებდეს მისი ნებართვის გარეშე. ასევე, პირველიც ყველას აზრის გათვალისწინებით უნდა მოქმედებდეს. ეს კანონი გულისხმობს საეკლესიო საქმეებზე საყოველთაო (კრებით) გადაწყვეტილებათა მიღებას. სწორედ ეს არ გაითვალისწინა ყოფილმა პატრიარქმა, რომელმაც არა მარტო კრების გარეშე გადაწყვიტა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, არამედ კრების გარეშე უარყო 1923 წლის კრების დადგენილებანი [2, 240].

„განმაახლებელთა“ მიერ 1923 წლის კრების თვითნებურად მოწვევის გამამართლებელი საბუთები ასეთი იყო: 1917-1918 წლების სრულიად რუსეთის I ადგილობრივი საეკლესიო კრების დადგენილების მიხედვით, პატრიარქი მისი გასამართლების შემთხვევაში ექვემდებარებოდა სინოდის მიერ მოწვეული კრების სასამართლოს. ეს, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო პატრიარქის კურთხევის გარეშე, სხვა შემთხვევაში სასამართლო არასდროს შედგებოდა. ეკლესიის ისტორიაში არაერთხელ ყოფილა ადგილობრივი კრების მიერ პირველიურარქთა გასამართლების შემთხვევა. კონსტანტინოპოლის პატრიარქი ეგნატე, რუსეთის ეკლესიის მიტროპოლიტები ისიდორე, ზოსიმე, პატრიარქი ნიკონი. ამ უკანასკნელმა, ისევე როგორც პატრიარქმა ტიხონმა, თავისი გამსამართლებელი 1667 წ. კრება თვითნებურად და უკანონოდ გამოაცხადა. მაგრამ კრებამ განაჩინი სისრულეში მაინც მოიყვანა [2, 240].

„ობნოვლენცთა“ აზრით, პატრიარქი ტიხონი მმართველობაზე უარის გამო განკვეთას ექვემდებარებოდა, მიუხედავად იმისა, რომ პირველიურარქის ჩამოშორება საქმეებისაგან გარემოებებით იყო განპირობებული. მას არ ჰქონდა უფლება მთელი საეკლესიო კრების (იგულისხმება 1923 წ. კრება – ი.ა) გადაწყვეტილება თვითნებურად და ერთპიროვნულად უარეყო. იმ შემთხვევაში თუ კრება უკანონოდ მიაჩნდა, ჰქონდა კანონიერი საშუალება მისი გადაწყვეტილება მართლმადიდებელ პატრიარქებთან გაესაჩივრებინა. ყოფილი პატრიარქის მხრიდან თავის დაყენება საყოველთაო გადაწყვეტილებაზე მაღლა, იყო თვითნებობის უდიდესი გამოვლინება. ისევე, როგორც თვითნებობას წარმოადგენდა მის მიერ სამართალმემკვიდრის დანიშვნა. როგორც 1917-1918 წლების კრებას შეეძლო პატრიარქობის შემოღება, ისე მისი გაუქმება შეუძლია სხვა კრებას. პეტრე I-ის დროს პატრიარქობა შეცვლილი იყო არა კრების მიერ, არამედ იმპერატორის ბრძანებით. პატრიარქი ტიხონი განსაზღვრული დანაშაულისთვის არის გასამართლებული კრების მიერ. რამდენად სამართლიანად, ეს უნდა განსაჯოს დიდმა კრებამ და არა მისმა უნეტარესობამ,

რომელსაც ეს უფლება არც ერთი კრებისაგან არ აქვს მინიჭებული – აღნიშნავდნენ 1923 წლის კრების ორგანიზატორები.

პატრიარქის გასამართლებასთან დაკავშირებით „განმაახლებელთა“ მიერ ჩადენილ კანონდარღვევებს ბროშურის «Что такое обновленчество» ავტორი ასე წარმოგვიდგენს:

1. მოციქულთა 74-ე კანონის თანახმად, ბრალდებული ეპისკოპოსი თავის სასამართლო პროცესს აუცილებლად უნდა დაესწროს. გასამართლება დაუსწრებლად დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ის სასამართლოზე არ გამოცხადდება 2-ჯერ მიწვევის შემდეგ. პატრიარქი ტიხონი 1923 წლის კრებაზე ერთხელაც არ მიუწვევიათ [2, 221].

2. III მსოფლიო საეკლესიო კრების I კანონის თანახმად ოლქის მიტროპოლიტის სასამართლო უნდა გაიმართოს მისი თანაბარი უფლებამოსილების სასულიერო პირთა მონაწილეობით (რუსეთის პატრიარქ ნიკონის გასამართლებას 1667 წელს აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიის 2 პატრიარქი ესწრებოდა) [2, 222].

3. პატრიარქ ტიხონის სასამართლოს არ დაუკითხავს მოწმეები, არ განუხილავს საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები, არ მოუსმენია ბრალდებულის დაცვის მხარისათვის.

4. პატრიარქის დანაშაულის შესახებ წარმოთქმული სიტყვის შემდეგ მისი ბრალდების საკითხი პირდაპირ კენჭისყრაზე დააყენეს, მიუხედავად იმისა, რომ კრების თავმჯდომარეს სიტყვის მოთხოვნა 100-ზე მეტჯერ მიუვიდა [2, 222].

„განახლების მოძრაობის“ წარმომადგენლები რუსეთში თვლიდნენ, რომ პატრიარქობა წარმოადგენდა დამარცხებული, მაგრამ არა განადგურებული შიდა თუ გარე კონტრევოლუციის ლეგალურ ცენტრს [6, 17]. მისი გაუქმების მოთხოვნისას ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად ასახელებდნენ საშიშროებას, რომელსაც საჭეთმპყრობელი უქმნიდა კრებით საწყისის – მართლმადიდებლობის განმსაზღვრელ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს. მათი აზრით, საეკლესიო ცხოვრების ძირითადი ხაზი ცალკეულ იერარქებს კი არა საყოველთაო ნებას უნდა განესაზღვრა. საყოველთაო ნების უკანასკნელ გამოვლინებად კი სწორედ 1923 წლის კრებას თვლიდნენ. ხოლო განსჯას, იყო თუ არა ეს კრება საერთო აზრის გამომხატველი, ანდობდნენ მომავალ კრებას და არა პიროვნებებს, რომლებიც მათი აზრით, კრებითი პრინციპის – ეკლესიის ძირითადი კანონის წინააღმდეგ მიდიოდნენ [2, 241].

„განმაახლებლები“ აღნიშნავდნენ, რომ ამა თუ იმ კანონთან დაკავშირებით საპაექროდ თავიანთ ოპონენტებთან შეხვედრა სურდათ კრებაზე; სურდათ პასუხების გაცემა მათ ფანატიკურ გამოხედო-

მებზე, ფარდის ახდა მათ მიერ საეკლესიო კანონების ცრუ განმარტებებისათვის [2, 241].

სინამდვილეში, საეკლესიო კანონებს სწორედ „განმაახლებლები“ განმარტავდნენ არასწორად. კრებითი საწყისი სახარების, მოციქულთა გადმოცემის, საეკლესიო კანონების თანახმად, ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობის საფუძველში ჩადებული უნდა ყოფილიყო, როგორც მისი უწყვეტი და უწყვეტი დოგმატურ-კანონიკური საფუძველი. მაგრამ პატრიარქობა კრებითი საწყისის საწინააღმდეგო იდეად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან საჭეთმპყრობელი პასუხისმგებელია კრების წინაშე.

რუსეთში პირველი საეკლესიო კრების (1917-1918 წწ.) შემდეგ პატრიარქობის აღდგენის მოწინააღმდეგე რეფორმატორი სასულიერო პირები მკვეთრად არ გაემიჯნენ საჭეთმპყრობელს მხოლოდ იმიტომ, რომ „პატრიარქობა აეფეთქებინათ შიგნიდან“ [7, 24]. მათთვის ხელსაყრელ მომენტად გადაიქცა საჭეთმპყრობლის დაპატიმრება, რის შედეგადაც ფაქტობრივად მოახერხეს როგორც სასულიერო ხელისუფლების მიტაცება, ასევე პატრიარქობის გაუქმება.

„განმაახლებელთა“ მიერ ტაძრების დაუფლება და მრევლის რაოდენობის გაზრდა ხდებოდა მორწმუნეთა შეცდომაში შეყვანის, ზოგჯერ კი საერო ხელისუფლების დახმარებით, ადგილებზე ძალისმიერი მეთოდების გამოყენების საშუალებით, რაც ასევე აკრძალულია საეკლესიო კანონებით [7, 25; 1, 127; 5, 216, 218].

„ობნოვლენცთათვის“ დამახასიათებელი იყო პატივმოყვარეობა და კარიერიზმი, რაც ვლინდებოდა ჯილდოების უხვად დარიგებაში, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სამღვდელოების ლანძღვას ისინი არ ერიდებოდნენ საეკლესიო კათედრიდანაც კი. საკუთარ თვალში დიორეს ვერ ხედავენ და სხვისი თვალიდან ბენვის ამოღებას ცდილობდნენ [2, 223].

მორიგი ბრალდება, რასაც „განმაახლებლებს“ „პატრიარქის ეკლესიის“ წარმომადგენლები უყენებდნენ, და რაზეც ყურადღებას ამახვილებს ბროშურის ავტორი, იყო ეკლესიის შესახებ მართლმადიდებლური სწავლების დამახინჯება. მაგალითად დასახელებული იყო თანამედროვე საზოგადოების საამებლად ეკლესიის წარმოდგენა მორწმუნეთა სასიყვარულო-შრომით გაერთიანებად, მტრობა მონაწივნობისა და საერთოდ, ქრისტიანული ასკეტიზმისადმი, ყურადღების გამახვილება იესო ქრისტეს ადამიანურ ბუნებაზე, საეკლესიო საიდუმლოთა არასწორი განმარტება, ქრისტიანობის წარმოშობის ახსნა სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით... [2, 222].

აღნიშნულთან დაკავშირებით „განმაახლებლების“ პასუხი კი

დეე უფრო უსუსურად გამოიყურებოდა: ჟურნალ «Живая Церковь»-ში დაბეჭდილი სტატიები საეკლესიო საკითხებზე და სხვადასხვა ჯგუფების პროგრამები არავითარ ახალ სწავლებას არ შეიცავენ და წარმოადგენენ მხოლოდ ცალკეულ აზრებს, რომლებიც საყოველთაოდ მიღებული „განმაახლებელთა“ წრეშიც კი არ არისო [2, 241].

მიუხედავად იმისა, რომ „განმაახლებლები“ ბევრს ლაპარაკობდნენ თავიანთ მიღწევებზე, შეშინებული იყვნენ მიმდევარი მრევლის სიმცირით, მაღავენენ თავიანთ შეცოდება-შეცდომებს და ცდილობდნენ, ეჩვენებინათ, რომ მათსა და მართლმადიდებლებს შორის განსხვავება არ იყო. თავიანთი კრებების მიერ დამტკიცებული რეფორმების ცხოვრებაში გატარების დროსაც კი სიფრთხილეს იჩენდნენ [2, 222].

მიუზბრუნდეთ „ობნოვლენცებისადმი“ აღმოსავლეთის პატრიარქთა დამოკიდებულების საკითხს. მკვლევარი ს. ტროიცკი აღნიშნავს, რომ მათ „ცოცხალი ეკლესიის“ მიმართ თავდაპირველად უარყოფითი დამოკიდებულება გამოამჟღავნეს, მაგრამ მალე მსოფლიო პატრიარქის განწყობა შეიცვალა, რადგან მას „განმაახლებელთა“ მფარველი საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერა დასჭირდა [1, 90-94]. მკვლევრებს ლევიტინსა და შავროვს ეჭვი შეაქვთ მსოფლიო ავტოკეფალურ ეკლესიათა კეთილგანწყობაში „განმაახლებლებისადმი“ და ამ უკანასკნელთ ცრუ ინფორმაციების გავრცელებაში სდებენ ბრალს [6, 87, 219]; მიუთითებენ, რომ 1923 წლის კრებას არ დასწრებიან არც დასავლეთის (გარდა პარიზიდან ჩამოსული მეთოდისტთა წარმომადგენლისა), არც აღმოსავლეთის ავტოკეფალურ ეკლესიათა, მ.შ. მოსკოვში მცხოვრები კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის პატრიარქთა წარმომადგენლებიც, რომლებიც შემოდგომაზე „ცოცხალი ეკლესიის“ ჯგუფის კრებას ესწრებოდნენ [6, 87].

ჩვენი აზრით, უფრო დამაჯერებელია კანონისტ ტროიცკის მოსაზრება. ამ აზრს ეთანხმება „განახლების მოძრაობის ათი წლის-თავისადმი“ მიძღვნილი მოხსენებაც, სადაც მითითებულია, რომ სამატიო წევრების სტატუსით 1925 წლის კრების წინასწარ თათბირებს აღმოსავლეთის ეკლესიათა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ [8, 18r]. ამ უკანასკნელთა სახელები დაფიქსირებულია „განახლების მოძრაობის“ მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების აქტშიც (1927 წლის თებერვალი) [2, 207-208].

„ობნოვლენცებს“ ეკლესიის ცხოვრებაში არავითარი სულიერი განახლება არ შეუტანიათ. პირიქით, საფუძველი ჩაუყარეს შფოთსა და განხეთქილებას [2, 223]. მათი მოღვაწეობა რომ ეკლესიის რღვევისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო, ეს აშკარად ჩანდა „განმაახლე-

ბელთა“ სინოდის ყოფილი წევრის მიტრიანი დეკანოზის კალინოვსკის მაგალითზე. ის მოგვიანებით „ულმერთოთა“ რიგებში გადავიდა, მოგზაურობდა რუსეთის ქალაქებში და თავის ლექციებში დასცინოდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას [2, 223].

ერთ-ერთმა ცნობილმა „ულმერთომ“ სტეპანოვმა თავის ბროშურაში პირდაპირ მიუთითა, რომ „განმახლებლობა იყო უკანასკნელი საფეხური ეკლესიის რღვევისა და ულმერთობისაკენ“. „განახლების მოძრაობა“ სწორედ აქეთ უბიძგებდა მორწმუნეებს.

საეკლესიო კანონები კრძალავდნენ მათთან ერთად ლოცვას, მათი მღვდელმთავრებისაგან კურთხევის მიღებას და მით უმეტეს, მათი განკარგულებების შესრულებას [2, 224].

„განმახლებლები“ აღნიშნავდნენ, რომ წმ. სინოდის დაქვემდებარებაში მყოფი ეპისკოპოსები და საერთოდ, სამღვდლოება უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების განკარგულებით, ყოველგვარი ხერხებით ცდილობდა, თავის მონინალმდეგეთა დამშვიდებას. მაგრამ ყოველგვარი მცდელობა, ბოლო მოეღოთ საეკლესიო დაყოფისათვის და მოეშუშებინათ საეკლესიო ჭრილობები, „ტიხონოველთა“ მხრიდან დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდა. ისინი მორწმუნეებს ძველებურად მხოლოდ შეურიგებლობისაკენ მოუწოდებენ.

ბროშურაში მითითებულია, რომ „ტიხონოველების“ შერიგება „ობნოვლენცებთან“ დათმობის ხარჯზე შეუძლებელი იყო. ეს არ იქნებოდა ღვთის აღთქმის შესრულება, რადგან რწმენის საკითხში დათმობაზე წასვლა გამორიცხულია ისევე, როგორც შეუძლებელია რომელიმე ერეტიკოსის ან სექტანტის შემორიგების სანაცვლოდ ზოგიერთი დოგმატის უარყოფა. რელიგიურ სწავლებაში დათმობა, რწმენისაგან უკან დახევას, ქრისტესაგან განდგომას ნიშნავს [2, 224-225].

რუსეთის ტრადიციული ეკლესიის წარმომადგენელთა აზრი განხეთქილების აღმოფხვრის გზების ძიებისას მკაცრი და ერთმნიშვნელოვანი იყო: თუ „განმახლებლებს“ სურდათ ჭეშმარიტ ეკლესიასთან შერიგება, მათ უნდა ელიარებინათ თავიანთი შეცდომა-შეცოდებანი და მოენანიებინათ ისინი [2, 225].

„განმახლებლებთან“ ურთიერთობაში ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს ასეთი რჩევა ეძლეოდათ: მათი შეცდომების მხილებისას უნდა შეენარჩუნებინათ სიმშვიდე, არ უნდა დაეშვათ შეურაცხყოფა, დაცინვა, მუქარა, მით უმეტეს ძალმომრეობა. ისინი უნდა შეცოდებოდნენ და ელოცათ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში მათი დაბრუნებისათვის [2, 225].

ბროშურის ავტორი აღნიშნავს, რომ რუს მართლმადიდებლებს თავიანთ ეკლესიაში არსებული განხეთქილების აღმოფხვრის იმედს

უსახავდა მომავალი მსოფლიო საეკლესიო კრება, რომლის მოწვევაც, დადგენილი იყო 1926 წლის წმ. სამების დღისათვის ათონის მთაზე. ფიქრობდნენ, რომ კრება მართლმადიდებელ ეკლესიაში დაგროვილ მრავალ საკითხთან ერთად განიხილავდა რუსეთის ეკლესიაში შექმნილ ვითარებასაც და განხეთქილების აღმოფხვრას შეუნყობდა ხელს [2, 225].

მსოფლიო საეკლესიო კრება 1926 წელს ველარ შედგა, რუსეთის ეკლესიაში მშვიდობის დამყარება ამ გზით შეუძლებელი გახდა. ეს მხოლოდ XX ს. 30-იანი წლების II ნახევრიდან, „განმახლებლებისადმი“ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების შეცვლის შედეგად, ამ მოძრაობის დასუსტების წყალობით მოხერხდა. „განმახლებელთა“ უმრავლესობა მონანიების შედეგად დაუბრუნდა პატრიარქის ეკლესიას, ნაწილმა კი შეცოდება სიცოცხლის ბოლომდე არ მოინანია [9, 123-124].

განსახილველი ბროშურა მოკლედ და რეალურად წარმოგვიდგენს ვითარებას, რომელიც რუსეთის ეკლესიაში „განახლების მოძრაობის“ ჩამოყალიბების შედეგად შეიქმნა. ავტორი მორწმუნეთათვის გასაგებ ენაზე, საეკლესიო კანონებიდან გამომდინარე, განმარტავს „განმახლებელთა“ საქმიანობას, მათ მიერ საეკლესიო პრაქტიკაში განხორციელებულ ცვლილებებს.

ბროშურის ფორმატში შეუძლებელი იყო „განახლების მოძრაობის“ შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაციის გადმოცემა. მრავალ სხვა საკითხთან ერთად ავტორი არაფერს ამბობს მოძრაობისადმი საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერის შესახებ. ეს პრინციპული საკითხია, რადგან ათეისტი საბჭოთა ხელისუფლება „განმახლებელთა“ მემკვიდრეობით ებრძოდა ტრადიციულ ეკლესიას. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ბროშურა სწორედ „განახლების მოძრაობის“ აღმავლობისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეფორმატორების მონინალმდეგეებისადმი განხორციელებული რეპრესიების პერიოდში დაინერა. XX ს. 20-იანი წლებში „ობნოვლენცთა“ საქმიანობის შესახებ ყველა სასულიერო პირიც კი არ იყო სწორად ინფორმირებული. მით უმეტეს, ინფორმაციის ნაკლებობას განიცდიდნენ მორწმუნენი, რაც ზოგიერთ შემთხვევაში „განმახლებელთა“ მიერ მათი მოტყუებით მთავრდებოდა. მსგავსი ხასიათის ლიტერატურას რეფორმატორთა მოღვაწეობის სწორად შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. კრებული «Обновленческий» раскол (Материалы для церковно-исторической и канонической характеристики)», ред. И. Соловьев, кн. 27, Москва, 2002г.
2. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე №6465.
3. А. Левитин, Очерки по истории обновленческого движения в русской православной церкви, ч. I, Москва.
4. ი. არაბიძე, განახლების მოძრაობა საქართველოს ეკლესიაში XX ს. 20-30-იან წლებში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2005.
5. დიდიშვილის კანონი, რედ. ე. გაბიძაშვილი, "მეცნიერება", თბილისი, 1975.
6. А. Левитин, В. Шавров, Очерки по истории обновленческого движения в русской православной церкви, ч. II, Москва, 1961 г.
7. ავტორთა კოლექტივი, Русская православная церковь 988-1988 гг., Очерки истории 1917-1988 гг., вып. 2, Москва, 1988.
8. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი, საქმე №247.
9. ი. არაბიძე, „განახლების მოძრაობის“ საკითხისათვის საქართველოს ეკლესიაში (XX საუკუნის 20-იანი წლები), ისტორიულ-ეთნოლოგიური შტუდიები VIII, ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“, თბილისი, 2004.

#### Irina Arabidze

*Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Research-scientist of the Department of Modern and Contemporary History*

### Renovationism Movement in the Church of Russia in the 20<sup>th</sup> century (according to the booklet 'What is Renovationism~)

#### Summary

„Renovationism“ or „Renovationism movement“ is a movement of a clergy loyal towards Soviet government within the Russian Church in the 20's of the 20<sup>th</sup> century. They made use of Tikhon Belavin's (1917-1925 the patriarch of Russia), being in prison and captured the power in the church and

made a schism.

The deputy of the patriarch excommunicated this group of „Renovationism“ from the Orthodox Church.

Our aim is to discuss a booklet „What is Renovationism“ in which the activities of Renovationists are evaluated from the point of view of the church law. Their transgressions that are worth to be mentioned are given in the booklet. These are: capture of the church power, permission of bishops' marriage and also priests' for the second time after ordination, calling church councils in 1923 and 1925 without permission of patriarch where they voluntarily established changes in church practice, trial on Patriarch Tikhon, depriving him from the office of the patriarch and prohibition of his being a monk.

The activity of „Renovationists“ was a transgression of the Canons of the Apostles, Ecumenical Councils of the Church and the Cano Laws of St. Basil the Great. Only the Ecumenical Councils of the Church had right to make changes in these canons. Changes on a council that was held without a permission of patriarch was illegal. Much the more the composition of the councils was illegal as well.

**Merab Kalandadze**

*Doctor of Historical science, Professor  
at the Ivane Javakishvili Tbilisi State  
University*

## **Study of the Historiography of modern History of East Europe**

### **Summary**

The present work is dedicated to the study of the Historiography of the modern History of East Europe in Georgia. This matter has not been studied in the Historiography and therefore, it is expedient to give attention to this problem.

The study of the Historiography of the modern History in Georgia undergone to an interesting evolution and conditionally we can divide it in several periods.

The first Interest to this question appears in second half of XIX century. This period until 1921 year we can conduct as a prehistory and preface of the study of the Historiography of the modern History of East Europe in Georgia.

The Study and popularization of the Historiography of the modern History in Georgia has two distinctly underlined periods:

1. The study and the popularization of this problem in the Historiography of soviet Georgia, which divides on his part in sub periods.

2. The study and the popularization of this problem in the Historiography of post soviet Georgia, which continues even today.

In the soviet period the popularization of this problem became the scientifically character, but it was bracketed in the frames of Marxist ideology.

The pioneers in the study and popularization of this problem were famous Historians Prof. Nickolas Dubrovsky, Prof. Grigol Natadze and Prof. Alexander Namoradze. The honorable continuer of their initiative is Prof. Givi Kiguradze. His book „The New History“ has definitely historiographical character.

Also Prof. Guram Koranadze Prof. Ushangi Sidamonidze and German Sidamonidze have paid the big attention to the historiographical questions.

The considerable metamorphosis occurs in the beginning of 90<sup>th</sup>. After fall of Soviet Union the period of monopoly of Marxist Ideology was ended. This had a big importance. The Georgian Historiography returned his sovereignty. Now Historians were able to make their own choice. It was beginning of the dispensing of thematic of Historiography from the Marxist Ideology. The above mentioned works we can esteem basically as first steps on the way of return of Historiography in ordinary condition.

## **წყაროთმცოდნეობა**

**გია გელაშვილი**

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორი-  
სა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი  
მეცნიერ თანამშრომელი*

### **იოჰან კოლის ცნობები ოსების შესახებ**

იოჰან გეორგ კოლი (28.IV.1808–28.X.1878) იყო ცნობილი გერმანელი მწერალი-მოგზაური, გეოგრაფი, ეთნოგრაფი, ისტორიკოსი. იგი დაიბადა ბრემენში ღვინით მოვაჭრის ოჯახში. კოლი ჯერ ბრემენის გიმნაზიაში სწავლობდა, შემდეგ ეუფლებოდა იურისპრუდენციას გიოტინგენის, ჰაიდელბერგისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში. 1830 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, მიატოვა სწავლა და ექვსი წელი რეპეტიტორობას ეწეოდა კურლანდიაში. შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგში და მოიარა რუსეთის სხვადასხვა მხარეები. 1838 წელს დაბრუნდა გერმანიაში, დასახლდა დრეზდენში, საიდანაც ევროპის ბევრ ქვეყანაში იმოგზაურა და აღწერა თავისი დაკვირვებები.

1854-1858 წლებში იმოგზაურა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც შტატების მთავრობას შეუდგინა მნიშვნელოვანი რუკები. ვაშინგტონსა და ჰარვარდში ის დაუმეგობრდა მრავალ მწერალსა და მეცნიერს. ამ მოგზაურობას კოლმა მიუძღვნა არაერთი შრომა. ევროპაში დაბრუნების შემდეგ ის კვლავ ბრემენში დასახლდა, სადაც 1863 წლიდან იყო ქალაქის ბიბლიოთეკარი. 1878 წელს ის გარდაიცვალა და დასაფლავებულია ბრემენში, სადაც მისი სახელობის ქუჩაც არსებობს.

კოლს ეკუთვნის 40-მდე ნაშრომი, რომლებიც ეხება რუსეთს, ავსტრიას, ირლანდიას, შოტლანდიას, ინგლისსა და უელსს, დანიას, პოლანდიას, ბალტიისპირა მხარეებს, დაღმაცხადს, ჩერნოგორიას. ბევრი ნაშრომი ეხება აშშ-ს, კანადას, გოლფსტრიმის დინებას; აგრეთვე ევროპულ დედაქალაქებს და სხვა მრავალს.

ჩვენთვის საინტერესო ცნობები მოთავსებულია მის წიგნში „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში“ (ტ.2, დრეზდენი და ლაიფციგი, 1847). საინტერესოა აუგუსტ ჰაქსტჰაუზენის ცნობა, რომ მან ტფილისში იპოვა კოლის „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში“, გამოცემული 1841 წელს ლაიფციგში, საიდანაც მან ისარგებლა ოსების შესახებ ზოგიერთი ცნობით.

კოლის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები დაცულია სხვადასხვა გამოცემებში; მაგ.: „Daß Große Bremen Lexikon“ (Bremen, 2003), „Allgemeine Deutsche Biographie“, (B.16, Leipzig, 1882), „New International Encyclopedia, 1905 და სხვა.

### ოსები

„კავკასიის საიდუმლოებით მოცულ მრავალ ხალხთა შორის, არასტუმართმოყვარე კავკასიის ხალხთა შორის ოსები არიან ერთერთი თავისებური“ – ასე დაიწყო საუბარი ჩემმა აბუ საიდ-მა, ანუ ჩემმა უღვაშიანმა შეჰერეზადემ (ასე ვეძახდი ჩემს ცნობათა მომწოდებელს). „ისინი სახლობენ დიდი ქედის იმ მონაკვეთზე, რომელიც მოქცეულია იალბუხსა და ყაზბეგს, ანუ „ჯვრის მთას“ შორის; აგრეთვე გაფართოვდნენ აქ ქედის ორივე მხარეს მდებარე ხევებსა და მთის ხეობებში. მათი მთავარი ხეობებია – ზემო თერგის, ფიაგ-ის, არდონის და ურუხის. მათგან ყველაზე დიდია მწვერვალებით შემოზღუდული ქვაბური, რომელსაც ეწოდება მალრანდვალეთი. სამხრეთით ის ესაზღვრება ქართველებს; იქ აღწევნენ მტკვრის ხეობამდე, სადამდეც ტყეები და მთისწინეთი გვხვდებიან; დასავლეთით – სამეგრელოს, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით – ჩერქეზთა ქვეყანას.“

ჯერაც ძალზე მცირეა იმ მოგზაურთა რიცხვი, რომლებიც ამ ხალხის შესახებ გვაცნობებენ. კლაპროტმა[1] გზად გაიარა ეს მხარე და მისი თხრობა ძალზე არასრულია. აკადემიკოსმა სიოგრენმა (Sjogren) ახლახან იმოგზაურა და ზოგი ცნობა ოსების შესახებ გამოაქვეყნა პეტერბურგის აკადემიის სამეცნიერო წერილებში[2]. თუმცა ის თითქმის მთლიანად ამ ხალხის ენის შესწავლით იყო დაკავებული.

შემდეგი მოგზაური, რომელმაც ოსთა თითქმის ყველა ხეობა მოიარა, ვიყავი მე. ჩემი მონაცემების და ესკიზების მიხედვით, რაც ოსური ხეობებისა და მთების მდებარეობის შესახებ აღვწუსხე, პეტერბურგში მომზადდა ამ მხარის უახლესი საგანგებო რუკები. ჩემი გამოკვლევა ოსებზე შევიდა კავკასიის შესახებ ვრცელ ოფიციალურ რუსულ გამოცემაში. თუმცა იქიდან მხოლოდ ის ამბები აიღეს, რომლებიც ადმინისტრაციულ უწყებებს უფრო აინტერესებდათ და არა ის მრავალი მცირე დაკვირვება, რომლის საშუალებაც მიეცა მოგზაურს ამ ხალხის ჩვევებისა და ცხოვრების წესის გასაცნობად. სხვათა შორის, ამის შესახებ არსად ღიად არ უმსჯელიათ. ზოგი რამ, რაც შემიძლია მოგითხროთ, ახალია. სხვა კი უკვე ცნობილის დასადასტურებლად გამოდგება.

ჩემი მოგზაურობა შედგა 1828 წელს. პასკევიჩმა[3] მომცა და ვალეზა; და ვითარება, რომელზეც დამოკიდებული იყო მისი შესრუ-

ლება, შემდეგია. როგორც პასკევიჩის ერთმა ხელქვეითმა მოხელემ, მოვახერხე ოსების ზოგი ყველაზე ავადსახსენებელი ბელადი დამეჭირა, მაგრამ მათ მოვექეცი არა როგორც პატიმრებს, არამედ, ჩემი მიზნების შესამზადებლად, როგორც იშვიათ სტუმრებს. ოსი ბელადები ძალზე კარგად განწყობენ ჩემს მიმართ და დამიმეგობრდნენ. ბოლოს გაგანთავისუფლეს ისინი პატიმრობიდან და ვუთხარი, რომ ამას მათი პატივით და საკუთარი პასუხისმგებლობით ვაკეთებდი, და რომ ამით ალბათ ჩემ მთავრობას გავანანყენებდი. ოსებმა მეგობრულად მიმიპატიჟეს მათი მხარის სანახავად. დამპირდნენ ყველაფრის გაკეთებას, რაც მათ ძალებში იქნებოდა. მე, რა თქმა უნდა, შევპირდი, რომ, სიამოვნებით მოვიწახვლებდი მათ ქვეყანას და შევიპირე, რომ ჩემი ჩასვლის შემთხვევაში დამიცავდნენ და მიმასპინძლებდნენ. როცა მოვემზადე გასამგზავრებლად, შევატყობინე ჩემს მასპინძლებს. ისინი მიცდიდნენ თავიანთი მთების ძირას და მე და ჩემს თარჯიმანს, სადაც მოვისურვებდი, ყველგან 10 კაცის თანხლებით დაგვატარებდნენ. მათი შუამავლობით თითქმის ყველგან კარგად გვხვდებოდნენ. მხოლოდ ზოგჯერ, როცა ამა თუ იმ ხეობის მაცხოვრებლებს არ ენდობოდნენ, იქით არ გვიშვებდნენ. მაინც ზოგან ხიფათი მემუქრებოდა, განსაკუთრებით, როცა მასპინძელთა სულში თავიანთი პროტყეს მეგობრობის სინრფელეში ეჭვი შეეპარებოდათ. სანამ მთებში ვიყავი, არ ვფიქრობდი საშიშროებაზე; მხოლოდ მოგვიანებით გავიაზრე, თუ ზოგან როგორ ბედნიერად გადავრჩი ჩემი მფარველი ანგელოზის დახმარებით.

ოსები უძველესი მკვიდრები არიან, რომლებიც სრულებით განსხვავდებიან ირგვლივ მცხოვრები ყველა ხალხებისგან. ისინი აფხაზების, მეგრელების და იმერლების მსგავსად არც ქართულ მოდგმას ეკუთვნიან,[4] არც აღმოსავლეთ კავკასიის მრავალი ხალხების მსგავსად – ლეკურს; ასევე ჩერქეზებივით არ წარმოადგენენ ხალხთა ნარევს, არამედ უფრო სუფთა და აუმღვრეველი უძველესი მოდგმაა, რომელიც პირდაპირი ხაზით იაფეტის ვაჟიდან მომდინარეობს. ამ ვაჟს ერქვა „ოს“ და მის მიხედვით თავის თავს უწოდებენ „ოსი“-ს. მათი ენა, რომელზეც ისინი დღესაც ლაპარაკობენ, არის მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და შეიცავს ევროპული ყველა ენისთვის (ალბათ მხოლოდ ფინურის გამოკლებით) დამახასიათებელ ფუძე-სიტყვებს. ისინი გერმანელებივით დინჯად საუბრობენ. საერთოდ გამოთქმასა და უღერადობაში იმდენი აქვთ გერმანული, რომ ყოველთვის, როცა გერმანულად ვლაპარაკობდი, ვფიქრობდი, რომ მათ ჩემი ესმოდათ[5]. მათ აქვთ ქერა თმები და ცისფერი თვალები, მაშინ როცა ქართველურ ტომებს – მუქი თვალები და შავი თმები.

ქრისტეს აქეთ პირველი შვიდი საუკუნის მანძილზე ოსები იყვნენ ძლიერი და ერთი მმართველის ხელქვეით გაერთიანებულებს ეკავათ კავკასიის დიდი ნაწილი და თვით სტეპებიც დონამდე და ვოლგამდე. სამხრეთით ისინი ყოველთვის ებრძოდნენ ქართულ სამეფოს; თვით სომხებსაც კი. ამ ეპოქის გასახსენებლად დღესაც ერთ-ერთ მათ ხეობას ჰქვია „სომხური ხეობა“. ქართული ქრონიკები საესეა ოსებთან ამ მუდმივი ომების შესახებ ცნობებით[6]; ამასთან ოსების ისტორიისათვის ისინი წარმოადგენენ უპირატესს თუ არა, ერთადერთ წყაროს. მოგვიანებით ოსები დაამარცხეს ხაზარებმა, რომლებიც VII საუკუნის ბოლოს გამოვიდნენ ასპარეზზე და რუსეთის სამხრეთით ვრცელი სახელმწიფო დააარსეს. ოსები უკან ავიდნენ თავიანთ მთებში და ხაზარებს ხარკსაც კი უხდიდნენ. ყოველწლიურად უნდა ეხადათ ხარკი ხარით, რასაც „ბეგარ“ ერქვა, ხოლო ყოველ მეორე წელს სხვა გადასახადები, რასაც „შრუკარ“ ეწოდებოდა. ამ დროიდან მთელი მათი სახელმწიფოებრიობა დაიშალა; თვით ქრისტიანობაც, რომელმაც მათში საქართველოდან გაიდგა ფესვები[7], მთლიანად მოიშალა. ამჟამად მათ არ ჰყავთ ერთი საერთო მმართველი და ერთმანეთს მხოლოდ ენით, ჩვეულებებით, საგვარეულო თუ საოჯახო ნათესაობით უკავშირდებიან. რუსების მიმართ თავისი დამოუკიდებლობა დღემდე თითქმის სრულად აქვთ შენარჩუნებული.

ქრისტიანობა ოსებში ამჟამად დაცემის ძალზე საოცარ მდგომარეობაშია. მათ არანაირი მღვდელი არ ჰყავთ, არც წმინდანად შერაცხული და დიდად პატივცემული განდგილი, როგორც სხვა კავკასიელებს. მათ არ აქვთ ეკლესიები და კვირაობით არ იკრიბებიან ღვთისმსახურებისათვის. მხოლოდ აქა-იქ გვხვდება ძველი ეკლესიების ნანგრევები. ამათ ორგვარი დანიშნულება აქვთ მათთან. უბრალო ნანგრევებთან ჩვეულებრივ იხდიან ქუდს, ხოლო რომლებსაც უფრო წმინდა ადგილებად მიიჩნევენ, ქვეითდებიან ცხენებიდან და ფეხით ჩაუვლიან. როცა ამ საქციელის მიზეზს შეეკითხები, ისინი მხოლოდ ერთს პასუხობენ — „ასეა მიღებული“, ან „მამებმა მათ ასე ასწავლეს“. — მეშვიდე დღის პატივსაცემად თავშიშველი დადიან; ამას ისინი მკაცრად იცავენ: თოვამი თუ წვიმამი, სახლში თუ გარეთ, თავზე არაფერს იხურავენ. სხვა მხრივ მათი კვირადღე სხვა დღეებისგან არაფრით განსხვავდება. ჩვეულებრივ უკვე შაბათ დღეს, რომელსაც „შაბათე“-ს\* უწოდებენ, იხდიან ქუდს და მხოლოდ ორშაბათ დღით კვლავ იხურავენ. მათ არავითარი წმინდა წიგნი არ გააჩნიათ. არასდროს არ

\* რა შორს გააღწია ამ ებრაულმა სიტყვამ! — რუსებიც კი შაბათს „სუბოტა“-ს ეძახიან.

ინერენ პირჯვარს; ასევე, ვერც მათ სახლებში და ვერც გზებზე ვერ ნახავთ ჯვარს ან ხატს. არც კერპების სურათები აქვთ. თუმცა ზეიმობენ ზოგ ეკლესიურ დღესასწაულებს; მაგ., წმ. ელიას დღეს, რომელიც ბერძნული სტილით 20 ივლისს ემთხვევა; აგრეთვე შობას. ამასთან მთელი ზეიმი იმაში მდგომარეობს, რომ ხარშავენ გარკვეულ საქმელს, თვითონ საკმაოდ ბევრს მიირთმევენ და ნაწილს ტოვებენ განმარტოებულ ოთახში, რათა ის მიირთვას სახლის მფარველმა სულმა. ძალზე უბედურად თვლიან თავს, თუ ეს არ მოხდა, ხოლო ხარობენ, თუ ამ საქმელს რაიმე მოაკლდა.

მათი მთელი რელიგიის არსი მდგომარეობს საოცარ ლოცვაში, რომელსაც ისინი ასრულებენ ამ დღესასწაულებზე საზეიმო სუფრის დაწყებამდე. შეკრების მეთაური დგება ქვაბის ახლოს, ამოიღებს ხორცის ნაჭერს და დიდ ძვალს და ხმამაღლა წარმოსთქვამს სიტყვებს; ამასთან ერთ ხელში ხორცი, მეორეში კი ძვალი უჭირავს და სახით სამხრეთისკენ იყურება. საოცარი ამ ლოცვაში ის არის, რომ არაფერია ნახსენები წმინდა სამების შესახებ. ღმერთის შემდეგ მამართავენ წმ. გიორგის, შემდეგ ღვთისმშობელს, მთავარანგელოზებს, მერე ერთხელ წინასწარმეტყველ ელიას, დაბოლოს ჯერ ქრისტეს, შემდეგ მთის მწვერვალებს, რომლებსაც მათ სწამთ, რომ წმინდანები იქ სახლობენ; შემდეგ მიმართავენ მთის ეკლესიებს, რომლებსაც ისევე შესთხოვენ მოწყალებას, როგორც ანგელოზებსა და წმინდანებს. აქ მე მოგანვდით ამ ლოცვას ოსურ და გერმანულ ენებზე\*:

- |  |  |
|--|--|
| „Chtschaw tabudon, chtschawna chtscho fod, da chorsach nen rad!“ | ღმერთო, შეგთხოვთ მოწყალებას. შეგვიწყალე ჩვენ!          |
| „Wash Kirgi chtschonda fod, da chorsach nen rad!“                | წმინდაო გიორგი, გთხოვთ, დაგვეხმარე და შეგვიწყალე ჩვენ! |
| „Deda Chtisa tabudon da chorsach ned rad!“                       | დედაო ღვთისა, გთხოვთ შეგვიწყალე ჩვენ!                  |
| „Michael, Gabriel tabudon da chorsach nen rad!“                  | მიქელ, გაბრიელ, გთხოვთ შეგვიწყალებო ჩვენ!              |
| „Ilia tabudon, chtschonda fod da chorsach nen rad!“              | ელია, გთხოვთ, დაგვეხმარე და შეგვიწყალე ჩვენ!           |
| „Cho chodschar da chorsach nen rad!“                             | მთის ეკლესიებო, შეგვიწყალებო ჩვენ!                     |

\* ჩვენ გერმანულის ნაცვლად მოგვუქვს ტექსტის ქართული თარგმანი — გ. გ.

„Naruasch Kirgi, tabudon da chorsach nen rad!“

„Brussabseli tchisadta tschidawgita bidiss udonima tschon de fod da chorsach nen rad tabudawen!“

„Kuwneniki aguriss Monachtscho fod Gurschistani, tschi Djworta iss chtschonde fod chorsachne radtut u adami chorsachne rad tut!“

„Restmechenech chtschan namitanen ssrestmaketa budon!“

შენ, ნარის\* ნმ. გიორგი, დაგვეხმარე ჩვენ!

თქვენ, ბრუტსაბძელო\*\* და მასზე მსხდომნო მოციქულებო და ანგელოზებო, მოგესალმებით და გთხოვთ: დაეხმაროთ და შეინყალოთ ისინი, ვინც თქვენ გესალმებიან და ვისაც უნდისხართ!

ყველა ქართული ეკლესიებო, გთხოვთ, შეგვიწყალოთ, ჩვენ, და ყველა ხალხები, რომლებიც თქვენს გარშემო ცხოვრობენ. ქრისტე, გთხოვთ, შეგვიწყალებო ჩვენ!\*\*\*

მონყალო ღმერთო, დაგვეხმარე ჩვენ შენი სამართლიანობით!

ზოგიერთ თემში, სადაც რუსებისადმი ერთგვარად კეთილგანწყობილი იყვნენ, ჩემთან საპირფეროდ ამას კიდევ უმატებდნენ სიტყვებს: „Ruskane Djwarten tabudon, Ruskane chorsachne radtut christian chtscho fod tabudon da chorsach nen rad“, რაც ნიშნავს: „რუსული ეკლესიებო, გთხოვთ, მოგვანიჭო ქრისტიანი რუსი იმპერატორის მონყალება“.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც რელიგიური წყობის, ისე მონესრიგებული სახელმწიფოებრივობის კვალი ოსებში ნაკლებ მოიძებნება, მაინც ფასდება გვარის უფროსის ავტორიტეტი. ყოველი გვარის უფროსს, რაც არ უნდა დიდი და მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდეს და მედიდურობდეს, მაინც ყველა მხარესა თუ ხეობაში ერთი ან ორი განსაკუთრებით გავლენიანი მეთაური ჰყავთ, რომელთა ავტორიტეტი თუმცა ვერ შეედრება არაბი შეიხის ძალასა და გავლენას. აქ ყოველივე გაცილებით დემოკრატიულია, ან, უფრო მეტად ანარქიულ-ველური.

\* ნარა არის ხეობა, სადაც ძველად ნმ. გიორგის ეკლესია იდგა.  
\*\* ბრუტსაბძელო ეწოდება ოსების მხარეში უმაღლეს მთებს. ამავე სახელით ისინი დატანილია რუსულ სპეციალურ რუკებზე. გერმანულად სიტყვა ნიშნავს „ბელელის მთებს“. [8]  
\*\*\* ეს თხოვნა კარგად მიუთითებს ოსური ქრისტიანობის აკვანზე. [7]

ოჯახის მეთაურს სახლში აქვს ზურგიანი და სახელურიანი დასაჯდომი [9]. ესაა ჩვეულებრივი სავარძელი, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და საპატიო ადგილი უკავია. ამ ოჯახის მამებს სამოქალაქო დავისას ირჩევენ მოსამართლეებად.

კერძო დავისას ჩვეულებრივ ასე ხდება. როცა ერთი მხარე გრძნობს თავის დანაშაულს, არ ემორჩილება სამედიატორო სასამართლოს და ცდილობს დიდი ნათესაობისა და გავლენის საშუალებით შეცვალოს სამართალი. მაგრამ, როცა (და მეტწილად ასე ხდება) ორივე მხარე კანონს უჯერებს, თითოეული მოსამართლედ ირჩევს სამ პირს ოჯახის უფროსთაგან, რომლებიც არ წარმოადგენენ მათ უახლოეს ნათესაებს. შემდეგ ეს ექვსი პიროვნება შეიკრიბება ტყეში ერთ მთაზე, ან გარკვეულ ადგილას, იმსჯელებენ მომხდარზე და გადაწყვეტენ ნაწილობრივ სამართლის, ნაწილობრივ ზოგი ძველი ტრადიციების მიხედვით. რადგან ბოროტმოქმედებები გაცილებით ხშირია, ვიდრე კერძო დავა, ამიტომ სისხლის სამართლის ტრადიციები განსაკუთრებით ზუსტად და გარკვევითაა ჩამოყალიბებული.

ყველას სისხლს თავისი ფასი აქვს, ისევე როგორც სხეულის ყველა ნაწილს\*. ჯარიმას იხდიან მხოლოდ მათთან მოქმედი მონეტებით, ხარით და ძროხით\*\*. დიდი ოჯახის უფროსის მოკვლა ღირს 18-ჯერ 18 ხარი. ხარი დაახლოებით 5 ვერცხლის მანეთად (5<sup>1/2</sup> პრუსიული ტალერი) ფასობს. ნაკლებ პატივდებული ოჯახის მამა ღირს მხოლოდ 9-ჯერ 9 ხარი. ასე ჩამოდის უბრალო პიროვნებისთვის 18 ხარამდე. სამწუხაროდ, ვერ დავადგინე, თუ როგორაა ქალი შეფასებული. ყოველ შემთხვევაში, ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი. ეს ფასები ყოველთვის განიცდიან გარკვეულ ცვლილებებს და გარემოების მიხედვით მცირდება, ან იზრდება. თუ მოსამართლეები ვერ შეთანხმდებიან, მოიწვევენ ახალ სასამართლოს, ან იწყება ბრძოლა. თუკი სასჯელზე შეთანხმდებიან, მაშინ თვალყურს ადევნებენ განაჩენის შესრულებას, რომ არ განიცადონ მხარეთა მხრივ კრიტიკა და დაუმორჩილებლობა, რომ ის დარჩეს საიდუმლოდ და თანდათან გამჟღავნონ. მაგალითად, დამნაშავეს წინასწარ ამცნობენ, რომ დაზარალებულის ოჯახს უნდა მისცენ ამდენი და ამდენი ხარი; დანარჩენი მოგვარდება. ესენი ამას მომავალ წლამდე გულში ინახავენ, როცა დამნაშავეს ნახირის გარკვეულ ნაწილს მეორე მხარის სასარგებლოდ ყადაღას ადებენ. ასე გრძელდება, სანამ ბოლოს ახალი მოთხოვნის

\* ისევე, როგორც გერმანულ [5] და სხვა ბარბაროსულ ხალხებთან.  
\*\* მსგავსად ძველი იტალიელებისა, სადაც მოგვიანებით მოჭრილი და ხმარებაში შესული ფული ჯერაც საქონლად იწოდებოდა.



შემდეგ საქმე დასრულებულად გამოცხადდება და მხარეებს გააჩუმებენ. ასეთ ვითარებაში დამნაშავე უფრო იოლად გადაიტანს დანაკარგს, რასაც ყოველ წელს ნაკლებს განიცდის, ხოლო დაზარალებულს ეძლევა დრო, რათა რისხვა და ზედმეტი მოთხოვნები მოთოკონ. თუკი ფასს მაშინვე გაუმხელ, სანამ დავა და წყრომა ღვივის, ერთერთს ის ყოველთვის ბევრად, მეორეს კი ნაკლებად მოეჩვენება. თუ მხარე უარს იტყვის დაკისრებულის შესრულებაზე, ის დაიმსახურებს მოსამართლეთა და თავდებთა მტრობას. ასევე თავდებები, და კერძოდ სამი, დაკავშირებულია თითოეულ მხარესთან.

მე მომეცა საშუალება, ზოგ ასეთ სასამართლოს დაესწროდი, ხოლო ერთხელ თვით განვკარგე. რადგან ოსებთან ბევრ სხვა ურთიერთობებში შემთხვევები დამახასიათებელია, მე გაიმბობთ მათ შესახებ.

ერთ დღეს ჩემ გამყოლებს გზაში ცოტათი გავუსწარი და მთლად მარტო აღმოვჩნდი; გზის პირიდან წამოიმართა ხნიერი ოსი და ჩემკენ წამოვიდა. რადგან მისგან კარგს არაფერს ველოდი, მაშინვე თოფი მოვიმარჯვე და ვუბრძანე გაჩერებულიყო. მან მშვიდობის ნიშნად მთელი იარაღი დაჰყარა, მომიახლოვდა თითქოს შველას ითხოვდა და, როცა სომეხი თარჯიმანი მოვიდა, მიაბო თავისი უბედურების შესახებ და დამანახა თავისი განწყობა ძლიერი და პატივცემული რუსის მიმართ, რომლის შესახებაც ბევრი კარგი სმენია. თვით ის, ამჟამად მათხოვარი, ერთი წლის წინ ჯერ კიდევ იყო პატივცემული ოჯახის უფროსი. მას ჰყავდა ექვსი ვაჟი, რომელთაგან სამი უკვე დაქორწინებული, და მთელ მის ოჯახში 16 მამაკაცი იყო. მის ვაჟებს ძლიერ მეზობელ ოჯახთან ჰქონდათ მუდმივი უთანხმოება. ერთ დღეს ეს უკანასკნელები ტყეში შეეყარნენ მის უფროს ვაჟს და დააანაშაულეს, რომ მან იმათი მამის საფლავზე ძალღი დაკლა; ამას მოჰყვა ნაჩხუბება და ვაჟის მოკვლა. შვილის სიკვდილით გამოწვეულმა ღრმა ტკივილმა აალებინა თოფი ხელში და მანამ არ მოისვენა, სანამ შესაფერი მომენტი არ ნახა და ვაჟის მკვლელთაგან საუკეთესო და ცნობილი პირი არ მოკლა. ამით შეიძლებოდა საქმე დამთავრებულიად ეცნოთ, რადგან ორივე მხრიდან ბევრი სისხლი დაიღვარა. მაგრამ მისმა მტრებმა სახლ-კარი შურით მთლიანად გაუპარტახეს. ერთ საშინელ დამით მის სახლს მრავალრიცხოვანი რაზმით შემოერთყენ გარს და საომარი და შურისმაძიებელი ყიჟინით გააღვიძეს. ის, მისი ვაჟები და მსახურები (სულ 14 კაცი) მამაცურად იცავდნენ თავს, მაგრამ მტერმა მის სახლს ირგვლივ თივა შემოაყარა, ცეცხლი

\* ეს არის უდიდესი და სამარცხვინო შეურაცხყოფა, რაც შეიძლება ოსმა რომ ოსს გაუკეთოს.

ნაუკიდა და აიძულა გარეთ გამოსულიყვნენ. მათ დახოცეს ყველა მისი მსახური, ვაჟები და ქალები და მხოლოდ ის გაუშვეს მარტოხელა, აღსავსე წარმოუდგენელი ტკივილით ასეთი დანაკარგის გამო. ჯერ ერთი, რაც მან გადაიტანა, იმ დარდისა და გაჭირვებისგან, საკმაოდ დასუსტდა, და მეორეც, ხალხი მას გაურბოდა. ახლა სთხოვს გავლენიან რუსს, სამართლებრივად შური აძიებინოს.

მთელი ამალით გავემართე ოსი მასპინძლისკენ, შევკრიბე მოხუცის მთავარი მტრები და დავადანაშაულე მათი საქციელის გამო. განსაკუთრებით ვამტყუნებდი, რომ მათ ერთის სანაცვლოდ თოთხმეტი მოკლეს. პასუხად მივიღე, რომ მათი ერთი უკეთესი იყო, ვიდრე მტრის თოთხმეტივე, ნახირთან და მეურნეობასთან ერთად ალბული. მე მოვთხოვე, რომ ჩემი პროტეჟესთვის აენაზღაურებინათ ზარალი. ამაზე ყოვლად ცივისსხლიანად მიპასუხეს: „არა“. შემდეგ მივმართე მიუკერძოებელ დამსწრეებს (სამედიატორო მოსამართლეებს) კითხვით, უნდა დამორჩილებოდნენ თუ არა ისინი სამედიატორო სასამართლოს. ამათ დამიდასტურეს, ისინი კი ჯიუტად ეწინააღმდეგებოდნენ. მე დავკარგე თავშეკავება და დამსწრეებს მოვთხოვე ამ ხალხის დაკავება. იმავე წუთს დაპატიმრებას მიუჩვენებელი ოსების ათივე თოფი დამიმიზნეს; ბოლო ამოსუნთქვამდე მოვასწარი, რომ დამეყვირა „შესდექით“ და უკან წამელო ჩემი ბრძანება. სახლში წასვლის წინ იმით დავკმაყოფილდი, რომ დავემუქრე – არა მარტო რუსულ ჯარს, არამედ მთელ ჩემს არცთუ მცირე ოსურ სამეგობროს მივუსევდი და თავისი დანაშაულისთვის უფრო მკაცრად ვაგებინებდი პასუხს, ვიდრე სასამართლოს რომ დამორჩილებოდნენ. რადგან დანარჩენი ოსებიც შურისძიების გადამეტების წინააღმდეგი იყვნენ, იმათ, უარესის შიშით, მეორე დილით გამოთქვეს მზადყოფნა გასულიყვნენ სასამართლოზე. ეს კი შედგა ჩვეულებრივ, ზემოთ აღწერილი სახით. მაგრამ მისი განაჩენი, ჩვეულების თანახმად, სხვებისთვის უცნობი დარჩა და ალბათ ამ წუთსაც ნაწილობრივ საიდუმლოა.

მსგავსი შემთხვევისას ძნელი დასაჯერებელია, რომ ოსებს ნაზი გრძნობები ექნებათ კანონისა და სამართლიანობის მიმართ; მაგრამ, როცა შეგნებული აქვთ, რომ სხვას აშკარად უსამართლოდ მოექცნენ, დანაშაულის გაცნობიერება მათ ისე აწვალბს, რომ ყოველნაირად ცდილობენ გამოისყიდონ დანაშაული. ეს ზემოთ აღწერილი ინციდენტთან წინააღმდეგობაში არ არის, რადგან ის მკვლელ-გადამწველები ალბათ მართლაც იყვნენ დარწმუნებული, რომ მათი ერთი მოკლული უფრო მეტი ღირდა, ვიდრე ის თოთხმეტი. ერთი შემთხვევა იძლევა მაგალითს, რაც ამ მტკიცებას ადასტურებს და ამასთან ზოგი სხვა აზრითაცაა დამახასიათებელი.

სხვა მრავალთაგან, რომლებიც ყოველ დილით მოდიოდნენ ჩემთან და მიმტკიცებდნენ თავის მაღალშეგნებულობას, იყო ერთი-ორი, რომელმაც შემდეგი მამცნო: „ერთი წლის წინ, როცა თქვენი მთავარსარდალი (პასკევიჩი) სპარსეთისკენ გაემართა[3], დასჭირდათ გამწვევი პირუტყვი ტრანსპორტისთვის. ერთმა ებრაელმა ცხინვალისა და მთავრობის დავალებით შემოგარენში იქირავა ბევრი ხარი, რომელთაგან ვერცხლის 30 მანეთად სამი წყვილი მე და ჩემ ძმას გვეკუთვნოდა. ეს უკანასკნელი როგორც მეფორნე გაჰყვა ხარებს სპარსეთისკენ. მაგრამ ავად გახდა და უკან გამობრუნებული ცხინვალში გარდაიცვალა. ებრაელმა სამი წყვილი ხარი კი დამიბრუნა, მაგრამ უარი თქვა 30 მანეთზე, რადგან ამტკიცებდა, რომ ეს თანხა გარდაცვლილი ძმისთვის გადაუცია. მე ეს მაშინვე მომიზეზებდა და საზიზღარ ტყუილად ჩავთვალე, მოველაპარაკე რამდენიმე მეგობარს და მათთან ერთად ებრაელს სახლი გაუჩანაგე. ჩვენ იმდენი გავიტაცეთ, რამდენიც შევძელით და ნაძარცვი გავიყავით. მოგვიანებით შევიტყე, რომ ებრაელს მართალი უთქვამს და ჩემი ძმისთვის ფული მიუცია, იმას კი ის სხვა რამეზე დაუხარჯავს. მე მძიმე ტვირთად მანვება ჩადენილი დანაშაული. ებრაელს ბევრჯერ შევთავაზე ნაძარცვის ჩემი წილის დაბრუნება, მაგრამ მან ეს არ მიიღო, რადგან მოითხოვდა ჩემი მეგობრების ნაძარცვსაც. მე გთხოვთ, ბატონო, აიძულოთ, მიიღოს ჩემი შეთავაზება და მომიხსნას დანაშაული“. – მე შეეპირდი, რამდენადაც ამას შევძლებდი. უკან გზაზე საქართველოსკენ, მივედი ებრაელთან ცხინვალში და ვურჩიე მიეღო ნაქურდალის ნაწილი, თუკი მთლიანად ვერ დაიბრუნებდა.. მან კი მიპასუხა, რომ დარწმუნებულია მთლიანი ნაძარცვის დაბრუნებაში, რადგან უბედურების ბოროტი განცდა და შიში დანაშაულის გამო ოსებს მანამდე შეანუხებს, სანამ ცოდვას არ მოინანიებენ. ამდენად მისი ოთხი თანამზრახველი რალაც გზებით შეაგროვებენ ნაყაჩაღარს და ყველაფერს დაუბრუნებენ.

ოსების მიერ ჩადენილ ყაჩაღობას მეტწილად ასეთი განზრახვა აქვთ, როგორც წინა ამბავში მოხდა. ჩვეულებრივ სამაგიეროს ასე უხდიან, როცა მიაჩნიათ, რომ დანაშაული დაბლობის მცხოვრებთაგანაა ჩადენილი. რა თქმა უნდა, გვხვდება არაფრით გამართლებული ნებაყოფლობითი ყაჩაღობები. ამას ძირითადად უმაღლესი მთების მცხოვრებნი ეწვეიან, რომლებიც ხეობებში მოსახლე ოსებს სიველურეში აჭარბებენ; ეს უკანასკნელები კი ქართველებსა და რუსებს ჯობნიან. არა მარტო დიდი თავგასულობა და სიველურე აიძულებს მათ

\* ესაა ქართული პუნქტი ოსების საზღვრების ახლოს, გორის ჩრდილოეთით და ტფილისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით.[10]

მსგავს ქმედებას, არამედ მაღალმთიანეთში გაბატონებული გაჭირვებაც. განსაკუთრებით „ბელელის მთებში“ არის ბევრი ადგილი, საიდანაც ყაჩაღები მიდიან სამეგრელოში, ქართლში და ა.შ. ასეთი ექსპედიციებისთვის რაზმების შესაგროვებლად ისინი აგზავნიან შიკრიკებს ყველა ხეობებსა და სოფლებში; ესენი აცნობენ გეგმას, ბელადების სახელებს და ა.შ. და ახალგაზრდებს მონაწილეობისათვის იწვევენ. – ყველაზე ცუდი, სხვა ოსებთან შედარებით, არიან „ქეშელთ“-ელები[11]; ესაა პატარა გვარი (მოდგმა), რომელიც სახლობს ბრუტსაბძელის უმაღლეს ნაწილში, ოსეთს, ქართლსა და იმერეთს შორის საზღვართან, მაღალი მთის უნაგირაზე, იქ სადაც იმერეთს შემორტყმული მოსხური მთები კავკასიონის მთავარი ქედიდან ჩამოეშვება. – ეს ოსები თითქმის გამუდმებით ყაჩაღობენ, ან, თუ ისვენებენ, ამაზე ფიქრობენ.

საერთოდ დიდია სხვაობა ერთი მხრივ ტყიანი და ნაყოფიერი ხეობების (ბარის) მცხოვრებთა და მაღალი, შიშველი მთების მოსახლეთა შორის. ცხადია, მათი ცხოვრებაც სრულიად განსხვავებულია. ხეობებში (ბარში) ისინი აშენებენ ხის სახლებს, მთებში კი ქვისას; პირველი ერთსართულიანია, მეორე კი ყოველთვის სამსართულიანი და სათვალთვალ კოშკებით მაღალი. ამ კოშკების ქვედა ფართობი უკავია საქონელს; შუა ნაწილში, რომელსაც დღისით კიბეს ადგამენ, ცხოვრობენ ადამიანები. ზოგჯერ ამ შუა სართულს გარს აივანი (გალერეა), ან დერეფანი (კორიდორი) შემოუყვება. დაბოლოს, ზედა სართულზე აქვთ განძისა და მარაგის სათავსები. ხეობებში (ბარში) ჩვეულებრივ 20-30 სახლი დგას ერთმანეთის მეზობლად; უფრო ზევით 2-3, და ბოლოს ყოველი ციხე-კოშკი განმარტოებულია.

როგორც ხეობის (ბარის), ისე მთიელი ოსები სტუმართმოყვარენი არიან. ყველა სოფელში, სადაც ჩემს გამყოლებს ნაცნობები ჰყავდათ, მითმობდნენ მთელ სახლს თავისი მოწყობილობით. მე წინასწარ ვაგზავნიდი შიკრიკს ჩემი ჩასვლის შესატყობინებლად. ერთერთი პუნქტის მაცხოვრებლები მოვიდნენ ჩემთან მთელი ხარით და მითხრეს: „ეს ხარი შენია და გთხოვთ, მიირთვათ გემრიელად“. მე ვუპასუხე: „დიდო ღმერთო, საყვარელო ხალხო, რა მოგუხერხო ამ უზარმაზარ ხარს? ჩემთვის გაცილებით სასიამოვნო იქნებოდა, რომ მოგეტანათ ქათამი და რამდენიმე კვერცხი“. – „ჩვენ მოვალთ და შენთან ერთად შეეჭამთ“, იყო მოკლე პასუხი. მჭევრმეტყველება ოსებს აქვთ ლაკონიური (სპარტანული). შემდეგ ხარი დაკლა მხარის უხუცესმა (მეთაურმა) და მოიხარშა დიდ ქვაბში მასპინძლის ეზოში. ოსებმა შემწვარი არ იცინან, ყველაფერს ხარშავენ წყალში. საოცარი სანახაობაა, თუ როგორ ჭამენ ოსები: ჯერ ერთი, განაწილება ხდება დამსწრეთა შორის წოდებისა და ღირსების მიხედვით, გვარის სიდი-

დისა და წარჩინებულობის მიხედვით; შემდეგ, სიხარბე, რითიც შთან-  
თქავენ ყველაფერს. იშვიათად მთავრდება ეს გაყოფა ჩხუბის გარეშე.  
ერთი ოჯახის მამა ამტკიცებდა, რომ, მიუხედავად მისი სახლისკაცე-  
ბის დიდი რაოდენობისა, ცოტა ერგო; მეორე ამბობდა, რომ ეკუთ-  
ვნოდა ბარკალი; ღარიბები და მოსამსახურეები ბუზღუნებდნენ და  
არ სურდათ დაკმაყოფილება მხოლოდ კუჭ-ნაწლავით. როცა მე შეძ-  
ლებულ ხალხთან მივსულვარ, რომლებმაც სუფრისთვის მოიყვანეს  
წყვილი ხარი და რამდენიმე ცხვარი, მინახავს, რომ ხშირად მთელი  
დღე ჭამდნენ და ქეიფობდნენ და ამაოდ ვცდილობდი აღმომეჩინა,  
თუ სად მიდიოდა მთელი ხორცი. თუმცა, გაჭირვების უამს მათ შე-  
უძლიათ 3-4 დღე იშიმშილონ. მაღალ მთებში მცხოვრებთ აქვთ ამის  
უდიდესი გამოცდილება, როგორც თქველევამი, ისე შიმშილის, რად-  
გან მათთან შიმშილი ხშირი სტუმარია. ნანადირევს არ ჭამენ; არა  
იმიტომ, რომ მათი გემო არ მოსწონთ, არამედ, რადგან თოფის წამა-  
ლი და ტყვია ძვირად უღირთ, ნადირს რომ ესროლონ. მას ინახავენ  
აღამიანებისთვის.

სასმელებიდან გარე ხეობებში აქვთ ქართული ღვინო, შიდა  
მხარეებში მხოლოდ არაყი და ლუდის სახეობა, რომელსაც ჩვენსა-  
ვით[5] ქერისგან ხარშავენ. ორივესთვის განსხვავებულ სასმისებს  
ხმარობენ: არაყისთვის ხის პატარას, მაღალი ყელით და ვინრო სადი-  
ნარი ხვრელით, ანდა ხარის რქის გამოფხეკილ წვერს, ან ღვინის ჭი-  
ქას. ლუდისა და წყლისთვის კი ცხვრის, ან მსხვილფეხა საქონლის  
დიდ, ძლიერ რქებს, რომელთაგან ზოგი 1,5 წყრთის სიგრძისაა. მათ  
შეუძლიათ ასეთი დიდი სასმისი (კათხა) ერთბაშად (სულმოუთქმე-  
ლად) გამოცალონ. როგორ გვახსენებს ეს ყოველივე ტაციტუსის  
გერმანელებს! [5]

მათ ძალიან უყვართ ასეთი მასპინძლობა და ზეიმები. როცა მე  
ვაგრძელებდი გზას, ბევრი მიმაცილებდა ჩემს შემდგომ ბინამდე მხო-  
ლოდ იმიტომ, რომ ხარის შემწვარი ხორცი დაეგემოვნებინათ, რასაც  
იქ ელოდნენ. ზოგჯერ ისინი ივინყებდნენ მტრობას და მეტოქეს  
ურიგდებოდნენ, რომლებიც ამ საზოგადოებაში აღმოჩნდებოდნენ; ეს  
იყო დროებითი დაზავება, რათა მონაწილეობა მიეღოთ ქეიფში. ასეთ  
ვითარებაში საქმე შემდეგ სახეს იღებდა: – როცა ერთ სოფელს მი-  
ვუახლოვდით, სადაც ერთ-ერთი ჩემი თანმხლების მტერი იმყოფებო-  
და, იმათ მოახლოებული სტუმრები ტყვიით გააფრთხილეს, რომელ-  
მაც ჩვენ ქუდებს ჩაუზუზუნა (როგორც შევარდენი წარმოუდგენელი  
სიმალიდან გამოარჩევს გუნდიდან თავის მონინააღმდეგეს). მტერი  
მარტო რომ ყოფილიყო, ტყვია მას ადგილზე გააცივებდა; მაგრამ,  
რადგან ის დიდ ჯგუფთან ერთად მოვიდა, რა თქმა უნდა, ეს ვერ გა-

ბედეს. ჩვენ მაშინვე შევჩერდით და ვიკითხეთ: „ვის ჰყავს ამ მხარეში  
მოსისხლე მტერი?“ მაშინვე ნეიტრალური დესპანი, როგორც პარლა-  
მენტარი, გაგზავნეს იმ სახლში, საიდანაც ისროლეს. ჩვეულებისა-  
მებრ მოხდა დაზავება და ყველას შინ შესვლის ნება დაგვრთეს. ხან-  
დახან მოლაპარაკება უშედეგოა და მტერს აიძულებენ წავიდეს, და-  
წარჩენებს კი მეგობრულად მიიწვევენ. – აგრეთვე, როცა ვინრო ხე-  
ობაში მივემართებოდით, ხშირად მოფრინავდნენ ასეთი გამაფრთხი-  
ლებელი ტყვიები ჩვენს თავს ზემოთ და ყოველთვის მოსდევდა ამას  
მოლაპარაკება და კამათი. მთავარი გზა გადის ყოველი ხეობის შუაში  
და უშუალოდ გზასთან არც სახლი დგას, არც სოფელი. ესენი მეტნი-  
ლად განლაგებულია მის ორივე მხარეს რამდენიმე ასი ნაბიჯის მო-  
შორებით ტყეში, ან გამოშვერილ შემალლებათ. კომპეკში მუდამ იმ-  
ყოფება გუშაგი, რომლის საოცარ სიფხიზლეს გზაზე არცერთი სახის  
გამომეტყველება და ჩახველება არ გამოეპარება.

ოსები ძალზე კარგად ისვრიან და მიზანს ისე ახვედრებენ,  
თითქოს უწვრილესი ფარგლით აქვთ მოზომილი. ეს ოსტატობა მათ  
სისხლში უნდა ჰქონდეთ, რადგან ძალზე საცემია თვალში, რომ სრო-  
ლაში თითქმის არასდროს ვარჯიშობენ. მათთვის დენთი და ტყვია  
ძალზე ძვირია და არ აქვთ მიზანში სროლისა და მსროლელების არა-  
ნაირი საზოგადოება, როგორც, მაგალითად, ტიროლშია. თუ მნიშვნე-  
ლოვანი სამიზნე არ აქვთ, თოფს უმიზეზოდ არ ისვრიან. თუმცა  
დამბაჩებს ხანდახან ცაში ისვრიან თავისი სილალის მაჩვენებლად.

უკლებლივ ყველა შეიარაღებულია. თურქების მსგავსად, წინის-  
კენ გვერდზე ჰკიდიათ მოლუნული ან სწორი ხმალი. ქამარში გარჭო-  
ბილი აქვთ გრძელი ხანჯალი. გრძელ, მწვანე თოკზე შებმული თოფი  
და ორი დამბაჩა უკან ზურგზე აქვთ გადაკიდული. თავის ნახევარ  
ქურქზე ზემოდან ატარებენ რკინის პერანგს, ხოლო თავზე ასეთივე  
ჯაჭვის ჩაჩს. ჯაჭვის სრულყოფილი აბჯარი იშვიათია და ესაა მდიდ-  
რების ფუფუნების საგანი; ამათი უმრავლესობა კმაყოფილდება ასე-  
თი აბჯრის ნაწილით და ისიც შეკეთებული აქვთ გულმკერდზე ან  
თავზე. ქალები მოვალენი არიან თითქმის ყველაფერი მოუზადონ  
ქმრებს (კაცებს), თვით ფეხსაცმელები, ტანსაცმელი და აბჯარიც კი.  
უნაგირზე უკიდიათ პატარა მრგვალი ფარი, რომელსაც იყენებენ  
ხელჩართულ ბრძოლაში. ამ ფარს გადაკრული აქვს ორ ან სამმაგი  
სქელი სალანჩე ტყავი, ხოლო ირგვლივ შემოჭედილია რკინის სარ-  
ტყელით. შუაში უზის რკინის ბუნიკი, ან ბურთის მსგავსი პატარა  
ამონაბურცი. ზოგჯერ ამას და არშიას შორის კიდევ ფოლადის ბევრი  
რგოლია დაჭედებული. ფარი მთლიანად იწონის 15-20 ფუნტს. თო-  
ფებზე აქვთ ლინზა და სამიზნე. ლინზა ძალზე პატარა და თხელია.

თოფის საკეტის ახლოს განივად წამოსკუპებულია თხელი ლითონის ფირფიტის სამიზნე. მას გააჩნია წვრილი ხვრელი, რომლითაც ლინზას უყურებენ. თოფის წამალს თვითონ ამზადებენ; მთებში ნახულობენ მისთვის საჭირო ნივთიერებებს – გვარჯილას, გოგირდს. ასევე ჭარბადაა მათთან ტყვია. ყველა ოსი ისვრის ტყვიის ტყვიებს, მაშინ როცა ლეკებს მხოლოდ სპილენძისა აქვთ.

ჩემი კვლევის განსაკუთრებული საგანი იყო მათი თოფები და მათი წარმომავლობა. როცა ამის შესახებ ვეკითხებოდი, ყოველთვის მპასუხობდნენ – „ოტ პრადი“ (წინაპრებიდან). ლეკებისგან განსხვავებით, მათ არ ჰყავთ თოფის დამზადების ოსტატები; თუმცა ოსებს ლეკებზე ბევრად უკეთესი თოფები აქვთ და ნათლად ჩანს ევროპული ხელი. ზოგმა თავის თოფს „ყირიმული“ უწოდა. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის უმეტესობა იმ დროიდანაა, როცა გენუელები ბატონობდნენ ყირიმსა და შავ ზღვაზე; რომ ოსებმა მხოლოდ ერთგვარად გააუმჯობესეს და ზოგი ცვლილება შეიტანეს თავიანთ თოფებში. მათი ხმლების წარმომავლობას მრავალ მათგანზე დატანილი იტალიური წარწერები ადასტურებენ. ის რომ ასეთი ძველი დროის ცეცხლსასროლი იარაღი ჯერაც სახმარად ვარგა, მიუთითებს საოცარ სისუფთავესა და ყურადღებაზე, რითაც ოსები უვლიან თავიანთ თოფებს. მათი თოფები, სხვა ყველა იარაღის მსგავსად, ყოველთვის გაპრიალებულია. გაპრიალება ერთ-ერთი იმ მცირე საქმიანობათაგანია, რომელსაც ოსები თავიანთ ქალებს (ცოლებს) არ ანდობენ. სახლში თოფი ყოველთვის ოთახის ყველაზე უსაფრთხო და დაცულ კუთხეში ჰკიდია, ისევე, როგორც რუსებთან ხატები; ამასთან, არასდროს არაა ტყავის ან ნაბდის შალითის გარეშე. მგზავრობისას ოსი თუ წვიმაში მოხვდა, იარაღს უფრო გულმოდგინედ ფარავენ სქელ, ბენვიან ქურქში, ვიდრე საკუთარ თავს. არასდროს თოფს უშიზეზოდ არ ისვრიან. ისეც ხდება, რომ მთელი წლის მანძილზე ერთხელაც არ გაისვრიან, თუმცა ღამით და დღისით, სახლშიც და გზაშიც მზად აქვთ სასროლად და საომრად. თავის ცოლებზე ისე არ ექვიანობენ, როგორც თოფებზე; უფრო ადვილად აპატიებენ პირველთა შეურაცხყოფას, ვიდრე მეორეთა მცირედ დაზიანებას. ყველა კავკასიელთა მსგავსად, ესენიც მკერდზე ატარებენ რამდენიმე ჯიბეს, რომლებშიც ჩანყობილი აქვთ თითო დატენილი ვაზნა. ისინი არა მარტო კარგი მსროლელები არიან, არამედ საუკეთესო მოფარიკავეები, რითიც სხვა კავკასიელებს ვერ შეაქვბ. გრაფი ვ., ახალი რუსეთის (ნოვოროსიის) გენერალ-გუბერნატორი, ახალგაზრდობაში განთქმული იყო როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მოფარიკავე რუსულ არმიაში; როცა კავკასიაში მსახურობდა, ხშირად იწვევდა ოსებს ორთაბა

რძოლაში, მაგრამ ხშირად, დამარცხებული აღიარებდა მონინააღმდეგის ოსტატობას. მშვილდ-ისარს ოსები არ ხმარობენ.

ადამიანზე ნადირობა, როგორც ითქვა, ოსებში მთავარი საქმეა. ფრინველზე, შველზე, კურდღელზე, ტურაზე და ა.შ. ტყვიას იშვიათად ხარჯავენ; მხოლოდ მუფლონს (გარეული ცხვარი), დათვებსა და ლეოპარდს სდევნენ, როცა ესენი მათ მთებში გამოჩნდებიან. ბრუტსაბძელზე უნდა იყოს ჯიბვიც (ტური), რომელზე სანადიროდაც მონადირეთა დიდ გუნდად ერთიანდებიან. ამას გარდა ისინი კიდევ მხოლოდ მთვარეს ესვრიან; სახელდობრ, მთვარის დაბნელებისას. მათ სწამთ, რომ ცაში მფრინავი ბოროტი ურჩხული (გველეშაპი) სჩადის ამას და იმდენ ხანს ესვრიან საბრალო „ნადირს“, სანამ დაბნელება არ დასრულდება. რა თქმა უნდა, ყველაფერზე მეტად პატივდებული იარაღი ძალზე ძვირად ფასობს. ხმალი ხშირად 50-100 ცხვარს იძლეოდნენ; კარგ თოფში, როგორც მეტად დაფასებულში, 200-მდე ცხვარს.

ოსი იარაღს მუდამ თან ატარებს, როგორც გარეული ნადირი კბილებს. მხოლოდ ძილის დროს ჰკიდებენ მას კედელზე. ისინი ხნავენ შეიარაღებულები, საქონელს აძოვებენ იარაღსა ხმელნი და მეზობელთან უმოკლეს გზასაც არ გაივლიან იარაღის გარეშე.

ამჟამად მეც მიკვირს, რომ ასეთ ადამიანებში ყოფნას ბედნიერად დავაღნიე თავი. რადგან მართლაც ჩემს თანმხლებთა შორის ზოგჯერ ნამდვილი კანიბალებიც იყვნენ; ასე მაგალითად, ერთი ქეშელთაგანი, რომელიც, სხვათა შორის, ცნობილი იყო როგორც ყველაზე ცუდი სახელის მქონე მეზობლებთან ურთიერთობაში. ერთ დღეს მე მას ვთხოვე, ერთხელ მაინც სწორად ეთქვა, რამდენი ადამიანი ჰყავდა მოკლული ცხოველების მანძილზე. მან ჩაიცინა და, იმ ქალიშვილივით დარცხვენილმა, რომელსაც შეეყვარებულთა რაოდენობას ეკითხებიან, მიპასუხა: „არ ვიცი, ბატონო!“ – „მიდი, დათვალე ერთხელ!“ – სხვათა დახმარებით დაახლოებით 50 ადამიანი დათვალეს, რომლებიც მხოლოდ შურისძიების გამო გამოასალმა სიცოცხლეს. – „მე მიკვირს, რომ შენ კიდევ ცოცხალი ხარ!“ – „ბატონო, როცა თქვენ მე კატასავით მეპარებით, მე მელასავით გავეცლები გზიდან და თავს დავესხმი მგელივით“. – „ერთხელაც მოვა შენი ჯერი!“ სიცილით დაუყვირეს სხვებმა.

მე რომ ასე კარგად გადავჩი, ამას ნაწილობრივ იმით ვხსნი, რომ ჩემი მასპინძლები განსხვავებული მხარეებიდან იყვნენ და ერთმანეთს ბოლომდე არ ენდობოდნენ. ზოგიერთი სიამოვნებით მომკლავდა ჩუმად, როგორც წყეულ რუსს, მაგრამ შიში და უცხოის მიმართ სტუმარ-მასპინძლობის ნესის გატეხით გამოწვეული სირცხვილი, აჩერებდა მათ. ხანდახან სიკვდილთან საკმაოდ ახლოს ჩამივლია. აი, ეს შემთხვევა:

- არიდონის ხეობის\* ერთ სოფელში, რომლის მაცხოვრებლები ჩემს თანმხლებებს არ ენდობოდნენ და არც ერთ მათგანს მასპინძელი არ ჰყავდა, ძალზე არამეგობრულად შეგვხვდნენ და არ სურდათ სახლის დათმობა. ბინები კი მივიღეთ, მაგრამ უნდა გავნანილებულიყავით სხვადასხვა სახლებში. ამას ცხოველი პროტესტით შეხვდა მთელი ჩვენი გუნდი, რომელმაც რაღაც არასასურველი იგრძნო და განუმარტა, რომ ეს ტრადიციას ეწინააღმდეგებოდა და, რადგან შეპირებული იყვნენ მიღებას, უცხოები ყველა ერთად უნდა მოეთავსებინათ და ჩვენთვის მთელი სახლი დაეთმოთ. ჩვენ იმდენ ხანს ვიხმაურეთ ჩვეულებებსა და უფლებებზე, სანამ მისაღები არ მივიღეთ. შემდეგ მოვეწყეთ, ვივანშმეთ და დასასვენებლად დავწყეთ. მე თარჯიმანთან ერთად დავბრუნდი ჩემს ოთახში და დავიძინე. თანმხლებები, ჩვეულებისამებრ, ჩემი ოთახის კარების წინ მიმქრალ ბუხართან ისხდნენ. ღამე წამოვდექი და, ჩემდა გასაკვირად, კარების ღრეჭოში დავინახე ასე გვიან დროს ახლად დანთებული ცეცხლი და მომესმა ჩემი თანმხლებების ჩურჩული. მე ვუბრძანე ჩემს სომეხს[12] ენახა, თუ რა ხდებოდა. როცა მან კარი გააღო, დავინახე, რომ ყველა ჩემი თანამგზავრი თოფებით ხელში წრეში იჯდა და მზერა სახლის ღია კარებისკენ მიეპყროთ. მე გავედი და ვკითხე, თუ რას ნიშნავდა ეს. მათ კითხვითვე მიპასუხეს, რომ ხომ არ მესმოდა ფაჩუნი და ზუზუნი ირგვლივ, რაც რაღაც ცუდს მოასწავებდა. არ გასულა დიდი ხანი, რომ ბუჩქებში გამოჩნდა საეჭვო მცოცავი ჩრდილები, რომლებიც მალე აშკარად გამოვიდნენ იქიდან. მთელი ეზო გაავსო სოფლის შეიარაღებულმა და მობუტბუტე გუნდმა. ჩემი თანამგზავრების თოფის ლულები მიმართული იყო კარის გარეთ. ქვემოთ უკვე ემზადებოდნენ სახლზე ასაცოცებლად და ერთი-მეორეს აგულიანებდნენ ამისთვის. მაშინ მე თარჯიმანთან ერთად გავედი აივანზე და შევეკითხე, რა სურდათ და რისთვის მოსულიყვნენ. კაცები, რომლებმაც საკმაოდ ნათლად გვაგრძნობინეს რაც სურდათ, ამ მათთვის უჩვეულო სითამამემ ცოტა დააბნია და იმოქმედა მათზე (ოსები იშვიათად უჩვენებენ აშკარა სიმამაცეს, ვიდრე ეშმაკობას ბრძოლის თამაშისას). მათ ცოტა შეცბუნებულებმა მიპასუხეს: „ჩვენ მოვედით, რათა გკითხოთ შენ, ვინ ხარ და საერთოდ რა გასურს ჩვენთან“. - „და ამის შესაკითხად მოხვედით ასეთ დროს ღამით და გაგვალვძიეთ მგზავრობით დაღლილი თქვენი სტუმრები? უკეთესი არ იყო, ხვალ დღისით გველაპარაკა? მე ვფიქრობ, სულ ცოტა 3-4 დღე კიდევ დაეწიე თქვენთან; ასე რომ, საკმაოდ დრო მაქვს სრულყოფილად გაგიც“

\* არიდონი არის თერგის შენაკადი. ჩვენ რუკებზე აღნიშნულია „არდონი“

ნოთ. კეთილო ხალხო, წადით და ჩვენც გვაცალეთ, როგორც თქვენს მიერ სტუმრად მიღებულებმა, მშვიდად დავისვენოთ. ხვალ ყველაფერზე დაგელაპარაკებით“. ამის შემდეგ არაფერი ჭკვიანურით არ შეგვპასუხებია. მათ თავი დამარცხებულად იგრძნეს (თამამი საქციელი ხშირად უკეთესად გადაარჩენს სიცოცხლეს, ვიდრე ხმალი და ფარი) და ბურტყუნით წაეთრნენ. ამას ერქვა: დრო მოიგე, ყველაფერი მოიგე. სრულ სიჩუმეში შეიკაზმა და დაიტვირთა ცხენები და სასწრაფოდ გავეშურეთ მეგობრულად განწყობილი სახლის პატრონის მხარისკენ.

სიმღერის ხელოვნებაში ოსები არ არიან ისე განაფულები, როგორც ფარიკაობაში. მე, რა თქმა უნდა, რამდენჯერმე მოვისმინე გუნდის სიმღერა. მე მეჩვენა, რომ ის სხვა არაფერი იყო გარდა ერთფეროვანი „რა-რა-რა“-სი! ხან ცოტა ხმაანული, ხან დანული; არავითარი ჟღერადობის მოდულაცია როგორც სართავ ჯარას, ხოლო სიძლიერის ვარიაციებით - ქარიშხლის ღრიალი. საკრავი ინსტრუმენტებიდან ვნახე მხოლოდ ციტრის მსგავსი, რომელიც წააგავს მალლოროსიულ ბანდურას. თვალში საცემია, რომ, როგორც ჩვენი რუსები, ცეკვავენ ბუქნით\* (в присядку), რაც სხვა კავკასიელ ხალხებს არ აქვთ.

არითმეტიკაშიც (გამოთვლაშიც) ასევე სხვებისგან განსხვავებულად იქცევიან. ისინი ითვლიან 18-იანი სისტემით; ე.ი. 18-მდე, როგორც ჩვენ ათამდე; შემდეგ კრებენ 18-ობით, როგორც ჩვენ ათობით; შემდეგ 18-ჯერ 18-ად, როგორც ჩვენ ასობით და ა.შ.

ბევრი გაგებით, ოსები თუმცა ღარიბად ცხოვრობენ, მაგრამ მაინც უკეთესად, ვიდრე მათი მთების გადაღმა მოსახლე ქართველური ტომები, მეგრელები, იმერლები, აფხაზები, ქართლელები [4] და ა.შ. განსაკუთრებით სისუფთავით ჯობნიან ამათ. ქართველი თავის აბრეშუმის პერანგს მანამდე ატარებს, სანამ ტანზე არ შემოეფლითება; ოსი ქალები კი ხშირად უცვლიან სუფთა პერანგებით. მათ აგრეთვე სახლებში აქვთ ზოგი რამ, რაც ქართველებს აკლიათ; მაგალითად, მაგიდები, სკამები და მერხები (?-გ.გ.). როგორც ზემოთაც ავღნიშნე, ყოველ სახლში ოჯახის უფროსისთვის არის ოფიციალური სავარძელი. ჩვეულებრივ არც მუხის ხის დიდი მაგიდა აკლიათ, როგორც ძველ გერმანელებთან [5].

ოსების გარეგნობაში ტანის სხვა ნაწილებიდან გამოირჩევა სა-

\* რუსებთან ნიშნავს მუდმივად განმეორებულ საცეკვაო ფიგურას, რომლის დროსაც ისინი უეცრად ერთი ფეხის ქუსლზე ჩაბუქნავენ, ხოლო მეორე ფეხი გაშვრილი აქვთ.

ოცრად კობტა (მოხდენილი) ფეხები; განსაკუთრებით ქალების, რომლებიც დედამიწაზე ყველას ჯობია. ოსებს ისეთი მახვილი თვალი აქვთ ლამაზი ფეხების მიმართ, რომ ყოველ ევროპელს თუ სხვა რა-მით არა, ფეხებით გამოიცნობენ. ასეა აფხაზებთან და სხვა კავკასიელებთან, რომლებიც ჩვენ ევროპულს ძალზე სწრაფად ცნობენ.

ოსები თმას თავზე მრგვლად იკრეჭენ, ისე რომ ერთმანეთისგან დაცილებულ სქელ ფოჩებად ჩამოეკიდება. წვერს მთლიანად იპარსავენ, გარდა ტუჩებისა.

საშინლად, მაგრამ სამართლიანად ექცევიან ოსები მამის მკვლელებს. ისინი საკუთარ სახლში გათოკავენ მას და მთელ მის ოჯახსაც (ეს ძალზე უსამართლოა) და წვავენ ყველას და ყველაფერს, რაც შიგნით დგას ან იმყოფება, მთელ მარაგს და პირუტყვს; ასე რომ ძირფესვიანად ანადგურებენ მის მთელ მეურნეობას. სხვა შემთხვევაში ინანილებენ მოძრავ ქონებას, ხოლო მამის მკვლელის პირად ნივთებს ხელს არ ახლებენ.

საერთოდ მამას დიდ პატივს სცემენ; სანამ ცოცხალია და სიბერისგან მთლად არ დაძაბუნდება, ის რჩება სახლის და ვაჟების უფროსად. ყველა სიამოვნებით ასრულებს მის ბრძანებებს და სურვილებს. მის სიკვდილამდე ვერავინ მოითხოვს სამემკვიდრეოს.

რაც შეეხება დაქორწინებას, მათთანაც არის ებრაული კანონების საკვირველი წესი. სახელდობრ, თუ ოსი გარდაიცვლება და ცოლი დარჩება, ის უნდა შეირთოს გარდაცვლილის დაუქორწინებელმა ძმამ.

დამახასიათებელია საჯარიმო კანონები ქურდობასთან დაკავშირებით. თუ ჩადენილია ქურდობა, ქურდმა ხუთმაგად უნდა დააბრუნოს. თუ ჩადენილია ძალადობრივი ყაჩაღობა, ნაყაჩაღარი უბრალოდ უკან ბრუნდება. ძლიერ ხალხში, სადაც სუსტები ეჯავრებათ, ეს მთლად წესრიგშია, რადგან ძალადობისგან ყველას უფრო შეუძლია თავის დაცვა, ვიდრე მზაკვრობისგან.

ოსებში კაცი უფრო მგზნებარეა, ვიდრე ქალი; ქართველებში ეს პირიქითაა, რადგან მათთან ქალი ცეცხლი და ალია, კაცი კი მოღუნებული (ზარმაცია). ოსებში ეს იმით აიხსნება, რომ სამუშაოთა უმრავლესობა ქალებს ანევთ ტვირთად.

ოსებმა მიაბნეს ბუნების საოცარი მოვლენის შესახებ. მათ მითხრეს, რომ ზამთარში თოვლის ზვავებს ზოგჯერ მთებიდან ჩამოჰყვებიან ჭიყვლები, რომლებიც თითის სიმსხო, სიგრძით ნახევარი ფუტი და მთლად გამჭვირვალე არიან. როცა ხელში აიყვან (ძალზე რბილის შეგრძნებაა), ან ოთახში შეიყვან, წყლად იქცევიან. არ მინდოდა ამის დაჯერება, მაგრამ ბევრგან მიაბნეს ამ ჭიყველას შესახებ. ის ძველ

თოვლში უნდა ცხოვრობდეს და არა ახლად მოთოვლილში, თქვეს მათ. ეს უცნაურად ჩანს, თუმცა გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს. ბუნება სავსეა საოცრებებით; ხალხი თავის საკვირველ ისტორიებს მთლად ჰაერიდან არ იღებს.

„სასა“ არის ოსური სახელი, ხოლო გვარები, რომლებიც ძალზე ხშირად გვხვდება, არის, მაგალითად, „შავლოხა“ და „როკა“, როგორც გერმანელების „მაიერები“ და „მიულერები“, ან ჩვენი რუსული „შავლოვები“ და „პეტროვები“.

მინათმოქმედება კავკასიაში, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოა[13], თუმცა აქა-იქ თესენ ქერს, შვრიას და ხორბალს საცხოვრებლის ირგვლივ; მაგრამ მოსავალი ისე მცირეა, რომ ხშირად ურემი არც კი დასჭირებიათ მის გასატანად. მთელი მომკილი ზურგით გადააქვთ სახლში. თივა, რომელსაც თავისი კარმიდამოდან მოშორებით მთის ფერდობზე შემოდგომაზე პირველი თოვლის მოსვლისას თიბავენ, მიაქვთ შინისკენ. ამ დროს ისინი ყველაფერს მიათრევენ სათანადო ფერდთან და დიდ ზვინებს ჩამოსასრიალებენ სახლისკენ. ფერდობი, რომელზეც ბალახს თიბავენ, ზოგჯერ ისეთი ციცაბოა, რომ იქ ფეხებზე ამობმული რკინის წვეტების (კბილანების) საშუალებით მოიპოვებენ მას. ზურგზე დამბაჩით და თოფით, გვერდზე ხმლით და ხანჯლით, ხელში ცელით, რკინის კბილანებზე შემდგარს — ასეთს ხედავენ მას ციცაბო მთაზე თითქოს ოჩოფეხებზე მიმავალს.

მთელ გზაზე არსად მინახავს ოსებთან რუსი ტყვეები. მე ვფიქრობ, რომ ისინი ჩემი ჩასვლის წინ თავიდან მოიცილეს.

ბევრი ოსი გამოთქვამდა სურვილს, დასრულებულიყო მათთან ველური მდგომარეობა. ეს სურვილი ნაწილობრივ სრულდება, რადგან, გარდა კეთილი მიღწევებისა მეცნიერებისთვის, ჩემმა მოგზაურობამ ის შედეგიც გამოიღო, რომ მისი დასრულების სამი წლის შემდეგ დიდი და საქმის ცოდნით აღჭურვილი ექსპედიცია მოეწყო ოსებში, რამაც ქვეყნის ერთი ნაწილი რუსულ კვერთხს დაუმორჩილა.

### კომენტარები

[1] კლაპროტი იულიუს (1783-1835), გერმანელი ლინგვისტი, აღმოსავლეთმცოდნე. 1808 წელს იმყოფებოდა კავკასიაში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით — ფილოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული კვლევისთვის. მისი ერთ-ერთი ნაშრომია „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში 1807-08 წლებში“ (I-II, ჰალე-ბერლინი, 1812-14).

[2] სიოგრენი ა. ლინგვისტი. საგანგებოდ შეისწავლა ოსური ენა და მიაკუთვნა ის ირანული ჯგუფის ინდო-გერმანული ენების რიგს. („ოსური გრამატიკა და ოსურ-გერმანული და გერმანულ-ოსური მოკლე ლექსიკონი“, სტ.-პეტერბურგი, 1844. „ოსური შტუდიები ინდოევროპული ენების გათვალისწინებით“.)

[3] პასკევიჩი ივანე თევდორეს ძე (1782-1856) საქართველოს მთავარ-მართებელი 1827-31 წლებში. რუსეთ-ირანის 1826-28 წლების ომის დროს ილაშქრა სპარსეთისკენ. საინტერესოა, როგორ გაჰყავდათ პირუტყვი ომის საჭიროებებისთვის.

[4] საინტერესოა, ხომ არ თვლის კოლი აფხაზებს ქართული მოდგმის ხალხად – იმერლების, მეგრელების, ქართლელების მსგავსად.

[5] კოლის გარდა სხვა მოგზაურებიც ხედავენ მსგავსებას ოსებსა და გერმანელებს შორის გარეგნობაში, ზოგ ჩვევებში, ტრადიციებში, საუბრის მანერაში და ა.შ. ზოგს სურს მათი ნათესაური ურთიერთობები და საერთო წარმომავლობაც კი დაასაბუთონ.

[6] ქართული ქრონიკებიდან კოლს, სავარაუდოდ, შეიძლება ბროსესეული (1839) თარგმანი სცოდნოდა.

[7] შდრ. „ქართლის ცხოვრება“, I, თბ. 1955. ლეონტი მროველი – „ხოლო დიდი ანდრია [მოციქული-გ.გ.] სიმონითურთ [კანანელი-გ.გ.] შევიდა ქუეყანასა ოვსეთისასა... და მრავალნი ერნი მოაქცივნეს და განანათლნეს“... (გვ. 42).

იქვე, ჯუანშერის მიხედვით, ოვსეთი შედიოდა ქართლის კათალიკოსის სამწყსოში (გვ. 232). კოლიც კარგად ხედავს, რომ ოსებისთვის „ქრისტიანობის აკვანი“ საქართველოა.

[8] შდრ. ვახუშტი: „ამ დუალეთს მზღვრის...სამხრით კავკასი მალრანდუალეთისა, ზახისა, ბრუც-საბძელისა... ბრუც-საბძელი ეწოდა, ვინაითგან არს მგზავსი საბძლისა და უქმი...“ (ქართლის ცხოვრება, IV, თბ. 1973, გვ. 648).

ანინდელისა ამის ოვსეთისა საზღვარი არს: ....სამხრით, ხევის ყელიდამ წარსული დასავლეთად, რომელ არს ბრუც-საბძელამდე, და ზეკარა, კედელა და რაჭა-დიგორ-ბასიანს შორისნი კავკასიანი (იქვე, გვ. 634).

[9] ამ სავარძლის სურათი თავის წიგნში, სხვა ჩანახატებთან ერთად, ჩართული აქვს გერმანელ მოგზაურს ჰაქსტჰაუზენს (იხ. აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ“, თბ. 2010).

[10] ძალზე საყურადღებოა, რომ კოლიც ცხინვალს ქართულ დასახლებად თვლის!

[11] ვახუშტი „ქეშელთის-ხევს“ ქართლში ხედავს: „სოხო-ხევს ზეით ფანასვე მოერთვის ქეშელთის-ხევი“ (ქართლის ცხოვრება, IV, თბ. 1973, გვ. 372). სხვაგან ქეშელთელებს არსად ახსენებს.

[12] ხომ არაა ეს სომეხი იგივე საბალოვი, რომელიც ახლდა მეგზურად ჰაქსტჰაუზენს, როგორც ოსური ენისა და ოსების კარგი მცოდნე.

[13] ცხადია აქ უნდა ვიგულისხმოთ კავკასიის მთიანეთი, თორემ ბარის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგი ხომ მინათმოქმედება იყო.

**Gia Gelashvili**

*Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Senior scientist-researcher of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*

### **Johan Kohl about Ossen**

#### **Summary**

Johan Georg Kohl (1808-1878) was a well-known German traveler, writer, geographer, ethnographer, historian. He published more than 40 works about Russia, England, Holland, USA, Austria etc.

In 1847 Kohl published a work „Journey in South Russland“. In one of its chapters he wholly describes Ossen.

In the following article there is given the Georgian translation, comments and a short preface to the Kohl's material about Ossen. Kohl describes everything he saw himself and felt personally – social-economic situation, their relations with each other, national traditions, their judicature, their „proximity“ with Germans etc.

### გია გელაშვილი

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

## ვარლამ ჩერქეზიშვილის რამდენიმე წერილი ოლივიერ უორდროპისადმი [1]

### შესავლის მაგიერ

ჩვენს მიერ წარმოდგენილი წერილები დაცულია: პირველი ხუთი ვარლამ ჩერქეზიშვილისა – ქ. ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპთა კოლექციის ფონდებში, ხოლო მეექვსე – ვარლამ ჩერქეზიშვილის მეუღლის (ქ-ნ ფრიდასი) – ქ. ლონდონში, ეროვნულ არქივში.

ჩვენ მოგვყავს ამ წერილთა ტექსტები ქართული თარგმანითურთ. სამწუხაროდ, ზოგან მოგვიხდა მრავალწერტილის დასმა, რადგან დედანში ძალზე გაურკვეველი ხელითაა ესა თუ ის სიტყვა დანერვილი. სადაც აზრობრივად მისახვედრია, წარმოვადგინეთ ჩვენეული ნაკითხვა.

ძალზე საინტერესოა ეს წერილები, რომლებიც, მართალია, სხვადასხვა პერიოდისაა (1911, 1919, 1921 წლები), მაგრამ მრავალი საყურადღებო ინფორმაციაა მათში დაცული: ესაა თანამედროვე ქართული ეკლესიის მდგომარეობა, საქართველოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარება, ბოლშევიკური რეჟიმის დამყარება და სხვა.

ვფიქრობთ, ამ და სხვა მსგავს დოკუმენტურ მასალას ყურად მიიღებენ სათანადო პერიოდის შემსწავლელი სპეციალისტები.

### [წერილები]

[1] Ms.Wardrop, d.38/8 (2) 16 Lawford Road N.W. 27.V.1911

Дорогой друг

Посылаю Вам „Report of Conference“ (Nationalities and Subject Races). По.....Церетели и мною Вы найдёте в.....полный текст Петиции нашей нации Гагской конференции 1907 г.

Как бы слабы сами по себе эти ответы, всё же вопрос о

договорных правах Грузии поставлен перед.....рядом с Финляндией, Польшей, Персией и Египтом. Это имеет своё значение: Грузия не забыта вопреки усилиям русского правительства. Но этого, конечно, недостаточно. Нам надлежит сделать ещё дерзкий решительный шаг – обратиться к парламентам Европы и С.-Штатов с жалобой о несоблюдения Россией договоров с Грузией и просить о назначении международной комиссии для расследования тех нарушении договоров

Я знаю, дело это очень трудное. Но мои друзья и Я обдумываем этот шаг уже давно, серьёзно и систематически. У нас имеются друзья, готовые поднять в парламентах вопрос о наших правах, если мы подадим официально нашу мольбу в парламентах всех государств.

Труден шаг, но, конечно мы к нему подготовились. Каковы эти приготовления – сообщу Вам при свидании.

В Лондон приехали младший Гамбашидзе из Лейпцига и сын Мирианашвили из Тифлиса. Гамбашидзе внешне европеец. Прекрасно говорит по-немецки, знает и понимает по-английски. Им, естественно, очень желательно Вас видеть. Не приедете ли к нам? Назначьте день и время и молодые люди встретят Вас у меня.

Жена и Я шлём дружеский привет Mrs.Wardrop и Вам

Ваш дружески В. Черкезишвили

27.V.1911

ძვირფასო მეგობარო

გიგზავნით „კონფერენციის ანგარიშს“ (ეროვნებები და დამოუკიდებელი ხალხები)..[შევადგინეთ]....მე და წერეთელმა, თქვენ იქ ნახავთ.....ჩვენი ხალხის სრულ პეტიციას ჰააგის 1907 წლის კონფერენციისადმი.[2]

რამდენადაც უსუსური არ უნდა იყოს ეს პასუხები, მაინც დაყენებულია საქართველოს ხელშეკრულებათა უფლებები..[კონფერენციის].....წინაშე და ფინეთის, პოლონეთის, სპარსეთისა და ეგვიპტის გვერდით.

ამას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება: მიუხედავად რუსეთის მთავრობის დიდი მცდელობისა, საქართველო არაა დავინწყებული. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არაა საკმარისი. ჩვენ კიდევ უნდა გადავდგათ მოურიდებელი გაბედული ნაბიჯი: ევროპისა და აშშ-ს პარლამენტებს მივმართოთ საჩივრით – რუსეთის მიერ საქართველოსთან დადებული ხელშეკრულებების[3] შეუსრულებლობის გამო და ვთხოვოთ, შეიქმნას საერთაშორისო კომისია ამ დარღვევათა გამოსაძიებლად.



მე ვიცი, რომ ეს ძალზე რთული საქმეა. მაგრამ მე და ჩემი მეგობრები უკვე დიდი ხანია სერიოზულად და სისტემატურად ვფიქრობთ ამ ნაბიჯის გადადგმაზე. ჩვენ გვყავს მეგობრები, რომლებსაც შეუძლიათ პარლამენტებში აღძრან საკითხი ჩვენი უფლებების შესახებ, თუკი ჩვენს სათხოვარს ოფიციალურად წარვუდგენთ ყველა ქვეყნის პარლამენტებს.

ძნელი ნაბიჯია, მაგრამ ჩვენ მისთვის, რა თქმა უნდა, მოვემზადეთ. ამ მზადყოფნის შესახებ მოგახსენებთ შეხვედრისას.

ლონდონში ჩამოვიდნენ უმცროსი ღამბაშიძე ლაიფციგიდან და მირიანაშვილის ვაჟი ტფილისიდან.[4] ღამბაშიძე გარეგნულად ევროპელია. მშვენივრად ლაპარაკობს გერმანულად, იცის და ესმის ინგლისური.

მათ, ბუნებრივია, ძალიან სურთ თქვენი ნახვა. ხომ არ მობრძანდებით ჩვენთან? დანიშნეთ დღე და დრო და ახალგაზრდები შეგხვდებიან ჩემთან [ბინაზე].

მეუღლე და მე გითვლით მეგობრულ სალამს ქ-ნ უორდროპს და თქვენ.

მეგობრულად, თქვენი ვ. ჩერქეზიშვილი

[2] Ms. Wardrop. d.38/8 (7) 29 Lawford Road N.W. 31.XII.1911

Дорогой Друг.

Простите, что пишу по-русски: на то у меня много причин. Ваше известие о готовящемся труде Архидиакона Д. очень меня обрадовало. Его появление в печати может быть очень полезным Грузинской Церкви.

Вместо (вместе ?) сведений и указаний нашего друга Г-зе, я посылаю Вам грузинский текст Возвания духовенства Иверской Церкви к Патриархам, к Папе и к главам протестантских церквей.

Этот документ коллективный, составлен делегатами грузинских духовенств и тайно отпечатан в Тифлисе в январе 1910 года.

Прилагаемый английский перевод возвания дословно верен грузинскому тексту, за исключением трёх коротких пассажей, в которых были повторения и полемическая резкости, неуместныя в таком документе.

Поправьте английский перевод и пришлите обратно. Жена моя переписшет и мы пошлём его Архидиакону Д.

Я могу ещё приложить таблицу годовых окладов грузинскому и

русскому духовенству в Экзархате Грузии. Данные все официальные. Мне прислали подлинные документы.

Вот, например, как расходуется 120.000 руб. годового дохода Экзархата:

Экзарху, на его дом, на его личную канцелярию -----	21.900 руб.
На синодальную (русскую) контору -----	27.100 руб.
На бедных духовных -----	1.300 руб.
Мцхетскому собору -----	442 руб.
Бодбийскому собору -----	350 руб.
Собору св. Георгия -----	51 руб.

и т. д....(!)

Повторяю, все данные у меня официальные и точные.

Наше духовенство оказало мне величайшее доверие, зная прекрасно, что я libre penseur. Я постараюсь оправдать их доверие, и меня никогда не покидает надежда, что при содействии Вашем и других европейских друзей кое-что и удастся совершить на улучшение дел грузинской церкви.

Передайте, пожалуйста, мой дружеский привет Вашей почтенной матушке и Тому.

И верьте неизменно дружескому моему расположению

Ваш В. Черкезов.

31.XII.1911

ძვირფასო მეგობარო

მომიტყვეთ, რომ გწერთ რუსულად: ამისთვის მრავალი მიზეზი გამაჩნია.

ძალზე გამახარა თქვენმა ცნობამ, რომ მზადდება არქიდიაკონ დ-ს [5] შრომა. მისი გამოქვეყნება მეტად სასარგებლო იქნება ქართული ეკლესიისათვის.

ჩვენი მეგობრის გ-ძეს ცნობებისა და მითითებების გარდა გიგზავნით ივერიის ეკლესიის სამღვდელთა მოწოდების ტექსტს პატრიარქების, პაპისა და პროტესტანტული ეკლესიების მეთაურებისადმი.

ეს დოკუმენტი კოლექტიურია, შედგენილია ქართული სამღვდელოების დელეგატების მიერ და საიდუმლოდ დაიბეჭდა ტფილისში 1910 წლის იანვარში.

„მოწოდების“ თანდართული ინგლისური თარგმანი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ქართულ ტექსტს, გარდა სამი მოკლე პასაჟისა, რომლებშიც გამეორებებია და პოლემიკური უკმეხობა, რაც ასეთ საბუთში უადგილოა.

შეასწორეთ ინგლისური თარგმანი და დამიბრუნეთ. ჩემი მეუღლე გადაწერს და გავუგზავნით არქიდიაკონ დ-ს.

მე შემძლია დაგურთო აგრეთვე საქართველოს საეგზარქოსოს ქართველი და რუსი სამღვდელოების წლიური შემოსავლების ცხრილი. ყველა მონაცემი ოფიციალურია. მე გამომიგზავნეს უტყუარი დოკუმენტები. აი, როგორ იხარჯება საეგზარქოსოს წლიური შემოსავლის 120.000 მან.:

ეგზარქოსს სახლისთვის, მისი პირადი კანცელარიისთვის-21.900 მან.	
რუსულ სინოდალურ კანტორაზე-----	27.100 მან.
ღარიბ სამღვდელოებაზე-----	1.300 მან.
მცხეთის ტაძარზე-----	442 მან.
ბოდბის ტაძარზე-----	360 მან.
წმ. გიორგის ტაძარზე-----	51 მან.
	და ა.შ.....(!)

ვიმეორებ, ყველა მონაცემი ოფიციალურია და ზუსტი.

ჩვენმა სამღვდელოებამ უდიდესი ნდობა გამომიცხადა, თუმცა იცოდა რომ ვარ libre penseur. შევეცდები გაეუმართლო ნდობა; არასდროს ვკარგავ იმედს, რომ თქვენი და სხვა ევროპელი მეგობრების თანადგომით რაიმეს მივაღწევთ ქართული ეკლესიის მდგომარეობის გამოსწორების მხრივ.

გეთაყვა, გადაეცით ჩემი მეგობრული სალამი თქვენს პატივცემულ დედას და ტომს.

გჯეროდეთ ჩემი უცვლელი მეგობრული დამოკიდებულებისა  
თქვენი ვ. ჩერქეზოვი

[3] Ms. Wardrop.38/8 (5)

18.XI.1911

Dear Friend

Very sorry to be so late write my answer. I was consulting with the Georgian and Russian papers, in order to find some informations concerning the petroleum in Gouria. There was very little informations. Only two general notes could be found.

Unhappily Nico Thavdguiridze in his letter also gives no particulars about Gouriél's property. All what I know on this subject You will find in his letter which I am expressly sending to You. The underlined passages are concerning petroleum.

I prefer to send you the Russian original as it will give You a better idea of their proposal.

To-day I now writing to N.Thavdguerdze asking him to prepare the

maps, plans and the full description of the petroliferous land.

But if the petroleum export disposed to start for the Can...ases(?) in five weeks, I am afraid my friends will be not able to send me the maps and descriptions in time.

No English engineer, or English expert, I think visited the plan (?). But I am not sure.

We all – our small Georgian colony – will be very p[lea]sed(?) to have the pet[roleum](?) of your visit. If You will visite me few days before, I shall try to invite Mr. and Mrs. Meinerzhagen to meet You. They returned from Georgia greatly impressed. Both, the brother and sister, are charming young persons and I am sure Uou would like them.

My wife sends her kindest regards to You and Mrs. Wardrop

With kindest regards Yours W. Tcherkesof.

18.XI.1911

ძვირფასო მეგობარო,

ვწუხვარ პასუხის ასე დაგვიანებისთვის. დაკავებული ვიყავი ქართული და რუსული გაზეთებით, რათა მომეძიებინა ზოგი ინფორმაცია გურიის ნავთობის შესახებ. მათში ძალზე მწირი ცნობები ვნახე. მხოლოდ ორი ზოგადი ცნობა მოიძებნება.

სამწუხაროდ, ნიკო თავდგირიძე [6] თავის წერილში არ იძლევა დაწვრილებით ცნობებს გურიელის საკუთრებაზე. ყოველივე, რაც ამ საქმის თაობაზე გავიგე, თქვენ ნახავთ მის წერილში, რომელსაც სასწრაფოდ გიგზავნით. ხაზგასმული ადგილები (პასაჟები) ეხება ნავთობს.

მე ვამჯობენებ გამოგიგზავნო რუსული ორიგინალი, რადგან ის უკეთეს აზრებს მოგანვდის მათ გეგმებზე.

დღეს მე ვწერ ნ. თავდგირიძეს და ვთხოვ მოამზადოს რუკები, გეგმები და სრული აღწერილობა ნავთობის შემცველი მხარისა.

მაგრამ, თუკი ნავთობის ექსპორტი ხუთ კვირამი უნდა დაინყოს, ვშიშობ, რომ ჩემი მეგობრები დროულად ვერ გამოგზავნიან რუკებს და აღწერილობებს.

მე ვფიქრობ, რომ არც ერთ ინგლისელ ინჟინერს ან ინგლისელ ექსპერტს არ უნახავს გეგმა. თუმცა არ ვარ დარწმუნებული.

ჩვენ ყველა – ჩვენი პატარა ქართული კოლონია – ძალიან მოხარული ვიქნებით, თუ გვექნება ნავთობი თქვენ სტუმრობამდე (?). თუ თქვენ მესტუმრებით რამდენიმე დღით ადრე, მე ვეცდები დავპატიჟოქ-ნი და ბ-ნი მაინერცპაგენები თქვენს შესახვედრად. ისინი ძლიერი

შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ საქართველოდან. ორივე და-ძმა მომხიბლავი ახალგაზრდები არიან და, დარწმუნებული ვარ, თქვენც მოგენონებათ.

ჩემი მეუღლე გითვლით კეთილ სურვილებს თქვენ და ქ-ნ უორდროპს.

გულითადი სურვილებით  
თქვენი ვ. ჩერქეზოვი

[4] Ms. Wardrop. c.25 (2), pp. 10-11.

Extract from private Letter dated Paris. May 26-th 1919  
from Prince W.E. Tcherkesoff to W.O. Wardrop.

„I must say that I am very alarmed at the condition of my beloved country. The news from..... about the dissatisfaction of England and the misunderstanding between our social-democratic government and the English generals in Tiflis makes me miserable. If the rumours are true that the English may leave Georgia and in their place Italians may come, it will be the worst that can happen for our independence and future social and intellectual development. Either our country must immediately join the League of Nations and find in its protectionall guarantees for a peaceful life or a mandate must be given to England or U.S.A. Neither of those countries will abuse the natural wealth of G., and the constitutional and democratic order of England and U.S. will have a regulating influence and example for G. I would add that if England will send a man like yourself, who knows G. and its good and bad characteristics, as a representative, all misunderstanding will disappear and our good-hearted people will be devoted to England or U.S.

I am in daily contact with the G. delegation here, but like the English in Tiflis, so I have here difficulties and misunderstandings with our social-democratic delegation. Imagine, till now I could not convince them that it is not by phraseology of the Soc.-dem. International that they can defend our independence here but by arguments based on the Treaty of Protectorate between Russia and Georgia. Only reluctantly they consented to ask for G. admission to the League of Nations. I must say (neither) Chkheidze, Tseretheli, Gvarsheladze (s.d.) nor Gobechia (s.rev.) are prepared for their mission, and Avaloff, who by his studies and knowledge of languages should know better, always has been rather ironical about the rights of Georgia and till now his influence as a member of the delegation has been far from beneficial.

Still I am not despairing. Whatever may happen in the future we will

not return to Russian domination as Russia cannot be restored by any efforts of the Allies or others. This is clear from what has happened recently and from the history of the 19-th century of the movement of Little Russia and Siberia for autonomy and even independence. Shevchenko and Kostemaroff during the middle of last century, Dragomiroff, Antonovitch etc. towards its end were in Ukrainia what Potanin, Shashkoff, Tadrntsef in Siberia were: they expressed the deep-seated convictions of their people; their propoganda has not been forgotten for that reason, and the movement for autonomy and independence during this revolution has shown how really popular these ideas were.

Peter Kropotkin and I often used to say that Russia ought to have 14 parliamentary confederated governments. If such a Russia will adopt a constitution as advanced as our Georgian one then Georgia can live on friendly terms with Russia \_ but we know unhappily that Kolchak-Denikin – Sazonoff and even honest Kvoff will not realize this or try to.“

პარიზი, 1919 წლის 26 მაისი

[ამონარიდი თავადი ვ.ე.ჩერქეზოვის ვ.ო.უორდროპისადმი გაგზავნილი წერილიდან].

„უნდა მოგახსენოთ, რომ ძალზე შეშფოთებული ვარ ჩემი საყვარელი ქვეყნის მდგომარეობის გამო. საგონებელში მაგდებენ ცნობები ინგლისის უკმაყოფილებისა და გაუგებრობის შესახებ, რომელიც არსებობს ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასა და ტფილისში მყოფ ინგლისელ გენერლებს შორის. თუკი სარწმუნოა ხმები, რომ ინგლისელმა შეიძლება დატოვონ საქართველო და მათ ადგილზე იტალიელები მოვიდნენ, ეს იქნება ყველაზე უარესი, რაც ჩვენი დამოუკიდებლობისა და მომავალი სოციალური და ინტელექტუალური განვითარებისთვის შეიძლება მოხდეს. ან ჩვენი ქვეყანა სასწრაფოდ უნდა შეუერთდეს ერთა ლიგას[7] და მისი მფარველობით მიიღოს ყველა გარანტიები მშვიდობიანი ცხოვრებისა, ანდა მიეცეთ მანდატი ინგლისს ან აშშ-ს. არც ერთი ამ ქვეყანათაგანი არ შელახავს საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს, ხოლო ინგლისისა და აშშ-ს კონსტიტუციური და დემოკრატიული მოწესრიგებულება მოახდენს მარეგულირებელ გავლენას და იქნება მაგალითი საქართველოსთვის. მე დავუმატებდი, რომ თუ ინგლისი თავის წარმომადგენლად თქვენსაირ პიროვნებას გამოგზავნის, რომელიც იცნობს საქართველოს, მის კარგსა და ცუდ მხარეებს, მაშინ ყველა გაუგებრობა გაქრება და ჩვენი გულკეთილი, მაგრამ ფიცხი ხალხი მიენდობა ინგლისს ან აშშ-ს.

მე აქ ყოველდღიურად ვუკავშირდები საქართველოს დელეგაციას, მაგრამ, როგორც ინგლისელებს ტფილისში, ისე აქაც ვხვდები დაბრკოლებებსა და გაუგებრობებს ჩვენი სოციალ-დემოკრატია დელეგაციის მხრივ. წარმოიდგინე, დღემდე ვერ გავაგებინე, რომ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალის ფრაზეოლოგიით აქ ვერ დაიცავენ ჩვენს დამოუკიდებლობას; რომ ეს შესაძლებელია რუსეთსა და საქართველოს მფარველობით ხელშეკრულებაზე დამყარებული არგუმენტებით. მხოლოდ ურთიერთ წინააღმდეგობით დათანხმდნენ ეთხოვათ ერთა ლიგისთვის საქართველოს დაშვება. უნდა ვთქვა, რომ არც ჩხეიძე, წერეთელი, გვარჯალაძე (სოც.-დემოკრატიები), არც გობეჩია (სოც.-რევ.) [8] არ არიან მზად თავისი მისიისთვის; ხოლო ავალოვი,[9] რომელსაც განათლებითა და ენების ცოდნით მეტი უნდა ესმოდეს, ყოველთვის იყო ირონიულად განწყობილი საქართველოს უფლებების მიმართ და დღემდე მისი გავლენა, როგორც დელეგაციის წევრისა, შორსაა სასარგებლოსგან.

რაც უნდა მოხდეს, მომავალში ჩვენ არ დავუბრუნდებით რუსეთის ბატონობას, რადგან რუსეთი ვერ აღდგება ვერც ალიანსის (ანტანტის) და ვერც სხვების მცდელობით. ამის ნათელ მაგალითს იძლევა ის, თუ რა მოხდა ახლახანს და აგრეთვე მე-19 საუკუნეში მალოროსიასა და ციმბირში ავტონომიისა და დამოუკიდებლობისთვის მიმდინარე მოძრაობის ისტორიაც. შევჩენკო და კოსტეშაროვი გასული საუკუნის შუაში, დრაგომიროვი (დრაგომანოვი, ანტონოვიჩი და სხვ. საუკუნის ბოლოსკენ უკრაინაში – იგივეს ასრულებდნენ, რასაც პოტანინი, შაშკოვი, ტაძინცევი ციმბირში: ისინი გამოხატავდნენ თავიანთ ხალხში ღრმად გამჯდარ შეხედულებებს; მათი პროპაგანდა იმიტომ არ მიეცა დავინყებას და ამ რევოლუციის დროს მოძრაობამ ავტონომიისა და დამოუკიდებლობისთვის გვიჩვენა, თუ როგორი პოპულარული იყო ეს იდეები.

პეტრე კროპოტკინი[10] და მე ხშირად ვამბობდით, რომ რუსეთს უნდა ჰქონოდა 14 პარლამენტური კონფედერატიული მთავრობა. თუ ასეთი რუსეთი მიიღებდა კონსტიტუციას, ისეთივე წარმატებულს, როგორც ჩვენი საქართველოსია, მაშინ საქართველო იცხოვრებდა მეგობრულად რუსეთთან – მაგრამ, სამწუხაროდ, ვიცით, რომ კოლჩაკი-დენიკინი-საზონოვი[11] და თვით პატიოსანი კვოფ-იც ვერ განახორციელებდა ამას და არც შეეცდებოდა“.

[5] Ms. Wardrop. c.25 (12), pp. 62-66

Notes on the condition of Georgia under Bolshevik rule at the end of July 1921.

by Prince and Princess Varlaam Tcherkesoff.

The calamity of famine which has befallen Southern and South-Eastern Russia, is undoubtedly due to the policy of Bolshevism which has killed all desire in the peasantry to produce more than the strictly necessary as everything above that is always relentlessly taken away by the government for its huge army and bureaucracy. This year that bare minimum has been spoiled owing to an exceptional drought, and thus the outer world has suddenly been enabled to look behind the scenes of the internal life of the Russian people.

But the disastrous results of the Bolshevik regime have been even more strikingly illustrated in Georgia, which in a short period of four months has been turned from an independent, active and comparatively prosperous country into an oppressed, pillaged and paralysed province of the Bolshevik Empire.

Though Georgia was recognized de facto and de jure by the Great Powers and the Bolshevik Government itself, this did not prevent Moscow from sending suddenly an army of 120/000 men to attack the country without any declaration of war. The Georgian nation made heroic efforts to defend its liberty, but after two weeks of unequal struggle the overwhelming stream of invaders could no longer be stemmed. Tiflis was taken, and the Russian soldiers, ragged and filthy, soon spread in the villages, terrorising and despoiling the peasants. In the towns the spoliation was systematically organised, and everything Russia needed – and what did she not need? – was carried off.

Thus we saw all the materials for the building up of the economic and social prosperity of our country taken by the enemy; railway engines and carriages, machines, tools, tramcars, motorcars, flour, clothing, boots, even pencils, pens and copy-books, so that the schools are in the greatest difficulty; housewives do not know where to find food, soap, thread, pins and needles.

Everything was „presented by Red Georgia to Red Russia“ as the official formula explained with sickening hypocrisy. Prices jump up in such a way that very soon few, and those only belonging to the new rulers, could feed themselves sufficiently. Bread rose from 200 to 5.000 roubles a pound and is daily increasing in price. Illnesses, such as cholera ( which was

brought by Russians fleeing from Rostov, a centre of infection), typhoid, dysentery are raging among the population, which has not even medicines, as these were carried off by the Russians, and the small quantity left is ridiculously insufficient and has been declared a state monopoly.

In the wake of the Russian army thousands of Russians, Russian Jews, and Armenians entered Georgia and the inhabitants of Tiflis were forced to give up their lodgings to those valets of the new regime who soon invaded the administration. To such a degree have they seized all posts that of 1400 officials in two Governmental departments in Tiflis, only 280 are Georgians, 500 Armenians, 400 Russians and 200 Jews from Russia. (The Georgian Jews keep aloof from Bolshevism). As these newcomers naturally do not know the language of the country they insist on carrying on government work in Russian, which the people of the villages do not understand.

According to the Bolshevik doctrine, everything is monopolised, that is to say, paralyzed, and in the hands of an incompetent insolent bureaucracy; all banks are closed except the State Bank; all industrial enterprises, factories and workshops are brought under State control.

But the worst and most threatening feature of the Bolshevik regime is the absolute abolition of all civil rights; free speech is abolished, for a word of censure of the government the speaker may be arrested; meetings may be held only by permission of the authorities; a free press does not exist, first of all because the Government requisitioned all the paper, which was not sent to Russia, so that de facto nobody can publish anything without the Bolsheviks' consent, and secondly all publications, even scientific, must be submitted to a communist censorship; the former tribunals are superseded by the ill-named Tcheka (extraordinary Committee for combating counter-revolution) which without any control arrests, condemns and executes in secret like a real Inquisition.

The masters of the country are this feared Tcheka, the Russian army with its former Tsarist generals who, cynically or from fear, are serving the new regime and in any case take pleasure in punishing the Georgian nation for having dared to be free, and „comrades“ sent from Moscow who try to merit the confidence of their Russian chiefs by mercilessly oppressing the Georgian people. Some of the most active figures are such sinister figures as Brechnichev, a well-known Black Hundred member, now a zealous Bolshevik ruler in Georgia, and Yeroveev, also formerly belonging to the Black Hundred, who seems to have an inveterate hatred against Georgian intellectual development and is destroying our schools and national university. The

first Minister of Finance was an Armenian, Nazaretian, who, in the name of the International, proposed to equalize the Russian, Armenian and Georgian rouble when the latter had ten times the value of the Armenian and twice that of the Russian rouble. At the same time Georgia was flooded with Russian money which was given obligatory currency though the peasants refused at first to accept it. Now the value of the Georgian money has fallen as low as that of the Russian, and consequently prices have gone up by leaps and bounds whilst the average wage of a worker, manual or intellectual, has remained between 20 and 30.000 roubles a month.

To such enemies of our country has the destiny of Georgia been confided by Moscow which makes all the important appointments, and daily new measures of oppression and ruin are invented. The latest decree orders that Georgia must pay 50 milliards of roubles (of which Tiflis 20) and one million poods of wheat (16.000 tons) or two million poods of maize, or four million poods of potatoes.

A commission in which no local man may sit, has to see the order carried out; also the sheep breeders, mostly simple mountaineers, must give up three fourths of the wool of their sheep.

This contribution, laid upon a country already ravaged by enemy troops, is bound to rouse resistance for which the Russians have been hoping from the beginning, to plunge the population into the same misery as that of Russia without in the least saving the latter; for how could a small nation of 3 million feed 100 million starving people? But Moscow has but one aim: to keep its huge military machine in action, to extend the Bolshevik empire where it meets least resistance – Asia Minor – and to hand over to its troops the produce of the conquered territory, all in view of maintaining its power and extorting recognition from Europe.

#### Prices and Wages in Tiflis at the end of July 1921

1 Lb. of black bread -----	Rs. 4500
1 Lb. of white bread -----	Rs. 8-10.000
1 Lb. of meat -----	Rs. 7-8.000
1 Lb. of butter -----	26.000
1 Lb. of cheese -----	15-18.000
1 Lb. of beans -----	4.000
1 pair of cotton socks -----	30-40.000
1 „- men's boots -----	400.000
1 „- women's shoes -----	300.000

- I arsheen of dress material -----50-100.000
- Monthly wage of university professor ----from 30-45.000 roubles
- ,--- of skilled labourer -----from 25-40.000R.
- ,--- of average civil servant (administrative) from -20.000 R.
- ,--- of girl clerks -----from 10-15.000R.

1921 წლის ივლისის ბოლო  
[ცნობები საქართველოს მდგომარეობის შესახებ ბოლშევიკური მმართველობის დროს, მოწოდებული ბატონ ვარლამ ჩერქეზოვისა და მისი მეუღლის მიერ].

შიშშილით გამოწვეული უბედურება, რაც თავს დაატყდა სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთს, უეჭველად ბოლშევიკების პოლიტიკის ბრალია, რამაც გლეხობას ჩაუკლა მთელი სურვილი, ეწარმოებინა იმაზე მეტი, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, რადგან ამის ზევით მოწეულს მთავრობა ყოველთვის უმოწყალოდ ართმევდა თავისი უზარმაზარი არმიისა და ბიუროკრატიისთვის. ამ წელს ის უმნიშვნელო მინიმუმიც გააფუჭდა წარმოუდგენელი გვალვის გამო და ამით გარე სამყაროს უცბად მიეცა საშუალება ჩაეხედა კულისებს მიღმა რუსი ხალხის შიდა ცხოვრებაში.

მაგრამ ბოლშევიკების რეჟიმის დამლუპველი შედეგები უფრო საოცრად წარმოჩნდა საქართველოში, რომელიც მოკლე დროში (ოთხ თვეში) დამოუკიდებელ, აქტიურ და აყვავების გზაზე მდგარი ქვეყნიდან გადაიქცა ბოლშევიკური იმპერიის დაბეჩავებულ, გაძარცვულ და პარალიზებულ პროვინციად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დიდმა სახელმწიფოებმა და თვით ბოლშევიკურმა მთავრობამაც აღიარეს დე ფაქტო და დე იურედ,[12] ამან არ შეუშალა ხელი მოსკოვს, გამოეგზავნა 120.000-იანი არმია და ომის გამოუცხადებლად თავს დასხმოდა ქვეყანას. ქართველმა ხალხმა გამოიჩინა გმირული ძალისხმევა თავისუფლების დასაცავად; მაგრამ, ორი კვირის უთანასწორო ბრძოლის შემდეგ, ველარ შეძლო ოკუპანტების ურიცხვი ნაკადის შეკავება. აღებულ იქნა ტფილისი; შემოფლეთილი და ბინძური რუსი ჯარისკაცები მალე მოედგნენ სოფლებს, ატერორებდნენ და ძარცვავდნენ გლეხობას. ქალაქებში სისტემატურად ეწყობოდა დარბევები და, სჭირდებოდათ თუ არა, რუსებს ყველაფერი გაჰქონდათ.

ჩვენ ვნახეთ მტრის მიერ გატანილი მთელი ქონება, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური კეთილდღეობისთვის იყო საჭი-

რო: რკინიგზის ლოკომოტივები და ვაგონები, მექანიზმები, ინსტრუმენტები, ტრამვაები, ავტომობილები, ფქვილი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აგრეთვე ფანქრები, კალმისტრები და რვეულები – რის გამოც სკოლებს ძალზე გაუჭირდათ. დიასახლისებმა არ იციან, სად იშოვონ საჭმელი, საპონი, ძაფი, ქინძისთავები და ნემსები. ყველაფერი „წითელმა საქართველომ აჩუქა წითელ რუსეთს“ – ასეთი გულისამრევი თვალთმაქცობით ასაბუთებდა ოფიციალური დოგმატი.

ფასები ისე სწრაფად ავარდა, რომ ძალიან მალე მცირეოდენ, ისიც მმართველთა წრის წარმომადგენლებს თუ შეეძლებათ საკმარისად თავის გამოკვება. ფუნტი(=გირვანქა-გ.გ.) პურის ფასმა აიწია 200-დან 5.000 მანეთამდე და ყოველდღიურად იზრდება. ავადმყოფობები, როგორცაა ქოლერა (ის შემოიტანეს გამოქცეულმა რუსებმა როსტოვიდან, რომელიც იყო ინფექციის ცენტრი), ტიფი, დიზენტერია – ვრცელდება მოსახლეობაში, რომელთაც არ აქვთ წამლები, რადგან ის გაიტანეს რუსებმა; მხოლოდ მცირე რაოდენობა დატოვეს, რაზეც, სამარცხვინოდ გამოცხადდა სახელმწიფო მონოპოლია.

რუსეთის არმიის კვალდაკვალ საქართველოში ათასობით რუსი, რუსი ებრაელი და სომეხი შემოვიდა და ტფილისის მაცხოვრებლები აიძულეს დაეთმოთ თავისი ბინები ამ ახალი რეჟიმის მსახურებისთვის, რომლებმაც მალე ხელთ იგდეს ადმინისტრირება. ისინი ისეთი რაოდენობით დაეპატრონენ ყველა თანამდებობებს, რომ ტფილისის ორ სამთავრობო დეპარტამენტში 1.400 მოხელიდან მხოლოდ 280-ია ქართველი; 500 სომეხია, 400 რუსი და 200 რუსეთიდან მოსული ებრაელი. (ქართველი ებრაელები ბოლშევიზმისგან განზე დგანან). რადგან ამ ახალმოსულებმა, რა თქმა უნდა, ქვეყნის ენა არ იციან, კატეგორიულად მოითხოვეს სამთავრობო საქმის რუსულად წარმოება, რაც სოფლის მოსახლეობას არ ესმის.

ბოლშევიკური დოქტრინის მიხედვით ყველაფერი მონოპოლიზებულია, ე.ი., უფრო უკეთ, პარალიზებულია და მოქცეულია არაკომპეტენტური თავხედი ბიუროკრატიის ხელში; დაიხურა ყველა ბანკი, გარდა სახელმწიფო ბანკისა; ყველა სამრეწველო საწარმო, ფაბრიკა-ქარხანა და სახელოსნო დაუქვემდებარეს სახელმწიფო კონტროლს.

მაგრამ ბოლშევიკური რეჟიმის ყველაზე საზიზღარი და საშინელი საქმე არის ყველა სამოქალაქო უფლებების სრული გაუქმება. აიკრძალა სიტყვის თავისუფლება – მთავრობის აუგად ხსენებისთვის მთქმელი შეიძლება დააპატიმრონ; მიტინგების ჩატარება შეიძლება მხოლოდ მმართველთა ნებართვით; აღარ არსებობს თავისუფალი პრესა, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მთავრობამ მთელი ქალაქი, რომელიც რუსეთში არ გაიგზავნა, ჩამოართვა. ასე რომ, ფაქტიურად

არავის შეუძლია რაიმეს გამოქვეყნება ბოლშევიკების თანხმობის გარეშე. მეორეც – ყველა გამოცემა, თვით სამეცნიეროც, უნდა დაემორჩილოს კომუნისტურ ცენზურას. ძველი ტრიბუნალი შეცვალა ავადსახსენებელმა ჩეკა-მ (საგანგებო კომიტეტი კონტრრევოლუციისთან საბრძოლველად), რომელიც ყოველგვარი კონტროლის გარეშე აპატიმრებს, ასამართლებს და სჯის საიდუმლოდ, როგორც ნამდვილი ინკვიზიცია.

ქვეყნის ბატონები არიან: ეს საშიში ჩეკა, რუსული არმია (თავისი ძველი ცარისტული გენერლებით, რომლებიც ურცხვად თუ შიშით ემსახურებიან ახალ რეჟიმს და სიამოვნებას იღებენ ქართველი ხალხის დასჯით, რადგან მათ გაბედეს თავისუფლად ყოფნა) დაბოლოს „ამხანაგები“, რომლებიც გამოგზავნეს მოსკოვიდან და ცდილობენ დაიმსახურონ თავიანთი რუსი ხელმძღვანელების ნდობა ქართველი ხალხის უმონყალო შევიწროვებით. ზოგიერთი ყველაზე აქტიური ფიგურა არის ისეთი ბნელი (უვარგისი), როგორც ბრეხნიჩევი, კარგად ცნობილი შავი ასეულის[13] წევრი, ამჟამად კი გულმოდგინე ბოლშევიკი ხელმძღვანელი საქართველოში; ანდა ეროფეევი, ასევე წინათ შავი ასეულის წარმომადგენელი. ამას ეზიზღება ქართული ინტელექტუალური განვითარება და ანადგურებს ჩვენს სკოლებს და ეროვნულ უნივერსიტეტს. ფინანსთა პირველი მინისტრი იყო სომეხი ნაზარეტიანი, რომელმაც ინტერნაციონალის სახელით გადაწყვიტა გაეთანაბრებინა რუსული, სომხური და ქართული მანეთი, მაშინ როცა ეს უკანასკნელი 10-ჯერ მეტად ფასობს, ვიდრე სომხური და ორჯერ მეტად რუსულ მანეთზე. ამავ დროს საქართველო წაღვეკა რუსულმა ფულმა, რომელიც სავალდებულო ვალუტად გახადეს (თუმცა გლეხობამ თავდაპირველად უარი თქვა მასზე). ამჟამად ქართული ფულის ფასი ისევე დაეცა, როგორც რუსულის და შესაბამისად საქონლის ფასებმაც ძალზე სწრაფად აიწია. ჯერჯერობით მშრომელის (მუშის თუ ინტელექტუალის) თვიური საშუალო ხელფასი რჩება 20-30.000 მანეთამდე.

ჩვენი ქვეყნის ასეთ მტრებს ჩაუგდო ხელთ საქართველოს ბედი მოსკოვმა, რომელიც აწარმოებს ყველა მნიშვნელოვან დანიშვნებს და ყოველდღიურად იგონებს შევიწროვებისა და განადგურების ახალ საშუალებებს. უახლესი დეკრეტით საქართველომ უნდა გადაიხადოს 50 მილიონი მანეთი (აქედან ტფილისმა 20 მლნ.) და ერთი მილიონი ფუთი ხორბალი (16.000 ტონა), ან ორი მილიონი ფუთი სიმინდი, ანდა ოთხი მილიონი ფუთი კარტოფილი.

კომისიამ, რომელშიც არცერთი ადგილობრივი მკვიდრი არ შედის, თვალი უნდა ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას. მეცხვარეებ-

მაც, რომლებიც უმთავრესად უბრალო მთიელები არიან, უნდა ჩააბარონ გაკრეჭილი მატყლის სამი მეოთხედი.

ამ კონტრიბუციაზე, რომელიც დააკისრეს მტრის ნაწილების მიერ უკვე გაჩანაგებულ ქვეყანას (ესაა წინააღმდეგობის გამოწვევის ზღვარი), რუსები თავიდანვე ფიქრობდნენ, რომ მოსახლეობა ისეთივე სიღუბჭირეში ჩაეგდოთ, როგორშიც რუსეთია, რათა ეს უკანასკნელი ცოტა მოგვიანებით მაინც გადაერჩინათ. აბა, როგორ შეუძლია პატარა, 3 მილიონიან ერს გამოკვებოს 100 მილიონი მოშიშმილე ხალხი? მაგრამ მოსკოვს აქვს ერთი მიზანი: შეინარჩუნოს თავისი უზარმაზარი სამხედრო მანქანის აქტივობა, გააფართოვოს ბოლშევიკური იმპერია, სადაც ის სულ მცირე წინააღმდეგობას შეხვდება (მცირე აზია), თავის რაზმებს გადასცეს დაპყრობილი ტერიტორიის პროდუქტი; ყოველივე თავისი ძალის შენარჩუნების (მხარდაჭერის) და ევროპის მხრივ გამომძალველობის აღიარების თვალთახედვით.

ფასები და ხელფასები ტფილისში 1921 წლის ივლისის ბოლოს:

1 ფუნტი შავი პური-----	4.500 რუს. მან.
1 ფუნტი თეთრი პური-----	8-10.000 მან.
1 ფუნტი ხორცი-----	7-8.000 მან.
1 ფუნტი კარაქი-----	26.000 მან.
1 ფუნტი ყველი-----	15-18.000 მან.
1 ფუნტი ლობიო-----	4.000 მან.
1 წყვილი ბამბის წინდა-----	30-40.000 მან.
1 წყვილი მამაკაცის ფეხსაცმელი-----	400.000 მან.
1 წყვილი ქალის ფეხსაცმელი-----	300.000 მან.
1 არშინი კაბის (ტანსაცმლის) შესაკერი ნაჭერი-----	50-100.000 მან.
უნივერსიტეტის პროფესორის თვიური ხელფასი-----	30-45.000 მან.
კვალიფიციური მუშის თვიური ხელფასი-----	25-40.000 მან.
საშუალო სამოქალაქო მოხელის (ადმინისტრაციული)-----	20.000 მან.
ქალი კლერკი (მოხელე)-----	10-15.000 მან.

**Extract from a letter dated „Tiflis, 16 April, 1921“ from Princess Tcherkezishvili, received by O.Wardrop at Strasburg on May 19. 1921 through the Netherlands Ministry for Foreign Affairs.**

(The letter is in English...)

...This note will seem to you as a voice from the grave, and really in a way it is so, as we are out off from everybody and everything in Europe. The great disadvantage of this grave is that everybody is hungry, hungry. The city (of Tiflis) and the country round – in a lesser degree – are cleared not only of food but of all manufactured goods; everything is sent in Russia, and in return we have an unceasing flow of Russian troops. It is incredible how in the short space of five weeks the country has been reduced to starvation. But I must not dwell on that prosaic subject.

Generally speaking, the question has resolved itself here less into a fight between Menshevism and Bolshevism than into a desperate effort of all Georgiens to stem the tide of renewed Russification.. In the latter the Armenians are the most energetic supporters of the Bolsheviks.

Never before have I seen the Georgians so passionately attached to their Country as now. When 34 bodies of dead Georgians, Cadets of the military college and Soldiars, which we had at last obtained from the Russians, were buried, and the.....crowd in the square of the Military Cathedral knelt down like one man, weeping, with only a black flag (no national colours were permitted) waving over the open graves, we felt the unity of all elements of the population – all Georgiens. Even some of the Georgian Bolsheviks who were there Knelt down and showed their shame as their Betrayal of Georgia. Perhaps this trial will kill the party spirit and revive the national will for regeneration.

You know probably all the facts of the week's battle round Tiflis\*. On our high outpost we knew nothing of .....retreat of March 24; the new few (?) days were terrible...

If it be physically possible to do so we shall stay, though Warlaam (the writer's husband, who is now 73 years of age) is becoming very thin and weak. The friendship and help around us are wonderful. ....

\* from another absolutely independent ....Georgia source I learn that for a fortnight the Georgian troops fought splendidly and only broke when they found themselves overwhelmed and deserted by those ..... on where would they had defended.

ამონაწერი ქ-ნ ჩერქეზიშვილის წერილიდან – დათარიღებული: ტფილისი, 1921 წლის 16 აპრილით, რომელიც ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით მიიღო ო.უორდროპმა სტრასბურგში 1921 წლის 19 მაისს. (წერილი ინგლისურადა...)

ეს წერილი მოგეჩვენება როგორც ხმა საფლავიდან და მართლაც ეს ასეა, რადგან ჩვენ ყოველივე ევროპულისგან მოწყვეტილები ვართ. ამ საფლავის დიდი უბედურება ისაა, რომ ყველა მშვიერი, მშვიერი. ქალაქი ტფილისი და მის ირგვლივ ქვეყანა, სულ მცირე, გამოსუფთავებულია არა მარტო საკვებიდან, არამედ ყოველგვარი სამრეწველო საქონლისგან; ყველაფერი გაგზავნეს რუსეთისკენ, ხოლო სანაცვლოდ მივიღეთ რუსული სამხედრო ნაწილების უწყვეტი ნაკადი. დაუჯერებელია, რომ დროის ასე მოკლე – ხუთკვირიან მონაკვეთში ქვეყანა როგორ მოიცვა შიმშილობამ. მაგრამ მე არ უნდა შევჩერდე ამ მოსაწყენ ამბავზე.

ზოგადად რომ ითქვას, საკითხი აქ თავისით გადაწყდა უფრო ნაკლებ მენშევიზმსა და ბოლშევიზმს შორის ბრძოლით, ვიდრე ყველა ქართველის განწირული მცდელობით წასულიყო განახლებული რუსიფიკაციის დინების საწინააღმდეგოდ. დღესდღეობით სომხები არიან ბოლშევიკების ყველაზე ენერგიული მხარდამჭერები.

უნინ არასდროს მინახავს ქართველები ასე გულგადაკლულნი თავისი სამშობლოსადმი, როგორც ახლა. როცა 34 მოკლე ქართველის, სამხედრო კოლეჯის კადეტებისა და ჯარისკაცების ცხედრებს მარხავდნენ, რომლებიც ჩვენ ბოლოს და ბოლოს მივიღეთ რუსებისგან, სამხედრო კათედრალის წინ მოედანზე მთელმა ხალხმა, როგორც ერთმა კაცმა, დაიჩოქა ტირილით; მხოლოდ შავი დროშა (არცერთი ეროვნული ფერი არ იყო ნებადართული) ფრიალებდა გახსნილ სამარხებზე.[14] ჩვენ ვიგრძენით მოსახლეობის ყველა ფენის – ყველა ქართველის ერთიანობა. თვით იქ მყოფმა ქართველმა ბოლშევიკებმაც კი დაიჩოქეს, რითიც გვიჩვენეს თავისი სირცხვილი საქართველოს წინაშე ჩადენილი ღალატის გამო. ალბათ ეს განცდა ჩაკლავს (შეასუსტებს) პარტიულ სულს და გამოაღვიძებს ეროვნული აღორძინების სურვილს.

თქვენ ალბათ იცით ტფილისის ირგვლივ წარმოებული ერთკვირიანი ბრძოლების ყველა ფაქტი.\* მოშორებით სახლობის გამო ჩვენ

\* სხვა, სრულიად დამოუკიდებელი არაქართული წყაროდან შევიტყე, რომ ორი კვირის მანძილზე ქართული ნაწილები საუცხოოდ იბრძოდნენ და მხოლოდ მაშინ გატყდნენ, როცა იგრძნეს დამარცხება და მიატოვეს [ის პოზიციები], რომლებსაც იცავდნენ.



არაფერი ვიცოდით 24 მარტის უკანდახევის შესახებ; წინა რამდენიმე დღე იყო საშინელი...

თუ ფიზიკურად იქნა შესაძლებელი, ჩვენ დავრჩებით; თუმცა ვარლამი (მწერლის ქმარი, რომელიც ამჟამად 73 წლისაა) ძალზე გახდა და დასუსტებულია. ჩვენ არაჩვეულებრივად გვემეგობრებიან და გვეხმარებიან.....

### მოკლე კომენტარები

[1] ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925) – გამოჩენილი რევოლუციონერი, საერთაშორისო ანარქიზმის ერთერთი ლიდერი, გულმხურვალე მამულიშვილი. 1876-1904, 1907-17 და 1921-25 წლებში იმყოფებოდა ემიგრაციაში (ინგლისი, შვეიცარია, საფრანგეთი, კვლავ ინგლისი). 1893 წლიდან „ვაზიანი“-ს ფსევდონიმით ილიას „ივერიის“ ქართველი კორესპონდენტი ლონდონში.

1894 წლიდან ის უახლოვდება და უმეგობრდება მარჯორი და ოლივერ უორდროპებს, რომლებსაც ქართულ ენასაც კი ასწავლიდა. მათი მიწერ-მოწერიდან, რაც სიცოცხლის ბოლომდე წარმოებდა, კარგად ჩანს თბილი, საქმიანი, ერთგული ურთიერთდამოკიდებულება. (ვ. ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის შესახებ იხ. – დიმიტრი შველიძე, „აი ვინ იყო, ქართველნი, ვარლამ ჩერქეზიშვილი!“ თბ. 2001; ასევე გ.ფერაძე, „ვარლამ ჩერქეზიშვილი დიდი ბრიტანეთის წიგნსაცავებსა და არქივებში, ნაკვ.ი, თბ. 2001. თუ ბევრი მკვლევარი ვარლამის მამად ნიკოლოზს ასახელებს, გ.ფერაძე, იკვლევს ჩერქეზიშვილთა გენეალოგიას და მას ჯან ასლანის (ტატოს) ძედ მიიჩნევს – გ.გ.).

ვარლამის ფრანგი მეუღლე-ფრიდა ჩერქეზიშვილი, იყო ქმრის თანამოაზრე, გულშემატკივარი საქართველოსთან დაკავშირებულ საქმეებში. 1918-21 წლებში ცოლ-ქმარი თბილისში ცხოვრობდა. როგორც ოლივერისადმი ფრიდას წერილებიდან ჩანს, ოლივერი ვარლამის ოჯახს გაჭირვების ჟამს მატერიალურად ეხმარებოდა.

[2] პეტიციის სრული სათაურია – „საქართველოს პეტიცია საერთაშორისო კონფერენციისადმი ჰააგაში 1907 წელს“. ჰააგის სამშვიდობო კონფერენცია 1907 წლის აგვისტოში გაიხსნა. მასში 44 სახელმწიფო მონაწილეობდა. პეტიციის ტექსტის ძირითადი ავტორი იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი, ხოლო მის რედაქტირებასა და საბოლოო სახის მიცემაში მონაწილეობა მიიღეს მიხაკო წერეთელმა და გიორგი გვაზავამ. ქართულ ტექსტთან ერთად მომზადდა მისი ფრანგული და ინგლისური თარგმანები. პეტიცია ჰააგაში ჩაიტანა ცნობილმა ინგლი-

სელმა ჟურნალისტმა, საქართველოს მეგობარმა ჰენრი ნევისონმა. „პეტიცია“ ამცნობდა მსოფლიოს საქართველოს უმძიმეს ვითარებას, ერის დევნა-დანაოკებას.

ამ პეტიციით დაიწყო „ქართული სახელმწიფოებრიობისათვის საერთაშორისო სამართლებრივი ბრძოლა“; მის შესახებ სხვადასხვა ქვეყნების პრესამ მთელ ევროპასა და ამერიკაში გაავრცელეს ინფორმაცია. როგორც ვ. ჩერქეზიშვილი ამბობს, „ქვეყნიერებამ საქართველოზე დაილაპარაკა“.

(მიხაკო წერეთელი 1910 წლიდან წავიდა საქართველოდან; იყო „სახალხო გაზეთის“ საკუთარი კორესპონდენტი ლონდონში).

[3] იგულისხმება 1783 წლის ტრაქტატი და გიორგი XII-სთან დადებული შეთანხმება.

[4] უმცროსი ლამბაშიძე უნდა იყოს დავით დავითის-ძე ლამბაშიძე; მომავალში საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ინგლისში.

[5] ეს არქიდიაკონი ხომ არ არის ის პალესტინელი არქიდიაკონი, რომლის შესახებაც დავით ლამბაშიძე წერს ოლივერ უორდროპს 31.XII.1911 და მის შრომაში გამოსაქვეყნებლად სურს გაუგზავნოს – ჩვენი „საეკლესიო ლიგის მიმართვა“; ამ „მიმართვაში“ კი ჩერქეზიშვილის წერილის „ივერიის ეკლესიის სამღვდელთა მოწოდება“ უნდა ვიგულისხმოთ. (შდრ. გია გელაშვილი, „რამდენიმე წერილი უორდროპის კოლექციიდან“, №2. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2(6)2009 ).

[6] ნიკო თავდგირიძე იყო პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატი.

[7-8-9] ერთა ლიგაში საქართველოს მიღების თაობაზე დელეგაციაში იყვნენ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე), ირაკლი წერეთელი, კონსტანტინე გვარჯალაძე (ეროვნული საბჭოს წევრი, ვლადიმერ გობეჩია (ეროვნული საბჭოს წევრი), ზურაბ ავალიშვილი (იგივე ავალოვი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე).

[10] პეტრე კროპოტკინი (1842-1921) იყო საერთაშორისო ანარქიზმის იდეოლოგი და ლიდერი. ვარლამ ჩერქეზიშვილის უახლოესი მეგობარი 1876 წლიდან.

[11] დენიკინი, კოლჩაკი ე.წ. თეთრგვარდიელი გენერლები, ებრძოდნენ ბოლშევიკურ ხელისუფლებას; სურდათ რუსეთის აღდგენა იმპერიულ საზღვრებში.

[12] საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარეს დე-ფაქტო – 1920 წლის იანვარში, ხოლო დე-იურე – 1921 წლის იანვარში. ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა 1920 წლის 7 მაისს.

[13] შავი ასეულები იგივე შავრაზმელებია.

[14] კადეტთა დამარხვა ესაა კოჯორ-ტაბახმელასთან ბოლშევიკურ წითელ არმიასთან ბრძოლაში გმირულად დაცემული იუნკრების დაკრძალვა ე.წ. „სობოროს“ წინ, დღევანდელი პარლამენტის შენობის ტერიტორიაზე.

**Gia Gelashvili**

*Doctor of History, Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University, Senior scientist-researcher of the Ivane Javakhishvili  
Institute of History and Ethnology*

### Some letters from the Oliver Wardrop Collection

#### Summary

In the following article there is given 5 letters sent to Oliver Wardrop from Warlaam Cherkeshishvili (in 1911-1921; two Russian, three English) and one from Princess Tcherkezishvili (in English, 1921.04).

We find in these letters valuable information about present conditions of Georgian Church, political and economic situation in Georgia; Bolshevik invasion and their regime; oil-fields in Guria, etc. These letters are registered in the Wardrop Collection of Bodleian Library (Oxford).

#### გოჩა საითიძე

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი*

#### შორენა მურუსიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი*

### ახალი დოკუმენტები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიიდან (XX საუკუნის 50-იანი წლები)

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლისათვის საჭირო საარქივო მასალის უდიდესი უმრავლესობა ხელმისაწვდომი არაა. საქართველოში არა ერთი ემიგრანტის პირადი არქივი თუ ემიგრაციაში წასული ეროვნული მთავრობის ე. წ. ჰარვარდისა და ლევილის საარქივო ფონდების დაბრუნების მიუხედავად, მკვლევრებს მათი გამოყენების საშუალება არ აქვთ, რადგან დოკუმენტების უმრავლესობა დაუმუშავებელი და, აქედან გამომდინარე, დახურულია. ხელმისაწვდომია პერიოდული გამოცემები, რომელსაც ხშირ შემთხვევაში დოკუმენტის კვალიფიკაცია აქვს.

2007 წლის 22 ოქტომბერს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარსარდლისა და სამხედრო მინისტრის თანაშემწის, გენერალ გიორგი კვინიტაძის (1874-1970 წწ.) პირადი არქივი შეემატა, რომელიც ცენტრს მისმა ქალიშვილმა – ნანო დ'აბო-კვინიტაძემ გადასცა.

საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ ემიგრაციაში წასული გენერალ გიორგი კვინიტაძის პირადი საარქივო ფონდი ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვან და საყურადღებო მასალებს შეიცავს. მათ შორისაა გიორგი კვინიტაძის მოგონებების ავტოგრაფი, პასუხი ნოე ჟორდანიასადმი. ასევე სამ ათეულზე მეტი წერილი, მათგან უმრავლესობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ემიგრანტის მიერ (თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელის, ალექსანდრე

ზაქარიადის, ნიკო ნაკაშიძის, რაჟდენ არსენიძის, ალიხან კანტემირის და სხვათა) მისდამი გაგზავნილი, სამი კი – პირადად გიორგი კვინიტაძის დაწერილია. მიმონერა მოიცავს 1950-1966 წლებს.

ამჯერად, საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ემიგრანტის, ისტორიკოს-ქართველოლოგისა და ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ წევრის, აკადემიკოს კალისტრატე სალიას (1901-1986 წწ.) მიერ გენერალ გიორგი კვინიტაძისადმი გაგზავნილ ორ უცნობ წერილს შევხებით.

პირველი 1950 წლის 21 ნოემბერს პარიზიდან შატუშია გაგზავნილი. წერილში ადრესატს გიორგი კვინიტაძეს კალისტრატე სალია აცნობებს იმ უთანხმოებისა და წინააღმდეგობის შესახებ, რომელიც წარმოიშვა ორგანიზაცია „თეთრი გიორგისა“ და ქართული ემიგრაციის გაერთიანების მიზნით შექმნილ კომისიას შორის. სალია კომისიას ბრალს სდებს სიცრუესა და სიყალბეში, ასევე „თეთრი გიორგის“ სახელის უზურპაციაში. წერილის შინაარსის მიხედვით, ორგანიზაციის წევრები ალექსანდრე მანველიშვილი, რევაზ გაბაშვილი და იოსებ გობეჩია „თეთრი გიორგის“ სახელით სარგებლობენ, სწორედ ამიტომ კალისტრატე სალია საჭიროდ თვლის ზოგიერთი საკითხის განმარტებას, კერძოდ, მისი თქმით „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციას ფუნქციონირება არც ერთი დღე არ შეუწყვეტია – „ის არსებობდა, როგორც ყველა სხვა პარტიები, მაგრამ არ მოქმედებდა აქტიურად“. მას ჰყავს თავმჯდომარე – მიხაკო წერეთელი. ორგანიზაცია თანამშრომლობს ქართული ემიგრაციის გაერთიანების მიზნით შექმნილ კომისიასთან, რომელმაც უყურადღებოდ დატოვა „თეთრი გიორგის“ წარმომადგენლის მიმართვა. სალიასა და კომისიის წევრის გაბაშვილის დაპირისპირება იმდენად გამწვავებულა, რომ სალიამ მის წინააღმდეგ საფრანგეთის სასამართლოში სარჩელის შეტანა გადაწყვიტა. „თეთრი გიორგის“ წარმომადგენლებმა კომისიის მორიგ სხდომაზე გაბაშვილი აიძულეს წაეკითხა დეკლარაცია, სადაც დაფიქსირებული იყო ორგანიზაციის პოზიცია და შეხედულებები კომისიის ზოგიერთი წევრის ქმედებების მიმართ. წერილს ერთვის „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის წევრთა სია, რომელიც 64 ადამიანს მოიცავს.

კალისტრატე სალიას მეორე წერილი გიორგი კვინიტაძისადმი 1951 წლის 9 იანვრით არის დათარიღებული, წერილი კვლავ პარიზიდან შატუშია გაგზავნილი და ეხება კვინიტაძესა და წერილის ავტორს შორის წარმოქმნილ გაუგებრობას. მისი შინაარსიდან ჩანს, რომ კალისტრატე სალიას მიერ ჟურნალ „კავკასიის“ გაკრიტიკებამ და „თურქულად“ მოხსენიებამ გიორგი კვინიტაძის განაწყენება გამოიწვია, რის გამოც სალია წუხს და თავს იმით იმართლებს, რომ ამ პერიოდულ გამოცემასთან კვინიტაძის აქტიური თანამშრომლობის შესახებ არაფერი

იცოდა და ამ უნებლიე შეცდომისთვის ბოდიშს უხდის.

ზემოთ მოყვანილი წერილების შინაარსი ახალ და საყურადღებო ფაქტებს შეიცავს.

ორგანიზაცია, რომლის შესახებაც საუბარია პირველ წერილში, არის 1950 წლის 19 ნოემბერს დაარსებული „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში“. მასში გაერთიანდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, სოციალ-რევოლუციონერების, ლევან ზურაბიშვილის ხელმძღვანელობით 1948 წლის 6 ივნისს დაარსებული „თავისუფალ ქართველთა კავშირის“, სამხედრო კავშირის და უპარტიოთა წარმომადგენლები. ორგანიზაციის საპატიო თავმჯდომარე იყო გენერალი გიორგი კვინიტაძე, საპატიო წევრი ექიმი ვახტანგ ლამბაშიძე, ხოლო წევრები იოსებ გობეჩია, დ. მაჭავარიანი, რევაზ გაბაშვილი, ელისე პატარიძე, ლევან ზურაბიშვილი, ი. ბაქრაძე, ალექსანდრე მანველიშვილი, ლ. შარაძე [1, 13-15]. ცენტრს ჰქონდა პერიოდული ორგანო „საქართველოს დამოუკიდებლობა“. ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სტატიები იბეჭდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალ „ივერიაში“ (პირველი ნომერი გამოვიდა პარიზში, 1949 წლის მაისში), მისი ავტორები ერთდროულად „პოლიტიკური ცენტრის“ და „ეროვნულ დემოკრატიული პარტიის“ წევრები იყვნენ.

ეს არის პერიოდი, როცა ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი იწყება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ემიგრანტული ძალების გაერთიანების გზით, საერთო ქართული მოძრაობის დაფუძნების მცდელობა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას უხელმძღვანელებდა. ქართული ემიგრაცია თანხმდებოდა, რომ გაერთიანება მათი წარმატების წინაპირობად უნდა ქცეულიყო, თუმცა მის განხორციელებას ვერ ახერხებდა. ძალთა გაერთიანების მიზნით, შექმნა არაერთი ემიგრანტული ორგანიზაცია.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი გაერთიანების შედეგია „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში“. სალიას წერილში საუბარია ცენტრის დაარსებამდე შექმნილ კომისიაზე. ეს არის 1949 წლის 7 ნოემბერს პარიზში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთი ფრთის ინიციატივით მოწვეულ თათბირზე არჩეული „საკონტაქტო კომისია“, რომელმაც ერთი წელი იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში მათ გამართეს რამდენიმე თათბირი, სხდომა, ჰქონდათ პირადი მოლაპარაკებები ქართველ ემიგრანტებთან [2, 12]. კომისიას ემიგრაციული ძალებისა და ორგანიზაციების გაერთიანებაზე უნდა ეზრუნა, რომელიც ახალი ცენტრის შექმნის საფუძველი გახდებოდა, მაგრამ

კალისტრატე სალიას წერილიდან ჩანს, რომ კომისიის საქმიანობამ „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციასთან ურთიერთობისას წინააღმდეგობა და მწვავე დაპირისპირება წარმოშვა. კალისტრატე სალიასა და კომისიის დაპირისპირება გაგრძელდა „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის“ დაარსების შემდეგაც. 1951 წლის 28 იანვარს კალე ქავთარაძის თავმჯდომარეობით ჩატარდა კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციები და რამდენიმე ქართველი ემიგრანტი, მათ შორის იყო კალისტრატე სალიაც. კრებაზე წაიკითხეს კალისტრატე სალიას მიერ შედგენილი, „ეროვნული ცენტრის“ საწინააღმდეგო რეზოლუცია [3, 44]. კომისიის საქმიანობასა და „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის უცხოეთში“ დაარსებას გამოეხმაურა საციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიურო და „ქართული ეროვნული საბჭო“, საწინააღმდეგო სტატიები ქვეყნდებოდა მათ პერიოდულ ჟურნალებში „ჩვენი დროა“ და „მებრძოლი საქართველო“.

კალისტრატე სალიას პირველი წერილი მნიშვნელოვანია „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც. „თეთრი გიორგი“ ემიგრაციაში დაარსებული (1924 წელს) პირველი ორგანიზაციაა. გაერთიანება აქტიურად მონაწილეობდა ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ზემოთ დასახელებული სალიას პირველი წერილი კვინიტაძისადმი XX ს-ის 50-იან წლებში „თეთრი გიორგის“ წევრების შესახებ დღეისათვის არსებული ერთადერთი წყაროა. წერილის მიხედვით ორგანიზაციას თავისი წარმომადგენლები, შესაბამისად, ინტერესების დამცველი და მიზნის განმახორციელებელი საფრაგეთის გარდა ჰყავდა ამერიკის შეერთებულ შტატებში (ექ. გ. კობახიძე, მ. დადიანი), დიდ ბრიტანეთში (ა. ბესტავაშვილი), იტალიაში (ალ. გომართელი), ბელგიაში (ირ. ოთხმეზური), არგენტინაში (ლ. ჯაფარიძე), ახლო აღმოსავლეთში (მამა შ. ვარდიძე) და გერმანიაში (ნ. ნაკაშიძე). „ეროვნულ ერთობა – თეთრი გიორგის“ 64 წევრიდან 24 საფრანგეთში, ხოლო 44 ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყანაში ჰყავდა.

დღემდე მიჩნეული იყო, რომ მიხეილ (მიხაკო) წერეთელი „თეთრი გიორგის“ მეთაური ლეო კერესელიძის გარდაცვალების (1944 წ.) შემდეგ გახდა, ამ თვალსაზრისით კალისტრატე სალიას პირველი წერილი ახალი ფაქტის შემცველია, როგორც ჩანს მიხეილ (მიხაკო) წერეთლის გაერთიანების მეთაურად არჩევა 1943 წელს ბერლინში, ორგანიზაციის კონგრესზე, ლეო კერესელიძის თანდასწრებით, მის სიცოცხლეში მოხდა.

სალიას პირველი წერილი საყურადღებოა ასევე ქართული

ემიგრაციისათვის სენად ქცეული გათიშულობისა და დაქსაქსულობის მიზეზების შესწავლის კუთხითაც, კერძოდ, წერილიდან ჩანს სალიასა და გაბაშვილ-მანველიშვილს, ასევე მიხაკო წერეთელსა და რევაზ გაბაშვილს შორის არსებული წინააღმდეგობა და შეურიგებლობა.

სალიას მეორე წერილში ირკვევა მისი დამოკიდებულება და პატივისცემა გიორგი კვინიტაძის პიროვნების მიმართ.

წერილში დასახელებული ჟურნალი „კავკასია“<sup>1</sup> არის ჩრდილო კავკასიელი ემიგრანტების მიერ დაარსებული ჟურნალი „Кавказ“-ი, რომელიც რუსულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე იბეჭდებოდა მიუნხენში და ჰაიდარ ბამატის ჯგუფის მიერ მანამდე გამოცემული „კავკაზის“ გაგრძელება იყო. „Кавказ“-ის ავტორები და რედაქტორი კანტემირი „სამხრეთის“ (თურქეთი-კავკასია-თურქესტანის გზით ჩრდილოეთის, ანუ რუსეთის დამარცხება) ორიენტაციას აღიარებდნენ და ჟურნალის ფურცლებზე მწვავედ აკრიტიკებდნენ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების იმ ემიგრანტულ გაერთიანებებს, რომლებიც მოკავშირედ დასავლეთს მიიჩნევდნენ და ხსნას მისგან მოელოდნენ [4, 19]. ამ ჟურნალში ხშირად იბეჭდებოდა ქართული ემიგრაციის ერთი ნაწილის მიმართ კრიტიკული და წინააღმდეგობრივი სტატიები, რომლის ავტორებიც ზოგჯერ ისევე ქართველები იყვნენ, მათ შორის, სალიას პირველ წერილში დასახელებული ორგანიზაციის წევრები. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებდა ჟურნალისა და მისი გამომცემლებისადმი ქართული ემიგრაციის უარყოფით დამოკიდებულებას.

წერილი საინტერესოა გიორგი კვინიტაძის ბიოგრაფიისთვის, როგორც ჩანს მას აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ჟურნალ „Кавказ“-ის რედაქტორ ალიხან კანტემირთან. ამაზე კვინიტაძის არქივში არსებული ის წერილებიც მიუთითებენ, რომელიც კანტემირის მიერ ქართველი გენერლისადმი არის გაგზავნილი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გიორგი კვინიტაძის პირად საარქივო ფონდში დაცული კალისტრატე სალიას წერილები, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომლის სრულ ტექსტს აქვე გთავაზობთ, ფასეული შენაძენია ქართველი მკვლევრებისათვის. წერილები ავსებს და სრულყოფილს ხდის ამ პერიოდის ქართული ემიგრაციის ისტორიასთან დაკავშირებული არა ერთი საკითხის შესწავლას.

<sup>1</sup> ამ სახელწოდების სხვა ჟურნალი 1937-1939 წლებში პარიზში გამოიცემოდა და იყო დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო.

## დოკუმენტი 1

კალისტრატე სალიას წერილი გიორგი კვინიტაძისადმი (21/XI. 1950)

[პარიზიდან – შატუში; ხელნაწერი; ქართულ ენაზე; დედანი].  
დიდად პატივცემულო ბატონო გენერალო!

გავიგეთ, რომ თქვენ საპატიო თავმჯდომარე ბრძანდებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, ბ. ზურაბიშვილის კავშირის<sup>1</sup> ან მხედართა ერთი ნაწილის<sup>2</sup> გაერთიანებული ფრონტისა.

რათგან თქვენ დიდ პატივს გცემთ ჩვენ, ყველა თეთრ გიორგელები, გვინდა გაგაცნოთ ზოგი რამ, რაც თქვენთვის, ალბათ, უცნობია, მით უმეტეს, რომ თქვენი ახალი ორგანიზაცია ჩვენი სახელითაც სარგებლობს.

1. თეთრი გიორგის მოძრაობას ჰყავს მეთაური მიხეილ წერეთელი, რომელიც არჩეული იყო თეთრი გიორგის კონგრესზე ბერლინში 1943 წ. ერთხმად განსვენებული ლეო კერესელიძის<sup>3</sup> დასწრებით. ჩვენი წესდების ძალით, მეთაურის შეცვლა მხოლოდ კონგრესს შეუძლია, რომელსაც ჩვენ ვინვევდით 5-10 წელიწადში ერთხელ. ჩვენ ვერ ვხედავთ ჯერჯერობით კონგრესის მოწვევის აუცილებლობას და არც შესაძლებლობას. თეთრი გიორგის ორგანიზაცია არ ყოფილა ერთი დღითაც დაშლილი, ის არსებობდა როგორც ყველა სხვა პარტიები, მაგრამ არ მოქმედობდა აქტიურად.

2. როდესაც ქართველთა გაერთიანების საკითხი დაისვა, თეთრი გიორგიმ განაცხადა სურვილი მასში მონაწილეობისა და ჩვენი სექციის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ლ. კერესელიძემ ამის შესახებ სათანადო წერილიც გაუგზავნა კომისიას. დღეგატად დასახელებული იყო დ. კლდიაშვილი. კომისიამ კი არავითარი პასუხი არ მოგვცა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შეურაცხყოფილი ვიყავით ასეთი უყურადღებობით. გავჩუმდით და არავითარი ნაბიჯი არ გადაგვიდგამს ზემოაღნიშნული კომისიის წინააღმდეგ, რომელმაც კარგად იცოდა, რომ კომისიის წევრს მანველიშვილს<sup>4</sup> არავითარი მანდატი არ ჰქონდა

<sup>1</sup> სპირიდონ კედიას ხელმძღვანელობით მოქმედ ერთიან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ემიგრაციაში ჯერ რეზო გაბაშვილის ფრთა გამოეყო, 1929 წელს კი – ალექსანდრე ასათიანის და ცალკე გვაზავა-ზურაბიშვილის გჯუფები, იმავე წელს ცალკე პარტია შექმნეს ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატებმა.

<sup>2</sup> ყოფილი „იუნკერთა“ კავშირი.

<sup>3</sup> ლეო კერესელიძე 1925-1943 წლებში ეროვნული ერთობის – „თეთრი გიორგის“ მეთაური იყო, მან გაერთიანება უფრო გააფართოვა და მძლავრ ორგანიზაციად აქცია, იგი სხვადასხვა დროს იყო გაზეთ „თეთრი გიორგის“ რედაქტორი.

<sup>4</sup> ალექსანდრე მანველიშვილი.

ორგანიზაციიდან. ეს კომისია, რომელსაც უნდა გაერთიანებინა მთელი ქართველობა, შეუდგა ქართველთა ერთი ნაწილის გაერთიანებას და საზოგადო კრებაზედ უტიფრად განცხადებულ იქმნა, თეთრი გიორგიც მონაწილეობსო. მამასადამე, ამ ვითომც დიდ ეროვნულ საქმეს თავიდანვე საფუძვლად სიცრუე და სიყალბე დაუდევს.

ამით არ დაკმაყოფილდენ და საჯაროთ შეურაცხყოფა მომაყენეს მე, თეთრი გიორგის პასუხისმგებელ წევრს<sup>1</sup>. მეთაურსაც შეეხენ. ბ. გაბაშვილს<sup>2</sup> რომ მართლა კეთილი განზრახვა ჰქონოდა, ის ამას არ გააკეთებდა, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ბ. ურატაძის<sup>3</sup> ჭორები მე უყურადღებოდ არ დამიტოვებია. ხოლო შემდეგ გამოირკვა, რომ ბ. ურატაძეს არაფერი იმისი მსგავსი არ უთქვამს, რაც ბ. გაბაშვილმა მე მომიტანა, შეცდომაში შემიყვანა და კაცი ტყუილად გამაღანძღვინა. ურატაძე მოწმეების საშვალეებით კატეგორიულად აცხადებს, რომ არაფერი უთქვამს და არც შეეძლო ეთქვა. მაგრამ ერთი წუთითაც რომ დაუშვათ, ურატაძეს რამე ეთქვა, განა ეს ნებას აძლევდა ბ. გაბაშვილს საზოგადო კრებაზე ორი წლის შემდეგ დაუსაბუთებელი ჭორებით შეურაცხყოფა მოეყენებია ჩემთვის?

მამასადამე, მას ბოროტი და წინასწარ გამოანგარიშებული განზრახვა ჰქონდა, ჩემთვის ზიანი მოეყენებინა. მიზეზიც ვიცი. როდისმე გაიმბობთ. ამის შემდეგ ბ. გაბაშვილს მე საშვალეება მივეცი თავისი შეცდომა გამოეხსნორებინა და გაუგზავნე გ. ჩუბინიძე და ა. კილურაძე. დაესწრო შ. კალანდაძეც. გაბაშვილმა ისევ დამინყო ლანძღვა. მე იძულებული ვიყავი სასამართლოში გამომეწვია და მოვთხოვე დასახელოს თავის მხრივ მსაჯული. მე დავასახელე ბ. დ. სხირტლაძე. მსაჯულებს მე რეგისტრაციას უკეთებ ფრანგულ ტრიბუნალში, რომ სასამართლოს განაჩენი ფრანგულმა ტრიბუნალმა მოიყვანოს სისრულეში.

3. ვინაიდან გაბაშვილი-გობეჩიას ფრონტი უზურპაციას უკეთებს თეთრი გიორგის სახელს და ამით საზოგადოებას ატყუებს, ჩვენ იძულებული ვიყავით გაგვეგზავნა ორგანიზაციის წარმომადგენლები წარსული კვირის კრებაზე ჩვენი დეკლარაციის წასაკითხავად. ბ. გაბაშვილმა არ შეუშვა ჩვენი წარმომადგენლები და არც დეკლარაციის წაკითხვა მოისურვა, ხოლო საზოგადოებამ 21 ხმით 10-ის წინააღმდეგ გაბაშვილი აიძულა თ. გ-ის დეკლარაცია წაეკითხა. აი, ტექსტი ამ დეკლარაციისა:

„თეთრი გიორგის მიზანია ემიგრაციაში არსებულ ყველა ქარ-

<sup>1</sup> კალისტრატე სალია ამ პერიოდში იყო „თეთრი გიორგის“ მთავარი სამდივნოს თავმჯდომარე. გაერთიანებასთან დაკავშირებულ ყველა საქმეს ის ხელმძღვანელობდა.

<sup>2</sup> რევაზ გაბაშვილი

<sup>3</sup> გიორგი ურატაძე

თულ ძალთა გაერთიანება საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ ის სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას ისეთ კრებულში, რომელიც ამ იდეალს მიზნად დაისახავს.

რაც შეეხება დღეს აქ საინიციატივო ჯგუფის მიერ მოწვეულ კრებას, მისი მიზანი და შემადგენლობა ჩვენთვის უცნობია, რათგან მის მუშაობაში თეთრი გიორგის წარმომადგენელს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და არც ლებულობს.

წარსულ სხდომაზე ბ. რ. გაბაშვილს განუცხადებია, რომ ამ კრებულს არ შეუძლია ითანამშრომლოს ბ. მიხეილ წერეთელთან. ჩვენ ვაცხადებთ: იქ, სადაც არ არის თეთრ გიორგელთა სრული ნდობით აღჭურვილი ჩვენი მეთაური, დიდი ქართველი მიხეილ წერეთელი, ვერც ჩვენ ვიქნებით. მასთან ერთად ვაცხადებთ პროტესტს იმ ჭორების წინააღმდეგ, რომლითაც აქ ბ. გაბაშვილიმ შეურაცხყო ჩვენი ორგანიზაციის პასუხისმგებელი წევრი ბ. კალე სალია. ბ. გაბაშვილი მიცემულია პასუხისმგებლობაში ცილისწამებისათვის. თეთრი გიორგის საფრანგეთის სექციის სახელით ხელს აწერენ: გ. ჩუბინიძე, დ. კლდიაშვილი, ლ. კერესელიძე და ა. გამსახურდია.

ორგანიზაციის დელეგატებად იყვნენ: ა. კილურაძე და ა. გამსახურდია.

თუ გაბაშვილის „ფრონტი“ კიდევ გაიმეორებს, „თეთრი გიორგი“ მონაწილეობსო, უარეს განცხადებას გავაკეთებთ. ამიტომ ურჩევნიათ თავი დაგვანებონ, მეტს არაფერს არ ვთხოვთ. ჩვენ არასდროს არ დაეჯდებით იქ, სადაც ბ. გაბაშვილი ხელმძღვანელია. მანველიშვილი კი ორგანიზაციაში არ ითვლება. თვითონ დააყენა თავისი თავი თ. გ-ის ორგანიზაციის გარეშე<sup>1</sup>.

აქედან თქვენ დაინახავთ, ბატონო გენერალო, რომ ჩვენ მართალი ვართ სავსებით ყველაფერში. თუ რამე ზედმეტი განმარტება გსურთ, მზად ვართ ყოველთვის მოგანოდოთ. ჩვენ ყოველთვის მივიღებთ მონაწილეობას საღ ეროვნულ გაერთიანებაში და არ მივაქცევთ ყურადღებას არავითარ შეურაცხყოფას, თუ ამას ეროვნული ინტერესი მოითხოვს. მაგრამ არ გვჯერა ბ. გაბაშვილის გაკეთებული საქმე. მას მხოლოდ ლანძღვა შეუძლია და შხამის ნთხევა. არასდროს არაფერი დადებითი არ გაუკეთებია და არც შეუძლია გააკეთოს.

მარად თქვენი პატივისმცემელი,  
კალე სალია,  
21.XI.50.

<sup>1</sup> ალექსანდრე მანველიშვილი „თეთრი გიორგის“ აქტიური წევრი იყო. ის 1933 წელს ბოლოს თანამოაზრეებთან ერთად გამოეყო ორგანიზაციას (თუმცა იდეოლოგიურად ერთად დარჩნენ) და 1934 წელს დააარსა ცალკე ორგანო „მოძავალი“.

ცნობისათვის:

თეთრი გიორგის მეთაური მ. წერეთელი.

მთავარი სამდივნო: თავმჯდომარე 1) კ. სალია;

წევრები: 2) დ. კლდიაშვილი და 3) გ. ჩუბინიძე.

პარიზის ან საფრანგეთის სექციის წევრები: 4) ლ. კერესელიძე, 5) დ. ჯაფარიძე, 6) ა. კილურაძე, 7) დ. უხურგუნაშვილი, 8) ა. მაისურაძე, 9) შ. გიორგაძე, 10) მ. თარაშვილი, 11) ა. ჯილაური, 12) ლ. ფხალაძე (ან ფხილაძე), 13) შ. სოხაძე, 14) დ. გიორგობიანი, 15) გ. ყალაბეგიშვილი, 16) ე. მაყაშვილი, 17) ა. გამსახურდია, 18) ვ. გელაშვილი, 19) ა. პეტრიაშვილი, 20) მ. ჟღენტი.

საფრანგეთში 20 კაცი ნამდვილი წევრები. გაბაშვილის კრებას დაესწრო 31 კაცი.

თ. გ-ის წარმომადგენლები:

ამერიკაში – ექ. გ. კობახიძე, მ. დადიანი;

ინგლისში – ა. ბესტავაშვილი;

იტალიაში – ალ. გომართელი;

ბელგიაში – ირ. ოთხმეზური;

არგენტინაში – ლ. ჯაფარიძე;

ახლო აღმოსავლეთში – მამა შ. ვარდიძე;

გერმანიაში – ნ. ნაკაშიძე.

სულ საზღვარგარეთ – 44. მთლად – 64 წევრი.

## დოკუმენტი 2

კალისტრატე სალიას წერილი გიორგი კვინიტაძისადმი (9/1.1951)

[პარიზიდან – შატუში; ხელნაწერი; ქართულ ენაზე; დედანი].

დიდად პატივცემულო ბატონო გენერალო!

კვირას მინდოდა თქვენთვის ახალი წლის ვიზიტი გამეკეთებია და, ვერ წარმოიდგენთ, როგორი განცვიფრებული დავრჩი, როცა გავიგე ბ. გიორგისაგან, რომ თქვენ ნაწყენი ბრძანდებით ჩემზე იმის გამო, რომ ჟურნალი „კავკასია“ მოვიხსენიე ჩემს განცხადებაში, როგორც „თურქული“. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ მე სრულებით არ მიფიქრია და აზრად არ მომხვლია თქვენთვის რამეთი მენყინებია.

მეგონა, რომ თქვენ კავკასიურ წრეში აქტიურ როლს არ თამაშობდით, არამედ მხოლოდ სახელი მიეცით. მე რომ მცოდნოდა, რომ თქვენ თავმჯდომარე ყოფილხართ იმ ჯგუფისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს განცხადებაში მოყვანილი ტექსტი ძალიან მჭირდებოდა გაბაშვილის წინააღმდეგ, თქვენი პატივისცემისთვის უსათუოდ გამოვეტოვებდი იმ ადგილს (ხაზგასმა კ. სალიას ეკუთვნის. გ. ს.).

მე მუდამ უაღრესი პატივისცემა მქონდა თქვენი და თქვენი ოჯახისა და მაქვს დღესაც. ამიტომ ძალიან ვნუხვარ, რომ განყენიეთ ძალაუნებურად და ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე. იმედი მაქვს, გაიგებთ ჩემს მდგომარეობას, იგრძნობთ ჩემს გულწრფელობას თქვენ მიმართ და მაპატივებთ ამ შეცდომას.

მარად თქვენი პატივისმცემელი  
კალე სალია  
9/1. 51.

#### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ეროვნული ცენტრი უცხოეთში, დეკლარაცია, ჟურნალი „ივერია“, პარიზი, №3, მარტი, 1951.
2. ჩვენი პოზიცია და ეროვნული ერთობა, ჟურნალი „ივერია“, პარიზი, №3, მარტი, 1951.
3. ოპოზიციონერთა კრება, ჟურნალი „ივერია“, პარიზი, №3, მარტი, 1991.
4. მიმოხილვა, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, №1, იანვარი, 1952.

#### Gocha Saitidze

*Doctor of Historical Sciences, Professor,  
The National Centre of Manuscripts, The  
Head of the Department of Archive Studies*

#### Shorena Murusidze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, scientific researcher  
of the Department of Modern and Contemporary History*

#### The New Documents from the History of the Georgian Political Emigration (The 50's of the 20<sup>th</sup> century)

#### Summary

The article deals with the study and publication of two unknown letters from the history of Georgian emigration. The personal archive of General Giorgi Kvinitadze, which consists of significant and important materials from the point of view of the study of Georgian emigration history, is preserved in

The National Centre of Manuscripts. Two unknown letters sent to General Giorgi Kvinitadze by Georgian emigrant Kalistrate Salia who lived in France, is the subject of our scientific discussion.

In the first letter Kalistrate Salia informs Giorgi Kvinitadze about the disagreement and opposition that took place between „Tetri Giorgi“ (White George) and the committee that was founded for uniting the Georgian emigration.

The second letter of Kalistrate Salia is about misunderstanding between Kvinitadze and the author of the letter.

The content of these letters consists of significant facts. Salia's first letter sent to Kvinitadze is the only source about the members of „Tetri Giorgi“ in the 1920s. In the next letter of Salia we can see how he respects Giorgi Kvinitadze. The letter also contains the unknown details of Giorgi Kvinitadze's biography.

Both letters are valuable acquisitions for Georgian researchers. These materials enrich our knowledge and able us to study not only a single problem of the history of Georgian emigration of this period.